

ეუთო
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებების ბიურო

**სასამართლო პროცესის
მონიტორინგის ანგარიში**
საქართველო



ვარშავა
9 დეკემბერი, 2014

I. მოკლე მიმოხილვა	6
II. რეკომენდაციათა ერთიანი ჩამონათვალი	14
ა. საკანონმდებლო ორგანოს:	14
ბ. სასამართლო ხელისუფლებას:	17
გ. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:	21
დ. პროკურატურას:	22
ე. დაცვის ადვოკატებს:	22
ვ. აღმასრულებელ ორგანოებს:	23
ზ. სასამართლო ორგანოების მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზატორებს:	24
III. წინაპირობები	25
IV. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია	27
V. კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება	29
ა. საერთაშორისო სტანდარტები	30
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	32
ბ. ანალიზი	34
1. მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა	34
2. მოსამართლეთა გადაყვანა სასამართლოდან სასამართლოში, მოსამართლეთათვის საქმეების განაწილება	35
3. ინდივიდუალური სასამართლოს შექმნა	38
დ. დასკვნა	39
ე. რეკომენდაციები	40
VI. საზოგადოების ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ	41
ა. საერთაშორისო სტანდარტები	42
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	44
გ. ანალიზი	45
1. პროკურატურის დამოუკიდებლობა	45
2. მთავარი პროკურორის დანიშვნა	47
3. სასამართლოს ღირსება და ავტორიტეტი	50
დ. დასკვნა	52
ე. რეკომენდაციები	53
VII. ღია სასამართლო პროცესის უფლება	54
ა. საერთაშორისო სტანდარტები	54
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	56
გ. ანალიზი	58
1. ინფორმაციის მოხმენა და სასამართლო დარბაზის სიდიდე	58
2. სასამართლო დარბაზიდან გამოსვლის და შესვლის აკრძალვა	59
3. პრესისა და საზოგადოების არდაშვება ეროვნული ინტერესების დაცვის მიზეზით	60
4. პრესის ან საზოგადოების არ დაშვება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით	62
5. მტკიცებულებების წარდგენა ღია სასამართლო პროცესზე	63

დ. დასკვნა	64
ე. რეკომენდაციები	65
VIII. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება	66
ა. საერთაშორისო სტანდარტები	67
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	69
გ. ანალიზი	71
1. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მოპყრობა	71
2. ინფორმაციის გამჟღავნება ბრალდებულის კრიმინალური წარსულის შესახებ სასამართლო პროცესზე	72
3. სახელმწიფო პირების მიერ გაკეთებული განცხადებები	73
4. მტკიცების ტვირთი	74
დ. დასკვნა	74
ე. რეკომენდაციები	75
IX. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმილის უფლება	76
ა. საერთაშორისო სტანდარტები	77
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	78
გ. ანალიზი	79
1. ბრალდებულის ჩვენება სასამართლო პროცესზე	79
2. პროკურორების მიერ ბრალდებულთა მოწმედ გამოძახება	81
დ. დასკვნა	82
ე. რეკომენდაციები	82
X. თავისუფლების უფლება	83
ა. საერთაშორისო სტანდარტები	84
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	86
გ. ანალიზი	87
დ. დასკვნა	89
ე. რეკომენდაციები	90
XI. მხარეთა თანასწორობა	91
ა. საერთაშორისო სტანდარტები	91
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	93
გ. ანალიზი	95
1. ინსტრუქციები უფლებების შესახებ სასამართლო პროცესის დროს	95
2. ადეკვატური დროისა და პირობების უფლება	95
3. სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება- სასამართლო განხილვა პროცესზე დაუსწრებლად	98
დ. დასკვნა	99
ე. რეკომენდაციები	100
XII. გასამართლების უფლება გონივრულ დროში	101
ა. საერთაშორისო სტანდარტები	101
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	102
გ. ანალიზი	103
1. პროცედურული შეყოვნებები და საქმის განხილვის გადადება	103
2. პროცესის მართვა	104
3. მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვა	106

დ. დასკვნა	107
ე. რეკომენდაციები	108
XIII. მოწმეთა დაბარება და დაკითხვა	108
ა. საერთაშორისო სტანდარტები	108
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	109
გ. ანალიზი	110
1. გამოძახების პროცედურა	110
2. მოწმეთა მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების მიმართ უნდობლობის გამოხატვა	111
3. მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა სხვა ინფორმაციის გამოყენებით	112
დ. დასკვნა	113
ე. რეკომენდაციები	114
XIV. მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება	115
ა. საერთაშორისო სტანდარტები	115
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	116
გ. ანალიზი	117
დ. დასკვნა	120
ე. რეკომენდაციები	121
XV. ადვოკატის ყოლის უფლება	121
ა. საერთაშორისო სტანდარტები	122
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	124
გ. ანალიზი	126
1. დაცვის ადვოკატის პროცესზე დაუსწრებლობა და მისი შეცვლა	126
2. ერთზე მეტი ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენა	128
3. კომპეტენტური და ეფექტური სასამართლო წარმომადგენლობა	129
დ. დასკვნა	129
ე. რეკომენდაციები	130
XVI. დაზარალებულთა და მოწმეთა მონაწილეობა და დაცვა	131
ა. საერთაშორისო სტანდარტები	132
ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	134
გ. ანალიზი	136
1. ინსტრუქციები უფლებების შესახებ	136
2. მოწმეთა მოპყრობა სასამართლო პროცესებზე	139
3. მოწმეთა და დაზარალებულთა უსაფრთხოება და დაცვა	141
4. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და დაზარალებულთათვის	143
დ. დასკვნა	144
ე. რეკომენდაციები	144
XVII. დანართი 1: ინფორმაცია მონიტორინგის საქმეების შესახებ	146

შემოკლებათა ჩამონათვალი

CoE	ევროპის საბჭო
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
კუდ	კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
ECHR	ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია/ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
ECOSOC	ეკონომიკური და სოციალური საბჭო (გაერო)
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ICCPR	სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი
ODIHR	დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
ეთთო	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
UDHR	ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

I. მოკლე მიმოხილვა

1. 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, წინა ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებების ტალღამ საქართველო საგულდაგულო დაკვირვების საგნად აქცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და გამოიწვია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე და მომდევნო სასამართლო პროცესები შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული ყოფილიყვნენ. ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო ამ საქმეების გამჭვირვალედ, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დაცვით წარმართვის გამოწვევის წინაშე დადგა. ის, თუ როგორ წარიმართა ეს პროცესები საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურისა და სასამართლო პროცესში მონაწილე სხვა აქტორთა მიერ, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი ხელისუფლების შტოსგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან ინდიკატორს და ამავე დროს მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება სამართლიანი სასამართლოსთან და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებების მთელი სპექტრი და საერთაშორისო სტანდარტები.
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოიწვია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოფილი მთავრობის მაღალჩინოსანთა სასამართლო პროცესების მონიტორინგის ჩასატარებლად, რომლის საფუძველზეც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა დაიწყო იმ 14 საქმის სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი, სადაც ერთი ან მეტი ბრალდებული პირის მიმართ შესაძლებელი იქნებოდა „თანამდებობის პირის“ დეფინიციის გამოყენება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად.
3. ODIHR-ს სურს მადლიერება გამოხატოს საქართველოს ხელისუფლებასთან კარგი თანამშრომლობისთვის ამ პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე, აცნობიერებს საქართველოს ხელისუფლების მიმდინარე მცდელობებსა და მზადყოფნას შემდგომში გააუმჯობესოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება უწყვეტი რეფორმების გატარების გზით და შეასრულოს ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებები კანონის უზენაესობის სფეროში.
4. დაკვირვებული 14 საქმის ფონზე ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს ის საკითხები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებებს. საკითხის მოკლედ წარმოდგენის ინტერესის გათვალისწინებით, ანგარიში მოიცავს მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს პრობლემატურ საკითხებს, რომლებიც მონიტორების მიერ იქნა დადგენილი და რომელთაც ზოგჯერ სისტემური ხასიათი აქვთ და ამ მიზნით წარმოადგენს მათი

საკანონმდებლო ან პრაქტიკულ დონეზე მოგვარების რეკომენდაციებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოცულობაშია შეზღუდული, ანგარიში არ მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლისა და პრაქტიკის ყველა ასპექტს, რომლებიც შესაბამისობაში იყო საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

5. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება და მოწმეთა დაცვა. ზემოაღნიშნული სამართლიანი სასამართლოს უფლებების განხილვა შესაბამის თავებში შეზღუდულია სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტებით, რომელთა პრობლემურობა იქნა იდენტიფიცირებული.
6. საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო მთლიანობაში უზრუნველყოფს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებას. კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები ზოგადად შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და სასამართლოები იქმნება კანონის საფუძველზე. თუმცა სამართალწარმოების ზოგიერთი შემთხვევა ეჭვს იწვევდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესრულდა კანონით დადგენილი დამოუკიდებელი სასამართლოს მოთხოვნები. მხარეთა და საზოგადოების მხრიდან სასამართლოების დამოუკიდებლობაში ლეგიტიმური ეჭვის არსებობა საფრთხის ქვეშ აყენებს სამართლიან სასამართლოს მაშინაც კი, როდესაც რეალური გავლენის მტკიცებულება არ არსებობს. ის ნიშნები, რაც ეჭვს აღძრავს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ და შესაბამისად გავლენას ახდენს მის ასეთად აღქმაზე, უკავშირდება მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ისეთ პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება ვერ უზრუნველყოს მოსამართლეთა ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა. ეს მოიცავს მოსამართლეთა გადაყვანას ერთი სასამართლოდან მეორეში და მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას სრულიად გამჭვირვალე პროცედურის გარეშე, რაც მანიპულირებისა და ჩარევის შესაძლებლობას წარმოქმნის; და მოსამართლეთა შეცვლას მიმდინარე საქმეების წარმოების პროცესში ყოველგვარი განმარტების გარეშე, რაც თავის მხრივ არ შეესაბამება შიდასახელმწიფოებრივ საპროცესო კანონმდებლობას. შესაძლოა ასეთი პრაქტიკა არ არღვევს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ ბრალდებულის გასამართლების უფლებას, თუმცა მან გამოიწვია შეშფოთება მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და შესაბამისად საზოგადოებრივი აღმადობის თვალსაზრისით.

7. საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ მისი ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მონიტორინგის პერიოდში, თავი იჩინა რამოდენიმე პრობლემამ, რაც ხელს უწყობდა სისხლის სამართლის სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის შერყევას. ოფიციალური პირების კომენტარები სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით მიანიშნებდა სისხლის სამართლებრივ დევნაზე მათი კონტროლის ანგავლების არსებობაზე, რაც პოტენციურად შემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ. საზოგადოებაში არსებული ეჭვები, მთავარი პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებით არ უწყობდა ხელს საზოგადოებრივი ნდობის გამყარებას სისხლის სამართლის სისტემისადმი და არ იძლეოდა მისი პოლიტიკური ნეიტრალურობის გარანტიას. და ბოლოს, მოსამართლეები ზოგჯერ არ ან ვერ ამყარებდნენ კონტროლს დარბაზში წესრიგის დაცვაზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. ის ფაქტი, რომ ხელისშემშლელი ქცევა დარბაზში ძირითადად დაუსჯელი რჩებოდა და სასამართლო განხილვებს აკლდათ ფორმალობა, ზოგადად მიანიშნებდა სასამართლო სისტემისადმი ნაკლებ პატივისცემაზე.
8. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას შეეძლო ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ სასამართლო პროცესებზე დასწრება, შეინიშნებოდა მრავალი პრობლემა პროცესებზე დასწრების ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების პრობლემა, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებდა და აფერხებდა საზოგადოების პროცესებზე დასწრების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი სასამართლო საქმეების უმეტესობაში ბრალდებულებს წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირები, რომელთა ირგვლივ გაკეთებული განცხადებები დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში, თუმცა ეს პროცესები ტარდებოდა ისეთ პატარა სასამართლო დარბაზებში, რომლებიც ვერ იტევდნენ ყველა დაინტერესებულ პირებს. შემდგომ, დარბაზიდან გასულ საზოგადოების წევრებს ექმნებოდათ დაბრკოლებები სასამართლო დარბაზში ხელახლა შესვლასთან დაკავშირებით. ასეთ შეზღუდვებს და ლიმიტირებულ შესვენებებს თუ გავითვალისწინებთ სხდომის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობის კონტექსტში, ამას შესაძლოა გამოეწვია საზოგადოების პროცესზე დასწრების განთავის შეკავება. მონიტორებმა აგრეთვე დააფიქსირეს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც საზოგადოების პროცესებზე ხელმისაწვდომობა იზღუდებოდა, როგორც აცხადებდნენ, ეროვნული უსაფრთხოების მოტივით. ასეთ საქმეებზე მოსამართლე ზღუდავდა საჯარო განხილვის უფლებას იმის შემოწმების გარეშე, თუ რამდენად არსებობდა სხდომის დახურულად ჩატარების აუცილებლობა ეროვნული ინტერესების უსაფრთხოების მიზეზით. რაც შეეხება სასამართლო დარბაზში წესრიგის დამყარებას, მონიტორების დაკვირვებით, მოსამართლეები ხშირად სათანადოდ არ განმარტავდნენ წესებს და არ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ სანქციებს. სასამართლოების დამოკიდებულება საზოგადოების ან მედიის მიერ სასამართლო სხდომების ჩანაწერების

გაკეთების მიმართ ცვალებადი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი იყო, რასაც შეეძლო საზოგადოების სასამართლო სწდომებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, არსებული პრაქტიკა იწვევდა ბრალდებულოთათვის საჯარო განხილვის უფლების დარღვევას სხვადასხვა ხარისხით და შესაბამისად ზღუდავდა საზოგადოების ხელმისაწვდომობას ამ პროცესების მიმართ.

9. დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრაქტიკა გარკვეულ შემთხვევებში იწვევდა იმ მხრივაც, თუ რამდენად ზედმიწევნით იცავდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს, რაც წარმოაჩენდა იმას, რომ სასამართლოს, პროცესში მონაწილე მხარეებს და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გარკვეულწილად ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული ამ პრინციპის შესაძლო ფარგლები. დაკავებული ბრალდებულების საბრალდებო სკამზე ან შუშით შემოღობილ სივრცეში მოთავსება ქმნიდა მათი დამნაშავეებად აღქმის რისკს, ზღუდავდა ადვოკატისგან რჩევის მიღების შესაძლებლობას და ლახავდა მათ ღირსებას. ეს განსაკუთრებით პრობლემატური იყო იმ შემთხვევებში, როცა არ ხდებოდა ამგვარი ზომების გამოყენებისთვის აუცილებელი უსაფრთხოების ან რისკის შეფასება, მართალია ბრალდებულის წინა ნასამართლეობაზე მსჯელობა დასაშვებია ზოგ შემთხვევაში და სასჯელის შეფარდების მიზნებისთვის, მაგრამ მოსამართლეები ასეთ მსჯელობას რუტინულად უშვებდნენ, რასაც შეეძლო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა და ბრალდებულის შესახებ დამნაშავის შთაბეჭდილების შექმნა გამოეწვია. ხელისუფლების წარმომადგენლები მათ მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებებით, სადაც ისინი ბრალდებულოთა ბრალეულობის შესახებ საუბრობდნენ განაჩენის გამოტანამდე, აკნინებდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობას, რადგანაც წინ უსწრებდნენ სასამართლოს შეფასებებს და ხელს უწყობდნენ საზოგადოების თვალში ბრალდებულის დამნაშავედ წარმოჩენას. და ბოლოს, ბრალდების დადგენილების მტკიცებულებად ჩათვლა, ფაქტიურად ნიშნავდა მისი მცდარობის დადგენის მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას.
10. სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით მოსამართლეთა მიერ არასაკმარისი განმარტებების გაკეთების შესახებ ამ ანგარიშში მოყვანილი მაგალითები, ბრალდებულოთათვის მათი სურვილის საწინააღმდეგოდ კითხვებზე პასუხების მოთხოვნა და ბრალდებულების ბრალდების მხარის მოწმის სტატუსით გამოძახება, იწვევდა ბრალდებულოთა მიერ თავიანთი მამხილებელი ინფორმაციის გამჟღავნებას და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების შესაძლო ხელყოფის შესახებ ეჭვებს. დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული შემთხვევები და ადვოკატის მხრიდან მათზე განუხორციელებელი რეაგირება, ასახავს პროცესის მონაწილეების მიერ ამ ფუნდამენტური პრინციპების გაუცნობიერებლობას.
11. დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პატიმრობის შესახებ სასამართლო პრაქტიკა უმეტესად შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას, მაგრამ სრულად ვერ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტების

მოთხოვნებს. დასაბუთებულობის გარეშე მოსამართლეებმა უარი თქვეს დაცვის შუამდგომლობებზე, რომლებიც პატიმრობის შეფარდების ან გაგრძელების პროცესში იქნა წარდგენილი, ამან კი შექმნა თვითნებობისა და მიკერძოებულობის შთაბეჭდილება. წერილობითი გადაწყვეტილებები შეიცავდნენ მცირე დასაბუთებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა მტკიცებულების შეფასება ან მხარეთა არგუმენტები, როგორც ამას ითხოვს დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები. ამგვარი გადაწყვეტილებები არა მხოლოდ შეუსაბამოა თავისუფლების უფლებასთან, არამედ, სავარაუდოდ ხელს უწყობს საზოგადოების უნდობლობას სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაპატიმრების პერიოდულ შემოწმებას, პატიმრობის შეცვლის ინიცირების ტვირთი გადატანილია დაცვის მხარეზე დამპატიმრებელი ორგანოების მიერ დაპატიმრების პერიოდული შეფარდების მოთხოვნის მაგივრად. აღნიშნულმა ხელი შეუწო იმგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, სადაც პატიმრობა ავტომატურად მაქსიმალურ ვადამდე - 9 თვემდე გრძელდებოდა, რაც თავისუფლების პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენს.

12. რამდენიმე ხარვეზი გამოვლინდა მხარეთა თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით. ბრალდებულებისთვის მათი უფლებების შესახებ სათანადო ინფორმაციის არ მიწოდება სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მათ აყენებდა არათანაბარ პოზიციაში ბრალდების მხარესთან შედარებით, რის შედეგადაც მოსალოდნელი იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალური დარღვევა. აგრეთვე, როდესაც სასამართლო არ აძლევდა ბრალდებულს ან დაცვის ადვოკატს საკმარის დროს საქმის მოსამზადებლად, მათ შორის ბრალდების მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად, ირღვეოდა პროცესში ბრალდების მხარესთან თანაბარ საწყისებზე მათი მოწმეობის უფლება.
13. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა, რომლის მიზეზიც, სასამართლოს ვარაუდით, ბრალდებულების მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება იყო, ძნელია უწოდოს სამართლიანი. ამასთანავე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც არ იძლევა საქმის გადასინჯვის გარანტიას, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სასამართლო სისტემა ასევე არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგან ბრალდებულს ერთმევა „საქმის არსებითი განხილვის შესაძლებლობა“, როცა მას სათანადო პროცედურის დაცვით არ მიეწოდა სასამართლოში გამოცხადების შეტყობინება ან ვერ გამოცხადდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით. და ბოლოს, ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა არღვევს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ზეპირი და შეჯიბრებითი განხილვის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ორივე მხარეს ეძლევა დასწრებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა.
14. რიც საქმეებში, მონიტორინგმა ასევე გამოავლინა ხარვეზები გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, როცა საქმეთა გადადება ხანგრძლივი პერიოდით ხდებოდა. ზოგიერთ

გადადებულ საქმეში ფიგურირებდნენ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები; ზოგ შემთხვევაში გაჩნდა აღქმა, რომ საქმის გადადება პოლიტიკურ ჩარევასთან იყო დაკავშირებული, რათა თავიდან აეცილებინათ მაშინდელი პრეზიდენტის მიერ ბრალდებულის შეწყალება საპრეზიდენტო ვადის მიწურულს. არჩევნებამდე კვირებით ადრე საქმეების გადადება პროკურატურის მიერ აგრეთვე აჩნდა აზრს სასამართლო სხდომების განრიგის პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით დაგეგმვის თაობაზე. ზოგადად შეიმჩნეოდა სასამართლო საქმეების არაეფექტური მენეჯმენტი, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პროკურატურისთვის განრიგის დაგეგმვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია სასამართლოთა მიერ. მტკიცებულებათა გრძელი სიის წაკითხვის პრაქტიკაც აზრს იყო მოკლებული, დიდ დროს მოითხოვდა და ეწინააღმდეგებოდა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას. ზემოთ თქმულის ერთობლიობაში განხილვით, აღნიშნული შემთხვევები ხელყოფდნენ გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების განხორციელებას.

15. მონიტორინგმა გამოავლინა მოწმეთა გამოძახებასთან და დაკითხვასთან დაკავშირებული პრობლემები თითქმის ყველა სასამართლო პროცესზე. სასამართლოები კრძალავდნენ არასასამართლო გზით მოპოვებული ჩვენებების წაკითხვას ან მასზე მინიშნებას მოწმის თანხმობის გარეშე, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამგვარ რეგულაციას ითვალისწინებს მხოლოდ ბრალდებულების მიმართ. ამას გარდა, არასამართლიანად იზღუდებოდა ჯვარედინი დაკითხვის უფლებები იმ წესის გამო, რომლის მიხედვითაც მოწმის ჩვენების „არსებითი ურთიერთწინააღმდეგობის“ ან არაჯეროვანი იძულების დასადასტურებლად საჭირო იყო მოწმის ჩვენების აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის დემონსტრირება.
16. არსებული ნორმატიული ჩარჩო არ განსაზღვრავს მტკიცებულებების შესახებ საკმარისად მკაფიო წესებს, ანუ რა ტიპის ინფორმაციის გამოყენებაა შესაძლებელი მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას და როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული. მაგალითად, არ არსებობს პროცედურა, რომელიც ადგენს თუ როგორ უნდა შეფასდეს მოწმის სანდოობა ან რაიმე ინსტრუქცია, რომელიც განმარტავს თუ რა ითვლება ამ მიმართებით დასაშვებ მტკიცებულებად. მოწმეთა უნდობლობა მათ მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესების გამო, არა მხოლოდ არ შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, არამედ, იგი არღვევდა მოწმის უდანაშაულობის პრეზუმფციას. ბოლოს უნდა აღინიშნოს პრობლემატური შემთხვევა, როცა მხარეები ახდენდნენ იმ მოწმეთა გამოკვლევას, რომლებიც სხვა პირთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ იძლეოდნენ ჩვენებებს და მათი დაკითხვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ მხარეებს.
17. განაჩენის გამოტანის მოტივაციის მკაფიოდ გადმოცემა ძირითადი მეთოდია სასამართლო პროცესებში თვითნებობის შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად და ამდენად მნიშვნელოვანია, რომ განაჩენი კარგად იყოს დასაბუთებული. მონიტორინგმა დააფიქსირა, რომ მრავალ განაჩენში ხდებოდა წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების

უგულებელყოფა და ასევე სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენა არ ხორციელდებოდა საკმარისად იმის ასახვად, თუ რის საფუძველზე მოხდა კონკრეტული სასჯელის შეფარდება. მსგავსი პრაქტიკა ხელყოფდა ბრალდებულის უფლებას დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე.

18. ძნელია შეფასდეს სამართლებრივი წარმომადგენლობა მხოლოდ პროცესებზე დაკვირვების შედეგად, თუმცა დაცვის ადვოკატთა ქმედებები და უმოქმედობა მიაჩნებდა, რომ იგი არ შეესაბამებოდა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მოთხოვნებს. მრავალ შემთხვევაში დაცვის ადვოკატები არ ცხადდებოდნენ სასამართლო პროცესებზე. როდესაც ცხადდებოდნენ, მათი ქმედებები თუ უმოქმედობა ხშირად ბადებდა კითხვებს მათი დამოუკიდებლობის, კომპეტენციისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. აგრეთვე, ბრალდებულები პროცესზე ხშირად დგებოდნენ ადვოკატებთან კონფიდენციალური კომუნიკაციის განხორციელების სიძნელების წინაშე, განსაკუთრებით ბრალდებულები, რომლებიც შუშის გისოსებში იყვნენ მოთავსებულნი. იყო აგრეთვე პრობლემები იმასთან დაკავშირებით, წარმომადგენდნენ თუ არა ოჯახის მიერ შერჩეული ადვოკატები, იმ კლიენტების საუკეთესო ინტერესებს, რომელთა საქმე დაუხსრებლად იხილებოდა. ეს გამოიხატებოდა ბრალმდებლის მიერ მოწმეთა არაჯეროვან დაკითხვასა და ჯვარედინ დაკითხვაში; არ ხდებოდა ადვოკატებისა და კლიენტების ადეკვატური დროითა და საშუალებებით უზრუნველყოფა კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის განსახორციელებლად; ადვოკატის სავალდებულო დანიშვნის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბრალდებულის დასწრების გარეშე მიმდინარე პროცესებზე.
19. სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პროცესის არცერთი მონაწილე არ სცემდა პატივს მოწმეთა და დაწარალებულთა უფლებებს. დაწარალებულთა და მოწმეთა თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დანაშაულთან ეფექტურად გამკლავებისთვის, მაგრამ უსაფრთხოების ზომების დაცვის, თანაგრძნობით მოპყრობისა და ინფორმირების, მოწმეთა და დაწარალებულთა პროცესში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის გარეშე, შეუძლებელია ამ უკანასკნელის უზრუნველყოფა. სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არა მხოლოდ ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას უზრუნველყოფს, არამედ, იგი აგრეთვე აბალანსებს ბრალდებულისა და მოწმეთა და დაწარალებულთა უფლებებს. მოსამართლეების მიერ მოწმეთა და მათ შორის დაწარალებულთა და ექსპერტთა არასათანადოდ ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, ზედმეტად აგრესიული და ხშირად მუქარის შემცველი მოპყრობა მხარეების მხრიდან, მათი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენება, მაგალითად, მათი მისამართის საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაცვის აუცილებლობის გაუთვალისწინებლად, მოწმეთა და დაწარალებულთა უფლებების დაცვაში სერიოზულ ხარვეზებს ქმნიდა. საქართველოში სათანადო საკანონმდებლო ან ინსტიტუციონალური

ჩარჩოს არარსებობამ, რამაც მთლიანად უნდა უზრუნველყოს დაზარალებულთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, განაპირობა ხარვეზები მათი დაცვის კუთხით.

20. ზემოთ მოყვანილი დაკვირვებებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებების კონკრეტულ სირთულეებს - რაც ხშირად სისტემურ ხასიათს ატარებდა - გამოვლინდა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვა ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის საქმეებში არ იყო სრულად უზრუნველყოფილი საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებისას გამოვლინილი ხარვეზები შესაძლოა არ არღვევდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისთავად, მაგრამ გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პრობლემატური სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისად.

II. რეკომენდაციათა ერთიანი ჩამონათვალი

ა. საკანონმდებლო ორგანოებს:¹

1. საკანონმდებლო ორგანომ უნდა გადახედოს საქართველოს სასამართლოების კანონის დებულებას, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეს ფაქტიურად გადაუხვიოს საქმის ავტომატური განაწილების წესიდან მისი შეხედულებისამებრ. როგორც მინიმუმ, სასამართლოს თავმჯდომარეების დისკრეცია უნდა შემოიფარგლოს კონკრეტული სიტუაციებით და მათ კანონით უნდა მოეთხოვოთ დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოსამართლეებისთვის კონკრეტული საქმეების გადაცემაზე. ეს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.
2. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ს დაკონკრეტება სასამართლო შემადგენლობიდან გასული მოსამართლის შემცვლელი / სათადარიგო მოსამართლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეიტანონ კოდექსში შემცვლელი/სათადარიგო მოსამართლის დეფინიცია.
3. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მუდმივი ან ხანგრძლივი ვადით დანიშვნის უზრუნველსაყოფად, ამ ვადის განახლების შესაძლებლობის გარეშე. თანამდებობაზე ყოფნის ვადა არ უნდა იყოს მიზმიანი საპარლამენტო ან საპრეზიდენტო ვადებთან. მთავარი პროკურორის ვადის ამოწურვამდე თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები და პროცესი აგრეთვე უნდა გაიწეროს კანონში. დებულებები უნდა უზრუნველყოფდნენ საკმარის პრევენციულ ზომებს მიკერძოებულობისა და პოლიტიკური გავლენის თავიდან ასაცილებლად.
4. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სსსკ-ს 182 (2) მუხლში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ დახურულად წარიმართოს მხოლოდ ის სხდომები, რომელზეც შესაბამისი მტკიცებულებების განხილვა ხდება და რომლის გამოც გაიცა სასამართლოს შესაბამისი ბრძანება.
5. საკანონმდებლო ორგანომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა ჩამოაყალიბოს სასამართლო სხდომის მსვლელობისას უსაფრთხოების ზომების გამოყენების პროცედურები და კრიტერიუმები, თანაზომიერებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით.
6. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ს 238-ე მუხლის გაფართოების შესაძლებლობა წარსული ნასამართლობის შესახებ,

¹ იხილეთ აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR)-ევროსაბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, 2014 წლის 22 აგვისტო.

რის შედეგადაც მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს ყველა სასამართლოზე და არა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შემთხვევაზე.

7. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ში ცვლილებების შეტანის საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების დასარეგულირებლად, რომლებიც შეეხებიან ბრალდებულის ბრალეულობის მოხსენიებას სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
8. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებებს შორის მკაფიო სხვაობის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულთა და მოწმეთა კონკრეტულ უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით.
9. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც მოითხოვს აღკვეთის ღონისძიებებად პატიმრობის შეფარდების დასაბუთებას და მათ ღია სასამართლო სხდომაზე თუნდაც მოკლედ და ზეპირად წარმოდგენას.
10. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პატიმრობის ვადის გაგრძელების პირობების ავტომატური და პერიოდული გადახედვის მექანიზმის დამატების შესახებ. გადახედვა უნდა მოხდეს დროის რეგულარულ ინტერვალებში და ბრალდების მხარეს უნდა მოეთხოვოს შუამდგომლობის წარმოდგენა და პატიმრების ვადის გაგრძელების დასაბუთების შესახებ შემდგომ სასამართლო გადახედვამდე.
11. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებში შესწორებების შეტანის საკითხი მოწმეთა გამოძახების შესახებ, იმ თვალსაზრისით, რომ მხარემ, რომელიც იძახებს მოწმეს უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს მოწმის გამოცხადების დროისა და რიგითობის შესახებ.
12. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და დააკონკრეტონ ის პროცედურები და კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც ცალსახად უნდა დამტკიცდეს, რომ ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მისი პროცესზე დაუსწრებლად გასამართლება. ეს გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას გადაამოწმოს ბრალდებულის გამოძახების პროცედურის სათანადოდ ჩატარება და დარწმუნდეს, რომ მან ცალსახად უარი თქვა სასამართლოში გამოცხადების უფლებაზე, რათა პროცესი მის დაუსწრებლად ჩატარდეს.
13. საკანონმდებლო ორგანომ ასევე უნდა განიხილოს პროცესების ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარების ინსტიტუტის გაუქმების შესაძლებლობა.

14. თუ საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს ბრალდებულის პროცესზე დაუხრებლად გასამართლების ინსტიტუტის შენარჩუნებას, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს განაჩენის გაუქმების უფლებისა და საქმის ხელახალი განხილვის უფლების შესაძლებლობა, როდესაც გამოძახების პროცედურა არასათანადო ფორმით იქნა ჩატარებული. საკანონმდებლო ორგანომ აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა მაშინაც კი, როცა ბრალდებულის სასამართლოში გამოძახება ჯეროვნად ჩატარდა, მაგრამ როდესაც ბრალდებული მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ გამოცხადდა.
15. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219 (4) (ა) მუხლში სასამართლო პროცესების ხანგრძლივობაზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, სადაც უნდა მიეთითოს, რომ მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ მხარეების შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ გაითვალისწინოს მტკიცებულებების რელევანტურობა, შესაძლო ზიანის რისკი და მტკიცებითი ღირებულება.
16. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოწმეთა გამოძახების პროცედურასთან დაკავშირებით, რათა მხარეს, რომელიც მოწმეს იძახებს, ჰქონდეს ვალდებულება შეატყობინოს მოწინააღმდეგე მხარეს მოწმეთა გამოცხადების რიგითობისა და დროის შესახებ.
17. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243 (2) მუხლის ფორმულირებაში, რომლის მიხედვითაც მოწმის მიმართ უნდობლობის გამოხატვა შესაძლებელი იქნება წინააღმდეგობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოწმის იძულების, დამუქრების, დაშინების ან მოსყიდვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის დადგენის გარეშე.
18. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიმუშაოს მკაფიო წესები მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ინფორმაციას რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული. საკანონმდებლო ორგანომ სიცხადე უნდა შეიტანოს პროცედურაში იმის დასადგენად, თუ რა წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული. ამ წესების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება, რელევანტურობა, მტკიცებითი ღირებულება, ზიანის მიყენება და მოწმის დაცვა.
19. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რომ მოსამართლეებმა პირველ რიგში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მოწმეს ვალდებულებებისა და ფიცის მნიშვნელობის შესახებ და მხოლოდ შემდგომ მოითხოვოს ფიცის დადება.

20. საკანონმდებლო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და შესაბამის კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაზარალებულთა მოსაზრებების მხედველობაში მიღების შესაძლებლობას სხვადასხვა სტადიაზე და რომ დაზარალებულებს აქვთ ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ მხარდაჭერაზე წვდომა.

ბ. სასამართლო ხელისუფლებას:

21. მოსამართლეებმა სრულად უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება სასამართლო დარბაზში წესრიგის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩასატარებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნა და აამაღლონ საზოგადოების ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.
22. სასამართლო სხდომების შესახებ გამჭვირვალე და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების გასუმჯობესებლად, სასამართლოებმა უნდა იქონიონ და მუდმივად განაახლონ ვებსაიტი ან სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას შეეძლება ინფორმაციის მიღება ანონიმურად სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.
23. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ უკეთესი კომუნიკაციის დამყარება სასამართლო თანამდებობის პირებსა და საინფორმაციო სამსახურის პერსონალს შორის, რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება სასამართლო სხდომების განრიგის შესახებ.
24. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ განრიგში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების მკაფიოდ და დაუყოვნებლად გამოცხადება, რათა საზოგადოებას მიეცეს საკმაოდ დრო იმოქმედონ ამ ცვლილებების შესაბამისად.
25. სასამართლოებმა უნდა ჩაატარონ სხდომები უფრო დიდ სასამართლო დარბაზებში, როდესაც მოსალოდნელია ბევრი ხალხის დასწრება. თუ უფრო დიდი სასამართლო დარბაზი არ არსებობს, სასამართლოს პერსონალმა უნდა გამონახოს სხვა საშუალება საზოგადოების პროცესზე დასწრების უზრუნველსაყოფად, მაგალითად პირდაპირ ეთერში ვიდეოგადაცემების მოწყობა დიდ ეკრანებზე სასამართლო შენობის სხვადასხვა ადგილებში.
26. სასამართლოებმა უნდა დართონ სასამართლო დარბაზიდან გასულ პირებს უკან შემოსვლის ნება, სასამართლოს მანდატურების თანხმობით.
27. სასამართლოებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო საიდუმლოების გრიფთან დაკავშირებით ოფიციალური გადამოწმების სწრაფი პროცედურები. ისინი უნდა შეიცავდნენ დასაბუთების მოთხოვნას და აგრეთვე ბრალდებულებისთვის იმ შესაძლებლობის და უფლების მიცემას. რომ მათ სადავო გახადონ აღნიშნული.

28. სასამართლო დარბაზში წესრიგის დასაცავად სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ყველა ღონისძიება სამართლიანად და პროპორციულად და საჯარო სასამართლო პროცესზე დასწრების უფლების სრული შეზღუდვა გამოიყენონ, როგორც უკიდურესი ზომა. გაფრთხილებების, ჯარიმების, გაზრდილი ჯარიმებისა და ცალკეული პირების დაპატიმრებების შესაძლებლობა უნდა იქნას განხილული პირველ რიგში, სანამ მიიღება გადაწყვეტილება ზოგადად საჯარო მოსმენის უფლების შეზღუდვაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. გარდა ამისა, რეკომენდირებულია, პროცესის დაწყების წინ მოსამართლეებმა მიუთითონ ზოგადი მოთხოვნისკენ, რომ დამსწრეებმა დაიცვან სასამართლოში ქცევის წესები. ასევე სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა კომპეტენციისა და შესაძლო სანქციების შესახებ სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასამართლოს შენობაში, სასამართლო დარბაზების შესასვლელებსა და სხვა თვალსაჩინო ადგილებში.
29. სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ დაკავებულ ბრალდებულთა სასამართლო დარბაზში ცალკე ბოქსებში მოთავსებისგან, თუ დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, არ არსებობს ცალკეული ბრალდებულის მხრიდან კონკრეტული და იდენტიფიცირებული რისკის საშიშროება. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საჭიროდ ჩათვლის ამ ზომების გამოყენებას, მან უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვის ადვოკატთან პრივილეგირებული და კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება და გამოყენებული ზომის პროპორციულობა უსაფრთხოების დარღვევის იდენტიფიცირებულ რისკთან მიმართებაში.
30. სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან შეკითხვები ბრალდებულებს მათი წინა ნასამართლეობის შესახებ ჩვეულებრივ, რუტინულ რეჟიმში.
31. სასამართლოებმა წინასამართლობის შესახებ ცნობების დასაშვებობა წინასამართლო ეტაპზე უნდა განიხილონ, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.
32. სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად.
33. სასამართლოებმა პროცესის ფარგლებში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ბრალდებულს მათი უფლების შესახებ უარი თქვან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და შეინარჩუნონ დუმის უფლება და უზრუნველყონ მათ მიერ ამ პრინციპების მკაფიოდ გაგება. ამ მიზნით, შესაძლებელია ინსტრუქციების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მათი მოსამართლეებისთვის დარიგება.
34. როდესაც ბრალდებულები სარგებლობენ დუმისა და შეკითხვებზე პასუხის არ გაცემის უფლებით, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ამ პრინციპების პატივისცემა და აკრძალონ შემდგომი კითხვების დასმა.

35. სასამართლოებმა ჯეროვნად უნდა განიხილონ დაცვის მხარის პროტესტი ბრალმდებლის მიერ ბრალდებულის მოწმედ გამოძახების თაობაზე და წარმოადგინონ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან არ დაკმაყოფილებაზე.
36. დაპატიმრების ვადის ყოველი გაგრძელებისა და გადახედვისას, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ არსებობს თუ არა საფუძველი, რომელიც ამართლებს პატიმრობის ვადის გაგრძელებას და უნდა გაითვალისწინონ, რომ აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობის დადგენის ტვირთი ეკისრება პროკურატურას. მათ აგრეთვე უნდა გასცენ პასუხი დაცვის მხარის მიერ პატიმრობის საწინააღმდეგო მთავარ არგუმენტებს და აღნიშნონ, რომ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება იქნა ასევე განხილული და წარმოადგინონ იმის მიზეზი, თუ რატომ იქნა იგი მიჩნეული არასაკმარისად.
37. მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ ბრალდებულებისთვის იმ ფლებების მკაფიოდ განმარტება, რომლებიც დაკავშირებულია აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებასთან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების ახსნა, რათა მათ შეძლონ უფლებების გაგება.
38. როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს თუ არა მხარეთა დასაბუთებული მოთხოვნები საქმის მოსამზადებლად დამატებითი დროის მიცემის შესახებ, მოსამართლემ არ უნდა თქვას უარი შუამდგომლობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ პატიმრობის ვადა აღწევს კანონით დადგენილ ზღვარს.
39. სასამართლოებმა უნდა დააკმაყოფილონ დაცვის დასაბუთებული მოთხოვნები მათთვის ადეკვატური დროის მიცემაზე, როდესაც ეს გავლენას ახდენს ბრალდებულის გონივრულ დროში გასამართლების უფლებაზე, რაც შეიძლება შეიზღუდოს ამ კონკრეტული მიზნით.
40. მოსამართლეებმა უნდა აწონდაწონონ სასამართლო განხილვების გადადების ან გადატანის გადაწყვეტილების შედეგები ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან მიმართებით.
41. მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება, რათა მტკიცებულებების წარდგენის დროს აკრძალონ არარელევანტური პასუხები, გააკონტროლონ განმეორებითი, შეუსაბამო ან შეურაცხმყოფელი კითხვების დასმა და დაიცვან წესრიგი სასამართლოს დარბაზში.
42. სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ მტკიცებულებათა წაკითხვის პრაქტიკა საქმის არსებით განხილვაზე და ამის სანაცვლოდ სრულად განიხილონ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა დასაშვები მტკიცებულება ღია სასამართლო სხდომაზე.
43. სასამართლოებმა არ უნდა მოითხოვონ მოწმის თანხმობა სავალდებულოდ იმისთვის, რომ მოხდეს ამ მოწმის მიერ

სასამართლო განხილვის გარეთ გაქვებულები ინფორმაციის სასამართლოზე წარმოდგენა.

44. სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დანაშაულის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებზე სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთებისას და დაუკავშირონ დადგენილი ფაქტები დანაშაულის თითოეულ ელემენტს. ამასთან, სასამართლოებმა უნდა განიხილონ თითოეული ბრალდება თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით, მტკიცებულებებზე მითითებით. სასამართლოებმა აგრეთვე უნდა განმარტონ გადაწყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მტკიცებულება გაზიარებული ან უარყოფილი. სასჯელის შეფარდებისას, სასამართლოებმა გადაწყვეტილებებში უნდა ჩამოთვალონ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორები, ასეთის არსებობის შემთხვევაში და განმარტონ თუ როგორ მოხდა ამ ფაქტორების გათვალისწინება მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას.
45. სააკვლაციო სასამართლოებმა ცხადად უნდა მიუთითონ თუ რა ელემენტები აკლდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაციას ან რა არ იყო სათანადოდ განხილული განაჩენში, მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლების მოთხოვნების შესაბამისად.
46. სასამართლოს თავმჯდომარეებმა უნდა გამოყონ საკმარისი სივრცე ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის. მათ უნდა განუმარტონ სასამართლოს მანდატურებს ამ კომუნიკაციის მნიშვნელობა და აკრძალონ მიყურადება.
47. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო სხდომების უფრო დიდ დარბაზში ჩატარების საშუალებების განხილვისას, რომელშიც მრავალი ბრალდებული ფიგურირებს და ბრალდებულები სასურველია მოათავსონ ისეთ ადგილას, სადაც მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება დამცველთან კომუნიკაცია.
48. სასამართლოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ადვოკატების შუამდგომლობა შესვენებების მოთხოვნის თაობაზე. შესვენებების მოწყობა აუცილებელია განსაკუთრებით ისეთ დარბაზებში, სადაც არ არის საშუალება, რომ ბრალდებულებმა ადვილად იურთიერთონ მათ წარმომადგენლებთან.
49. მოსამართლეებმა და სასამართლოს თანამდებობის პირებმა უნდა უზრუნველყონ მიკროფონების ჩართვა, როდესაც მხარე მზად იქნება განცხადების გასაკეთებლად. დაცვის ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კერძო საუბრის ჩანაწერის გაკეთება არ უნდა იქნას დაშვებული.
50. პროცესზე დაუსწრებლად გასამართლებისას, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბრალდებულის ოჯახის მიერ შერჩეული ადვოკატი წარმოადგენდეს ბრალდებულის ჭეშმარიტ ინტერესებს.

51. მოსამართლეებმა სათანადოდ უნდა განუმარტონ მოწმეებს, მათ შორის დაზარალებულებს და ექსპერტებს მათი უფლება-მოვალეობანი.
52. სისხლის სამართლის პროცესებში მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს სასამართლოების ვებგვერდზე და/ან გავრცელდეს ბროშურების სახით.
53. მოსამართლეებმა უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მოწმეთა მიერ იმგვარი ჩვენებების მიცემას, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და დარწმუნდნენ, რომ მათ კარგად გაიგეს თავიანთი უფლებები და წამოჭრან ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა ამგვარ საქმეებში.
54. მოსამართლეები უნდა იყვნენ პროაქტიულები მოწმეთა და დაზარალებულთა ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვისა და მათი პატივისცემით მოპყრობის უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები დარღვევებზე რეაგირებისთვის, მათ შორის გაითვალისწინონ დაცვის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა მოწმეთა და დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიცემისას.
55. სასამართლოებმა უნდა გააუქმონ მოწმეთა და დაზარალებულთა მისამართების ან სხვა სენსიტიური ინფორმაციის მოთხოვნა ღია სასამართლო სხდომაზე.

გ. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

56. მოსამართლეთა გამოსაცდელი პერიოდით დანიშვნის შენარჩუნების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონში შემავალი დებულებებისთვის დამატებითი რეგულაციები მოსამართლეთა მონიტორინგისა და შეფასების შესახებ და გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტების კუთხით.
57. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმები და ერთიანი პროცედურები იმის მიუხედავად, შენარჩუნდება თუ არა გამოსაცდელი ვადა, მათ შორის პროცედურები გამოსაცდელი ვადის ბოლოს მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ პროცედურებით უნდა მოითხოვებოდეს სათანადო წერილობითი დასაბუთების არსებობა, რაც უნდა ახლდეს ყველა გადაწყვეტილებას.
58. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს მისი სხდომებისა და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა მისი საქმიანობის შესახებ წინასწარი განრიგის შედგენით და საზოგადოების წინასწარი ინფორმირებით.

59. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება უნდა მოახდინოს იმგვარად, რომ მოსამართლეთა გადაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დაასაბუთოს.
60. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს ბრალდებულთა უფლებების შესახებ სტანდარტული განმარტებების შემუშავების საკითხი, რაც გადაეცემა ყველა ბრალდებულს.
61. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ სტანდარტული ინსტრუქციების შემუშავება, რაც უნდა დაურიგდეს მოსამართლეს.

დ. პროკურატურას:

62. მთავარმა პროკურორმა უნდა განიხილოს პროკურორებისთვის დირექტივების გამოცემის შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება არ იქნეს განხილული როგორც მტკიცებულება.
63. ბრალდების მხარემ თავი უნდა შეიკავოს ბრალდებულის მოწმის სტატუსით გამოძახებისგან ბრალდების ვერსიაზე ჩვენების მისაცემად და მთავარმა პროკურორმა უნდა განიხილოს მითითებებისა და დირექტივების გამოცემა ამ საკითხთან დაკავშირებით.
64. პროკურორებმა არ უნდა მოითხოვონ მოწმის თანხმობა სავალდებულოდ იმისთვის, რომ მოხდეს ამ მოწმის მიერ სასამართლო განხილვის გარეთ გაჟღერებული ინფორმაციის სასამართლოზე წარმოდგენა.
65. ბრალდების მხარის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას.

ე. დაცვის ადვოკატებს:

66. დაცვის ადვოკატმა აქტიურად უნდა იზრუნოს, რომ ბრალდებულის დუმილის უფლებას პატივი სცენ და გააპროტესტოს კითხვების განმეორებით დასმა, როდესაც ბრალდებულო აშკარად გამოხატავს, რომ მას არ სურს პასუხის გაცემა.
67. თუ ბრალდებულებს იძახებს ბრალდების მხარე, დაცვის ადვოკატმა უნდა გააპროტესტოს აღნიშნული იმის საფუძველზე, რომ ეს არღვევს დუმილის უფლებას ან ბრალდებულის პრეროგატივას თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენების მიცემაზე.
68. დაცვის ადვოკატი უნდა ესწრებოდეს სასამართლო საქმის წარმოების ყველა ეტაპს, ან უნდა უზრუნველყოს მისი შემცვლელის დანიშვნა, რათა არ შეფერხდეს ბრალდებულის დამოუკიდებელი, ეფექტური და კომპეტენტური დაცვის წარმომადგენლობის უფლების განხორციელება.

69. დაცვის ადვოკატმა უნდა მისცეს ბრალდებულს მკაფიო მითითებები, რათა მოწმის დაკითხვისას მან არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება. ბრალდებულმა და დაცვის ადვოკატმა ყურადღებით უნდა გაანალიზონ ბრალდებულის მონაწილეობის რისკები მოწმეთა დაკითხვის პროცესში.
70. ადვოკატმა არ უნდა მოითხოვონ მოწმის თანხმობა სავალდებულოდ იმისთვის, რომ მოხდეს ამ მოწმის მიერ სასამართლო განხილვის გარეთ გაჟღერებული ინფორმაციის სასამართლოზე წარმოდგენა.
71. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ უნდა განიხილოს ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც დაცვის ადვოკატები არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს.
72. დაცვის ადვოკატმა მთელი შემართებით უნდა დაიცვან მისი კლიენტის უფლებები და თავი შეიკავოს ერთი და იმავე საქმეში მრავალი ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენისგან.
73. დაცვის ადვოკატმა უნდა დააყენონ შუამდგომლობები რეგულარული შესვენებების მოთხოვნაზე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, რათა მიეცეთ კლიენტებთან ურთიერთობის საშუალება ისეთ სივრცეში, სადაც შესაძლებელი იქნება კონფიდენციალური კომუნიკაცია.
74. დაცვის მხარის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას.

3. აღმასრულებლო ორგანოებს:

75. სასამართლო პროცესების და განსაკუთრებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შესახებ კომენტირებისას, სახელმწიფო ოფიციალურმა პირებმა დიდი სიფრთხილით უნდა დააბალანსონ მათი განცხადებები სასამართლო ხელისუფლებისა და ასევე პროკურატურის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად.
76. მთავარი პროკურორის დანიშვნამდე, პრემიერ მინისტრმა, იუსტიციის მინისტრთან მჭიდრო კოორდინაციით უნდა ჩაატაროს გამჭვირვალე და კონსულტაციებზე დამყარებული შერჩევის პროცედურა კანონის სრული დაცვით, რომელიც მოითხოვს, კანდიდატის დასახელებას იუსტიციის მინისტრის მიერ. დასახელებული კანდიდატების შერჩევისას, იუსტიციის მინისტრმა უნდა გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის ანგარიშის რეკომენდაციები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებზე: ნაწილი II. სახელდობრ, შექმნას პროფესიული გამოცდილების მქონე არაპოლიტიკოსი პირებისგან შემდგარი საზოგადოებისა და მთავრობის ნდობით აღჭურვილი კომისია და რომელსაც რეკომენდაციას გაუწევს იურიდიული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

77. საჯარო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას მიმდინარე, თუ მომავალი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებებზე კომენტარებისას.

ზ. სასამართლო ორგანოების მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზატორებს:

78. მოსამართლეთა მომზადების ორგანიზატორმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამართლეებს უკეთ შეასრულონ მათი როლი სასამართლო დარბაზში წესრიგის შენარჩუნებისას და ამავე დროს დარჩენ მთავარ მოვლადეებს შეჯიბრებითობის პროცესში.
79. მოსამართლეთა, პროკურორთა და დაცვის ადვოკატთა მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ შემდგომი ტრენინგების ჩატარება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დამილის უფლების საკითხებზე და მათ შესაძლო გავლენაზე შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში.
80. მოსამართლეთა, დაცვის ადვოკატთა და პროკურორთა მოსამზადებელმა ორგანიზაციებმა/ინსტიტუტებმა, უნდა უზრუნველყონ ტრენინგები აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურული მოთხოვნებისა და გარანტიების შესახებ, მათ შორის მოსამართლეთა მომზადება პატიმრობის განჩინებათა დასაბუთებაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
81. საჭიროა მოსამართლეებისთვის ტრენინგის ჩატარება საქმის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და პირობების პრინციპების პრაქტიკული აღსრულების მნიშვნელობაზე, რაც გულისხმობს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას უზრუნველყონ მხარეების მიერ ინფორმაციის დროული წარმოდგენა იმ მტკიცებულებების შესახებ, რომელთა წარდგენასაც ისინი აპირებენ.
82. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა ჩაატაროს ფართომასშტაბიანი ტრენინგი განაჩენის და სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების შედგენაზე, როგორც მოსამართლეთა მომზადების პროგრამის პირველ ეტაპზე, ასევე მათი უწყვეტი განათლების სხვა ეტაპებზე და აგრეთვე სამუშაო ადგილებზე მომზადებისას.
83. მოსამართლეთა მოსამზადებელი პროგრამების განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა თავიანთ პროგრამებში აქცენტი უნდა გააკეთონ მოსამართლეების მიერ მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფაზე, ეფექტიანი და ეფექტური სასამართლო პროცესის მართვის უნარების საშუალებით.

III. წინაპირობები

1. 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, წინა ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ტალღამ საქართველო საგულდაგულო დაკვირვების საგნად აქცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და გამოიწვია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე და მომდევნო სასამართლო პროცესები შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული ყოფილიყვნენ. ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო ამ საქმეების გამჭვირვალედ, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დაცვით წარმართვის გამოწვევის წინაშე დადგა. ის, თუ როგორ წარიმართა ეს პროცესები საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურისა და სასამართლო პროცესში მონაწილე სხვა აქტორთა მიერ, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების აღმასრულებელი ხელისუფლების შტოსგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან ინდიკატორს და ამავე დროს მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება სამართლიანი სასამართლოსთან და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებების მთელი სპექტრი და საერთაშორისო სტანდარტები.
2. 2013 წლის იანვარში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისსა (ODIHR) და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის მიმოწერის შედეგად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის 29 იანვრის მოიწვია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა სასამართლო პროცესებზე მონიტორინგის განსახორციელებლად, რომლის საპასუხოდ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის წარმომადგენლები სიტუაციის გაცნობის მიზნით იმყოფებოდნენ თბილისში 2013 წლის 6–10 თებერვალს სადაც ჰქონდათ შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან და საქართველოს სახალხო დამცველთან. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის წარმომადგენლები აგრეთვე შეხვდნენ ეროვნული და საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ახორციელებდნენ მონიტორინგს ადამიანის უფლებებისა და სასამართლო პროცესების მდგომარეობაზე საქართველოში. შედგა შეხვედრები ევროკავშირის დელეგაციასთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. ვიზიტის შედეგად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა დაიწყო სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი 2013 წლის 20 თებერვალს.
3. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა მონიტორინგისთვის შეარჩია 14 საქმე, სადაცერთი, ან მეტი ბრალდებული პირის მიმართ შესაძლებელია „თანამდებობის პირის“ განსაზღვრების გამოყენება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და

კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად.

4. ODIHR-ის მიერ მონიტორინგის საქმიანობის დაწყებიდან, მთავარი პროკურატურის, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განისაზღვრა საკონტაქტო პირები ეუთოს მონიტორებისთვის სასამართლო პროცესებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად და აგრეთვე მონიტორინგის სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული ბრალდების დოკუმენტებისა და განაჩენების საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
5. სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი იმართებოდა ვარშავიდან და ხორციელდებოდა საქართველოში არამუდმივი საერთაშორისო გუნდის ხელმძღვანელისა და სასამართლო პროცესების 42 საერთაშორისო მონიტორის მიერ, რომლებიც პერიოდულად იცვლებოდნენ როტაციის პრინციპით და მუშაობდნენ წყვილებად. სასამართლო პროცესების მონიტორების დაკომპლექტება ხდებოდა გარედან დაქირავებული ექსპერტთა ჯგუფიდან და ასევე სასამართლო პროცესების მონიტორინგის გამოცდილების მქონე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ეუთოს სავლე ოპერაციებში მომუშავე პერსონალით.
6. 2014 წლის მარტში გამოქვეყნდა შუალედური ანგარიში.² 2013 წლის 20 თებერვალიდან 2014 წლის 31 ოქტომბრამდე, ანუ მონიტორინგის დაწყებიდან მის დასრულებამდე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ჩაატარა მონიტორინგი 14 შერჩეული საქმის 327 სასამართლო პროცესზე, რაც დაწვრილებით მოცემულია ამ ანგარიშის #1 დანართში.³ 2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 14 საქმიდან, რომელზეც ჩატარდა მონიტორინგი, ოთხი კვლავ პირველი ინსტანციის სასამართლოში რჩება; ორი საქმე იხილება სააპელაციო სასამართლოებში; სამი სააპელაციო საქმე გასაჩივრდა ან მოსალოდნელი იყო მათი გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში და ხუთი საბოლოოდ დასრულდა: ორი პრეზიდენტის შეწყალებით, სამი უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით.
7. ODIHR-ს სურს მადლიერება გამოხატოს საქართველოს ხელისუფლებასთან კარგი თანამშრომლობისთვის ამ პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე, აცნობიერებს საქართველოს ხელისუფლების მიმდინარე მცდელობებსა და მზადყოფნას შემდგომში გააუმჯობესოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება უწყვეტი რეფორმების გატარების გზით და შეასრულოს ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებები კანონის უზენაესობის სფეროში.

2 იხ. შუალედური ანგარიში - სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი საქართველოში, 12 მარტი 2014.

3 მონიტორინგის პერიოდში (2013 წ. 20 თებერვალი - 2014 წ. 31 ოქტომბერი), გვიან დაგეგმილი პროცესებისა და ანალოგიური ლოჯისტიკური გამოწვევების გამო, ODIHR-ის მიერ სრული 12 პროცესის მონიტორინგი ვერ განხორციელდა.

IV. ODIHR-ის სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია

8. ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა თავიანთ თავზე აიღეს არაერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებების უზრუნველყოფა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების, კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, სისხლის სამართლის ადმინისტრირებისა და უფრო ვრცლად, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.⁴ მათ შორის უმნიშვნელოვანესი ვალდებულება გულისხმობს სამართლიანი და საჯარო სასამართლო პროცესების უზრუნველყოფას, რომელიც უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლებების გარანტირების შესახებ ზემოაღნიშნული ეუთოს ვალდებულებების დაცვის გარდა, წევრმა ქვეყნებმა თანხმობა განაცხადეს დაეშვათ „სასამართლო პროცესებზე დამკვირვებლები, მეტი სანდოობის უზრუნველსაყოფად.“⁵
9. ზემოაღნიშნულ ვალდებულებებზე დაყრდნობით, დამოკრავიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურომ შეიმუშავა სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგია – „სასამართლო პროცესების მონიტორინგი: დამხმარე სახელმძღვანელო იურისტებისთვის“⁶ და „სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული“⁷. ამ მეთოდოლოგიის მიზანია მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლის სისტემაში შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირება და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საბოლოო რეკომენდაციების წარდგენა, რაც ორიენტირებული იქნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაძლიერებაზე ეუთოს საქმიანობის კონტექსტში.
10. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობის და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. მისი მიუმხრომლობის გათვალისწინებით, ODIHR-ი აკვირდება, თუ რამდენად შეესაბამება პროცედურული თანასწორობა და სამართალწარმოება და არა თვით სასამართლო პროცესების შედეგები

4 „1986 წლის ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი მონაწილე ქვეყნების ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე (CSCE)“, ვენა, 1989; კოპენჰაგენის ადამიანური განზომილებების კონფერენციის შეხვედრის დოკუმენტი, კოპენჰაგენი, 5 - 29 ივნისი 1990; პარიზი 1990, CSCE -ს მოსკოვის ადამიანური განზომილებების მესამე კონფერენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, მოსკოვი, 10 სექტ.- 4 ოქტ. 1991.

5 კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პარ. 12.

6 სასამართლო პროცესების მონიტორინგი: დამხმარე სახელმძღვანელო იურისტებისთვის, გადაამუშავებული გამოცემა 2012, (ვარშავა: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ეუთოს ოფისი, 2012).

7 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, (ვარშავა: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ეუთოს ოფისი, 2012).

საერთაშორისო სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკას და ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებს.

11. აღნიშნულ ჩარჩოებში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს საერთაშორისო მონიტორები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ქცევის კოდექსით, რაც გულისხმობს ჩაურევლობას, მიუკერძოებლობას და პროფესიონალიზმს.⁸ მონიტორინგის განმახორციელებელ ჯგუფებს ეკისრებოდათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და ეკრძალებოდათ სასამართლოებთან, მხარეებთან და მედიასთან ურთიერთობა.
12. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურომ შეაფასა საქართველოს სამართლებრივი და სასამართლო სისტემის ფარგლები სამართლიანი სასამართლოს უფლებებისა და კანონის უზენაესობის კუთხით და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან და ეუთოს ვალდებულებებთან შესაბამისობა იმ საქმეებთან მიმართებით, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა.⁹ მოცემული შეფასება, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებთან ერთად, წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის საფუძველს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წარსული და მიმდინარე რეფორმების დეტალური აღწერა ამ ანგარიშის მიზანს და შინაარსს სცდება.¹⁰
13. დაკვირვებული 14 საქმის ფონზე ანგარიშის მიზანია წარმოადგინოს ის საკითხები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. საკითხის მოკლედ წარმოდგენის ინტერესის გათვალისწინებით, ანგარიში მოიცავს მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს პრობლემატურ საკითხებს, რომლებიც მონიტორების მიერ იქნა დადგენილი და რომელთაც ზოგჯერ სისტემური ხასიათი აქვთ და ამ მიზნით წარმოადგენს მათი საკანონმდებლო ან პრაქტიკულ დონეზე მოგვარების რეკომენდაციებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოცულობაშია შეზღუდული, ანგარიში არ მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლისა და პრაქტიკის ყველა ასპექტს, რომლებიც შესაბამისობაში იყო საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.
14. ანგარიშის ყოველი თავი იწყება შესავლით, სადაც ახსნილია თუ რას მოიცავს ამ თავში განხილული უფლება, შემდეგ მოსდევს საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული საკანონმდებლო ფარგლების აღწერა გაანალიზებული პრობლემების კონტექსტში. ამის შემდგომ მოცემულია გამოვლენილი ხარვეზები და მათი ანალიზი. ყოველი თავი სრულდება დასკვნით სამართლიანი სასამართლოს უფლების

8 იხ. ODIHR სასამართლო პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 6. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ქცევის კოდექსის პრინციპები და მაგალითები.

9 იხ. აგრეთვე ODIHR-სა და ევროსაბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 1.

10 საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მაგალითად, „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, ტომას ჰამერბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი კონსტიტუციურ და სამართლებრივ რეფორმებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში, 2013 წლის სექტემბერი.

უზრუნველყოფის შესახებ. და ბოლოს, ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები მიზნად ისახავენ საქართველოს ხელისუფლებისა და მიმდინარეისხლისსამართლისმართლმსაჯულებისა და სასამართლოს რეფორმის პროცესში ჩართული სხვა დაინტერესებულ პირების მიერ სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობას.

15. ჩაურევლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შეეხება მხოლოდ იმ სასამართლო პროცესებსა და მათ შედეგებს, რომლებიც დამთავრდა მეორე ინსტანციაში ან რომლებიც სხვაგვარად საბოლოოდ დასრულდა. მონიტორინგის ქვეშ მყოფი საქმეები, რომლებიც ამ ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდში არ იყო დასრულებული აპელაციის ეტაპზე, წარმოადგენენ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეფასების საფუძველს წინამდებარე ანგარიშში, თუმცა, როგორც წესი, არ ხდება მათი ინდივიდუალურად მითითება.

V. კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება

16. კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება სამართლიანი სასამართლოს ერთერთ ფუნდამენტურ გარანტიას წარმოადგენს.¹¹ სამართლიანი სასამართლოს აუცილებელი წინაპირობაა მოსამართლეთა მიერ სასამართლო განხილვის მიუკერძოებლად, ყოველგვარი არასათანადო გავლენის გარეშე ჩატარება.
17. ამ თავში განხილულია თუ რამდენად გამჭვირვალედ და სამართლიანად ხდებოდა მოსამართლეთა დანიშვნა და გადაყვანა მათი დამოუკიდებლობის სტანდარტების დაცვით. აქ აგრეთვე განხილულია მოსამართლეთათვის საქმეების განაწილების პროცედურები და ის თუ რამდენად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას სასამართლოს შემადგენლობათა ფორმირება. სამართლიანი სასამართლოს არსებობის უზრუნველსაყოფად, ამ პროცედურების საშუალებით უნდა მოხდეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მანიპულაციის წინააღმდეგ დაცვა და ცალკეული საქმეები არ უნდა გადაეცეს ან ჩამოერთვას კონკრეტულ მოსამართლეს, შედეგზე გავლენის თავიდან ასაცილებლად. ამ ელემენტების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგანაც მათ შეუძლიათ პირდაპირი ზეგავლენის მოხდენა იმაზე, თუ რომელ საქმეზე როგორ დაიწყება სასამართლო განხილვა და ვის მიერ, და შესაბამისად კონკრეტულ მოსამართლეთა მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე.¹²

11 საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14(1); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6(1).

12 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 59.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

18. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო პროცესების სამართლიანად და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპების შესაბამისად ჩატარება.¹³ ეუთოს მონაწილე ქვეყნებს ასევე გააჩნიათ საერთაშორისო ინსტრუმენტებით დაწესებული სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სტანდარტების დაცვის ვალდებულება.¹⁴ ეს ინსტრუმენტები შეიცავენ მოსამართლეთა დანიშვნის, თანამდებობაზე ყოფნის ვადის და მათი გადაყვანის, ცალკეულ მოსამართლეთათვის საქმეების განაწილების სტანდარტებს და მოითხოვენ სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნას.
19. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი უნდა იყოს სამართლიანი, დამსახურებაზე დაფუძნებული, და გამჭვირვალე.¹⁵ როდესაც ახლად დანიშნულ მოსამართლეს უწესდება გამოსაცდელი ვადა, მისი თანამდებობაზე დარჩენის გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს წინასწარ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ კრიტერიუმებს, და ასევე „დამსახურებას, გამომდინარე მათი კვალიფიკაციიდან, პროფესიული უნარ-ჩვევებიდან და კომპეტენციიდან, რაც გულისხმობს საქმის განხილვას კანონის საფუძველზე ადამიანის ღირსების დაცვის გათვალისწინებით.“¹⁶ ვენეციის კომისია (იგივე ევროპის საბჭოს ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით), არაერთგზის გვაფრთხილებს, რომ „გამოსაცდელმა ვადამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, რადგან სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მათ შეიძლება იგრძნონ გარკვეული ზეწოლა.“¹⁷ სადაც გამოსაცდელი ვადით დანიშვნა მაინც დაინერგა, ვენეციის კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ „მოსამართლის თანამდებობაზე დამტკიცებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს ობიექტური კრიტერიუმებით და ისეთივე პროცედურების დაცვით, რომლის მიხედვითაც ხდება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.“¹⁸ ევროპის

13 იხ. „დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ძირითადი პრინციპები“, მიღებულია გაეროს მეშვიდე კონგრესის მიერ დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ, მილანი, 26 აგვ.-6 სექტ., 1985 და დამტკიცებულია გენერალური ასამბლეის მიერ, რეზ.40/32, 29 ნოემბერი, 1985, და 40/146, 13 დეკემბერი, 1985, პრინციპები 1 და 2.

14 იხ. OSCE ადამიანური განზომილებების ვალდებულებები, (ვარშავა: OSCE ოფისი დემოკრატიული და ადამიანის უფლებების ინსტიტუტი, მე-3-ე გამოცემა, 2011), გვ. 97-100.

15 „მკ/რეკ(2010)12 მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციები წევრი ქვეყნების მოსამართლეთათვის: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები“, ევროსაბჭო, 17 ნოემბერი, 2010, პარ. 44; იხ. აგრეთვე ODIHR, „კვივის რეკომენდაციები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში,“, კიევი, 23-25 ივნისი 2010, პარ. 21- 23.

16 რეკომენდაციები მკ/ რეკ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 154, პარ. 51, 44.

17 მოსამართლეთა დანიშვნები: ვენეციის კომისიის მიერ მიღებული ანგარიში 70-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 16-17 მარტი 2007), ვენეციის კომისია, CDL-AD(2007)028, 22 ივნისი 2007, პარ. 40; ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწ. I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010), ვენეციის კომისია, CDL-AD(2010)004, 16 მარტი 2010, პარ. 37.

18 იქვე.

ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აგრეთვე მიუთითებს იმ პრობლემებზე, რაც ეხება მოსამართლეთა გამოსაცდელი პერიოდით დანიშვნის პრაქტიკას, სადაც ნათქვამია, რომ „ეს იწვევს სიძნელებს, თუ არა საშიშროებას, კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის კუთხით, რომელსაც იმედი აქვს, რომ დაინიშნება თანამდებობაზე ან გაუგრძელებს კონტრაქტი“.¹⁹

20. რაც შეეხება სხვა სასამართლოში გადაყვანას, მოსამართლეები „არ უნდა გადაიყვანონ სხვა სასამართლო ორგანოში მათი თანხმობის გარეშე“, თუ გადაყვანა არ ხდება დისციპლინარული პროცედურის ან მართლმსაჯულების სისტემის რეორგანიზაციის მიზეზით.²⁰ გარდა ამისა, მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, მათ გადაყვანასთან, უნდა ეფუძნებოდეს დამსახურებას, სამართლიან და გამჭვირვალე შერჩევის პროცესს ან კონკურსს.²¹ მოსამართლეებს, რომლებსაც უარი ეთქვათ დაწინაურებაზე, უნდა ჰქონდეთ უფლება შეიტყონ მიზეზები და აღძრან საჩივარი დამოუკიდებელ სასამართლო ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოში.²² იმის მიუხედავად, თუ რამდენად სამართლიანად და ღია კონკურსის საფუძველზე იქნა მიღებული მოსამართლეთა გადაყვანის გადაწყვეტილება, იგი უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო ადმინისტრაციის მიერ.²³ ზოგადად, საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მოსამართლეების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.²⁴
21. საერთაშორისო სტანდარტები და საცნობარო დოკუმენტები აგრეთვე შეიცავენ გარკვეულ ინსტრუქციებს სასამართლოებში ინდივიდუალურ მოსამართლეებზე საქმეების განაწილებისა და დანიშვნის სისტემის შესახებ. უეთოსდემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის კიევის რეკომენდაციების თანახმად, მოსამართლისთვის კონკრეტული საქმის გადაცემა უნდა მოხდეს შემთხვევითობის პრინციპით ან ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ, მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს და ეს სისტემა თავისუფალი უნდა იყოს ჩარევისგან.²⁵ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ საქმეების განაწილება დაეფუძნოს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და უფრო კონკრეტულად, „არ მოექცეს საქმეში დაინტერესებული მხარის ან სხვა მხრივ საქმის შედეგში დაინტერესებული პირის სურვილის ზეგავლენის ქვეშ.“²⁶

19 ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, განმარტებითი მემორანდუმში, სტრასბურგი, 8-10 ივლისი 1998, პარ. 3.3.

20 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია კომ/რეკ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 52.

21 იქვე. პარ. 44 და 48, კიევის რეკომენდაციები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 21.

22 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია კომ/რეკ(2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ 48; ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 19, პარ. 4.1.

23 კიევის რეკომენდაციები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 1 და 10.

24 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები კომ /რეკ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ.15, პარ. 28.

25 კიევის რეკომენდაციები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 12.

26 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია კომ/რეკ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 24.

22. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლება შეიცავს ორ მოთხოვნას: (1) კანონის საფუძველზე შექმნილი და საკმარისად რეგულირებული სასამართლო სისტემის არსებობას და (2) ყოველი სასამართლო შემადგენლობის კანონის საფუძველზე ფორმირებას.²⁷ ამის გარდა, ადამიანის უფლებათა ევროკავშირმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოთა შემადგენლობის ცვლილების დაუსაბუთებლობა სასამართლო პროცესის მსვლელობისას თვითნებობაა, არ შეესაბამება კანონით შექმნილი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებს და ამავე დროს ეჭვ ქვეშ აყენებს სასამართლო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.²⁸

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

23. საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს დამოუკიდებელი სასამართლოს პრინციპებს, რაც მრავალგზის მეორდება როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ პუნქტებში.²⁹ ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ იმეორებს კონსტიტუციის ამ დებულებებს სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ.³⁰ იგი აგრეთვე არეგულირებს სასამართლოების შემადგენლობას, მოსამართლეების დანიშვნასა და გათავისუფლებას.³¹ 2010 წელს, კონსტიტუციაში შესული ცვლილებები მოსამართლეთა უვადო დანიშვნასთან დაკავშირებით მოყვა მათი სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდის შემოღება. კონსტიტუციის ეს დებულება ძალაში შევიდა 2013 წელს არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2013 წლის ოქტომბერში განისაზღვრა მოსამართლეთა მუდმივი დანიშვნისა და სამწლიანი გამოსაცდელი ვადის სისტემა.³² შეფასების პროცედურასთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებული შემდგომი დეტალები, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მოსამართლეების შეფასება მათი გამოსაცდელი ვადის პერიოდში, მოცემულია 2014 წლის აგვისტოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ცვლილებებში.³³
24. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია მოსამართლის იგივე ან უფრო მაღალი ან დაბალი ინსტანციის სხვა სასამართლოში გადაყვანა თანამდებობაზე ყოფნის განსაზღვრული ვადით; მოსამართლემ, რომელიც გადაყავთ, უნდა გამოთქვას თანხმობა გადაყვანაზე.³⁴ კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა მიზეზით შეიძლება დასაბუთდეს

27 პოსოხოვი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 4 მარტი, 2003, პარ. 39.

28 მოისევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 6 აპრილი 2009, პარ. 181, 184-185.

29 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 82(3) და 85.

30 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 1(1).

31 იხ. ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

32 საქართველოს ორგანული კანონი ცვლილებების შეტანის შესახებ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, ნოემბერი, 2013, მუხლი 36 (4¹ – 4²).

33 საქართველოს ორგანული კანონი ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ, N 2647, 1 აგვისტო, 2014, მუხლი 361-8.

34 საქართველოს ორგანული კანონი ცვლილებების შეტანის შესახებ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, ნოემბერი, 2013, მუხლი 37.

მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ვაკანსია. კანონი ამგვარი გადაყვანის შემთხვევებში არ მოითხოვს კონკურსის ჩატარებას.³⁵ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განხილვაზე საზოგადოების დაშვებას და ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მათი გადაწყვეტილებების ვებგვერდზე განთავსებას.³⁶ კონკრეტულად იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილებები, არც ისეთი პირობა არსებობს, რომლის მიხედვითაც მისი გადაწყვეტილებები უნდა გახდეს სასამართლო განხილვის საგანი, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი დებულებები ეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციულ აქტებს.³⁷

25. საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების შესახებ კანონი არეგულირებს ცალკეული საქმეების მოსამართლეებზე განაწილებას სასამართლოში.³⁸ სასამართლოს თავმჯდომარეები ადგენენ მოსამართლეების სიას ალფაბეტის მიხედვით და შემოსული საქმეები გადაეცემათ მოსამართლეებს სასამართლოში შედგენილი სიის მიხედვით. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მუხლი 30-ე მუხლის მეხუთე პუნქტი უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცეს კონკრეტული საქმე ნებისმიერ მოსამართლეს და შეცვალოს სხდომის წევრების შემადგენლობა სამართალწარმოების პროცესის ჩატარების ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, რითაც იგი ფაქტიურად უზვევს საქმის მოსამართლეზე გადაცემის წესიდან მისი საკუთარი შეხედულებისამებრ, რაიმე მიზეზის წარმოდგენის გარეშე.³⁹
26. რაც შეეხება მოსამართლეთა შეცვლას, კოდექსში წესის სახით მოცემულია დათქმა, რომ თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა ხელახლა იწყება.⁴⁰ გამონაკლისის სახით, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც ცვლის საქმიდან ჩამოშორებულ

35 იქვე.

36 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1 სექტემბერი, 2013, მუხლ. 27, 28 და 32 (თავი III). ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი განმარტავს, რომ მესამე თავი ეხება სასამართლო ორგანოებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ გამოიყენება მათ მიმართ.

37 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1 სექტემბერი, 2013, მუხლ. 53, პუნქტი 1 და 4 და მუხლ. 178 პუნქტი 3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები, რომლებიც გამოსცემენ ადმინისტრაციული აქტებს მეორე მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, საკამათოა.

38 საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ საქართველოს კანონი, 1998, მუხლ. 4 და 5.

39 საქართველოს ორგანული კანონის ცვლილება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში, ნოემბერი, 2013, მუხლი 30(5). ODIHR-ი აღნიშნავს, რომ 2014 წლის კანონის პროექტის ცვლილებები ითვალისწინებენ ზემოთ აღწერილი კანონის გაუქმებას.

40 მუხლი 183, სსსკ.

მოსამართლეს და საქმის განხილვა გრძელდება. კანონი შემდგომში აღარ განსაზღვრავს შემცვლელ (სათადარიგო) მოსამართლეებს.⁴¹

ბ. ანალიზი

1. მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა

27. სამართლო დამოუკიდებლობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს „თუ მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკა მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელია.“⁴² საქართველოში 2010 წელს კონსტიტუციური ცვლილებებით მიღებული მოსამართლეთა თანამდებობაზე მუდმივი დანიშვნა, რომელმაც შეცვალა ათწლიანი ფიქსირებული ვადით დანიშვნა, ფართოდ განხილვობდა, როგორც სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი, რომელიც ყველა მოსამართლემ უნდა გაიაროს მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნამდე, შეშფოთებას იწვევს სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ისეთი ორგანიზაციები, როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სხვები, რომლებიც გაერთიანებული არიან ორგანიზაციაში „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემისთვის“ (მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია „42-ე მუხლი“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, და ფონდი-ღია საზოგადოება საქართველო“), ისევე როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აკრიტიკებდნენ გამოსაცდელი პერიოდის და მასთან დაკავშირებული გამოსაცდელი ვადით მომუშავე მოსამართლეების წლიურ შეფასებებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ მას შეეძლო ძირი გამოეთხარა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის.⁴³
28. ვენეციის კომისია, მის მოსაზრებაში 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის შესახებ, გამოთქვავს შეშფოთებას მოსამართლეთათვის სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემოღების თაობაზე და იძლევა გაფრთხილებას, რომ ამ ინიციატივამ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს სასამართლო დამოუკიდებლობა, რადგან მოსამართლეებმა „შესაძლოა იგრძნონ რაიმე სახის ზეწოლა საქმეზე

41 იქვე. მუხლი 184.

42 ზანდი ავსტრიის წინააღმდეგ, ევროპის ადამიანის უფლებების კომისია, 12 ოქტომბერი, 1978, პარ. 78; პოსოხოვი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 4 მარტი, 2003, პარ. 39.

43 იხ. „სასამართლო რეფორმის მეორე ნაწილის მიმოხილვა“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 20 ნოემბერი, 2013, გვ. 10; „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს დროებით შეაჩეროს საერთო სასამართლოების კანონში შესწორებების შეტანა“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 3 ოქტომბერი, 2013; „კონსტანტინე კუბლაშვილი აკრიტიკებს საპარლამენტო უმრავლესობას“, პირველი არხის საინფორმაციო გამომცემა, 7 ოქტომბერი, 2013.

გადაწყვეტილების გამოტანისას“.⁴⁴ შემდგომ, ვენეციის კომისია ასევე წარმოადგენს გაფრთხილებას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოსაცდელი ვადით მომუშავე მოსამართლეების წლიურ შეფასებაში უნდა გამოირიცხოს ის ფაქტორები, რამაც შესაძლოა მოსამართლეთა მიუკერძოებლობა გამოწვევის წინაშე დააყენოს. იგი შემდგომ ამბობს, რომ „მიუხედავად იმ კეთილშობილური მიზნისა, რაც მდგომრეობს სისტემის შეფასების მეშვეობით მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფაში, სამწუხაროდ ძალზე ძნელია მოსამართლის დამოუკიდებლობის და მუშაობის ეფექტურობის შეფასების სისტემის თანხვედრაში მოყვანა. თუ საქმე არჩევანზე მიდგება, ამ ორს შორის სასამართლო დამოუკიდებლობა უნდა ავირჩიოთ, რადგან ეს ბევრად მნიშვნელოვანი ღირებულებაა.“⁴⁵

29. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი განმარტავს, რომ მოსამართლეები უნდა გათავისუფლდნენ გავლენისგან თვით სასამართლო ორგანოების შიგნით და რომ სასამართლო ორგანოების იერარქიამ არ უნდა შეარყიოს ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობა.⁴⁶ გამოსაცდელი ვადით მომუშავე მოსამართლეების ეფექტურობის შეფასების კონტექსტში, ეს პრინციპი მოითხოვს ნებისმიერი გამოყენებული ზომების შედეგების საგულდაგულო შესწავლას, რომლებსაც შეუძლიათ არასათანადო გავლენა იქონიონ გადაწყვეტილების მიღებისას, მაშინაც კი როდესაც ასეთი ზომები მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების მიერ ტარდება. ამ პრინციპის შემდგომი შემუშავებისას, ვენეციის კომისია აცხადებს, რომ „სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის პრინციპი გულისხმობს, ყოველი მოსამართლის დამოუკიდებლობის შეუთავსებლობას სუბორდინაციულ ურთიერთობებთან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის განხორციელების პროცესში.“⁴⁷ ამდენად, ნებისმიერი შეფასების სქემა, რომელიც აგრეთვე შეიცავს მოსამართლეთა მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას, მკაცრად უნდა იქნას ლიმიტირებული.

2. მოსამართლეთა გადაყვანა სასამართლოდან სასამართლოში, მოსამართლეთათვის საქმეების განაწილება

30. როდესაც ცალკეული მოსამართლე გადაყავთ სხვა სასამართლოში მცირე ხნით ადრე და იგი იწყებს განმაურებული საქმის განხილვას, შესაძლოა წარმოიშვას შეშფოთება მოსამართლის დამოუკიდებლობასთან ან ამ ფაქტის, როგორც ასეთის, აღქმასთან

44 საკონსტიტუციო კანონპროექტის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შესწორებების და ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ევროპის კომისია დემოკრატიის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), დამტკიცებული ვენეციის კომისიის მიერ მის 84-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 15-16 ოქტომბერი, 2010), დასკვნა no. 543/2009, CDL-AD(2010)028, პარ. 90.

45 წინასწარი მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტში შესწორებებისა და ცვლილებების თაობაზე ვენეციის კომისია, CDL(2010)062, 31 ივლისი 2010, პარ. 71-74.

46 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები კომ/რევ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 22.

47 ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწილი I: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010), ციტატა ნაშრომიდან, შენ. 17, პარ. 72.

დაკავშირებით. ამდენად, მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანის პრაქტიკა და მათზე საქმეების გადაცემა იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას სასამართლოს მხრიდან.

31. სამი სასამართლო პროცესის მონიტორინგის დასაწყისში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამი მოსამართლე გადმოიყვანა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვა სასამართლოებიდან ერთი და იმავე დღეს და სამივე ეს მოსამართლე გაუძღვა სასამართლო სხდომებს, სადაც განიხილებოდა განმაურებული საქმეები.⁴⁸ მოსამართლეთა გადაყვანას არ მოყოლია საზოგადოებისთვის განმარტებების მიცემა და ზოგადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული, თუ არ ჩავთვლით კანონის შესაბამისი დებულებების მოხსენიებას.⁴⁹ საქართველოს კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს ამგვარი გადაადგილებები კონკურსის წესით შერჩევის გარეშე, კონკურსის წესით სამსახურში აყვანისა და კარიერული გადაწყვეტილებების ზოგადი კანონის გვერდის ავლით. თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები საჯაროა და გადაწყვეტილებები უნდა იქნას გამოქვეყნებული, კანონიდან ცხადად არ იკითხება, საჭიროა თუ არა მათი დასაბუთება.⁵⁰ რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობას, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მის მუშაობას, აღნიშნავენ პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს. მაგალითად, არ ქვეყნდება ინფორმაცია წინასწარ დღის წესრიგში შესული საკითხების შესახებ, ან ასევე სხდომების ოქმები არ ქვეყნდება სისტემატურად.⁵¹
32. მოსამართლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეუზღუდავი დისკრეცია, და ამასთან ერთად მათ საქმიანობაში გამჭვირვალობის ნაკლებობა და გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა იწვევდა კრიტიკას და სამოქალაქო საზოგადოების იმ მოსაზრების გავრცელებას, რომ ეს მანიპულაციები ზღუდავდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ამ სამ საქმეში.⁵² ამ გადაწყვეტილებების გამოტანის დროს სრული გამჭვირვალობა და დასაბუთებულობა გაფანტავდა იმ შეხედულებებს, რომ

48 ახალაია I, ახალაია II, და ახალაია III. იხ. გადაწყვეტილებების სამი მოსამართლის გადაყვანის შესახებ, 6 თებერვალი, 2013 ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირების სასამართლო პროცესების მონიტორინგში (15 იანვარი - 15 დეკემბერი, 2013), ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2013, გვ. 26.

ოფიციალური დოკუმენტები (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები) მოსამართლეთა გადაყვანის შესახებ ხელმისაწვდომია: მოსამართლე დარახველიძის გადაყვანა, მოსამართლე დარახველიძის დანიშვნა, მოსამართლე მგელიაშვილის გადაყვანა; მოსამართლე მგელიაშვილის დანიშვნა; მოსამართლე ჩხიკვაძის დანიშვნა.

49 „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N 2“, საქართველოს იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2014, გვ. 10.

50 როგორც ზემოთ არის აღწერილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისი დებულებები მთლიანად ეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობას, კონკრეტულად, მუხლ. 3, პარ. 2.

51 იქვე, გვ. 8.

52 ყოფილი ხელისუფლების პირთა სასამართლო პროცესების მონიტორინგი (იანვარი 15 - დეკემბერი 15, 2013), ციტატა ნაშრომიდან, მუხ. 48, გვ. 26.

მოსამართლეების გადმოყვანა მოხდა სავარაუდოდ ერთი მხარის გარკვეულ ინტერესისთვის სასურველი განაჩენის გამოტანის მოსაზრებით. ამდენად, ზემოთ აღწერილი შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინტერპრეტაცია შეზღუდულად კი არ მოახდინოს, არამედ იმგვარად, რომ ეფექტურად უზრუნველყოს უფლებების დაცვა კოდექსის იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე გავრცელებით და მოსამართლეთა გადაყვანის შესახებ დასაბუთების დადგენით. თუ ამგვარი ინტერპრეტაცია მის ფარგლებს გასცდება, კანონში უნდა შევიდეს ცვლილება რათა დადგინდეს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილებები. მოსამართლეთა გადაყვანასა და გარკვეულ თანამდებობებზე დანიშვნის აქტები როგორც მინიმუმ, უნდა იყოს სამართლიანი, დამსახურებაზე დაფუძნებული და გამჭვირვალე. ეს არ მოითხოვს კონკურსის წესით შერჩევას ყველა შემთხვევაში, მაგრამ გულისხმობს გადაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთებასა და მათი გადახედვის შესაძლებლობას.

33. დებულება, რომელიც აძლევს სასამართლოს თავმჯდომარეებს საქმის ავტომატურად გადაცემის წესიდან გადახვევის უფლებას საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლის თავიდან ასაცილებლად, უტოვებს სასამართლოს თავმჯდომარეებს მათი შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას და ჯეროვანი დასაბუთების არარსებობის პირობებში, ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოების შეხედულებაზე სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ. რაც შეეხება ბაჩანა ახალაიას საქმის ახლად გადმოყვანილი მოსამართლისთვის გადაცემას, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოხატა შეშფოთება, რომ საქმის გადაცემასთან დაკავშირებული რეგულაციებივერ უზრუნველყოფენ გამჭვირვალობის მოთხოვნის.⁵³ საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვენ, რომ საქმის გადაცემა მოხდეს შემთხვევითობის პრინციპით ან წინასწარ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ზღუდავენ სასამართლოს თავმჯდომარის ან ადმინისტრაციის ჩარევის შესაძლებლობას.⁵⁴ კონკრეტულად, ზემოთ აღნიშნულისთვის საჭიროა წინასწარ განსაზღვრული სისტემის არსებობა, რომლიდან გადახვევა შესაძლებელი იქნება საგამონაკლისო და დასაბუთებულ შემთხვევებში. გამონაკლისები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და შეიზღუდოს სასამართლოს თავმჯდომარის მისი დისკრეციის შესაბამისად მოქმედება, მანიპულაციების ან ფაქტის ასეთად აღქმის თავიდან ასაცილებლად, რათა არ მოხდეს სასამართლო დამოუკიდებლობის კომპრომეტირება.

53 საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი. გვ. 249 (მხოლოდ ქართული ვერსია).

54 კიევის რეკომენდაციები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 24.

3. სასამართლოს შემადგენლობის ფორმირება

34. სასამართლოს კონკრეტული შემადგენლობის ჩამოყალიბების პრაქტიკამ შეიძლება წარმოშვას ეჭვი კანონის შესაბამისად შექმნილი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლებასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცნება - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ საერთაშორისო სტანდარტებში არა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზას მოიცავს „სასამართლოს“ არსებობისთვის, არამედ გულისხმობს სასამართლოს შემადგენლობას თითოეულ შემთხვევაში, რაც მოითხოვს, რომ ყოველი ცალკეული სასამართლო შემადგენლობა განისაზღვროს კანონის მოთხოვნის შესაბამისად.⁵⁵ მიუხედავად იმ წესებისა, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს შემადგენლობას და მათ შორის ისეთ გარემოებებს, როდესაც შესაძლებელია მოსამართლის აცილება, მონიტორინგმა გამოავლინა ისეთი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს.
35. ერთ საქმეზე, მოსამართლე შეიცვალა შუა პროცესში, როგორც ამბობენ იმიტომ, რომ იგი იმდენად დაკავებული იყო, რომ ვეღარ შესძლო საქმის განხილვის გაგრძელება. არავითარი განმარტება არ მოყოლია იმას, თუ როგორ დაინიშნა ახალი მოსამართლე, და არც მხარეებს აღუძრავთ შუამდგომლობა პროცესის თავიდან დასაწყებად.⁵⁶ როგორც წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ როდესაც სასამართლოს შემადგენლობა იცვლება იმის გამო, რომ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა ხელახლა იწყება. ამ წესიდან გამონაკლისი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც სათადარიგო მოსამართლე დანიშნულია სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.⁵⁷
36. რაც შეეხება მოსამართლეთა შეცვლას პროცესის მსვლელობისას ბრალდებულთა უფლებების უზრუნველსაყოფად, ახალი პროცესის დაწყების ან სათადარიგო მოსამართლის არსებობის გარეშე, არ შეესაბამება სასამართლო შემადგენლობასთან დაკავშირებულ შიდასამართლებრივ სტანდარტებს.⁵⁸ ეროვნული კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რომელ შემთხვევებში და გარემოებებში შეუძლია სასამართლოს თავმჯდომარეს სათადარიგო/ შემცვლელი მოსამართლის დანიშვნა ისე, რომ სასამართლო განხილვა გაგრძელდეს.⁵⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა ტერმინის „შემცვლელი/სათადარიგო“ მოსამართლის დეფინიციას, მაგრამ შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ სათადარიგო მოსამართლეები უნდა დაინიშნონ პროცესის დასაწყისში და დაესწრონ ყველა მოსმენასა და განხილვებს, როგორც

55 პოლონური რუსეთის წინააღმდეგ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 32, პარ. 39.

56 ძიმცვიშვილი, 29 მაისი 2013.

57 მუნლ. 183 და 184 სსსკ.

58 იქვე.

59 იქვე.

ეს რეგულირდება სათადარიგო ნაფიცი მსაჯულების შემთხვევაში.⁶⁰ თუ ზემოთ აღნიშნულის ინტერპრეტაციით სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სხვა მოსამართლე საქმიდან ჩამოშორებული მოსამართლის შემცვლელად ნებისმიერ დროს, რითაც თავიდან აიცილებს სასამართლო პროცესის თავიდან დაწყების საჭიროებას, ეს გამონაკლისი დაუპირისპირებს მნიშვნელობას წინა დებულებაში დადგენილ რეგულირებას, რომელიც ამბობს, რომ სასამართლო შემადგენლობა უნდა დარჩეს უცვლელი და პროცესის შუაში მოსამართლის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესი თავიდან უნდა დაიწყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი კანონის ლოგიკით არ არის ნათელი თუ რა გამართლება ექნებოდა ასეთი გამონაკლისის დაშვებას. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, მოსამართლე შეიცვალა სხვა მოსამართლით, რომელიც არ ესწრებოდა წინასასამართლო განხილვებს და ამდენად პირადად და უშუალოდ არ ჰქონდა ინფორმაცია მიმდინარე პროცედურების, მათ შორის მოწმეთა დაკითხვის შესახებ, მის დანიშვნამდე. ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა მოსამართლეთა შემცვლელი/სათადარიგო მოსამართლით შეცვლის მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს, წესებს და პროცედურებს. ამდენად ეს იძლევა დისკრეციული ქმედების საშუალებას, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს შემადგენლობის შესახებ.⁶¹

დ. დასკვნა

37. ზოგადად, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სასამართლოების უფლებას. კონსტიტუცია და კანონები ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და სასამართლოები იქმნებიან და რეგულირდებიან კანონის საფუძველზე. თუმცა, ზოგიერთი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ელემენტები ჩრდილს აყენებენ მართლმსაჯულების განხორციელების სისტემას, რადგანაც საეჭვოა, აკმაყოფილებდა თუ არა კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლო არსებულ მოთხოვნას. მხარეების ან საზოგადოების კანონიერი ეჭვის არსებობამ სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სამართლიანი მართლმსაჯულების უფლებას, მაშინაც კი, როდესაც რეალური გავლენის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. ის ელემენტები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ სასამართლო დამოუკიდებლობას და გავლენას ახდენენ მის აღქმაზე, უკავშირდება შემდეგ პრაქტიკას: მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა ისეთი გზით, რომელიც ნამდვილად არ უზრუნველყოფს მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპის განხორციელებას; მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანა და მათთვის სასამართლო საქმეების გადაცემა გამჭვირვალე პროცედურების

60 იქვე, მუხლი 27(1), მუხლი 224(1)-(2), მუხლი 232(1) და მუხლი 236(1)(ა).

61 იხ. მოისევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 6 აპრილი, 2009, პარა. 181.

სრულად ვერ უზრუნველყოფის გზით და იმგვარად, რომ იქმნება მანიპულირებისა და ჩარევის საშუალება; მოსამართლეთა შეცვლა მიმდინარე პროცესის შუაში ყოველგვარი განმარტების გარეშე, რაც არღვევს ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობას. ეს პრაქტიკა შესაძლოა თავისთავად არ არღვევდეს ბრალდებულის უფლებას ისარგებლოს კანონითა და შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოთი, მაგრამ იგი იწვევდა შეშფოთებას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან და მის აღქმასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ კითხვის ქვეშ დგას, შეძლებს თუ არა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით ახლადშემოღებული დანიშვნის სისტემა, მას შემდეგ, რაც იგი სრულად დაინერგება პრაქტიკაში, ეფექტურად დაიცვას ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა.

ე. რეკომენდაციები

- მოსამართლეთა გამოსაცდელი პერიოდით დანიშვნის შენარჩუნების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი შემავალი დებულებებისთვის დამატებითი რეგულაციები მოსამართლეთა მონიტორინგისა და შეფასებების შესახებ და გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტების კუთხით.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმები და ერთიანი პროცედურები იმის მიუხედავად, შენარჩუნდება თუ არა გამოსაცდელი ვადა, მათ შორის პროცედურები გამოსაცდელი ვადის ბოლოს მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის. ამ პროცედურებით უნდა მოითხოვებოდეს სათანადო წერილობითი დასაბუთების არსებობა, რაც უნდა ახლდეს ყველა გადაწყვეტილებას.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს მისი სხდომებისა და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა მისი საქმიანობის შესახებ წინასწარი განრიგის შედგენით და საზოგადოების წინასწარი ინფორმირებით.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება უნდა მოახდინოს იმგვარად, რომ მოსამართლეთა გადაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დაასაბუთოს.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა გადახედოს საერთო სასამართლოების კანონის დებულებას, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეს ფაქტურად გადაუხვიოს საქმის ავტომატური განაწილების წესიდან მისი შეხედულებისამებრ. როგორც მინიმუმ, სასამართლოს თავმჯდომარეების დისკრეცია უნდა შემოიფარგლოს კონკრეტული სიტუაციებით და მათ კანონით უნდა მოეთხოვოთ დაასაბუთონ

მათი გადაწყვეტილება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოსამართლეებისთვის კონკრეტული საქმეების გადაცემაზე. ეს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ს დაკონკრეტება სასამართლო შემადგენლობიდან გასული მოსამართლის შემცვლელი/სათადარიგო მოსამართლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეიტანონ კოდექსში შემცვლელი/სათადარიგო მოსამართლის დეფინიცია.

VI. საზოგადოების ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ

38. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სამართლიანი სასამართლოს უფლებების პატივისცემის მიუხედავად, მიკერძოებულობის, არასათანადო გავლენისა და თვითნებობის აღქმადობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სისტემის ფუნქციონირებაზე და შეარყიოს კანონის უზენაესობის პრინციპები და მიზანი. დავების გადასაჭრელად, ცალკეულმა პირებმა შესაძლოა მიმართონ არასამართლებრივ ზომებს, შეიძლება არ გამოცხადდნენ მოწმეები ან დაზარალებულები ან არ შესრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამდენად, სრულიადაუცილებელია, სასამართლოსა და სხვა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმარტოვებელი ინსტიტუტების ავტორიტეტისა და რეპუტაციის შენარჩუნება არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფით, არამედ, სასამართლო პროცედურების ერთიანობით, რათა თავიდან იქნას აცილებული სასამართლოსა და პროკურატურის სამსახურის მიმართ საზოგადოებრივი ნდობისთვის საფრთხის შექმნა.⁶²
39. ეს თავი განიხილავს პრობლემებს სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მიმდინარე და პოტენციური სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც გამოითქვა მათ კომენტარებში ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ (რომელთა პროცესების მონიტორინგი ხდებოდა); აგრეთვე მთავარი პროკურორის დანიშვნასა და სასამართლოს ავტორიტეტისა და რეპუტაციის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ფაქტებისა, ამ თავში წარმოდგენილი ანალიზი ასევე ეფუძნება სასამართლო დარბაზის გარეთ მოპოვებულ საჯარო ინფორმაციას გარკვეული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, რომლებიც უშუალო კავშირში არიან სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანად განხორციელებასთან.

62 კავკასიის რესურსების კვლევების ცენტრისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის მიერ ჩატარდა საფუძვლიანი კვლევა სასამართლოებისადმი საზოგადოებრივი ნდობის შესახებ და ფოკუს ჯგუფების დისკუსიები. ძილეთ ანგარიში "დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემისადმი საქართველოში", იანვარი, 2012.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

40. საერთაშორისო სტანდარტები პროკურატურის ორგანოების აღმასრულებელი შტოსგან დამოუკიდებლობის ან ავტონომიის მრავალ მოდელს იცნობენ. მაშინ როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში პროკურატურა აღმასრულებელი ძალაუფლების შტოს ნაწილს წარმოადგენს, არსებობს „პროკურატურისთვის მეტი დამოუკიდებლობის მიცემის ტენდენცია, მისი აღმასრულებელ შტოსადმი დაქვემდებარებისა ან დაკავშირების ნაცვლად.“⁶³ თუმცა საერთაშორისო სამართალი ცალსახად არ იცავს პროკურატურის ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობას, საერთაშორისო ორგანოები ხაზს უსვავენ პროკურატურის საქმიანობის განხორციელებისას მასზე არასათანადო გავლენისგან, ჩარევისა და გარეგანი ზეწოლისგან გათავისუფლების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ცალკეულ შემთხვევებში.⁶⁴ გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის რეზოლუციაში, რომელიც ეხება კანონის უზენაესობის გაძლიერებას პროკურატურის ორგანოების ერთიანობისა და შესაძლებლობების გაძლიერებით, ნათქვამია, რომ „პროკურატურის დისკრეციის გამოყენება, როდესაც ეს ნებადართულია ზოგიერთ იურიდიულ სფეროში, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და პოლიტიკური ჩარევის გარეშე.“⁶⁵ იგივე პრინციპს იმეორებს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებული ანგარიში პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტებისა და პროკურორთა ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ.⁶⁶
41. მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ვადასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის ანგარიში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ევროპულ სტანდარტებზე (ვენეციის კომისიის ანგარიში), რეკომენდაციას იძლევა ხანგრძლივი ან მუდმივი ვადით დანიშვნის შესახებ, რომელიც არ დაემთხვევა პარლამენტის უფლებამოსილების ვადას. ანგარიში აგრეთვე იძლევა გაფრთხილებას ხელმეორედ დანიშვნასთან დაკავშირებით, დამნიშვნელი ორგანოს რეალური ან ასეთად აღქმული ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად.⁶⁷

63 ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასთან მიმართებაში, ნაწილი: II – პროკურატურის მუშაობა, მიღებული ვენეციის კომისიის 85-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 17-18 დეკემბერი 2010), ვენეციის კომისია, CDL-AD(2010)040, 3 იანვარი, 2011, პარ. 26.

64 იქვე, პარ. 32.

65 კანონის უზენაესობის გაძლიერება პროკურატურის კომპეტენციის და პროფესიული ეთიკის გაუმჯობესების მეშვეობით, რეზოლუცია 17/2, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის გენერალური მდივნის ანგარიში, მე-20-ესხდომა, E/CN.15/2011/8, 24 ივნისი, 2011.

66 „პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები და პროკურორის ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების აღწერა,” პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, მიღებულია 23 აპრილს, 1999წ. პარ. 2.1.

67 იქვე, პარ. 37.

42. პროკურორების დანიშვნის საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვავენ სპეციალური სიფრთხილის ზომების მიღების აუცილებლობას მიკერძოებულო ან სპეციალური ინტერესების საფუძველზე პროკურორთა დანიშვნის მიმართ.⁶⁸ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს როგორც მინიმუმ, გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად.⁶⁹ გენერალური პროკურორის შერჩევის მეთოდთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ „იგი უნდა იყოს იმგვარი, რომ მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და სასამართლოსა და იურიდიული პროფესიის პირთა პატივისცემა.“⁷⁰ საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის მიღწევა შესაძლებელია გამჭვირვალე შერჩევის პროცესით, რომელიც იქნება „პროფესიული და აპოლიტიკური“, იდეალურ შემთხვევაში „დანიშვნების კომისია უნდა შედგებოდეს საზოგადოების მხრიდან პატივცემული და მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირებისგან.“⁷¹ ვენეციის კომისიის ანგარიში იძლევა რეკომენდაციას, რომ საჭიროა სულ ცოტა „გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი პირებისგან, მაგალითად იურიდიული საზოგადოების (მათ შორის პროკურორებისგან) და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან რჩევა კანდიდატთა პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ.“⁷²
43. რაც შეეხება სასამართლოების ავტორიტეტსა და რეპუტაციას, მოსამართლეებს გააჩნიათ როგორც უფლებამოსილება, ისე მოვალეობა უზრუნველყონ სასამართლო პროცედურების სათანადოდ განხორციელება, წესრიგის შენარჩუნება, ყველა დამსწრე მხარისა და პირის სასამართლო დარბაზში ზრდილობიანი ქცევის უზრუნველყოფა.⁷³ მოსამართლეებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი უფლებამოსილება ამ მოვალეობების შესასრულებლად, რათა შეინარჩუნონ სასამართლოს ავტორიტეტი და რეპუტაცია.⁷⁴ ისეთი ქცევის აღკვეთა და დასჯა, რომელიც შეაფერხებს სასამართლოს მუშაობას და დააკნინებს მის ავტორიტეტსა და რეპუტაციას, მოსამართლის უფლებამოსილების განუყოფელი ასპექტია, რაც უზრუნველყოფს სასამართლო პროცედურების კონტროლს შესაფერისი ზომების მიღებით, რათა არ შეფერხდეს მართლმსაჯულების განხორციელება.⁷⁵

68 „გაიდლაინები პროკურორის როლის შესახებ“, მიღებულია გაეროს მერვე კონგრესზე დანაშაულის პრევენციისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ, 27 აგვისტო - 7 სექტემბერი, 1990, პარ. 2(ა); და “მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, წევრ ქვეყნებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სახელმწიფო ბრალდების როლის შესახებ, კომ/რეკ N. R(2000)19” ევროპის საბჭო, 6 ოქტომბერი, 2000, პარ. 5(1).

69 რეკომენდაცია N. R(2000)19, ციტატა ნაშრომიდან შენ. 68, პარ. 13. იხ. აგრეთ ვრ “ბორდოს დეკლარაცია: მოსამართლეები და პროკურორები დემოკრატიულ საზოგადოებაში”, ევროპის საბჭო, CM(2009)192, 15 დეკემბერი, 2009, პარ. 8.

70 ანგარიში მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ: ნაწილი II – პროკურატურის მუშაობა, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 63, პარ. 34.

71 იქვე.

72 იქვე, პარ. 35.

73 სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, UN ECOSOC, UN Doc E/CN.4/2003/65, პარ. 6.6.

74 “მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები CM/Rec(2010)12 წევრ სახელმწიფოებს მოსამართლეთა შესახებ: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები”, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15 პარ. 6.

75 რავნსბიორგი შეკვდეთის წინააღმდეგ, ECtHR, 23 მარტი, 1994, პარ. 34.

44. წესრიგის შენარჩუნების გარდა, მოსამართლეებმა უნდა იურთიერთონ მხარეებთან, ნაფიც მსაჯულებთან, მოწმეებთან, ადვოკატებთან და სხვა პირებთან, ვისთანაც მათ სამსახურებრივი შეხება აქვთ, მოთმინებით, პატივისცემით და ზრდილობიანად. მოსამართლეებმა უნდა მოითხოვონ ასეთივე ქცევა სასამართლოს სხვა წარმომადგენლებისგან, თანამშრომლებისგან და სხვა პირებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან მათ გავლენას, ან კონტროლს.⁷⁶ საერთაშორისო ინსტრუმენტები აგრეთვე შეიცავენ ადვოკატთა მიერ სასამართლოს პატივისცემის შესახებ მითითებებს და პროკურორთა მიერ მათი საკუთარი პროფესიული რეპუტაციის უზრუნველყოფას, რაც მოითხოვს პროფესიონალურ ქცევას პროფესიული ეთიკის წესების შესაბამისად.⁷⁷

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

45. საქართველოს კანონის მიხედვით, პროკურორების საქმიანობის პრინციპები ზოგადად განისაზღვრება კანონიერებით, ობიექტურობით და მიუკერძოებლობით და პოლიტიკური ნეიტრალურობით.⁷⁸ იუსტიციის მინისტრს ცალსახად ეკრძალება გამოძიებასა და სისხლის სამართლის საქმეებში ჩარევა.⁷⁹
46. კონსტიტუციის დებულების ფონზე, რომლითაც პროკურატურის ორგანოები იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიან,⁸⁰ პროკურატურის შესახებ კანონის შესაბამისად, მთავარი პროკურორი ინიშნება ან თავისუფლდება თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე.⁸¹ კანონში აგრეთვე მოცემულია პროკურორთა შერჩევის გარკვეული კრიტერიუმები, როგორცაა იურიდიული განათლება, „შრომისმოყვარეობა და მორალური ავტორიტეტი“ და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც საჭიროა პროკურორის მოვალეობების განხორციელებისთვის.⁸²
47. პროკურორის შერჩევის კრიტერიუმები, გარდა იმისა, რომ კრძალავს პოლიტიკურ პარტიასთან კუთვნილებასა და კომერციული ინტერესების არსებობას, უმთავრესად შემოიფარგლებიან კანდიდატთა პროფესიული კვალიფიკაციით

76 სამოსამართლო ქცევის ბანკალორის პრინციპები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 73, პარ. 6.6. იხ. აგრეთვე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, კომ/რეკ (2010)12, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 6; და ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 19, პარ. 1.5.

77 “მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებს ადვოკატთა პროფესიული თავისუფლების შესახებ, რეკომენდაცია N. (2000)”, ევროპის საბჭო, 25 ოქტომბერი 2000, პრინციპი III(4); პროფესიული პასუხისმგებლობების სტანდარტები და პროკურორთა ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების აღწერა, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 66, პარ. 2.1.

78 კანონი პროკურატურის შესახებ, მუხლი 4.

79 იქვე, მუხლი 8, პარ. 2.

80 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 81⁴, “პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.”

81 კანონი პროკურატურის შესახებ, მუხლი 9(1).

82 იქვე, მუხლი 31(9)-(10).

და მათში არ არის გათვალისწინებული რაიმე პრევენციული ზომები მიკერძოებულობის და პოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ. მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევისას კანონი არ ითვალისწინებს მინიმალურ მოთხოვნებს კანდიდატთა შესახებ შესაბამის დაინტერესებულ პირებთან ოფიციალური კონსულტაციების გამართვის შესახებ იმ პირთა მიერ, რომლებიც ახდენენ მთავარი პროკურორის წარდგენას ან დანიშვნას. აგრეთვე, არ არის განსაზღვრული მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ვადა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურები ან მიზეზები.

48. საქართველოს კანონის თანახმად, მოსამართლემ, პროკურორმა და სისხლის სამართლის პროცესებში სხვა მონაწილე პირებმა, პატივი უნდა სცენ სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილე პირების ღირსებას.⁸³ მოსამართლეებმა უნდა „შეინარჩუნონ წესრიგი სასამართლოში და უზრუნველყონ სხვა დამსწრე პირების მიერ სასამართლოს მიმართ პატივისცემა.“⁸⁴ მათ უნდა გააფრთხილონ მხარეები და საზოგადოება წესრიგის დამყარებისა და ამ წესრიგის დარღვევის შედეგად მოსალოდნელი სანქციების შესახებ.⁸⁵ გარდა ამისა, მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან დააჯარიმონ ან გააძევიონ სასამართლო დარბაზიდან ადამიანი, „თუ იგი არღვევს სასამართლო წესრიგს, არ იცავს სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს ან გამოხატავს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას“ და აგრეთვე გასცენ ბრძანება პირის დაპატიმრების შესახებ, „თუ პირის ქმედება სასამართლოში მიმართულია სასამართლო სხდომის შეფერხებისკენ, ან თუ პირი გამოხატავს აშკარა და/ან უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, ან პროცესზე წარმოდგენილი მხარის მიმართ.“⁸⁶

გ. ანალიზი

1. პროკურატურის დამოუკიდებლობა

49. სახელმწიფო მოხელეების მიერ გაკეთებულ განცხადებები, რომლებშიც ისმოდა მოწოდებები წინა მთავრობის წევრების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისკენ ან სადაც მათ მოიხსენიებდნენ დამნაშავეებად იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა მონიტორინგი ხორციელდებოდა, საზოგადოებაში გარკვეული სპეკულაციებს იწვევდა იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ბრალის წაყენებაში დიდი როლი ითამაშა პოლიტიკამ და რომ ზოგიერთი საქმის შედეგი წინასწარ განსაზღვრულიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი განცხადებები აკნინებს სასამართლო სისტემას და აქრობს მის მიმართ საზოგადოებრივ ნდობას. პროკურატურის

83 მუხლი 4(1) სსსკ; იხ. აგრეთვე საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმები, მუხლი 9.

84 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის ნორმები, მუხლი. 9-12, იხ. აგრეთვე მუხლი 23, სსსკ, განსაკუთრებით სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის შესახებ.

85 მუხლი 228(4) სსსკ.

86 იქვე, მუხლი 85.

სამსახურის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისია თვლის, რომ „შესაძლო პოლიტიკური ჩარევის აღქმა შეიძლება ისეთივე დამაზიანებელი იყოს, როგორც რეალური ხელშეშლა.“⁸⁷

50. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგის პერიოდში, მედიამ გააშუქა ქართველ მაღალჩინოსანთა მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ყოფილი პრეზიდენტისა და პოლიტიკური ოპოზიციის სხვა წევრების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. ზოგიერთი განცხადება შეიძლებოდა აღქმულიყო როგორც პირდაპირი მოწოდება სისხლის სამართლებრივი დევნისკენ. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, გია ხუნდაძემ ინტერვიუში დასმულ შეკითხვას ბაჩანა ახალაიას შესახებ ასეთი სიტყვებით უპასუხა: „მას უნდა მიუზღოს ჩადენილი დანაშაულებისთვის და ენით აუწერელი სამართალდარღვევებისთვის“. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილსა და სხვა (ყოფილ) მაღალჩინოსნებს, იმავე სტატიაში მოყვანილია ხუნდაძის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ მისი აზრით „ყველა დამნაშავე იმას მოიმკის, რაც დაეთეს.“⁸⁸ აგრეთვე, თავის ინტერვიუში, ვიცე ■ სპიკერმა ■ მანანა ■ კობახიძემ ■ ერთ-ერთი ■ ბრალდებული მოიხსენია დამნაშავედ და არწმუნებდა საზოგადოებას, რომ „ჩვენს პროკურატურას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველა დამნაშავეს მიუზღოს, რაც ეკუთვნით.“⁸⁹ პროკურატურის მიერ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებას სხვა კომენტარებიც მოყვა. მაგალითად, 2014 წლის 22 მარტს, სასამართლოში დაბარების თარიღამდე ხუთი დღით ადრე, როგორც ითქვა, პრემიერ მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს „ძებნილად“ გამოაცხადებდა თუ ის არ გამოცხადდებოდა. მისი განცხადება მიაწინებებს, რომ პრემიერ-მინისტრს პროკურატურის საქმეებში ჩარევის გარკვეული უფლებამოსილება აქვს.⁹⁰
51. პოლიტიკური კონკურენტების განცხადებები მათი ოპონენტების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით არ არის გასაკვირი ისეთი მზარდი პოლიტიკური დაძაბულობის პერიოდში, როგორც იყო 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები, ისევე როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი, რომელსაც მოჰყვა მთავრობის შეცვლა. თუმცა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების წევრთა მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ სისხლის სამართლებრივი დევნისკენ, შესაძლოა არასათანადო ზეწოლა

87 ანგარიში მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ: ნაწ. II – პროკურატურის მუშაობა, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 63, პარ. 26.

88 პრესის დაიჯესტი: დაუძლეველი ცდუნება - ძალაუფლების ტვირთი 31 წლის პრემიერ-მინისტრის მხრებზე“, ინტერპრესნიუსი (IPN), 4 ნოემბერი, 2013.

89 „პრესის დაიჯესტი:რუსეთს სურს უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთან ევროპაზე ადრე“ ინტერპრესნიუსი(IPN), 24 დეკემბერი, 2013.

90 „პოლიტიკა: ირაკლი ლარიბაშვილი – თუ სააკაშვილი არ ჩამოვა, პროკურატურა იმოქმედებს კანონის შესაბამისად და გამოაცხადებს მას ძებნილად“ ინტერპრესნიუსი(IPN), 23 მარტი, 2014.

იქონიოს პროკურატურის მუშაობაზე ან ასეთად იქნას აღქმული საზოგადოების მიერ. მსგავსად ამისა, განცხადებები, რომლებიც შეიცავენ დაპირებას ან სხვა მხრივ აჩვენებენ მოლოდინებს გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით, ჩრდილოს აყენებენ პროკურატურის სამსახურის ავტონომიას, მიაწინებენ რა, რომ გადაწყვეტილება დანაშაულის გამო ბრალის წაყენებაზე ამ სახელმწიფო თანამდებობის პირთა საქმე უფროა, ვიდრე პროკურატურის. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირებმა თავი შეიკავონ საჯარო განცხადებებისგან, რაც ეჭვს წარმოშობს სასამართლო სისტემის ხელშეუხებლობის მიმართ და შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მათ გააჩნიათ უფლებამოსილება ჩაერიონ პროკურატურის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2. მთავარი პროკურორის დანიშვნა

52. 2013 წლის თებერვალში, მონიტორინგის დაწყებიდან პროკურატურის სამსახურს სამი სხვადასხვა მთავარი პროკურორი ხელმძღვანელობდა.⁹¹ ახლანდელი და წინა მთავარი პროკურორების დანიშვნის პროცედურა წარმოადგენს კიდევ ერთ პრობლემას, რასაც შესაძლოა გამოეწვიოს საზოგადოებრივი ნდობის შერყევა პროკურატურის ავტონომიასთან დაკავშირებით.
53. ჯერ ერთი, როდესაც პროკურატურის უმაღლესი ოფიციალური პირი იცვლება ან ტოვებს თანამდებობას ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტში მიმდინარე ძირეული ცვლილებების ფონზე, ეს წარმოადგენს ერთგვარ გზავნილს საზოგადოებისთვის ამ უწყების პოლიტიკასთან მჭიდრო სიახლოვის შესახებ და ქმნის ინსტიტუციონალური არასტაბილურობისა და სისუსტის შთაბეჭდილებას. ეს მჭიდრო სიახლოვე კიდევ უფრო მტკიცდება საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოთი, რომელიც არ უზრუნველყოფს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ვადას ან ფიქსირებული ვადით დანიშვნას, რაც არ დაემთხვევა საპარლამენტო ვადას. სასამართლო პროცესების მონიტორინგის პერიოდში, ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი გადადგა თანამდებობიდან 2013 წლის 7 ნოემბერს. იგი მიზეზად ასახელებდა რეფორმების გატარების ტემპთან დაკავშირებულ უთანხმოებას გადამდგარი და დანიშნული პრემიერ-მინისტრების პერიოდში.⁹² მისი მემკვიდრე, ოთარ ფარცხალაძე გადადგა 2013 წლის 30 დეკემბერს, რომელიც შეცვალა გიორგი ბადაშვილმა. მთავარი პროკურორების ხშირ ცვლას ასეთ მოკლე დროში შესაძლოა განემტკიცებინა აზრი პოლიტიკური კუთვნილების ან გავლენის მოხდენის მცდელობის შესახებ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ნდობას სისხლის სამართლის სისტემის მიმართ. ამ მიზეზის გამო, საერთაშორისო

91 არჩილ კბილაშვილის გადადგომის შესახებ, იხ. “მთავარი პროკურორი ტოვებს თანამდებობას” Civil.ge, 7 ნოემბერი, 2013; ოთარ ფარცხალაძის გადადგომის შესახებ, იხ. “მთავარი პროკურორის ტოვებს თანამდებობას” Civil.ge, 30 დეკემბერი, 2013; გიორგი ბადაშვილის დანიშვნის შესახებ, იხ. “დანიშნა ახალი მთავარი პროკურორი” Civil.ge, 21 იანვარი, 2014.

92 იხ. მთავარი პროკურორი ტოვებს თანამდებობას, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 91. არჩილ კბილაშვილი აგრეთვე ახლახანს დანიშნა ახალი მთავრობის მიერ, 2012 წლის 30 ოქტომბერს.

სტანდარტები რეკომენდაციას იძლევიან, რომ მთავარი პროკურორი დაინიშნოს ხანგრძლივი ან მუდმივი ვადით, რომელიც არ დაემთხვევა საპარლამენტო მოწვევის ვადას.⁹³ თუმცა, საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს თანამდებობაზე ყოფნის ფიქსირებულ ვადას და არ არეგულირებს თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესს. მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ვადის უზრუნველყოფის არარსებობა შეშფოთებას იწვევს პროკურატურის მიუკერძოებლობის და პოლიტიკური ნეიტრალურობის კუთხით.

54. მეორეც, როდესაც არსებობს ეჭვი მთავარი პროკურორის კანონით გათვალისწინებული შერჩევისა და დანიშვნის პროცედურების სრულად დაცვისა და გამჭვირვალობის მიმართ, ეს ჩრდილს აყენებს საზოგადოების მიერ კონკრეტული ოფიციალური პირის ნეიტრალურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მიჩნევას. 2013 წლის 10 დეკემბერს კბილაშვილის მომდევნო მთავარი პროკურორის - ოთარ ფარცხალაძის გათავისუფლების შემდგომ დანიშვნის პროცესმა ეჭვები აღძრა მედიასა და საზოგადოებაში იმის თაობაზე, თუ რამდენად განხორციელდა იგი კანონის სრული დაცვით.
55. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი არ შეიცავს დადგენილ წესს მთავარი პროკურორის შერჩევის შესახებ, იგი მოითხოვს, რომ პრემიერ-მინისტრმა დაინიშნოს იუსტიციის მინისტრის მიერ შეთავაზებული კანდიდატი.⁹⁴ ამ მოთხოვნის ინტერპრეტაციით, შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის მინისტრს ენიჭება არსებითი ჩარევის უფლება, თუ არა წამყვანი როლი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატის შერჩევაში. ასეთ ინტერპრეტაციას იძლევიან აგრეთვე მთელი რიგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც.⁹⁵ შიდასამართლებრივი კანონის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში განხილვის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს მინიმუმ გამჭვირვალობა შერჩევის პროცედურაში და იურიდიული და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები კანდიდატის პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ. ამჟამინდელი მთავარი პროკურორის დანიშვნის შესახებ, მედიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საზოგადოებამ ეს პროცესი აღიქვა იმგვარად, რომ კანდიდატის შერჩევის პროცესში იუსტიციის მინისტრი მინიმალურად ან შეიძლება საერთოდ არ ჩარეულა, თუმცა საბოლოოდ მინისტრმა დაასახელა კანდიდატი, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული. 2014 წლის 16 იანვარს მიმდინარე საკონსულტაციო პროცესზე პრემიერ მინისტრის მიერ გაკეთებული განხადების შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა იმავე დღეს განაცხადა, რომ მან არ იცოდა კანდიდატთა გვარები.⁹⁶ სამოქალაქო

93 იხილეთ ვენეციის კომისიის ანგარიში, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 17, პარ. 37.

94 კანონი პროკურატურის შესახებ, მუხლი 9, პარ. 1.

95 იხილეთ “არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის სამინისტროს და პრემიერ-მინისტრს პასუხისმგებლობით მოეკიდონ მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესს“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) 17 იანვარი, 2014.

96 “იუსტიციის სამინისტროს აცხადებს, რომ არ ჩარეულა ახალი მთავარი პროკურორის შერჩევაში“ Civil.ge, 17 იანვარი, 2014.

საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება მომდევნო დღეს, სადაც გამოითქვა შეშფოთება ახალი მთავარი პროკურორის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებით.⁹⁷ სხვა შემთხვევებს შორის, მათ გაიხსენეს, რომ ბოლო მთავარი პროკურორის შემთხვევაში, „შეკითხვები მისი ნასამართლეობისა და იურიდიული განათლების შესახებ აშკარად აჩვენებდა შერჩევის პროცესის მნიშვნელობას და ხაზს უსვავდა პროცესში ჩართული შესაბამისი უწყებების პასუხისმგებლობას, ეს განსაკუთრებით ეხებოდა იუსტიციის მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს.“ შემდეგ, ეს ორგანიზაციები აფრთხილებდნენ შესაბამის ორგანოებს, რომ ზოგადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოები და კონკრეტულად საზოგადოების ნდობა მთავარი პროკურატურის მიმართ დაზარალებოდა, თუ კანდიდატი არ დააკმაყოფილებდა მაღალ მორალურ და პროფესიულ სტანდარტებს. მათი აზრით, ეს უკანასკნელი ერთობლივად უნდა უზრუნველყოს პრემიერ-მინისტრმა და იუსტიციის მინისტრმა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს რა პრინციპებით და ღირებულებებით ხელმძღვანელობდნენ „ახალი მთავარი პროკურორის შერჩევისას.“⁹⁸

56. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ, რაც მედიამ გააჟღერა მინისტრის სიტყვები კანდიდატთა გვარების არ ცოდნის შესახებ, იუსტიციის მინისტრმა ფორმალურად დაასახელა გიორგი ბადაშვილი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე.⁹⁹ ამას მოყვა მედიის რეპორტაჟები და საზოგადოების სპეკულაციები სხვადასხვა კანდიდატების ირგვლივ, მაგრამ პრემიერ მინისტრს არ მიუწოდებია საზოგადოებისთვის ინფორმაცია სხვა კანდიდატების შესახებ.¹⁰⁰ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს არ გააჩნია რაიმე საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ჩართული კონსულტაციებში, რა კრიტერიუმები იყო გამოყენებული, როგორ და ვის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება კანდიდატის ნომინაციაზე. როდესაც გამოაცხადეს გიორგი ბადაშვილის ახალ მთავარ პროკურორად დანიშვნის შესახებ 2014 წლის 21 იანვარს, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ ეს არჩევანი განპირობებული იყო მისი „კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით და კარგი რეპუტაციით.“¹⁰¹
57. თუმცა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება იუსტიციის მინისტრისა დაასახელოს კანდიდატი არ იძლევა აღმასრულებელი

97 იხილეთ “არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის სამინისტროს და პრემიერმინისტრს პასუხისმგებლობით მოეკიდონ მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესს“ ციტატა ნაშრომიდან, შენ. 95.

98 “არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის სამინისტროს და პრემიერმინისტრს პასუხისმგებლობით მოეკიდონ მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესს“ ციტატა ნაშრომიდან, შენ. 95.

99 იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა დასამტკიცებლად წარუდგინა მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი პრემიერ მინისტრს. იხილეთ “საქართველოში ახალმთავარ პროკურორს ნიშნავენ“, დემოკრატიისა და თავისუფლების სადარაჯოზე, 22 იანვარი, 2014.

100 იქვე.

101 დაინიშნა ახალი მთავარი პროკურორი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 91.

შტოსგან განცალკევების გარანტიას, იგი ახდენს დისტანცირებას პრემიერ-მინისტრისგან და ქმნის ფორმალური საკონსულტაციო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას იუსტიციის სამინისტროს შიგნით. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლის იანვარში შერჩევის პროცესის დროს გამჭვირვალობის არ არსებობამ უკვე წარმოშვა გარკვეული წუხილი სამოქალაქო საზოგადოებაში იმის თაობაზე, რომ პრემიერ მინისტრი ერთპიროვნულად ატარებდა შერჩევის პროცესს.¹⁰² შეიქმნა ისეთი სურათი, რომ ახალი მთავარი პროკურორი შესაძლოა დანიშნულიყო პოლიტიკური საფუძვლით, რაც ძირს უთხრის პროკურატურის სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის ნებისმიერ სამართლებრივ გარანტიებს. შერჩევის პროცესის დროს, დაიკარგა ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის მიმართ ნდობის გაზრდის შანსი, რაც არ მოხდებოდა დანიშვნის პროცესის სრულიად გამჭვირვალედ და ყველა შესაბამის აქტორის მონაწილეობითა და კონსულტაციებით წარმართვის შემთხვევაში.

3. სასამართლოს რეპუტაცია და ავტორიტეტი

58. მონიტორინგის ყველა საქმეში მონიტორებმა იხილეს სასამართლო წესრიგისა და სასამართლო პროცედურების ფორმალურობის დაუცველობის მრავალი მაგალითი, რასაც სხდომის თავმჯდომარე მოსამართლისგან ან არ მოყოლია რეაგირება, ან მის მიერ წესრიგის აღდგენის მცდელობას არ მოუტანია სასურველი შედეგი. იმ საქმეების განხილვისას, სადაც წარმოდგენილი იყო დამცველ ადვოკატთა დიდი რაოდენობა, მოსამართლე რეგულარულად იკავებდა თავს ზომების მიღებისგან რათა შეეჩერებინა ადვოკატები, რომლებიც პროკურორს უყვიროდნენ ან პირიქით.¹⁰³ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე მხარეებს, განსაკუთრებით კი დაცვის მხარეს აძლევდა მოწმეთა მუქარის, დამცირების, აგრესიული დაკითხვის¹⁰⁴ ნებას დასაშვებ ფარგლებს მიღმა და იშვიათად რეაგირებდა დარბაზში ხმაურსა და სიცილოზე, რაც ართულებდა პროცესების ღირსეულად ჩატარებას.¹⁰⁵ ბრალდებულთა მიერ ხანგრძლივი პოლიტიკური შინაარსის სიტყვით გამოხვლისას, მოსამართლეები არაერთხელ აძლევდნენ მათ გაფრთხილებას, თუმცა არ ამყარებდნენ წესრიგს და დაჟინებით არ მოითხოვდნენ სასამართლოსადმი პატივისცემას, როდესაც დარბაზში ბრალდებულის მხარდამჭერებს შორის აურზაური ტყდებოდა.¹⁰⁶

102 არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის სამინისტროს და პრემიერმინისტრს პასუხისმგებლობით მოეკიდონ მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესს“ ციტატა ნაშრომიდან, შენ., 95.

103 მაგ. პროცესი ახალაია II, 23 მაისი და 24 ივლისი 2013.

104 პროცესი ახალაია I, 4 აპრილი, 2013; იხ. აგრეთვე მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 6 დეკემბერი; პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013 და 28 ივნისი 2013. მოწმეთა მოპყრობის შესახებ უფრო დეტალური ანალიზისთვის იხ. თავი XVI.

105 ახალაია II პროცესი, 23 მაისი 2013, 14 ივნისი და 3 ივლისი 2013. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 6 დეკემბერი, 2013. პროცესი ახალაია II, 14 ივნისი 2013 და 3 ივლისი, 2013.

106 მაგ., მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 7 ოქტომბერი, 2013 და 25 სექტემბერი 2013. პროცესი ახალაია II, 14 თებერვალი 2014; იხ. აგრეთვე მერაბიშვილის პროცესი, 14 მაისი 2014, 16 ივნისი 2014, მერაბიშვილის აპელაცია 27 ივლისი 2014.

59. მონიტორებმა ასევე დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეები ამჟღავნებდნენ პასიურ დამოკიდებულებას იმის მაგივრად, რომ აქტიურად უზრუნველყოთ თვით სასამართლოს, პროკურორის, ბრალდებულებისა და მოწმეთა მიმართ თავაზიანობა.¹⁰⁷ ზოგ შემთხვევებში, მოსამართლეები თითქმის არაფერს არ მოიმოქმედებდნენ პროკურატურის რეკომენდაციის დასაცავად, რითაც ბრალდებულის მხარდამჭერებს პროკურორის გაქილიკების საშუალება ეძლეოდათ, მისი პროტესტის მიუხედავად.¹⁰⁸ ასევე მოსამართლის მხრიდან არ მომხდარა რეაგირება ერთ-ერთ მოსმენაზე, როდესაც, დაკითხვის დროს პროკურორის კითხვებზე პასუხის მაგივრად მოწმე სულ იმეორებდა, რომ პროკურორის ქმედებები ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მოტივებით.¹⁰⁹
60. ზოგიერთი მოსამართლის პასიური დამოკიდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის როლის არასწორი აღქმით შეჯიბრებით პროცესში. ცხადია, რომ მათ არ უნდა დატოვონ მიკერძოებულის და პოლიტიკურად ტენდენციურის შთაბეჭდილება, რაც ნიშნავს, რომ ისინი მხარეებს თანაბრად უნდა მოეპყრონ და ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მხარეთა თანასწორობაზე მათ მიერ გამოყენებულმა ზომებმა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოვლენის შემთხვევაში. ასეა თუ ისე, არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები მოსამართლის მიერ სასამართლო წესრიგის დაცვისა და მონაწილეთა პატივისცემის შესახებ და ეს შესაბამისად სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს აკისრებს პასუხისმგებლობას საჭიროების შემთხვევაში გასცეს დადგენილება წესრიგის აღდგენის თაობაზე.
61. თუმცა ზემოთ აღწერილი მაგალითები იმაზე მიანიშნებენ, რომ მოსამართლეები ხშირად ყოყმანობენ სასამართლოს შეურაცხყოფისთვის სანქციების გამოყენებაზე სასამართლო დარბაზში წესრიგის აღსადგენად. ერთ შემთხვევაში მოსამართლემ გააფრთხილა დარბაზი, რომ თუ დამსწრეები არ დაშოშმინდებოდნენ, იგი შემდეგ სხდომებს საჯაროდ აღარ ჩაატარებდა.¹¹⁰ მართალია, ეს უკანასკნელი მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ ეს არ არის ტიპიური შემთხვევა, იგი მაინც იმსახურებს ყურადღებას, რადგან იგი შეეხება ბრალდებულის უფლებას საჯარო განხილვაზე. დახურული სასამართლო სხდომები ნებადართულია მხოლოდ კანონით მითითებული გამონაკლისი გარემოებების არსებობისას და საზოგადოების არდაშვება სასამართლო სხდომებზე სასამართლოს შეურაცხყოფის საპირწონედ ან წესრიგისა და ზრდილობიანი ქცევის დასამყარებლად სასამართლო დარბაზში უნდა მოხდეს მხოლოდ

107 პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013; მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 25 სექტემბერი, 2013; მერაბიშვილის პროცესი, 25 სექტემბერი, 2013.

108 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 25 სექტემბერი, 2013.

109 პროცესი ახალაია I, 25 ივნისი 2013.

110 ხიზანიშვილის პროცესი, 6 ნოემბერი 2013.

უკიდურეს შემთხვევაში. ამის სანაცვლოდ, მოსამართლეებმა უნდა მიმართონ სასამართლოს შეურაცხყოფისთვის გათვალისწინებულ გაფრთხილებებს და სანქციებს ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების მიმართ, ვინც რეალურად შლის სასამართლო პროცესს.¹¹¹

62. მართალია, არც ერთი ზემოთ აღწერილი შემთხვევა არ მიეკუთვნება იმ დონის დარღვევას, რასაც ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა ჰქვია, მაგრამ საერთო ჯამში, ასეთი შემთხვევები მთლიანობაში საზოგადოების აღქმაში იწვევს შეშფოთებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ის ფაქტი, რომ სასამართლო სხდომებზე ადგილი ჰქონდა ასეთ არასანქცირებულ ქცევას ყველა საქმის განხილვისას, რომელზეც მონიტორინგი ჩატარდა, ნათლად აჩვენებს გარკვეულ უპატივცემულობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, რომლის საშუალებით უნდა დადგინდეს სამართალ დანაშაულების შესახებ და დამყარდეს სამართლიანობა კანონდამრღვევების, დაზარალებულებისა და საერთოდ მთელი საზოგადოებისთვის. სასამართლო სხდომებს ხშირად აკლდა ფორმალური მხარე, რაც გასათვალისწინებელია, რადგანაც ეს საფრთხეს უქმნის პიროვნების თავისუფლებას და დაზარალებულის დაცვის უფლებებს. უწესრიგობა და უპატივცემულობა ქცევის ძირითადი წესების მიმართ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ძირს უთხრის პროცესის ხელშეუხებლობას, რომლის მიზანია ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ხელყოფის ფაქტების დადგენა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. ზემოთ აღწერილ შემთხვევებში მოსამართლეები ზოგჯერ აკეთებდნენ გამაფრთხილებელ განცხადებებს, მაგრამ ზოგადად, არასათანადო საქციელის წინააღმდეგ ისინი საკმარისად არ იყენებდნენ ისეთ სადამსჯელო ღონისძიებებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორცაა ჯარიმა ან დაპატიმრება, რაც უფრო ეფექტურად აღკვეთდა სასამართლო წესის დარღვევას და ხელს შეუწყობდა სასამართლო დარბაზში წესრიგის აღდგენას და შესაბამისად სასამართლო პროცედურების ხელშეუხებლობასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას.

დ. დასკვნა

63. სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობა მისი ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მონიტორინგის პერიოდში, წარმოიშვა რამოდენიმე პრობლემა, რამაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის აღმოფხვრა გამოიწვია. სახელმწიფო ოფიციალური პირების კომენტარები სასამართლო პროცესების შესახებ მიანიშნებდა მათ გარკვეულ კონტროლსა და გავლენაზე პროკურატურაზე, რაც ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოების მიერ პროკურატურის

111 საჯარო მოხმენებთან დაკავშირებული ყველა ასპექტის უფრო დეტალური ანალიზი მოცემულია VII თავში.

ორგანოების მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალობის აღქმაზე. საზოგადოების ეჭვები, რაც მთავარი პროკურორის დანიშვნას ახლდა თან, არ უწყობდა ხელს საზოგადოების საყოველთაო ნდობის განმტკიცებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი და მისი პოლიტიკური ნეიტრალობის გარანტიის არსებობას. და ბოლოს, მოსამართლეებს ან არ სურდათ ან არ შეეძლოთ სასამართლო პროცედურების გაკონტროლება და სასამართლო დარბაზში წესრიგის შენარჩუნება. ის ფაქტი, რომ სასამართლო სხდომის წესრიგის დარღვევა ძირითადად დაუსჯელი რჩებოდა და სხდომებს ხშირად აკლდათ სათანადო ფორმალობა, მიუთითებს სასამართლო სისტემისადმი სუსტ პატივისცემაზე.

ე. რეკომენდაციები

- სასამართლო პროცესების და განსაკუთრებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შესახებ კომენტირებისას, სახელმწიფო ოფიციალურმა პირებმა დიდი სიფრთხილით უნდა დააბალანსონ მათი განცხადებები სასამართლო ხელისუფლებისა და ასევე პროკურატურის პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად.
- მთავარი პროკურორის დანიშვნამდე, პრემიერმინისტრმა, იუსტიციის მინისტრთან მჭიდრო კოორდინაციით უნდა ჩაატაროს გამჭვირვალე და კონსულტაციებზე დამყარებული შერჩევის პროცედურა კანონის სრული დაცვით, რომელიც მოითხოვს, კანდიდატის დასახელებას იუსტიციის მინისტრის მიერ. დასახელებული კანდიდატების შერჩევისას, იუსტიციის მინისტრმა უნდა გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის ანგარიშის რეკომენდაციები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებზე: ნაწილი II. სახელდობრ, შექმნას პროფესიული გამოცდილების მქონე არაპოლიტიკოსი პირებისგან შემდგარი საზოგადოებისა და მთავრობის ნდობით აღჭურვილი კომისია და რომელსაც რეკომენდაციას გაუწევენ იურიდიული და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მუდმივი ან ხანგრძლივი ვადით დანიშვნის უზრუნველსაყოფად, **ამ ვადის განახლების შესაძლებლობის გარეშე. თანამდებობაზე ყოფნის ვადა არ უნდა იყოს მიზმიური საპარლამენტო ან საპრეზიდენტო ვადებთან. მთავარი პროკურორის ვადის ამოწურვამდე თანამდებობიდან გათავისუფლების კრიტერიუმები და პროცესი აგრეთვე უნდა გაიწეროს კანონში. დებულებები უნდა უზრუნველყოფდნენ საკმარის პრევენციულ ზომებს მიკერძოებულობისა და პოლიტიკური გავლენის თავიდან ასაცილებლად.**
- მოსამართლეებმა სრულად უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება სასამართლო დარბაზში წესრიგის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყონ სამართლიანი

სასამართლო პროცესის ჩასატარებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნა და აამაღლო საზოგადოების ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

- მოსამართლეთა მომზადების ორგანიზატორმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამართლეთს უკეთ შეასრულონ მათი როლი სასამართლო დარბაზში წესრიგის შენარჩუნებისას და ამავე დროს დარჩენ მნიშვნელოვანი შეჯიბრებითობის პროცესში.

VII. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება

64. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება არსებითად უზრუნველყოფს ბრალდებულთა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. სასამართლო სხდომების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ცალკეული პროცესის საზოგადოების მიერ გულდასმით დაკვირვებას, იცავს ბრალდებულს მისი უფლებების ფარული დარღვევისგან. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესის მეტ გამჭვირვალობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ზრდას, მეტ ანგარიშვალდებულებას და სასამართლო სისტემის ირგვლივ ფართო მსჯელობას.
65. ამ თავში განხილულია დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას, სასამართლო დარბაზის მცირე ზომას, განსაკუთრებულად ხანგრძლივ სასამართლო პროცესებს, სასამართლო დარბაზში ხელახლო შესვლასა და გამოსვლას, სახელმწიფო საიდუმლოების ან საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემების გამო საზოგადოების სასამართლო სხდომაზე დაუშვებლობის წესების არათანმიმდევრულად გამოყენებას და ბუნდოვან და არათანმიმდევრულ კრაქტიკას, რაც უკავშირდება მედიისა და საზოგადოების მიერ სასამართლო სხდომების ჩანაწერის გაკეთების უფლებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

66. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, (UDHR), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR) ითვალისწინებენ საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას.¹¹² ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვავს ამ უფლების მნიშვნელობას და აცხადებს, რომ „სასამართლო სხდომების საჯაროობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ამდენად იცავს პირისა და მთლიანად

112 UDHR, მუხლ.10 და 11(1); ICCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1).

საზოგადოების ინტერესებს.¹¹³ მის მნიშვნელობას ასევე ცნობენ ეუთოს წევრი სახელმწიფოები.¹¹⁴

67. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ასახელებენ იმ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა. ესენია: მორალი, საზოგადოებრივი წესრიგი ან ეროვნული უსაფრთხოება, მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა, რომელიც განისაზღვრება თავად სასამართლოთა მიერ.¹¹⁵ თუმცა, თანაზომიერების პრინციპი, რომელიც ადამიანის უფლებების ყველა კანონიერ შეზღუდვას ახასიათებს, გულისხმობს რომ ნებისმიერი შეზღუდვა „მკაცრად უნდა გამომდინარეობდეს საქმის გარემოებიდან.“¹¹⁶ უფრო მეტიც, ასეთი ზომები უნდა გატარდეს თანაბრად და არ უნდა იყოს მიმართული ადამიანების კონკრეტული კატეგორიისკენ.¹¹⁷ რაც შეეხება პრესისა და საზოგადოების არ დაშვებას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ საიდუმლო ინფორმაციის არსებობა ავტომატურად არ ამართლებს სასამართლო პროცესის დახურვას და იმისათვის რომ აიკრძალოს პროცესზე დაშვება, სასამართლოებმა სხდომის დახურვა უნდა მიიჩნიონ საჭიროდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის დასაცავად და სხდომის დახურვაზე ბრძანება უნდა გაიცეს მხოლოდ ასეთი ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობის შემთხვევაში.¹¹⁸
68. სისხლის სამართლის საჯარო პროცესის უფლების ადრესატია არა მხოლოდ ბრალდებული, არამედ, აგრეთვე საზოგადოება, რომელსაც აქვს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის ქონის უფლება.¹¹⁹ რაც შეეხება სასამართლო დარბაზის სივრცეს, სასამართლოებმა უნდა ჩაატარონ სხდომები ისეთ დარბაზებში, რომლებიც დაიტევენ საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე ხალხის მოსალოდნელ რაოდენობას.¹²⁰

113 იხ. “ზოგადი კომენტარი No.32, მუხლი 14: სასამართლოების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება”, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, გაეროს დოკუმენტი U.N. Doc. CCPR/C/GC/32, 9 - 27 ივლისი 2007, პარ. 28.

114 ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პრინციპი 13.9; კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან შენ. 4, პარ. 5.16; კიევის რეკომენდაციები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 15, პარ. 32.

115 ICCPR, მუხლი 14(1); იხ. აგრეთვე, ECHR, მუხლი 6(1).

116 ოლუჟიცი ხორვატიის წინააღმდეგ, ECtHR, 5 მაისი 2009, პარ. 71.

117 იხილეთ ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 29, რომელიც ამბობს, რომ “[...] სასამართლო მოსმენა უნდა ჩატარდეს საჯაროდ [...] და მასზე დასწრება არ უნდა შემოიფარგლებოდეს კონკრეტული კატეგორიის პირებით.”

118 ველკე და ბილაეკი პოლონეთის წინააღმდეგ, ECtHR, 15 სექტემბერი 2011, პარ. 77 და ბელაშევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 04 მაისი 2009, პარ. 83.

119 იხ. ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 28.

120 იხ. მარინიჩი ბელორუსიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების კომიტეტი, 1502/2006, UN Doc CCPR/C/99/D/1502/2006 (2010), პარ. 10.5.

69. შემდგომ, ისევე როგორც სხვა უფლებებთან დაკავშირებით აქვს მიდგომა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, საჯარო განხილვის უფლების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად და ეფექტურად.¹²¹

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

70. კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და კანონი საერთო სასამართლოების შესახებ ცალსახად ითვალისწინებენ სასამართლო პროცედურების საჯაროობას.¹²² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად.“¹²³
71. გამონაკლისის სახით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დახურული სასამართლო სხდომების ჩატარების შესაძლებლობას ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას ან როდესაც საჭირო ხდება სასამართლო წესრიგის უზრუნველყოფა.¹²⁴ თუ სხდომის დახურვის შუამდგომლობას მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, ეს საკითხი დახურულ სხდომაზე განიხილება.¹²⁵ მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი.¹²⁶
72. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი განსაზღვრავს ინფორმაციას სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მინიჭების პროცედურას. ეროვნული უშიშროების საბჭორეკომენდაციასაძლევეს პრეზიდენტს იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს საიდუმლოდ.¹²⁷ კანონი განსაზღვრავს თუ რომელი ინფორმაცია შეიძლება იქნას ან არ იქნას მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოებად.¹²⁸ მნიშვნელოვანია, რომ „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის გრიფის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება, ამ ცნობების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევალუა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელმაც ეს ცნობები შეიმუშავა ან მიიღო განსახილველად და/ან შესანახად.“¹²⁹ გადაწყვეტილება ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს.¹³⁰

121 იხ. ჰუმანოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ECtHR, 29 თებერვალი 2008, პარ. 144; აირეი ირლანდიის წინააღმდეგ, ECtHR, 9 ოქტომბერი 1979, პარ. 24; არტიკო იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 13 მაისი 1980, პარ. 33 სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „განზრახვა არა თეორიული ან ილუზორული უფლებების გარანტირება, არამედ ისეთი უფლებებისა, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტურია.“

122 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(1); სსსკ-ის მუხლები 10 და 13(1); ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 6(1).

123 მუხლი 10(1) სსსკ.

124 მუხლი 182 სსსკ. იხ. აგრეთვე იქვე., მუხლი 85(1) და კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 131 (2).

125 მუხლი 182(5) სსსკ.

126 იქვე, მუხლი 182(6).

127 კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 4(2) და (3).

128 კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 7 და 8.

129 კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 9(1).

130 იქვე, მუხლი 16(2).

73. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლო წესრიგის დაცვაზე უმთავრეს პასუხისმგებლობას აკისრებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს.¹³¹ წესრიგის დაცვის მიზნით, კოდექსი უფლებამოსილებას ანიჭებს მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა.¹³² სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მთელი რიგი სანქციები სასამართლო წესრიგის დარღვევის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, მაგალითად, ჯარიმები, სასამართლო დარბაზიდან გაძევება ან დაკავება.¹³³ ამასთან ერთად, მოსამართლეებს შეუძლიათ დაუყოვნებლივ გაზარდონ ჯარიმის ოდენობა ან გააძევიან პირი სასამართლო დარბაზიდან, თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას.¹³⁴ უფრო მეტიც, თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მოწაწილის ან მხარის მიმართ, სასამართლოს შეუძლია გასცეს განჩინება პირის დაპატიმრების შესახებ.¹³⁵ პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე, თუმცა სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.¹³⁶
74. საჯარო განხილვის გარანტიის განსამტკიცებლად, საქართველოს კანონით საზოგადოებას საშუალება ეძლევა დაესწროს სასამართლო სხდომას და განახორციელოს ფოტოების გადაღება და აუდიო და/ან ვიდეო მასალის ჩაწერა „დასაბუთებული მოთხოვნის“ საფუძველზე.¹³⁷ კანონი ავტომატურად აძლევს საჯარო მოსმენის ვიდეო ჩანაწერის გაკეთების უფლებას საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც მოთხოვნისამებრ ვალდებულია გაავრცელოს მასალა სხვა მედია მაუწყებლებში.¹³⁸ თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი გადაწყვეტს არ ჩაწეროს სასამართლოს სხდომა, სხვა კომპანიას რომელსაც გააჩნია საერთო მაუწყებლობის ლიცენზია შეუძლია წერილობითი განცხადების საფუძველზე გააკეთოს ჩანაწერი; კანონში არ არის მითითებული რაიმე ვადები ან მექანიზმები ამ დებულების განსახორციელებლად.¹³⁹ ამასთან ერთად, სასამართლომ უნდა გააკეთოს სხდომის ჩანაწერი და მოთხოვნისამებრ ხელმისაწვდომი გახადოს მხარეებისთვის, რომლებმაც, დახურული სხდომის ჩანაწერის გადაცემის შემთხვევაში ხელი უნდა მოაწერონ „კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებას“.¹⁴⁰

131 მუხლი 85(1) სსკ.

132 იქვე, მუხლი 182(4).

133 იქვე, მუხლი 85 (2) და 85 (7).

134 იქვე, მუხლი 85 (2) და 85 (6).

135 იქვე, მუხლი 85(7).

136 იქვე, მუხლი 85(5).

137 კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 131 (4).

138 იქვე, მუხლი 131 (2) და (3).

139 იქვე, მუხლი 131 (3).

140 იქვე, მუხლი 131 (1).

გ. ანალიზი

1. ინფორმაციის მოსმენა და სასამართლო დარბაზის სიდიდე

75. საჯარო მოსმენის უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოებას აქვს ეფექტური ხელმისაწვდომობა სასამართლო სხდომებზე. განხილვების შესახებ წინასწარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სასამართლო დარბაზის სიდიდეს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დასწრებისთვის.
76. როგორც თბილისის, ისე ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში ინფორმაცია ცალკეულ სასამართლო სხდომებზე არ იყო ყოველთვის ნაჩვენები სასამართლოს შენობის საინფორმაციო ეკრანებზე და აგრეთვე ყოველთვის არ ხდებოდა განახლებული ინფორმაციის მიწოდება სასამართლო სხდომების განრიგის ან ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.¹⁴¹ იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლო დარბაზის ნომერი ან სხდომის დრო არასწორად იყო მითითებული.¹⁴² ინფორმაციის მიღება ხანდახან შესაძლებელი იყო საინფორმაციო მაგიდასთან, მაგრამ მომსახურე პერსონალს ყოველთვის არ ჰქონდათ სრული ან ზუსტი ინფორმაცია.¹⁴³ ზოგჯერ, სასამართლო დარბაზის ნომრის შეცვლა ცხადდებოდა მიკროფონებით.¹⁴⁴ ზუსტი ინფორმაციის არარსებობა სასამართლო სხდომების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ხშირად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესს ართულებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის კუთხით. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც სასამართლოები არ აუღერებენ ინფორმაციას სასამართლო სხდომების ჩატარების შესახებ ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით.
77. ყველა საქმე, რომლებსაც მონიტორები აკვირდებოდნენ, შეეხებოდა განმაურებულ ბრალდებულ პირებს და წარდგენილი ბრალდებები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. თუმცა, სასამართლო დარბაზები სიმცირის გამო ხშირად ვერ იტევდა ყველას, ვისაც სურდა პროცესზე დასწრება.¹⁴⁵ ამის შედეგად, სასამართლო დარბაზის შესასვლელში ხშირად იყო ჭყლეტვა და შეხლაშემოხლა.¹⁴⁶ სხვა შემთხვევებში სასამართლო დარბაზები

141 პროცესი ახალაია I, 28 ივნისი 2013 და 2 ივლისი 2013; ძიმციშვილის პროცესი, 22 მარტი 2013, 17 მაისი 2013 და 11 ივნისი 2013; გუნავას პროცესი, 1 ივლისი 2013 და 12 ივლისი 2013; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 27 მაისი 2013 და 26 ივნისი 2013. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 8 ნოემბერი 2013 და 27 დეკემბერი 2013.

142 პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013 (არასწორი სასამართლო დარბაზი იყო მითითებული); პროცესი ახალაია I, 9 ივლისი 2013 (სხდომა გამოცხადებული იყო 13:00 მაგრამ დაიწყო 11:00); პროცესი ახალაია II, 20 ივნისი 2013 (ეკრანი არასწორ დროს აჩვენებდა).

143 პროცესი ახალაია I, 2 ივლისი 2013.

144 მაგ., პროცესი ახალაია II, 27 მაისი 2013.

145 პროცესი ახალაია I, 20 თებერვალი 2013, 28 თებერვალი 2013, 1 მარტი 2013, 5 მარტი 2013, 14 ივნისი 2013 და 1 აგვისტო 2013; პროცესი ახალაია II, 17 აპრილი 2013, 30 აპრილი 2013, 12 ივნისი 2013 და 12 აგვისტო 2013; პროცესი ახალაია III, 9 სექტემბერი 2013 და 17 სექტემბერი 2013; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 19 მარტი 2013.

146 პროცესი ახალაია II, 17 აპრილი 2013 და 12 აგვისტო 2013.

გადატენილი იყო ხოლმე; ერთხელ სასამართლო დარბაზში სკამი ჩატყდა,¹⁴⁷ რადგანაც ვერ გაუძლო ბევრ ხალხს. არ გამოიყენებოდა ალტერნატიული საშუალებები საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მაგალითად ვიდეო ეკრანები.

78. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველა ადამიანს ვერ მისცემს ადგილის უზრუნველყოფის გარანტიას, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა სწორად და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები, რათა საბოლოო ჯამში უზრუნველყონ სასამართლო სხდომების საჯაროობა. განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევენ, საჭიროა ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, როგორცაა უფრო დიდი ზომის სასამართლო დარბაზები ან პირდაპირ ეთერში ვიდეო გადაცემები დიდ ეკრანებზე შენობის სხადასხვა ადგილებში. სასამართლო სხდომების დაგეგმვა პატარა დარბაზში, როდესაც ცნობილია რომ ეს პროცესი ბევრ ხალხს მოიზიდავს არა მხოლოდ ხელს უშლის დაინტერესებულ პირებს დასწრებაში, არამედ აიძულებს თავი შეიკავონ მომავალ სხდომებზე დასწრებისგან, რაც ხელს უწყობს სასამართლო პროცესის წარმართვის უფლებას და საზოგადოების უფლებას თვალის ადევნოს სასამართლო პროცესებს.
79. ასეთი პრაქტიკა შეშფოთებას იწვევდა საზოგადოების საჯარო განხილვებზე დასწრების უფლების შელახვის გამო, რადგანაც საზოგადოება ხშირად ვერ ესწრებოდა საჯარო სხდომებს მათი განრიგის შესახებ არაზუსტი ან არარსებული ინფორმაციის და ასევე სასამართლო დარბაზებში არასაკმარისი სივრცის გამო.

2. სასამართლო დარბაზიდან გამოსვლის და შესვლის აკრძალვა

80. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებსა და დარბაზის წევრებს არ ეძლეოდათ დარბაზიდან გასვლის და უკან შემოსვლის უფლება, რაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სხდომა ხანდახან 10 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ისიც ლიმიტირებული შესვენებებით, ძალზე აძნელებდა საზოგადოებისთვის პროცესის თვალყურის დევნებას.¹⁴⁸
81. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს საზოგადოების შესაძლებლობას დაესწროს სასამართლო მოსმენას საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად. ეს უფლება ეფექტურად და პრაქტიკულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. დარბაზიდან გასვლის და შემოსვლის აკრძალვის სავარაუდო მიზეზი დარბაზში წესრიგის დაცვაა. მაგრამ, საზოგადოების გარკვეულ წევრებს შესაძლოა უფრო ხშირად სჭირდებოდეთ საჭირო ოთახში გასვლა ან შეიძლება ზოგიერთს არ შეუძლია დიდხანს ჯდომა. დარბაზიდან

147 პროცესი ახალაია II, 16 მაისი 2013 (სასამართლოს სკამი, რომელზეც ბევრი ადამიანი იჯდა, ჩატყდა პროცესის მსვლელობისას).

148 იხ. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 29 იანვარი, 2014; ახალაია I პროცესი, 23 ივლისი 2013, სადაც სასამართლო განხილვები დღეში 10 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, თუმცა მოკლე შესვენებებით. მონიტორებს ვერ უხსნიდნენ, თუ რა აზრი ჰქონდა დარბაზში შესვლისა და გამოსვლის შეზღუდვას, და შეიძლებოდა მხოლოდ ვარაუდი, რომ ეს დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნით ხდებოდა.

გასვლის ან დაბრუნების აკრძალვა არათანაბრად ეხება ამ ჯგუფებს, რაც შესაძლოა საბოლოო ჯამში ამ აკრძალვას დისკრიმინაციულ ხასიათს აძლევს, განსაკუთრებით იმდენად, რამდენადაც სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა ხშირად იყო შესაძლებელი ნაკლებად მკაცრი ზომების დაწესებით, მაგალითად სასამართლოს და/ან სასამართლოს მანდატურს შეეძლო წინასწარ ეცნობებინა დარბაზში მსხდომთათვის ჩუმად და შეუმჩნეველად გასვლისა და დაბრუნების შესახებ.

3. პრესისა და საზოგადოების არდაშვება ეროვნული ინტერესების დაცვის მიზეზით

82. მონიტორებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ხელმისაწვდომობა სასამართლო პროცესზე შეზღუდული იყო ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებით.¹⁴⁹ ასეთ შემთხვევებში მხარეები, მათი ადვოკატები, ან მოწმეები აცხადებდნენ, რომ განსახილველი მტკიცებულება სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა.¹⁵⁰ გადაწყვეტილება საზოგადოების არ დაშვების შესახებ პრობლემატური იყო საზოგადოების სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლების სახელმწიფო საიდუმლოების მოტივით აკრძალვის სუსტად დასაბუთების და საკმაოდ ფართო მოქმედების შინაარსის გამო.
83. რაც შეეხება სასამართლო სხდომის დახურვის აუცილებლობის სუსტ დასაბუთებას, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგჯერ მოწმეების დაკითხვა ხდებოდა დახურულ სხდომებზე საზოგადოების არდაშვების მიზეზის მკაფიოდ აუხსნელად.¹⁵¹ ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება სასამართლოს ვალდებულებას საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი, სსსკ-ს 182-ე მუხლის შესაბამისად და შეიძლება იქნას აღქმული როგორც თვითნებური და გაუმჭვირვალე.
84. ასევე რამოდენიმე შემთხვევაში, სასამართლომ არ შეაფასა ის, თუ რამდენად დასაბუთებული იყო მხარის მტკიცება სახელმწიფო საიდუმლოს პრივილეგიის მითითების შესახებ.¹⁵² მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას, პროკურორმა გააპროტესტა დაცვის შეკითხვა რომელიც, მისი თქმით ეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ახალწვეულის ფიზიკურ

149 ODIHR-ის მონიტორებისთვის დახურული სასამართლო სხდომები არ იყო ხელმისაწვდომი. ODIHR-მა თხოვნით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნება დაერთოთ დასწრებოდნენ დახურულ სხდომას, რაზეც უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ODIHR-ის დასწრება მოსამართლეთა დისკრეცია იყო და რომ სხდომაზე დასწრება „იზღუდებოდა მხარეების მიერ კონფიდენციალურობის მოთხოვნის მიზეზით.“ წერილი ODIHR-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან, 11 ივნისი 2013.

150 პროცესი ახალაია I, 7 ივნისი 2013 და 10 ივნისი 2013; პროცესი ახალაია II, 17 აპრილი 2013 და 5 ივნისი 2013; გუნავას პროცესი, 18 ივნისი 2013. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 8 იანვარი, 2014.

151 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 25 დეკემბერი 2013 და 27 დეკემბერი 2013.

152 იხილეთ მაგ., გუნავას პროცესი, 18 ივნისი 2013; პროცესი ახალაია I, 7 ივნისი 2013 და 10 ივნისი 2013.

შეურაცხყოფას ვარჯიშის დროს, სადაც მან განაცხადა, რომ პასუხის გაცემა გამოიწვევდა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნებას.¹⁵³ მოსამართლემ სთხოვა პროკურორს თავი შეეკავებინა მოწმის სახელით პასუხისგან; თუმცა, მოწმემ შემდეგ თავად გაიმეორა პროკურორის განცხადება და უარი თქვა პასუხზე. ამ ინფორმაციის დასაშვებობისა და იმის შესახებ თუ რამდენად შეადგენდა იგი სინამდვილეში სახელმწიფო საიდუმლოს, შემდგომი მსჯელობა არ ყოფილა. საქართველოს კანონის თანახმად, არც მოწმესა და არც მხარეებს და მათ წარმომადგენლებს არ აქვთ უფლებამოსილება გადაჭრით მიაკუთვნონ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას; განცხადება სახელმწიფო საიდუმლოების მიკუთვნებაზე უნდა გააკეთოს სახელმწიფო ორგანომ, რომელიც ასეთ ინფორმაციას ინახავს.¹⁵⁴ თუ მხარე დავობს მიკუთვნებას, მაშინ მან უნდა გადაამოწმოს ეს ინფორმაცია შესაბამის უწყებებთან.¹⁵⁵ მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეების განხილვას არ გამოუწვევია სასამართლო სხდომის დახურვა, სასამართლოსთვის პრობლემატურია პოტენციური ინფორმაციის გამორიცხვა მტკიცებულებიდან, თუ სათანადოდ არ შეაფასებს რამდენად გამართლებულია ინფორმაციის მიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოდ. ამან შესაძლოა უსამართლოდ გამორიცხოს გარკვეული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის და ამით ჩამოართვას ბრალდებულს საჯარო მოსმენის უფლება.

85. და ბოლოს, ზოგიერთი სასამართლო სხდომის დახურვა გასცდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის გაცხადებულ მიზანს. ერთ საქმეზე, მოსამართლემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა, რათა განეხილა საზოგადოების არ დაშვება შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ჩვენების მიცემის დროს და შემდეგ, დახურა სხდომა სანამ სხვა მოწმე, რომელიც წარმოადგენდა უწყებას სადაც ინახებოდა გრიფიანი ინფორმაცია, იძლეოდა ჩვენებას, განაცხადა რა, რომ ჩვენების მიცემისას უნდა წარმოედგინათ ინფორმაცია, რომელსაც გრიფი ჰქონდა დადებული.¹⁵⁶ თუმცა პროკურორმა ითხოვა საზოგადოება არ დაეშვათ მხოლოდ ჩვენების მიცემის იმ ნაწილზე, სადაც მოწმეს უნდა წარედგინა გრიფიანი დოკუმენტები, მოსამართლემ გადაწყვიტა სხდომის დახურვა ჩვენების მიცემის მთელი დროის განმავლობაში. მან ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მას არ შეეძლო გაეკონტროლებინა თუ როდის უპასუხებდა მოწმე შეკითხვას, სადაც მას უნდა მოეტანა აღნიშნული დოკუმენტიდან ამონარიდები. თუ მოწმე ჩვენებას იძლევა საჯარო ინფორმაციაზე, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ერთად, მოსამართლემ, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოს რომ საჯარო ინფორმაციის ნაწილი განიხილოს

153 პროცესი ახალაია I, 7 ივნისი 2013.

154 იხილეთ კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 9(1).

155 იხილეთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, პროცესი ახალაია II, 5 ივნისი 2013, სადაც მოსამართლემ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა განმარტებისთვის მხარის მოთხოვნა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შესახებ იმის დასადგენათ, თუ რომელი ინფორმაცია წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას.

156 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 8 იანვარი, 2014.

საჯაროდ და სასამართლო სხდომის დახურვა მოხდეს მხოლოდ იმ დოკუმენტის წარდგენისას, რომელიც სახელდება, როგორც სახელმწიფო საიდუმლოება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებას ექსპერტებსა და ჩვეულებრივ მოწმეებს შორის. პირველნი არიან ისინი, ვისაც აქვთ შესაბამისი ცოდნა თუ როგორ დაიცვან გრიფით საიდუმლო ინფორმაცია გამჟღავნებისგან დაკითხვის პროცესში და უკანასკნელნი კი გამოუცდელი მოწმეები არიან.

86. ყველაფრის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული შემთხვევები, რომლებიც გულისხმობდნენ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განუცალკევებლობას ძირითადი მტკიცებულებებიდან და საზოგადოების სასამართლოს დარბაზებში არ დაშვების შესახებ გადაწყვეტილებებს, რისკის ქვეშ აყენებდნენ ბრალდებულის საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას.

4. პრესის ან საზოგადოების არ დაშვება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით

87. მონიტორინგის უმეტესი საქმეების განხილვისას, მოსამართლეები სასამართლო სხდომის დასაწყისში მიმართავდნენ საზოგადოებას და მხარეებს დაეცვათ წესრიგი და აფრთხილებდნენ შესაძლო სანქციების გამოყენების შესახებ. ზოგჯერ, სასამართლო დახურულად აცხადებდა ხოლმე სხდომას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიზეზით. და მაინც, დარბაზში წესრიგის დარღვევისას სასამართლო ვერ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველაზე შესაფერის და თანაზომიერ სანქციას, ან იყენებდა არათანმიმდევრულად.

88. როდესაც სასამართლო დარბაზში წესრიგი ირღვეოდა, მოსამართლეები ხშირად იღებდნენ გადაწყვეტილებას საზოგადოების მთლიანად არ დაშვების თაობაზე, იმის ნაცვლად, რომ წესრიგის დასაცავად ნაკლებად მკაცრი ზომები გამოეყენებინათ, როგორც ამას მოითხოვს პროპორციულობის პრინციპი. ერთ შემთხვევაში, გამოიცა ბრძანება სხდომაზე მთელი საზოგადოების არ დაშვების შესახებ სხდომის ბოლომდე, რადგან რამოდენიმე დამსწრე პირმა უამრავი შეკითხვა დაუსვა მოწმეს.¹⁵⁷ იყო სხვა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა ვერ გამოიყენეს სანქციები, დარბაზში წესრიგის დაცვის საჭიროების მიუხედავად.¹⁵⁸ წესრიგის დაცვის მიზნით კანონიერია საზოგადოების სასამართლო პროცესზე დაშვების შეზღუდვა რამოდენიმე წევრისთვის, მაგრამ ამ ზომის გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში. მთლიანად საზოგადოების არ დაშვება, როდესაც ცალკეული წევრების დაჯარიმება ან გაძევება საკმარისია წესრიგის დასამყარებლად, არც მართლზომიერია და არც საჯარო განხილვის პროცესის უფლებას შეესაბამება, რადგან ეს სანქცია აგრეთვე ვრცელდება საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც არ დაურღვევია სასამართლო წესრიგი. ინდივიდუალური

157 პროცესი ახალაია I, 29 აპრილი 2013; იხ. აგრეთვე პროცესი ახალაია II, 30 მაისი 2013.

158 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 12 სექტემბერი, 2013.

წევრების გაფრთხილება, ჯარიმები, ჯარიმების გაზრდა, გაძევება და დაპატიმრება უნდა განიხილებოდეს ამავე მიმდევრობით, სანამ მიიღება გადაწყვეტილება საჯარო სასამართლო პროცესზე დასწრების უფლების შეზღუდვაზე.

89. სასამართლო სხდომის დახურვის ნაცვლად სხვა ზომების გამოყენება არ ხდებოდა თანამიმდევრულად. მაგალითად, როდესაც საზოგადოების წევრები, რომლებსაც წინა სხდომებზე აუკრძალეს დასწრება და აღარ დაიშვებოდნენ იმავე საქმის განხილვის მომდევნო სხდომებზე, მოსამართლეები ნებას რთავდნენ სხვა გაძევებულ წევრებს დასწრებოდნენ იმავე საქმის მომდევნო სხდომას.¹⁵⁹ წინა სხდომებიდან გაძევებული საზოგადოების წევრების უკან შემოშვება სასამართლო დარბაზში, მაშინ როდესაც სხვებს მუდმივად აძევებდნენ, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლე იქცეოდა მიკერძოებულად და თვითნებურად და ამდენად პოტენციურად აკნინებდა საზოგადოებრივ ნდობას.
90. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გამო საზოგადოების არ დაშვების შემთხვევაში, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო სასამართლო პროცესზე დასწრების უფლების განხორციელება დახურული პროცესის აუდიო/ვიდეო ჩანაწერების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობით, კონფიდენციალობის შეთანხმებაზე ხელის მოწერის გარეშე. ასეთი ზომა გადაჭრიდა საზოგადოების არ დაშვების პრობლემას ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, რადგანაც სასამართლოს ბრძანება პროცესის დახურვის შესახებ ასეთ შემთხვევებში არ გაიცემა სახელმწიფო საიდუმლოების ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით.
91. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლოები შესაძლოა ზოგ შემთხვევებში არასწორად იყენებდნენ კანონის დებულებებს საზოგადოების სასამართლო დარბაზში არ დაშვების შესახებ წესრიგის დაცვის მიზნით, რითაც უკრძალავდნენ საზოგადოებას პროცესის მონიტორის როლის შესრულებას. ამდენად, ეს პრაქტიკა ზღუდავდა ბრალდებულის საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას და შესაბამისად მოცემულ პროცესებზე საზოგადოების დასწრებასაც.

5. სასამართლო განხილვების ჩაწერა

92. საჯარო პროცესის უფლების განხორციელების ერთი საშუალება საქართველოს პრაქტიკაში არის საზოგადოების და მედიის მიერ სასამართლო სხდომების ჩანაწერების გაკეთება. ასეთი ჩანაწერები შეიძლება შემდეგ ნაწილობრივ ეთერში გავიდეს მაუწყებლების მიერ, რაც ხელმისაწვდომს ხდის პროცესებს საზოგადოებისთვის.
93. რაც შეეხება საზოგადოებასა და მედია მაუწყებლებს, მონიტორებმა შენიშნეს განსხვავებული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი მიდგომები

პროცესების ჩაწერის მიმართ, რამაც შეიძლება შეზღუდოს ფართო საზოგადოების უფლება პროცესების ხელმისაწვდომობაზე და ბრალდებულის უფლება საჯარო განხილვაზე. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს სისტემატიურად ეძლეოდა აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთების უფლება, კერძო მაუწყებელი კომპანიები ექვემდებარებოდნენ არათანმიმდევრულ სასამართლო პრაქტიკას, რაც ხშირად მთავრდებოდა მათთვის ჩანაწერის გაკეთებაზე უარის თქმით.¹⁶⁰ კერძო პირებს ზოგადად ეძლეოდათ სასამართლო სხდომების ჩანაწერების გაკეთების უფლება, თუმცა სასამართლოების ინტერპრეტაცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს უფლება, სხვადასხვაგვარი იყო.¹⁶¹ მაგალითად, ODIHR-ის მონიტორებს ზოგჯერ სთხოვდნენ წერილობით ან ზეპირ განაცხადებს პროცესების აუდიო ჩანაწერების გაკეთებასთან დაკავშირებით.¹⁶²

94. საჯარო სასამართლო განხილვის უფლება ეფუძნება სხვადასხვა მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ კონტროლს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ამ მექანიზმებმა, როგორცაა მაგალითად საჯარო განხილვის ჩანაწერები, უნდა უზრუნველყონ ამ უფლების ეფექტური რეალიზაცია. ამდენად, გამოვლენილი დაბრკოლებები საზოგადოების უფლების განხორციელებაში ჩანაწერების გაკეთებისა და მათი გავრცელების კუთხით, ხელს უწყობდა საჯარო სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფას.

დ. დასკვნა

95. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას ჰქონდა მონიტორინგის უმეტეს პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა, მაინც შეინიშნებოდა გარკვეული პრობლემები სასამართლო განხილვების ხელმისაწვდომობის კუთხით. პირველი, ზუსტი ინფორმაცია სასამართლო სხდომების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ არ მიეწოდებოდა საზოგადოებას რეგულარულად, რაც ართულებდა პროცესების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, უმეტესი საქმეები, რომლებსაც მონიტორები აკვირდებოდნენ, შეეხებოდა განმაურებულ ბრალდებულ პირებს და ბრალდებებს, რაც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. თუმცა, სასამართლო

160 იხ. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 19 სექტემბერი 2013, 7 ოქტომბერი 2013 და 21 ოქტომბერი. ამ წინასასამართლო სხდომებზე, მოსამართლეები იღებდნენ წინააღმდეგობრივ გადაწყვეტილებებს კერძო მაუწყებლების მიერ გადაღების უფლებასთან დაკავშირებით: ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ დაადგინა, რომ კერძო მაუწყებლების ავტორიზაცია გადაღებაზე ექვემდებარებოდა მოთხოვნის წარდგენას სხდომის ჩატარებამდე 24 საათით ადრე. სხვა შემთხვევაში, კერძო მაუწყებლებს საერთოდ არ აძლევდნენ გადაღების უფლებას საზოგადოებრივი მაუწყებლის იქ ყოფნის გამო. და კიდევ სხვა შემთხვევაში, კერძო მაუწყებლებს მისცეს გადაღების უფლება ყოველგვარი წინასწარი განაცხადის გარეშე, რადგანაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უეცრად დატოვა სასამართლო პროცესი.

161 მაგალითად, პროცესი ახალაია II, 24 ივნისი 2013, 1 ივლისი 2013 და 3 ივლისი 2013; პროცესი ახალაია I, 10 მაისი 2013.

162 იხ. პროცესი ახალაია III, 14 თებერვალი 2014; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 6 მარტი 2014.

დარბაზები სიმცირის გამო ხშირად ვერ იტევდნენ პროცესზე დასწრების ყველა მსურველს. შემდგომ, დარბაზიდან გასულ პირებს არ რთავდნენ სასამართლო დარბაზში ხელახლა შესმოსვლის ნებას. ასეთი შეზღუდვები, ლიმიტირებულ შესვენებებთან ერთად, პროცესის ხანგრძლივად მიმდინარეობისას ხელს უშლიდა საზოგადოებას დასწრებოდა სასამართლო პროცესს. მონიტორებმა აგრეთვე შენიშნეს რამოდენიმე გარემოება, სადაც პროცედურა ზღუდავდა საზოგადოების სასამართლო პროცესზე დასწრებას ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზეზით. ასეთ შემთხვევებში საზოგადოების პროცესზე დასწრების უფლება იზღუდებოდა სასამართლოს მიერ იმ ინფორმაციის შესწავლის გარეშე, თუ რამდენად აუცილებელი იყო ეს შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გამო. რაც შეეხება წესრიგის დაცვას, მონიტორების დაკვირვებით, მოსამართლეები ხშირად სათანადოდ არ განმარტავდნენ და სრულად არ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ სანქციებს. სასამართლოები იყენებდნენ სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებს საზოგადოების და მედიის მიერ სასამართლო სხდომების ჩანაწერების მიმართ, რასაც ასევე შეეძლო საზოგადოების სასამართლო პროცესზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობდა ბრალდებულის საჯარო სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფას სხვადასხვა ხარისხით და შესაბამისად ზღუდავდა მოცემულ პროცესზე საზოგადოების დასწრებასაც.

ე. რეკომენდაციები

- სასამართლო სხდომების შესახებ გამჭვირვალე და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებლად, სასამართლოებმა უნდა იქონიონ და მუდმივად განაახლონ ვებსაიტი ან სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას შეეძლება ინფორმაციის მიღება ანონიმურად სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.
- სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ უკეთესი კომუნიკაციის დამყარება სასამართლო თანამდებობის პირებსა და საინფორმაციო სამსახურის პერსონალს შორის, რათა ამ უკანასკნელმა შესძლოს საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება სასამართლო სხდომების განრიგის შესახებ.
- სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ განრიგში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების მკაფიოდ და დაუყოვნებლად გამოცხადება, რათა საზოგადოებას მიეცეს საკმაოდ დრო იმოქმედონ ამ ცვლილებების შესაბამისად.
- სასამართლოებმა უნდა ჩაატარონ სხდომები უფრო დიდ სასამართლო დარბაზებში, როდესაც მოსალოდნელია ბევრი ხალხის დასწრება. თუ უფრო დიდი სასამართლო დარბაზი არ არსებობს,

სასამართლოს პერსონალმა უნდა გამოახოს სხვა საშუალება საზოგადოების პროცესზე დასწრების უზრუნველსაყოფად, მაგალითად პირდაპირ ეთერში ვიდეოგადაცემების მოწყობა დიდ ეკრანებზე სასამართლო შენობის სხვადასხვა ადგილებში.

- სასამართლოებმა უნდა დართონ სასამართლო დარბაზიდან გასულ პირებს უკან შემოსვლის ნება, სასამართლოს მანდატურების თანხმობით.
- სასამართლოებმა უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო საიდუმლოების გრიფთან დაკავშირებით ოფიციალური გადამოწმების სწრაფი პროცედურები. ისინი უნდა შეიცავდნენ დასაბუთების მოთხოვნას და აგრეთვე ბრალდებულებისთვის იმ შესაძლებლობის და უფლების მიცემას, რომ მათ სადავო გახადონ აღნიშნული.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სსსკ-ს 182 (2) მუხლში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ დახურულად წარიმართოს მხოლოდ ის სხდომები, რომელზეც შესაბამისი მტკიცებულებების განხილვა ხდება და რომლის გამოც გაიცა სასამართლოს შესაბამისი ბრძანება.
- სასამართლო დარბაზში წესრიგის დასაცავად სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ყველა ღონისძიება სამართლიანად და პროპორციულად და საჯარო სასამართლო პროცესზე დასწრების უფლების სრული შეზღუდვა გამოიყენონ, როგორც უკიდურესი ზომა. გაფრთხილებების, ჯარიმების, გაზრდილი ჯარიმებისა და ცალკეული პირების დაპატიმრების შესაძლებლობა უნდა იქნას განხილული პირველ რიგში, სანამ მიიღება გადაწყვეტილება ზოგადად საჯარო მოსმენის უფლების შეზღუდვაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. გარდა ამისა, რეკომენდირებულია, პროცესის დაწყების წინ მოსამართლეებმა მიუთითონ ზოგადი მოთხოვნისკენ, რომ დამსწრეებმა დაიცვან სასამართლოში ქცევის წესები. ასევე სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა კომპეტენციისა და შესაძლო სანქციების შესახებ სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასამართლოს შენობაში, სასამართლო დარბაზების შესასვლელებსა და სხვა თვალსაჩინო ადგილებში.

VIII. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება

96. მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირი მიჩნეულ იქნას უდანაშაულოდ სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება გონივრული ეჭვის მიღმა, ხელს უშლის პირისთვის დამნაშავის სტიგმის მინიჭებას და თავისუფლების წართმევის პოტენციურ შესაძლებლობას.¹⁶³ უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემა გულისხმობს, რომ სახელმწიფო პირებმა და გარკვეულმა გავლენიანმა აქტორებმა სისხლის სამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე თავი უნდა შეიკავონ ისეთი

163 სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების იურიდიული დაიჯესტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 89-98.

განცხადებებისგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო გამოძიების შედეგის შესახებ.

97. ამ თავში განხილულია დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრობლემები რომლებიც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგალითად ისეთ შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს ათავსებენ ცალკე შემოღობილ სივრცეში, ამჟღავნებენ ინფორმაციას ბრალდებულის წინა ნასამართლეობის შესახებ სასამართლო პროცესზე, სახელმწიფო პირები აკეთებენ განცხადებებს რომელშიც მიანიშნებენ ბრალდებულის დამნაშავეობაზე და იყენებენ ბრალდების დადგენილებას, როგორც მტკიცებულებას.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

98. ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიცაა UDHR,¹⁶⁴ ICCPR¹⁶⁵ და ECHR¹⁶⁶ მოითხოვენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბრალი დაედო დანაშაულოში „აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ არ იქნება იგი ცნობილი ბრალეულად კანონის თანახმად...“¹⁶⁷ ეუთოს წევრმა ქვეყნებმა ეუთოს ვალდებულებებში გაითვალისწინეს ეს პრინციპი, როგორც მართლმსაჯულების ერთერთი ელემენტი „რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსების სრული გამოხატულებისთვის.“¹⁶⁸
99. გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულოში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „ბრალდებულები ჩვეულებრივ არ უნდა შებოჭონ ბორკილებით და ჩასვან საკანში სასამართლო პროცესების მსვლელობისას ან წარმოადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები.“¹⁶⁹ უფრო მეტიც, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველა თავისუფლება აღკვეთილი პირის ჰუმანურად მოპყრობა და მათი ღირსების პატივისცემა არის წესი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ფუნდამენტურად და უნივერსალურად“ და რომელიც უნდა ეხებოდეს განურჩევლად ყველა ბრალდებულს.¹⁷⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ეხება მის რამოდენიმე გადაწყვეტილებაში სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მოპყრობის იმგვარ საკითხებს, რამაც შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და გამოიწვიოს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა. მაგალითად,

164 UDHR, მუხლი 11(1).

165 ICCPR, მუხლი 14(2).

166 ECHR, მუხლი 6(2).

167 UDHR, მუხლი 1(1).

168 კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პარ. 5.19 და 23.

169 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 30.

170 “ზოგადი კომენტარი N.21, მუხლი 10: „თავისუფლება აღკვეთილი პირების ადამიანური მოპყრობა“ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, U.N.Doc. CCPR/C/GC/21, 10 აპრილი 1992, პარ. 4.

ერთ საქმეზე იქნა დადგენილი, რომ სასამართლო პროცესზე რკინის საკნების გამოყენებამ ბრალდებულთა მოსათავსებლად „შესაძლოა აფიქრებინოს ჩვეულებრივ მაყურებელს, რომ იგი არის უკიდურესად საშიში დამნაშავე.“¹⁷¹ სხვა საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი ზომის დაწესება ვერასოდეს ვერ იქნება გამართლებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-3-ე მუხლით, რადგან ეს წარმოადგენს ღირსების შემლახველ მოპყრობას.¹⁷²

100. თუმცა ბრალდებულის ნასამართლობის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მიდგომები განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციათა სისტემებს შორის, შეჯიბრებითი მოდელი აბალანსებს მის მტკიცებით ღირებულებას ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან. პროკურატურის განცხადება ამ ინფორმაციის გამოყენების შესახებ შედის ფაქტების დამდგენ სასამართლოში, რომელიც მსჯელობის მის დასაშვებობაზე. ეს მეთოდი შეესაბამება სასამართლო პროცესების შეჯიბრებითობით ხასიათს და იცავს მოსამართლეს, მათ შორის ნაფიც მსაჯულებსაც, მიკერძოებული და შეუსაბამო ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევისგან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სუბიექტურ მიუკერძოებლობაზე. ბრალდებულის წარსული ნასამართლობის გამოყენება გამართლებული იქნება მაგალითად, სასჯელის შეფარდების მიზნისთვის, პოტენციური დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისთვის და როდესაც მას გააჩნია მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის მიზნებისთვის.
101. რაც შეეხება ბრალდებულის შესაძლო დამნაშავეობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი ამის შესახებ აცხადებს, რომ სახელმწიფო პირებმა „თავი უნდა შეიკავონ წინასწარი დასკვნებისგან სასამართლო გამოძიების შედეგების თაობაზე, მაგალითად, თავი აარიდონ ბრალდებულის დამნაშავეობის მამტკიცებელი საჯარო განცხადებების გაკეთებას“ და რომ მედიამ თავი უნდა აარიდოს გამოძიებებისა და პროცესების ისე გაშუქებას, რაც პოტენციურად დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.¹⁷³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა რეკომენდაცია მისი წევრი ქვეყნებისთვის მედიის მიერ სისხლის სამართლის პროცესებზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების პროცესებთან დაკავშირებული მოსაზრებების და ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ დაარღვევს ეჭვმიტანილის ან

171 ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ, ECtHR, 26 ივნისი 2012, პარ 73.

172 იქვე. პარ. 74 და სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 17 ივლისი 2014, პარ. 137-138. იხ. აგრეთვე, რამიშვილი და კონრეიძე საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 27 იანვარი 2009, პარ. 100-101 სადაც სასამართლომ გააკრიტიკა საბრალდებო სკამების გისოსებით შემოზღუდვა და „სპეციალური დაცვის“ ყოფნა საჯარო განხილვაზე დასაბუთების გარეშე, და ადამიანის უფლებების კომიტეტის No. 1405/2005, მიხაილ პუსტოვოიტი უკრაინის წინააღმდეგ, იხ. პარ. 9.2, 9.3 და 10, სადაც მიიჩნევენ, რომ რკინის საკნის გამოყენება არღვევდა მე-7-ე და მე-14-ე (30 ბ) მუხლებს ICCPR -ის მე-14-ე (1) მუხლთან ერთად.

173 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 30.

ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას.¹⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მიზანია აღკვეთოს „სასამართლო პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებზე გაკეთებული განცხადებები, რომლებიც იწვევენ სამართლიანი სასამართლო პროცესისთვის ზიანის მიყენებას.¹⁷⁵ ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს ან მონაწილე პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, არამედ აგრეთვე სახელმწიფო პირებსაც, თუ მათი განცხადებების ნიადაგზე საზოგადოებას შეიძლება შეექმნას განცდა, რომ ეჭვიმიტანილი დამნაშავეა და შესაბამისად, გამოიწვიოს ფაქტების წინასწარი შეფასება, რაც კომპეტენტური სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა.¹⁷⁶ თუ სახელმწიფო თანამდებობის პირის განცხადება სასამართლო განაჩენის დადგომამდე მიანიშნებს, რომ ბრალდებული დამნაშავეა, ეს ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად.¹⁷⁷

102. ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ეკრძალებათ საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიების საქმეებზე ან სამართალწარმოებაზე, მაგრამ მათ ამის გაკეთება უნდა მოახდინონ „მთელი საჭირო სიფრთხილითა და სიფხიზლით“, რათა უდანაშაულობის პრეზუმფცია იქნას დაცული. ევროპული სასამართლო აგრეთვე მიუთითებს, რომ „არღვევს თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციას, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, რომელშიც ეს სადავო განცხადება გაკეთდა.“¹⁷⁸

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

103. ითვალისწინებს რა უდანაშაულობის პრეზუმფციას, საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.¹⁷⁹ შემდგომ იგი მიუთითებს, რომ არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.¹⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმეორებს ამ პრინციპებს და აცხადებს, რომ ადამიანის ღირსებისა და უდანაშაულობის

174 “რეკ (2003)13 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მედიის საშუალებით ინფორმაციის მიწოდების შესახებ”, ევროპის საბჭო, 10 ივლისი 2003, დამატება, პრინციპი 2.

175 ფატულაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ECtHR, 22 აპრილი 2010, პარ. 159-160.

176 იქვე.

177 იქვე. პარ. 159-160.

178 იქვე.

179 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40(1).

180 იქვე, მუხლ. 40(2) და 40(3).

პრეზუმფციის ზოგადი პრინციპების პატივისცემა უნდა აისახოს სასამართლო პროცედურების ყველა ასპექტში.¹⁸¹

104. რაც შეეხება სასამართლობას, სსსკ წინა განაჩენებს სასამართლოებაზე გამოკვლევების გარეშე იღებს მტკიცებულებად.¹⁸² კოდექსი არ ითვალისწინებს წინასასამართლო ან არსებითი განხილვის მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე ცნობების მოძიებას და არც წინა სასამართლოების რელევანტურობის, შესაძლო ზიანის ან მტკიცებითი ღირებულების შესახებ შეიცავს რეგულირებას. მიუხედავად ამისა, კოდექსი ზღუდავს წინა განაჩენთან დაკავშირებული ინფორმაციის დასაშვებობას ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებში, როდესაც სასამართლობა წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებული ნიშანია ან/და გამიზნულია ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად“; იგი აგრეთვე მიუთითებს, რომ ინფორმაცია უნდა ამტკიცებდეს ბრალს.¹⁸³
105. რაც შეეხება განცხადებებს ბრალდებულის მსჯავრდებამდე მისი დამნაშავეობის შესახებ, სსსკ აცხადებს, რომ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე, მაგრამ მუხლი არ შეიცავს დებულებას სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადებების თაობაზე.¹⁸⁴
106. რაც შეეხება ბრალდებულად ცნობის დადგენილების მტკიცებულებად მიღებას, სსსკ აღნიშნავს, რომ პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.¹⁸⁵ შემდგომ, კოდექსი მოითხოვს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება წარედგინოს ბრალდებულს, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი გაეცნო მის შინაარსს.¹⁸⁶ კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებას, როგორც ინფორმაციას „რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს...“¹⁸⁷ ასევე განსაზღვრულია, რომ დოკუმენტის გამოყენება მტკიცებულებად შესაძლებელია, „თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ინფორმაციას.“¹⁸⁸

181 იქვე, მუხლო. 4(1), 5(1), 5(2) და 5(3).

182 იქვე, მუხლო. 73(1)(ბ).

183 იქვე, მუხლი 238.

184 იქვე, მუხლი 25(3).

185 იქვე, მუხლო. 169(3)(ბ), 169(3)(გ) და 169(3)(დ).

186 იქვე, მუხლი 169(5).

187 იქვე, მუხლი 3(23).

188 იქვე.

გ. ანალიზი

1. პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მოპყრობა

107. მონიტორთა დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდებულები მოთავსებული იყვნენ ცალკე შემოდობილ სივრცეში. სასამართლო დარბაზებში, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ბრალდებულებს ათავსებდნენ შუშის ბოქსებში მთელი სასამართლო სხდომის განმავლობაში. დარბაზებში, სადაც ასეთი ბოქსები არ იდგა, ბრალდებულები იხდნენ პატარა, დაახლოებით ერთ მეტრიანი კედლით შემოზღუდულ სივრცეში. გარდა ამისა, ყველა დაკავებულ ბრალდებულს იცავდა ორიდან ხუთამდე უსაფრთხოების თანამშრომელი.¹⁸⁹ ამისგან განსხვავებით, იმ ბრალდებულების საქმეებში, სადაც პირები არ იმყოფებოდნენ პატიმრობაში, ორი-სამი მანდატური იცავდა მთელ დარბაზს.
108. ზემოთ წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისად, სასამართლოებმა თავი უნდა აარიდონ ნებისმიერ ხელისშემშლელ ან საზიანო მოპყრობას ბრალდებულთა მიმართ, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას და როგორცაა დაკავებულ ბრალდებულთა იზოლაცია შემოდობილ სივრცეებში. ასეთი ტიპის უსაფრთხოების ზომების დაწესება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებულები იყვნენ საშიში დამნაშავეები, რომელთაგანაც საჭირო იყო საზოგადოების დაცვა და რაც ზიანს აყენებდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. შეზღუდვის ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას უსაფრთხოება მოითხოვს, მაგალითად, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ სასამართლოში წარდგენისას ბრალდებულმა შეიძლება სცადოს გაქცევა ან ვინმეს მიაყენოს ზიანი. ბევრი დაკავებული ბრალდებულები იყვნენ სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებსაც არ გააჩნდათ წინა ნასამართლეობა, და რომლებიც ძირითადად ნორმალურად იქცეოდნენ სასამართლო სხდომებზე. დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულის დარბაზში ყოფნასთან დაკავშირებით პოტენციური რისკის არსებობის რაიმე ფორმალური ან ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა.
109. რადგანაც სასამართლო სხდომები გადაიციმოდა ტელევიზიით და ფართოდ შუქდებოდა მედიაში, არსებობდა რეალური რისკი, რომ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიუხედავად, ფართო საზოგადოებაში გამოიწვევდა მათი დამნაშავეობის შესახებ ვარაუდს.

189 ბრალდებულები იმყოფებოდნენ პატიმრობაში შემდეგ 7 საქმეზე: ახალაია: ახალაია I, ახალაია II, ახალაია III, დ. ახალაია, მერაბიშვილი /ჭიაბერაშვილი (ქუთაისი), მერაბიშვილი (თბილისი), და ნიზანიშვილი.

110. ამ პრაქტიკის კიდევ ერთი პრობლემური მხარეა ბრალდებულთა სასამართლო დარბაზის საკნებში მოთავსება, რაც აუარესებს მათი ადვოკატთან მუდმივი და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობას ამგვარი იზოლაციის გამო.¹⁹⁰
111. დასკვნის სახით, დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა სასამართლო დარბაზის საკნებში მოთავსება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ყოველგვარი აშკარა რისკის არსებობის გარეშე, იძლეოდა შეშფოთების საფუძველს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის პრინციპთან მიმართებაში.

2. სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინა ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

112. მონიტორინგმა გამოავლინა მოსამართლეების მიერ მიზეზის აუხსნელად სასამართლო პროცესებზე ბრალდებულის წინა ნასამართლეობის შესახებ მსჯელობის დაშვების პრაქტიკა. წინასასამართლო და სასამართლო განხილვის პროცესებზე მოსამართლეთა უმეტესობა ეკითხებოდა ბრალდებულს მათი წინა ნასამართლეობის შესახებ, პროცედურის ფარგლებში.¹⁹¹
113. ბრალდებულის წინა ნასამართლეობის შესახებ მსჯელობის დაშვებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული არის კრიმინალი, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს საქმეში წარმოდგენილ ფაქტებს და შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოქმედებს პირის დამნაშავეობის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ინფორმაცია წარსული ნასამართლეობის შესახებ უნდა იქნას შემოთავაზებული, როგორც მტკიცებულება წინასასამართლო განხილვაზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება არ იქნას წარმოდგენილი სავალდებულოდ, ბრალდების მხარეს მაინც უნდა მოეთხოვოს მისი დასაშვებობის შესახებ მტკიცება ბრალდებულის მიმართ, როცა ნასამართლეობა დანაშაულის აუცილებელი ნიშანია ან ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებების სანდოობის დადასტურება მოწმდება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას წარმოდგენილი საქმის არსებით განხილვაზე, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დაადგენს, რომ მის მიერ გამოწვეული ზიანი გადაწონის მის მტკიცებით ღირებულებას.
114. ბრალდებულის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა და წინა ნასამართლეობაზე მსჯელობა, თუ ასეთი ინფორმაცია არ არის რელევანტური ან არ აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველყოფისთვის.

190 ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვა მოცემულია ადვოკატის ყოლის უფლების შესახებ თავში.

191 მაგ., პროცესი ახალაია II, 20 აპრილი 2013.

3. სახელმწიფო პირების მიერ გაკეთებული განცხადებები

115. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ განაჩენის გამოტანამდე სახელმწიფო ოფიციალური პირის მიერ გაკეთებულ განცხადებებში იყო მინიშნებები გამოძიების ქვეშ ან სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფი პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. პოლიციის მიერ დაურეგისტრირებული იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების სამალავში ვიდეოფირების აღმოჩენის შემდეგ, რომლებიც სავარაუდოდ შეიცავდნენ სამართალდამცავების მიერ გარკვეულ პირთა უფლებების დარღვევის კადრებს, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, შეხვდა უცხოურ დიპლომატიურ მისიებს და ამ მასალების შესახებ ჩაატარა ბრიფინგი.¹⁹² შეხვედრის შემდეგ, მან განაცხადა, რომ ვიდეომასალაში აღწერილი უფლებადარღვევა არ იყო ცალკეული შემთხვევა, არამედ, ეს იყო წინა ხელისუფლების პოლიტიკიდან მომდინარე „სისტემური პრობლემა“.¹⁹³ მან დასძინა, რომ „საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ იდგა მათ უკან. მე მივხატე შევახსენო ყველას, რომ იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყო; ყველა იმ მაღალჩინოსნებმა, რომელთა თანამდებობაზე ყოფნის დროსაც ხდებოდა ასეთი საშინელებები, უნდა აგონ პასუხი“.¹⁹⁴ ამ განცხადების გაკეთების დროს, ბატონ მერაბიშვილს უკვე სულ ცოტა ორი ბრალი ჰქონდა წარდგენილი მისი წინა მთავრობაში ოფიციალურ თანამდებობაზე ყოფნის დროს სავარაუდოდ დანაშაულებრივ ქმედებათა გამო.¹⁹⁵
116. იყო შემთხვევა, როდესაც გარკვეულ საქმეზე შეკითხვაზე პასუხისას, ბატონმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ინტერნეტში გავრცელებული ვიდეომასალა შესაძლოა გამხდარიყო დამატებითი გამოძიების დაწყების საფუძველი.¹⁹⁶ ამის შემდგომ, მან აღნიშნა, რომ ბატონი მერაბიშვილის ბრძანებას, რომელიც აღბეჭდილი იყო ვიდეოფირზე „ორი გვამის“ შესახებ, მოყვა ერთი ადამიანის სიკვდილი და მეორე პიროვნების მძიმედ დაჭრა, რაც გულისხმობდა კავშირს მერაბიშვილსა და ზემოთ აღნიშნულ ინციდენტებს შორის.¹⁹⁷
117. სახელმწიფო პირების მიერ წინასწარ გაკეთებული განცხადებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე. სახელმწიფო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და ისარგებლონ მათი უფლებით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია საჭირო სიფრთხილისა და სიფხიზლის გამოყენებით.¹⁹⁸ სახელმწიფო მოხელეების მიერ სიტყვების

192 “შინაგან საქმეთა მინისტროს ცნობით დაკავებულია ხუთი პირი იარაღის სამალავში ნაპოვნის ვიდეოს გამო, სადაც ასახულის წამების კადრები.”

193 იქვე.

194 იქვე.

195 საბრალდებო დასკვნები მერაბიშვილისა და მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესებთან დაკავშირებით.

196 “პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი დიდადსაუბრობს ყოფილ პრეზიდენტზე, მართლმსაჯულებაზე, ციხეებზე და უცხოურ პარტნიორებზე“ Agenda.ge, 12 თებერვალი, 2014.

197 იქვე.

198 რეკომენდაცია რეკ(2003)13, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 182, დამატება, პრინციპები 1 და 2.

შერჩევა თავიანთ განცხადებებში უკიდურესად მნიშვნელოვანია. მონიტორინგის პროცესებში ჩართულნი იყვნენ ყოფილი სახელმწიფო ოფიციალური პირები, რომლებსაც იცნობენ, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებს და განცხადებებმა, რომლებიც ბრალდებულის დამნაშავედ აღიარების ტოლფასია, შეიძლება გავლენა იქონიონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და მოახდინონ ფაქტების წინასწარი შეფასება სასამართლოს შედეგის დადგომამდე - რაც მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს.

4. მტკიცების ტვირთი

118. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გავრცელებულია ბრალდების შესახებ დადგენილების მტკიცებულებად გამოყენების პრაქტიკა. მონიტორინგის ყველა საქმეზე სასამართლო პროცესის დასაწყისში ბრალდების მხარის მიერ ამოკითხული მტკიცებულებათა სია შეიცავდა ბრალდებულად ცნობის დადგენილებასაც და ერთ საქმეზე დაცვის მხარე შეეცადა გამოერიცხა იგი მტკიცებულებებიდან, თუმცა წარმატების გარეშე.¹⁹⁹
119. ბრალდებულად ცნობის დადგენილების მიზანია მიაწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია წაყენებული ბრალის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედება ბრალდებულის დაცვის მომზადებას, აგრეთვე სასამართლოს განხილვას და საქმეზე განაჩენის გამოტანას. იგი წარმოადგენს პროკურატურის გამოძიების შედეგს და მის ამ შედეგთა ინტერპრეტაციას, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბრალდებულისთვის ბრალის წასაყენებლად დასაბუთებული ვარაუდის ფორმით. დოკუმენტი არ შეიცავს მტკიცებულებით ღირებულებას და შეიცავს მოსაზრებას, რომელიც შემდგომში უნდა დამტკიცდეს სასამართლო პროცესზე ფაქტების წარდგენის მეშვეობით. ბრალდებულად ცნობის დადგენილება ამდენად ვერ ჩაითვლება „ფაქტად“ ან ცალკეულ „მტკიცებულებად“. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ საქმეში ყოფილა დადგენილი, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილებაზე დაყრდნობით მოხდა პირის მსჯავრდება, მისი მტკიცებულებად მიჩნევა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ დაცვის მხარემ იგი უნდა უარყოს, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტურ პრინციპს ეწინააღმდეგება.

დ. დასკვნა

120. სასამართლო პროცესზე დაკავებული ბრალდებულების საბრალდებო სკამზე მოთავსებამ მათ გაუჩინა დანაშაულის შეგრძნება, შეიზღუდა დაცვის ადვოკატთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობა და უარყოფითად იმოქმედა ბრალდებულის ღირსებაზე. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც

199 პროცესი ახალაია III, 10 ივლისი 2013.

არ არსებობს უსაფრთხოებისა და რისკის შეფასება ასეთი ზომების გამოყენების გასამართლებლად. ბრალდებულის წინა ნასამართლეობაზე მსჯელობის დაშვება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში სასჯელის შეფარდების მიზნით ეს შეიძლება მართებული იყოს, ჩვეულებრივ რუტინულად ხდებოდა, რაც ალბათ უსამართლოდ უქმნიდა ბრალდებულს დამნაშავის იმიჯს. სახელმწიფო მოხელეებმაც შეუწყვეს ხელი უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის ჩირქის მოცხებას თავიანთი განცხადებებით, როდესაც ისინი მათ მიაწოდნენ დანაშაულს ბრალის წარდგენამდე, წინ უსწრებდნენ შეფასებებს, რომლებიც სასამართლოს უნდა გაეკეთებინა და გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ. და ბოლოს ბრალდებულად ცნობის დადგენილების მტკიცებულებებზე მიჩნევა ფაქტიურად იწვევს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე, გადატანას, რადგან მას უწევდა მისი მცდარობის დადგენა.

121. ყველა ზემოთ აღნიშნული პრაქტიკა იწვევდა შეშფოთებას იმის თაობაზე, თუ რამდენად იცავდნენ ხელისუფლების უფლებამოსილი პირები უდანაშაულობის პრეზუმფციას; სასამართლო, პროცესში მონაწილე მხარეები და საქართველოს მთავრობის წევრები ავლენდნენ არასაკმარის ცოდნას ამ პრინციპის ფართო გამოყენებისა და მისი შედეგების შესახებ.

ე. რეკომენდაციები

- საკანონმდებლო ორგანომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა ჩამოაყალიბოს სასამართლო სხდომის მსვლელობისას უსაფრთხოების ზომების გამოყენების პროცედურები და კრიტერიუმები, თანაზომიერებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით.
- სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ დაკავებულ ბრალდებულთა სასამართლო დარბაზში ცალკე ბოქსებში მოთავსებისგან, თუ დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, არ არსებობს ცალკეული ბრალდებულის მხრიდან კონკრეტული და იდენტიფიცირებული რისკის საშიშროება. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საჭიროდ ჩათვლის ამ ზომების გამოყენებას, მან უნდა უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვის ადვოკატთან პრივილეგირებული და კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება და გამოყენებული ზომის პროპორციულობა უსაფრთხოების დარღვევის იდენტიფიცირებულ რისკთან მიმართებაში.
- სასამართლოებმა არ უნდა დაუსვან შეკითხვები ბრალდებულებს მათი წინა ნასამართლეობის შესახებ ჩვეულებრივ, რუტინულ რეჟიმში.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ს 238-ე მუხლის გაფართოების შესაძლებლობა წარსული ნასამართლეობის შესახებ,

რის შედეგადაც მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს ყველა სასამართლოზე და არა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შემთხვევაზე.

- სასამართლოებმა წინა ნასამართლობის შესახებ ცნობების დასაშვებობის შესაძლებლობა წინასასამართლო ეტაპზე უნდა განიხილონ, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.
- სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად.
- მთავარმა პროკურორმა უნდა განიხილოს პროკურორებისთვის დირექტივების გამოცემის შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება არ იქნეს განხილული როგორც მტკიცებულება.
- საჯარო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას მიმდინარე, თუ მომავალი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებებზე კომენტარებისას.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სსსკ-ში ცვლილებების შეტანის საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების დასარეგულირებლად, რომლებიც შეეხებიან ბრალდებულის ბრალეულობის მოხსენიებას სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

IX. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმის უფლება

122. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ორი ელემენტისგან შედგება: დუმისა და ბრალის იძულებით აღიარებაზე უარის თქმის უფლებისგან.²⁰⁰ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საერთაშორისო წყაროში ეს ცალსახად არ არის აღნიშნული, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმის უფლება აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტებით და წარმოადგენს სამართლიანი პროცესის ბირთვს.²⁰¹ ეს უფლება გულისხმობს, რომ ბრალის წარდგენის შემდეგ, არ შეიძლება აიძულო ბრალდებული მისცეს ჩვენება, რომ ბრალდებულს აქვს დუმის უფლება და ამ უფლების განხორციელებისგან დასკვნების გამოტანის შესაძლებლობები შეზღუდულია. უფლებამოსილი პირების მიერ ბრალდებულის იძულებისგან დაცვის უზრუნველყოფით, ეს ხელშეუხებლობა ხელს უწყობს არა მხოლოდ სასამართლოს პოტენციური შეცდომის თავიდან აცილებას, არამედ აგრეთვე აღკვეთს არასათანადო ზომების გამოყენებას აღიარებითი ჩვენების და მამხილებელი მტკიცებულების მოსაპოვებლად, რადგან ასეთი

200 როგორც განმარტებულია, მაგ., ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის კომისიის მიერ, Green Paper უდანაშაულობის პრეზუმფცია, EC დოკ. COM (2006) 174 საბოლოო, გვ. 7

201 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი, 1996, პარ. 68.

- მტკიცებულება ჩაითვლება კანონსაწინააღმდეგოდ და ექნება შეზღუდული ძირებულება, თუკისაერთოდ ექნება რაიმე ძირებულება.
123. ეს თავი განიხილავს დაკვირვების შედეგად გამოვლენილ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის ჩვენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და პროკურორების მიერ მოწოდებას, რომ ბრალდებულებმა მისცენ ჩვენება.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

124. საკუთარი თავის წინააღმდეგ მტკიცებულების წარმოდგენაზე ან დანაშაულის აღიარებაზე უარის თქმის უფლებამნიშვნელო ვნად იცავს მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. იგი გაგებულობა ისე, როგორც ეს ნაგულისხმებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს²⁰² მოთხოვნებში და ცალსახად არის გაწერილი საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,²⁰³ რომელიც ითვალისწინებს, რომ ბრალდებული არ უნდა “დაექვემდებაროს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების იძულებას.” საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება ეფუძნება იმ პრინციპს, რომ სისხლის სამართლის საქმეში, პროკურატურა უნდა ეცადოს დაამტკიცოს მისი ვერსია ბრალდებულის წინააღმდეგ ისეთი მტკიცებულებებით, რომელიც არ არის მოპოვებული იძულებით, მოტყუებით ან ბრალდებულის ნებისყოფის დათრგუნვით.²⁰⁴ იგი კრძალავს იძულების ნებისმიერ ფორმას, პირდაპირს თუ არაპირდაპირს, ფიზიკურსა თუ ფსიქოლოგიურს.²⁰⁵
125. ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის ვალდებულების გარდა, ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა ასევე აიღეს თავის თავზე ვალდებულება პატივი სცენ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას, კერძოდ შემოიღონ ეფექტური ზომები, რათა „სამართალდამცავმა ორგანოებმა არ ისარგებლონ გადაჭარბებული უპირატესობით დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მდგომარეობის გამო მისგან იძულებითი აღიარების, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სხვა მეთოდებით ან სხვა პირის წინააღმდეგ იძულებით ჩვენების მიცემის მოსაპოვებლად.“²⁰⁶

202 ECHR, მუხლი 6; იხ. აგრეთვე ჯონ მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 8 თებერვალი 1996, პარ. 45.

203 ICCPR, მუხლი 14(3)(წ).

204 სონდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 1996 პარ. 68. აქ გამოწვევისი ეხება მასალას, რომლის მოპოვებაც აგრეთვე შესაძლებელია ბრალდებულისგან და რომელიც არსებობს მისგან დამოუკიდებლად, მაგალითად დნმ-ის ან თითის ანაბეჭდების სახით. იხ. მაგალითად, ფ.გ. და ჯ.პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 25 სექტემბერი 2001, პარ. 80.

205 სამართლიანი სასამართლოს სახელმძღვანელო, მე-2-ე გამოცემა, (ლონდონი : საერთაშორისო ამნისტიის გამოცემები, 2014) გვ. 129.

206 მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან შენ.4, პარ. 23.1(vii).

126. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმის უფლება ეხება როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო ორგანოებს.²⁰⁷

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

127. კონსტიტუცია მიუთითებს, რომ „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლოებულთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.“²⁰⁸ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმის უფლება განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ეს დებულებები ეხება სისხლის სამართლის პროცედურების ყველა ეტაპს.²⁰⁹ კანონი აღნიშნავს, რომ “ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა”²¹⁰ და შემდგომ მიუთითებს, რომ ბრალდებულის მიერ დუმის უფლების გამოყენება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმ ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.²¹¹
128. ბრალდებულის ჩვენებაზე ვრცელდება მოწმის საკანონმდებლო რეჟიმი და ისინი “სარგებლობენ ამ სტატუსით და ენიჭებათ მოწმის უფლებები და ეკისრებათ მისი მოვალეობები სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას.”²¹² ეს ნიშნავს, რომ ბრალდებულმა უნდა დადოს ფიცი და თქვას სიმართლე, წინააღმდეგ შემთხვევაში, და მას ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულებენ. თუმცა კოდექსში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ამან „არ უნდა მოახდინოს მისი უფლების ხელყოფა არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ოჯახის წევრის წინააღმდეგ“ და ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება შეფასდეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.²¹³ ბრალდებულებს დამატებით აქვთ უფლება რომ გადაწყვიტონ არ უპასუხონ კონკრეტულ შეკითხვებს მოწმის რანგში.²¹⁴
129. კოდექსი შეიცავს მთელ რიგ დათქმებს ბრალდებულისთვის მისი უფლებების შესახებ ინფორმირებაზე, როგორც საგამოძიებო ეტაპზე დაკავებასთან²¹⁵ და დაპატიმრებასთან²¹⁶ დაკავშირებით, ისე საქმის არსებითი განხილვისას.²¹⁷ საქმის არსებით განხილვაზე, ბრალდებულს უნდა განემარტოს მისი უფლებები ჩვენების მიცემის

207 იქვე.

208 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42(8).

209 მუხლ. 15 და 38(4) სსსკ.

210 იქვე, მუხლი 74(2).

211 იქვე, მუხლ. 38(4), 48(7) და 74(3).

212 იქვე, მუხლი 47.

213 იქვე, მუხლი 48(7) inter alia.

214 იქვე, მუხლი 38(4), “ბრალდებულს შეუძლია გამოიყენოს დუმის უფლება ნებისმიერ დროს.”

215 იქვე, მუხლი 38(2).

216 იქვე, მუხლი 197(1)(გ).

217 იქვე, მუხლ. 230(1) და 230(2).

წინ, მათ შორის „მისცეს ჩვენება ბრალდებასთან დაკავშირებით, როგორც მოწმემ“ და რომ იგი არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, დადუმების უფლებით სარგებლობა არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული.“²¹⁸ თუ ასეთი განმარტება არ იქნება უზრუნველყოფილი, კოდექსი შეიცავს დებულებას, რომელიც მიუთითებს, რომ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, ჩათვლება დაუშვებლად და მას არ ექნება იურიდიული ძალა, თუ იგი ბრალდებულისთვის საუარესია.²¹⁹

გ. ანალიზი

1. ბრალდებულის ჩვენება სასამართლო პროცესზე

130. აქ განხილულია ორი კონკრეტული ასპექტი, რომელიც ეხება ბრალდებულის ჩვენების მიცემას სასამართლო პროცესზე, კერძოდ, მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული პრაქტიკა ბრალდებულისთვის ჩვენების მიცემისას მის უფლებებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ²²⁰ და ბრალდებულის უფლების პატივისცემა, უარი თქვას პასუხების გაცემაზე.
131. მონიტორინგის მრავალ საქმეში, ბრალდებულებმა არჩიეს მოწმის სტატუსით ჩვენების მიცემის შესაძლებლობა საკუთარი თავის დასაცავად, ისევე როგორც გამოიყენეს სიტყვის წარმოთქმის უფლება სასამართლო სხდომის დასაწყისში, მის ბოლოს და წინასასამართლო სხდომებზე.²²¹ ზოგ შემთხვევაში მოსამართლეები ჩვენების მიცემაზე აწვდნიდნენ ბრალდებულებს ინფორმაციას მათი უფლების შესახებ უარი ეთქვათ ჩვენების მიცემაზე და რომ მათი უარი არ ჩათვლებოდა მათი ბრალის დასტურად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს არ ხდებოდა.²²² ასევე დაფიქსირდა, რომ ბრალდებულებს ზოგჯერ არ ჰქონდათ დაცვის ადვოკატთან ურთიერთობის შესაძლებლობა და მათი უფლებების შესახებ შემდგომი ინსტრუქციების მიღების საშუალება ჩვენების მიცემისას იმის გამო, რომ ისინი ბრალდებულის სკამზე ისხდნენ, ან ისეთ ადგილზე, რომელიც არ იყო ადვოკატთან ახლოს.²²³
132. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულები იძლეოდნენ ჩვენებას, ისინი არჩევდნენ ზოგადი განცხადებების გაკეთებას, რაც საქმისთვის არ იყო რელევანტური და პერიოდულად ამჟღავნებდნენ მათსავე მაინკრიმინირებელ ფაქტებს.²²⁴ ისინი ხშირად ცდილობდნენ

218 იქვე.

219 იქვე, მუხლი 72(1).

220 იხ. აგრეთვე თავი 11 ინსტრუქციები უფლებების შესახებ სადაც ეს საკითხიც არის განხილული.

221 მაგალითად, პროცესები ახალაია I, ახალაია II, მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი, მერაბიშვილი და ხეთაგური/გვარამიას პროცესები.

222 მაგალითად, პროცესები ახალაია I, 11 ივლისი 2013 და ხეთაგური/ გვარამია, 17 ივლისი 2013.

223 მაგალითად, პროცესები ახალაია I, 11 ივლისი, 2013, აგრეთვე მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი ახალაია II და ახალაია III.

224 მაგალითად გუნავას პროცესზე, 1 ივლისი 2013.

გაემართლებინათ ქმედებები ან გადაწყვეტილებები, რაც თითქოსდა დანაშაულებრივი ქცევის ნაწილს შეადგენდა, რითაც უშვებდნენ, რომ ასეთ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს ჰქონდა ადგილი.²²⁵ ერთერთმა ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ბრალდების მხარის მიერ აღნიშნული ქმედებები, არ იყო წამების ტოლფასი ერთ-ერთ დანაშაულში, რომელზეც მას ჰქონდა ბრალი წარდგენილი. მისი ასეთი განცხადების გაგება შეიძლებოდა როგორც ფაქტების დაშვება, რაც გულისხმობდა, რომ მან არსებითად მისცა ჩვენება და წარმოადგინა მტკიცებულება საკუთარი თავის წინააღმდეგ, რითაც ბრალდების მხარეს გაუადვილა საქმე.²²⁶ როდესაც ბრალდებულები მამხილებელ ჩვენებას იძლეოდნენ, მათი დამცველი ადვოკატები იშვიათად ითხოვდნენ შესვენებას მათ კლიენტთან საკონსულტაციოდ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ბრალდებულს ესმოდა, რომ ფაქტიურად იგი მამხილებელ ჩვენებას იძლეოდა და მას ჰქონდა უფლება არ მიეწოდებინა ასეთი ინფორმაცია.

133. ბრალდებულთა მიერ ჩვენების მიცემის დროს, ბრალდების მხარე ხშირად ბევრჯერ უსვამდა ერთი და იგივე შეკითხვას, მაშინაც კი, როდესაც ბრალდებულს არ სურდა ეპასუხა ამ შეკითხვისთვის.²²⁷ ერთ საქმეზე მოსამართლემ უპასუხა, რომ ბრალდებულის მიერ ადრე გაკეთებულ განცხადებებზე მინიშნებები ან შეკითხვები არ დაიშვებოდა, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა ეპასუხა თანაამსრულებელთან დაკავშირებულ კითხვებზე. დაცვის ადვოკატმა ეს გააპროტესტა, რადგან შესაძლოა ბრალდების კითხვა სხვა ბრალდებულს ეხებოდა, მაგრამ ყველა ბრალდებულს ფაქტების ერთი და იმავე ერთობლიობაზე ჰქონდა ბრალი წარდგენილი. დაცვის ადვოკატმა აგრეთვე ხაზი გაუსვა ბრალდებულის დუმილის უფლებას. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ეს პროტესტი.²²⁸ ერთ-ერთ საქმეზე, ჩვენების მიმცემმა ბრალდებულმა აიცილა ბრალმდებლის შეკითხვა, თუმცა მოსამართლემ მოითხოვა პასუხის გაცემა, რადგან დაცვის ადვოკატს ეს ოფიციალურად არ გაუპროტესტებია.²²⁹
134. ბრალდებულთათვის ჩვენების მიცემაზე ნების დართვამ, მათი საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის და დუმილის უფლების, ასევე ჩვენების მიცემის შედეგების შესახებ სრულად ინფორმირების გარეშე, გამოიწვია ბრალდებულის მიერ მამხილებელი ჩვენების მიცემა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მათ საქმეზე. შემდგომ, როდესაც პროკურორები და მოსამართლეები ვერ უზრუნველყოფდნენ ბრალდებულის არჩევანის პატივისცემას, ამან გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში ასე იქნა აღქმული, ზეწოლა ბრალდებულებზე, რათა მათ გაემქლავნებინათ მამხილებელი ინფორმაცია, რადგან სხვა შემთხვევაში მათი ერთადერთი

225 მაგალითად, ახალაია I, ახალაია II და გუნავა.

226 პროცესი ახალაია I, 1 მარტი 2013.

227 პროცესი ახალაია I, 11 ივლისი 2013, ახალაია II, 26 ივლისი 2013.

228 პროცესი ახალაია I, 11 ივლისი 2013.

229 პროცესი ახალაია II, 29 ივლისი 2013.

არჩევანი იქნებოდა ცრუ ჩვენების მიცემა და მათი ცრუ მოწმეობაში დადანაშაულება. იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში დაცვის ადვოკატი ვერ ახერხებდა ჩარევას, რათა დაეცვა მისი კლიენტის დუმილისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ბრალდებულები აღმოჩნდნენ იმ მდგომარეობაში, როდესაც მათ არცოდნის გამო და/ან უნებლიეთ მისცეს ჩვენება პროცესზე საკუთარი თავის წინააღმდეგ.

135. მონიტორინგს არ გამოუვლენია, თუ რამდენად გამოიყენებოდა მამხილებელი ჩვენებები ბრალდებულის წინააღმდეგ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, თუმცა ძნელია დაასკვნა, რომ ზემოთ მოყვანილი შემთხვევები უტოლდებოდა ბრალდებულთა ჩვენების მიცემის „იძულებას“ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს შემთხვევები, რასაც ჩვენ დავაკვირდით, პრობლემურია და გარკვეულ გარემოებაში შესაძლოა მიგვიყვანოს ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების შელახვამდე, რაც ყველაფერთან ერთად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცნობენ ბრალდებულები სასამართლო სისტემას და რამდენად გაეწიათ მათ რაიმე სახის კონსულტაცია.

2. პროკურორების მიერ ბრალდებულთა მოწმედ გამოძახება

136. ზოგ საქმეებში, რომლებსაც დავაკვირდით, გამოვლინდა, რომ პროკურორები ბრალდებულებს იძახებდნენ ბრალდების ვერსიის დასადასტურებლად.²³⁰ ბრალდების მხარისთვის ბრალდებულის მიერ ჩვენების მისაცემად გამოძახების ნების დართვა იგივეა, რაც მოსთხოვო ბრალდებულს მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ბრალდებულის მოწმედ გამოძახებით, ბრალდების მხარე მოითხოვს ბრალდებულისგან ბრალდების პოზიციის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას, ანუ იმის მტკიცებას, რომ ბრალდებული დამნაშავეა.
137. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული სტანდარტებით დადგენილია, რომ ჩვენების მიცემა „ბრალდებულის უფლებაა“ და ბრალდებულს უფლება აქვს „არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ“, რაც გულისხმობს, რომ მისი პრეროგატივაა მისცემს თუ არა იგი ჩვენებას. ბრალდებულის მოწმედ გამოძახება ბრალდებულს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან მას უწევს შეედაოს ბრალმდებელს ამ მოთხოვნაში, ან უარი თქვას უპასუხოს შეკითხვებს მოწმის სტატუსით. მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს რაიმე უარყოფითი დასკვნის გამოტანას ბრალდებულის უარის საფუძველზე, ბრალდებულებმა მაინც შეიძლება ჩათვალონ თავი ვალდებულად დააკმაყოფილონ ასეთი მოთხოვნა, რადგან მათ ეუფლებათ შეგრძნება, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმამ ან მეტადრე გარკვეულ შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობამ შეიძლება უარყოფითი შთაბეჭდილება შეუქმნას სასამართლოს, განსაკუთრებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

230 მაგალითად, ხეთაგური/გვარამიას პროცესზე, 13 აგვისტო 2013.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პროკურატურა ტრადიციულად ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა, ზოგიერთმა ბრალდებულმა შეიძლება არ იგრძნოს თავი კომფორტულად, როდესაც ამგვარ ძლევამოსილ უწყებას ედავება მოთხოვნაზე.

138. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ბრალდების მხარისთვის ნებისდართვა გამოიძახოს ბრალდებულის ბრალდების ვერსიაზე ჩვენების მისაცემად, მართალია არ არღვევს პირდაპირ ბრალდებულის უფლებას უარი თქვას საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, როგორც ასეთს, მაგრამ იგი ასახავს ამ უფლებების შესახებ ცოდნის გარკვეულ უკმარისობას და აფერხებს მის ეფექტურ განხორციელებას.

დ. დასკვნა

139. უფლებების შესახებ არასაკმარისი ინფორმირების, უარის მიუხედავად ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის მოთხოვნისა და ბრალდების ვერსიაზე ბრალდებულთა მოწმის სტატუსით გამოიძახების მაგალითები, რომლებიც ამ ანგარიშშია მოყვანილი, ბოლომდე არ წარმოადგენს იძულებას. და მაინც ზემოთ აღნიშნულს ხშირად შედეგად მოყვებოდა ბრალდებულის მიერ მამხილებელი ჩვენების მიცემა, რის გამოც მათ ექმნებოდათ პრობლემა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან დუმულის უფლების რეალურად და ეფექტურად უზრუნველყოფის მხრივ. ზემოთ მოყვანილი შემთხვევები და აგრეთვე დაცვის მხარის ჩაურევლობა ასახავდა პროცესის მონაწილეთა მიერ პრინციპების გაუცნობიერებლობას, რაც შეშფოთებას იწვევდა სამართლიანი სასამართლოს შესაძლო დარღვევების კუთხით.

ე. რეკომენდაციები

- სასამართლოებმა პროცესის ფარგლებში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ბრალდებულს მათი უფლების შესახებ უარი თქვან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და შეინარჩუნონ დუმულის უფლება და უზრუნველყონ მათ მიერ ამ პრინციპების მკაფიოდ გაგება. ამ მიზნით, შესაძლებელია ინსტრუქციების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მათი მოსამართლეებისთვის დარიგება.
- როდესაც ბრალდებულები სარგებლობენ დუმულისა და შეკითხვებზე პასუხის არ გაცემის უფლებით, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ამ პრინციპების პატივისცემა და აკრძალონ შემდგომი კითხვების დასმა.
- დაცვის ადვოკატმა აქტიურად უნდა იზრუნოს, რომ ბრალდებულის დუმულის უფლებას პატივი სცენ და გააპროტესტოს კითხვების განმეორებით დასმა, როდესაც ბრალდებულის ამგვარად გამოხატავს,

რომ მას არ სურს პასუხის გაცემა.

- ბრალდების მხარემ თავი უნდა შეიკავოს ბრალდებულის მოწმის სტატუსით გამოძახებისგან ბრალდების ვერსიაზე ჩვენების მისაცემად და მთავარმა პროკურორმა უნდა განიხილოს მითითებებისა და დირექტივების გამოცემა ამ საკითხთან დაკავშირებით.
- თუ ბრალდებულებს იძახებს ბრალდების მხარე, დაცვის ადვოკატმა უნდა გააპროტესტოს აღნიშნული იმის საფუძველზე, რომ ეს არღვევს დემილის უფლებას ან ბრალდებულის პრეროგატივას თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ჩვენების მიცემაზე.
- სასამართლოებმა ჯეროვნად უნდა განიხილონ დაცვის მხარის პროტესტი ბრალმდებლის მიერ ბრალდებულის მოწმედ გამოძახების თაობაზე და წარმოადგინონ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან არ დაკმაყოფილებაზე.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებების სტატუსს შორის არსებული განსხვავების სიღრმისეულად.
- მოსამართლეთა, პროკურორთა და დაცვის ადვოკატთა მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ შემდგომი ტრენინგების ჩატარება საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დემილის უფლების საკითხებზე და მათ შესაძლო გავლენაზე შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში.

X. თავისუფლების უფლება

140. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები გარანტირებულად იცავენ ყველა ადამიანის პიროვნების თავისუფლებას, როგორც ფუნდამენტურ უფლებას, რომლიდანაც გადახვევა სახელმწიფოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია, როდესაც ობიექტური მიზნები ამართლებენ თავისუფლების შეზღუდვას.²³¹ თავისუფლების ეს პრეზუმფცია ეხება ბრალდებულ პირების დაპატიმრებებს მიმდინარე საქმეებში და ამდენად დაპატიმრებისა და დაკავების, როგორც პრევენციული ღონისძიების, შეფასება უნდა შეფასდეს ამ სტანდარტებთან მიმართებაში.
141. თოთხმეტი საქმიდან, რომელზეც მონიტორინგი ჩატარდა, რვა საქმეში ბრალდებულები იმყოფებოდნენ პატიმრობაში.²³² მონიტორინგის ჩარჩო

231 UDHR მუხლი 3, ICCPR, მუხლი 9 და ECHR, მუხლი 5.

232 ზოგიერთი ბრალდებული იმყოფებოდა პატიმრობაში მონიტორინგის პროცესების დროს გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, სხვები კი სხვა საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით იყვნენ დაპატიმრებულები, რომლებზეც არ ჩატარებულა მონიტორინგი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი სასამართლო საქმეების შესახებ.

არ მოიცავდა პატიმრობის შესახებ სასამართლო განხილვებს. თუმცა, მონიტორები აკვირდებოდნენ წინასასამართლო და სასამართლო პროცესებს, რომლის დროსაც დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობები დაპატიმრების გაუქმებაზე ან მის უფრო მსუბუქი ზომით შეცვლაზე. ამ თავში განიხილება ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც ეხება პროცედურებს და დაპატიმრების შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმებს და ასევე დაპატიმრების გადაწყვეტილების დასაბუთების პრობლემებს.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

142. ადამიანის უფლებების ინსტრუმენტები განსაზღვრავენ თავისუფლების პრეზუმფციას და მათი მიზანია უზრუნველყონ, რომ არავის წაერთვას თავისუფლების უფლება თვითნებურად ან ჯეროვანი დასაბუთების გარეშე.²³³ ტერმინს „თვითნებურს“ უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს „შეუსაბამობის, უსამართლობის და წინასწარგანჭვრეტადობის არარსებობის ელემენტებს.“²³⁴ წინასწარ განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა კანონიერი საფუძვლის არსებობა, რომელიც დაადგენს კრიტერიუმებს და განსაზღვრავს პროცედურებს პიროვნებისთვის უფლების შესაზღვრად. თვითნებობის აკრძალვა სცდება ეროვნულ კანონთან შესაბამისობას, რაც ნიშნავს, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.²³⁵ თანაზომიერებისა და აუცილებლობის მოთხოვნებში იგულისხმება ნაკლებად შემზღუდავი ზომების გამოყენება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და პატიმრობის რაც შეიძლება მოკლე ვადით შეფარდება.²³⁶
143. სისხლის სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში, პირი შეიძლება დააკავონ კომპეტენტური საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით გონივრული ეჭვის საფუძვლით, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.²³⁷ სახელმწიფო ვალდებულია თავადვე უზრუნველყოს სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა დაუყოვნებლივ დაპატიმრების (პოლიციის მიერ, თუ ადმინისტრაციული წესით დაკავებისას) შემდეგ²³⁸ და დაკავებულებს უფლება აქვთ მათი დაპატიმრების კანონიერება გაასაჩივრონ და მოითხოვონ უფლებრივი აღდგენა.²³⁹ ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „სასამართლო კონტროლი დაპატიმრებაზე ავტომატურად უნდა მოქმედებდეს. იგი არ უნდა განდეს

233 UDHR, მუხლი 9, ICCPR, მუხლი 9(1) და ECHR 5(1).

234 სამართლიანი სასამართლოს სახელმძღვანელო, ციტატა ნაშრომიდან, ნიშ. 205, გვ. 34.

235 კრეანჯა რუმინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 23 თებერვალი, 2012, პარ. 84; ა. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 19 თებერვალი, 2009, პარ. 164.

236 ICCPR, მუხლი 9 და ECHR, მუხლი 5. საერთაშორისო სტანდარტების დეტალურად მიმოხილვა აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდებისთვის, იხ. კანონი ღონისძიებების აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ და მათი განხორციელების პრაქტიკა: წინასწარ პატიმრობაში მოთავსების დასაბუთება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, OSCE -ს მისია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, აგვისტო, 2008.

237 ECHR, მუხლი 5(1)(გ).

238 იქვე, მუხლი 5(4) და ICCPR მუხლი 9(4).

239 ECHR, მუხლი 5(3).

დამოკიდებული პატიმრობაში მყოფი პირის მიერ ადრე შეტანილ განაცხადებზე.²⁴⁰

144. დაპატიმრების შეფარდების აუცილებლობისა და თანაზომიერების მტკიცება უკვე პროკურატურის ორგანოების საქმეა.²⁴¹ გონივრული ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას კანონიერი დაპატიმრებისთვის.²⁴² ამასთანავე, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტმა განსაზღვრა დამატებით სულ ცოტა სამი დასაშვები საფუძველი პატიმრობისთვის, კერძოდ, როდესაც არსებობს ალბათობა, რომ ბრალდებული თავს აარიდებს მართლმსაჯულებას, ან გაანადგურებს მტკიცებულებებს, ზემოქმედებას მოახდენს მოწმეებზე ან მიიმალება სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებს მიღმა.²⁴³
145. ბოლოს, დაპატიმრების საფუძვლების არსებობის მოთხოვნა თავისუფლების შეზღუდვის მთელ პერიოდზე ვრცელდება და ამავდროულად მისი გაგრძელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გონივრულ ვადებში საქმის განხილვის აუცილებლობა. მათ, ვისაც აღუკვეთეს თავისუფლება, უფლება აქვთ მათი დაპატიმრების კანონიერების თაობაზე მოითხოვონ პერიოდული სასამართლო განხილვა გონივრულ ინტერვალებში.²⁴⁴ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევები ამ კუთხით, როდესაც გადაწყვეტილება გამოაქვთ ფორმალურად, სტანდარტული დასაბუთებების გამოყენებით, მხარეების არგუმენტების ან საქმის თავისებურებების გაუთვალისწინებლად.²⁴⁵
146. ბოლოს, დაკავების ან დაპატიმრების საფუძვლების არსებობის მოთხოვნა თავისუფლების შეზღუდვის მთელ პერიოდზე ვრცელდება და ამავდროულად მისი გაგრძელებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გონივრულ ვადებში საქმის განხილვის აუცილებლობა. მათ, ვისაც აღუკვეთეს თავისუფლება, უფლება აქვთ მათი დაკავების კანონიერების თაობაზე მოითხოვონ პერიოდული სასამართლო განხილვა გონივრულ ინტერვალებში.²⁴⁶ სასამართლო განუწყვეტილად უნდა ახდენდეს იმ პირების მიმდინარე დაპატიმრებების საქმეების გადახედვას, ვინც სასამართლო განაჩენის მოლოდინშია, რათა უზრუნველყოს მათი გათავისუფლება შესაბამისი საფუძვლების არარსებობისას.²⁴⁷ გარემოებები შეიძლება შეიცვალოს და თუ გამოძიების ადრეულ ეტაპზე პირის

240 თ. ვ. მალტის წინააღმდეგ, ECtHR, 26 აპრილი 1999, პარ. 43.

241 ილიეკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, ECtHR, 26 ივლისი, 2001, პარ. 84; ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 6 თებერვალი 2008, პარ. 73-75.

242 პუნჯელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ECtHR, 25 ივლისი 2000, პარ. 73.

243 ECHR, მუხლი 5 (1) გ და “ზოგადი კომენტარი N. 27, მუხლი 12: „გადაადგილების თავისუფლება”, გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი, გაეროს დოკ. U.N. Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.9, 2 ნოემბერი, 1999, პარ. 14.

244 ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, ECtHR, 28 ოქტომბერი, 1998, პარ. 162; ჰერცეგფალვი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 სექტემბერი 1992, პარ. 75.

245 სვიპსტა ლატვიის წინააღმდეგ, ECtHR, 9 მარტი, 2006, პარ. 130-134.

246 ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, ECtHR, 28 ოქტომბერი, 1998, პარ. 162; ჰერცეგფალვი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 სექტემბერი 1992, პარ. 75.

247 ი.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ, ECtHR, 23 სექტემბერი 1998, პარ. 111.

თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი არსებობდა, მოგვიანებით შესაძლოა იგი აღარ იყოს რელევანტური. ასევე პატიმრობის ვადის ხანგრძლივად გამოყენება უფრო მყარ არგუმენტებს მოითხოვს მის გასამართლებლად.

147. ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა ასევე იკისრეს ვალდებულებები თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით, სადაც ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უსაფრთხოების გარკვეულ ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დანერგოს უფლების შეზღუდვისას, მაგალითად როგორცაა მისი დაუყოვნებლივ მოსამართლის წინაშე წარდგენის უფლება და დაპატიმრებასა და დაკავებისას შესაბამისი პირების (რომელიც სახელდება თავისუფლებაშეზღუდული პირის მიერ) ინფორმირება.²⁴⁸

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

148. კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფენ თავისუფლების უფლების დაცვას და მიუთითებენ, რომ დაპატიმრების ფორმით თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.²⁴⁹
149. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დაპატიმრების ოთხ დასაშვებსაფუძველს კერძოდ იმით, რომ (1) რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, (2) არ გააყაღოს მტკიცებულებები (მათ შორის არ მოახდინოს მოწმეზე ზეწოლა ან მტკიცებულების განადგურება), (3) აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, (4) უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.²⁵⁰ დაპატიმრების ან სხვა რაიმე ზომის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებისთვის, უნდა დადგინდეს დასაბუთებული ვარაუდი,²⁵¹ რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან.²⁵² კოდექსი მოითხოვს თანაზომიერების შეფასებას და მიუთითებს, რომ პატიმრობის შესახებ განჩინების გაცემა შეიძლება მხოლოდ როდესაც ამ ღონისძიებების გამოყენების მიზანი ვერ მიიღწევა სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.²⁵³
150. პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.²⁵⁴ სასამართლომ უნდა მისცეს დაცვის მხარეს პასუხის გაცემის შესაძლებლობა.²⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

248 მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პარ. 23.1(i)-(iv) და (vi).

249 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 18(1) და 18(2) დამუხლი 5(4) სსსკ.

250 მუხლი 205 სსსკ; იხ. აგრეთვე მუხლ. 38(12) და 198(1).

251 იქვე. მუხლი 198(2).

252 იქვე. მუხლი 3 (11).

253 იქვე. მუხლ. 198(1) და 198(4).

254 იქვე. მუხლი 198(3).

255 იქვე. მუხლი 206(3).

აგრეთვე აძლევს ბრალდებულს შუამდგომლობის აღძვრის საშუალებას აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან გაუქმების შესახებ, თუმცა შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს „ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც არ იყო ცნობილი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას“, რაც ავალდებულებს ბრალდებულს წარმოადგინოს მისი გათავისუფლების საფუძვლები.²⁵⁶

151. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, გაუქმების ან შეცვლის საკითხი უნდა იქნას განხილული ზეპირ მოსმენაზე.²⁵⁷ კოდექსი ადგენს აღკვეთის ღონისძიებებზე მიღებული განჩინების შინაარსს,²⁵⁸ თუმცა იგი ცალსახად არ ითხოვს სასამართლოსგან პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას ან მხარეთა არგუმენტების განხილვას. მხარეებს უნდა გადაეცეთ გადაწყვეტილების წერილობითი ასლი,²⁵⁹ ხოლო რაც შეეხება გადაწყვეტილების განსაჯარობას, სასამართლოებს მოეთხოვებათ მხოლოდ „გამოაცხადონ ამ მიზნით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.“²⁶⁰
152. კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებენ პატიმრობის მაქსიმალურ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ ბრალდებულები უნდა გათავისუფლდეს.²⁶¹ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საფუძვლის ავტომატურად, უწყვეტად და პერიოდულად გადახედვის მექანიზმს.

გ. ანალიზი

153. მონიტორინგის რამოდენიმე საქმეზე მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება დაპატიმრების აღკვეთის ღონისძიებად შეფარდების თაობაზე თითქმის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, იმის მითითების გარეშე თურათომ უნდა დაქვემდებარებოდა ბრალდებულები ასეთ ზომას.²⁶² მოსამართლეებმა უარყვეს შუამდგომლობა დაპატიმრების გაუქმების ან სხვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, გაიზიარეს რა ბრალდების მხარის მოთხოვნა სასამართლო სხდომაზე ვადის გაგრძელების შესახებ

256 იქვე, მუხლი 206(8).

257 მუხლი 206(3) სსსკ.

258 იქვე, მუხლი 206(6) რომელის მიხედვით, იგი უნდა შეიცავდეს: „სასამართლო დადგენილების გამოტანის თარიღს და ადგილს; მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულის და მისი ადვოკატის ვინაობა; წაყენებული ბრალის შინაარსს; და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან არ შეფარდების გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, დადგენილება ზუსტად უნდა მიუთითებდეს მიზანს და პირს, რომელსაც ის ეხება; შემსრულებელ ოფიციალურ პირს ან ორგანოს, დადგენილების გასაჩივრების პროცედურას და მოსამართლის ხელმოწერას.“

259 იქვე, მუხლი 206(7).

260 იქვე, მუხლი 206(11). თუმცა ინფორმაცია სასამართლო დოკუმენტებზე, მათ შორის პატიმრობის შესახებ განჩინებაზე შესაძლებელია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2(1)(i), 3(2)(დ) და 28-ე მუხლებიდან გამომდინარე.

261 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18(6) და სსსკ-ის მუხლი 205(2).

262 პროცესი ახალაია II, 17 აპრილი 2013; მერაბიშვილის (თბილისი) პროცესი, 27 ნოემბერი 2013. და მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 19 სექტემბერი 2013, 25 სექტემბერი 2013 და 7 ოქტომბერი 2013.

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და მიუთითეს ბრძანებაში დადგენილი პატიმრობის საფუძველი მხოლოდ აბსტრაქტულად. მრავალ შემთხვევაში მოსამართლეები არ პასუხობდნენ დაცვის არგუმენტებს პატიმრობის ვადის გაგრძელების წინააღმდეგ და არ ხსნიდნენ, თურათომარ იყო საკმარისი ნაკლებად მკაცრი ღონისძიება. შესაძლოა, რომ მტკიცებულება შეიცავდა პატიმრობის შეფარდების საფუძველს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მაგრამ საკმარისი დასაბუთების გარეშე, ეს გადაწყვეტილებები თვითნებურად გამოიყურებოდა და ეჭვს ბადებდა სასამართლოს მიუკერძოებლობის თაობაზე.

154. მონიტორინგის რამოდენიმე საქმეზე წერილობით განჩინებების პატიმრობის შესახებ შეიცავდნენ გარკვეულ დასაბუთებას,²⁶³ თუმცა ეს საკმარისი არ იყო მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განსახილველად და არ შეიცავდა შეფასებას, თუ რამდენად გამართლებული იყო პატიმრობის ვადის გაგრძელება სასამართლო პროცესის დარჩენილი ვადით, რამდენად თანაზომიერი იყო შეფარდებული ღონისძიება და თუ შეიძლებოდა ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენება, ან არსებობდა თუ არა დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი.
155. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დაპატიმრების შესახებ სასამართლო განჩინების გაცემის შემდეგ წინასასამართლო ეტაპზე, იგი რჩებოდა ძალაში კანონით დაწესებულ მაქსიმალური ვადით, ანუ ცხრა თვით და ამდენად შუამდგომლობის ინიცირება და დასაბუთება მისი გაუქმებისა ან ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ დამოკიდებული იყო დაცვის მხარეზე. მიუხედავად იმისა, რომ მისაღებია პატიმრობის ან ხელმეორედ დაპატიმრების მაქსიმალური ვადის დაწესება, ეს ბუნებრივია არ უნდა იქნას გაგებულ თითქოს იგი ავტომატურად ამართლებდეს ცხრა თვის ვადით თავისუფლების შეზღუდვას. საქართველოს კანონმდებლობაში პერიოდულად გადახედვის მექანიზმის არარსებობა ნიშნავს, რომ არსებული სისტემის მიხედვით, პატიმრობის გაუქმება შესაძლებელია სხვა აღკვეთის ღონისძიებით შეცვლით, დაცვის მხარის შუამდგომლობი საფუძველზე. ამგვარი შუამდგომლობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს “ახალი გარემოების” დასაბუთებას, რაც ამ გარანტიის შეზღუდვას წარმოადგენს. ამასთანავე, ვალდებულება თავისუფლების უფლების წართმევის დასაბუთებისა ყოველთვის ეკისრება ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებმაც უნდა დაასაბუთონ პატიმრობის

263 ODIHR-ს არ ჩაუტარებია პატიმრობაზე სასამართლო სხდომების მონიტორინგი და მხოლოდ შეისწავლა დაცვის მხარის შუამდგომლობების უარყოფისა და შეცვლის გადაწყვეტილებები. შემდეგი განჩინებები იყო ხელმისაწვდომი ODIHR-თვის: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები რომლებიც ეხება საქმეებს ახალაია 2 (2013 წლის 14 თებერვალი, 2013 წლის 17 აპრილი, 2013 წლის 22 ივლისი), დათა ახალაია (2013 წლის 29 ოქტომბერი), მერაბიშვილი (2013 წლის 27 ნოემბერი). ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება რომელიც ეხება მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის საქმეს (2013 წლის 22 მაისი) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომელიც ეხება მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის საქმეს (2013 წლის 25 მაისი).

გამოყენების საჭიროება, თანაზომიერება და მიზანშეწონილობა პატიმრობის მთლიანი ვადის განმავლობაში.²⁶⁴

156. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა „სარწმუნოდ უნდა დაადგინონ კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც ასაბუთებენ დაპატიმრების უწყვეტობის აუცილებლობას“ და შეაფასონ აკმაყოფილებს თუ არა დაპატიმრება ან ნაკლებად მკაცრი ღონისძიება თანაზომიერების მოთხოვნას.²⁶⁵ სასამართლო პროცესის მონიტორინგის შედეგები ზემოთ მოყვანილ ფაქტებთან ერთად მეტყველებენ იმაზე, რომ საჭიროა არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გადახედვა, არამედ ამ სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებაც. დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთება მნიშვნელოვანია ბრალდებულისთვის, რათა მან გაიგოს თუ რატომ იქნა ესა თუ ის ზომა შეფარდებული და ეფექტურად ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში არასაკმარისად წარმოდგენილი დასაბუთება აგრეთვე აფერხებს მის ეფექტურად განხილვას ზემდგომ ინსტანციაში.
157. გადაწყვეტილებაზე დასაბუთების წარმოდგენა აგრეთვე მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებამ შესძლოს დაპატიმრების გადაწყვეტილებების კანონიერების გაკონტროლება. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ზემოაღნიშნულის მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ „საზოგადოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების გაკონტროლება შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.“²⁶⁶ აქედან გამომდინარე აღკვეთის ღონისძიებებზე მიღებული გადაწყვეტილებები დამათი დასაბუთება, მათ შორის ზეპირი გადაწყვეტილებების დასაბუთება, რომელსაც მოსამართლე აცხადებს საჯარო პროცესზე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

დ. დასკვნა

158. ამრიგად, დაკვირვების შედეგად გამოვლენილი დაპატიმრების პრაქტიკა ძირითადად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, თუმცა იგი სრულად არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მოსამართლეები უარყოფდნენ დაცვის შუამდგომლობას, ისე, რომ საჯაროდ არ აცხადებდნენ უწყვეტი დაპატიმრების საფუძვლებს, რაც ქმნიდა სასამართლოს თვითნებობის და შესაძლო მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას. წერილობითი გადაწყვეტილებები არ შეიცავდნენ საკმარის დასაბუთებას ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა

264 გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 28 ოქტომბერი, 1998, პარ. 75 და ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 10 მარტი 2009, პარ. 64-67.

265 გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 28 ოქტომბერი, 1998, პარ 76-79 და ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 6 თებერვალი, 2008, პარ. 74-77.

266 ტასე რუმინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 10 სექტემბერი 2008, პარ. 41.

მტიკვებულებების შეფასება და მხარეთა არგუმენტები, როგორც ესაა განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტებში.

159. ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შეფარდება ან მისი ვადის გაგრძელება შესაბამისი დასაბუთების და გასაჯაროების გარეშე არა მხოლოდ არ შეესაბამება თავისუფლების უფლებას, არამედ იწვევს საზოგადოების ნდობის შემცირებას სასამართლო სისტემის სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობაში სასამართლოს მიერ პერიოდულად გადახედვის დებულების არარსებობა ხელს უწყობდა ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, როდესაც დაპატიმრების შეფარდება კანონის თანახმად ავტომატურად ცხრა თვით განისაზღვრებოდა, რაც არღვევდა თავისუფლების პრეზუმფციას.

ე. რეკომენდაციები

- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც მოითხოვს აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების დასაბუთებას და მათ ღია სასამართლო სხდომაზე თუნდაც მოკლედ და ზეპირად წარმოდგენას.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პატიმრობის ვადის გაგრძელების პირობების ავტომატური და პერიოდული გადახედვის მექანიზმის დამატების შესახებ. გადახედვა უნდა მოხდეს დროის რეგულარულ ინტერვალებში და ბრალდების მხარეს უნდა მოეთხოვოს შუამდგომლობის წარმოდგენა დაპატიმრების ვადის გაგრძელების დასაბუთების შესახებ შემდგომ სასამართლო გადახედვამდე.
- მოსამართლეთა, დაცვის ადვოკატთა და პროკურორთა მოსამზადებელმა ორგანიზაციებმა/ინსტიტუტებმა, უნდა უზრუნველყონ ტრენინგები აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურული მოთხოვნებისა და გარანტიების შესახებ, მათ შორის მოსამართლეთა მომზადება პატიმრობის განჩინებათა დასაბუთებაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- დაპატიმრების ვადის ყოველი გაგრძელებისა და გადახედვისას, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ არსებობს თუ არა საფუძველი, რომელიც ამართლებს პატიმრობის ვადის გაგრძელებას და უნდა გაითვალისწინონ, რომ აღკვეთის ღონისძიების აუცილებლობის დადგენის ტვირთი ეკისრება პროკურატურას. მათ აგრეთვე უნდა გასცენ პასუხი დაცვის მხარის მიერ პატიმრობის საწინააღმდეგო მთავარ არგუმენტებს და აღნიშნონ, რომ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება იქნა ასევე განხილული და წარმოადგინონ იმის მიზეზი, თუ რატომ იქნა იგი მიჩნეული არასაკმარისად.

XI. მხარეთა თანასწორობა

160. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თითოეული მხარისთვის მათი საქმის წარდგენის გონივრული შესაძლებლობების მიცემას, რაც არ ჩააყენებს ერთ მხარეს მეორესთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში.²⁶⁷ ეს გამოიხატება მთელ რიგ მოთხოვნებში, რომელთა პრაქტიკული გამოყენება განიხილება ამ თავში: მათ შორის განმარტებები სასამართლო პროცესის მსვლელობისას უფლებების შესახებ, საქმის მოსამზადებლად გონივრული დროისა და პირობების არსებობას და ასევე სასამართლო პროცესზე დასწრების უფლებას.
161. მხარეთა თანასწორუფლებიანობა აგრეთვე გულისხმობს ადვოკატის ყოლისა და მოწმეთა დაბარებისა და დაკითხვის უფლებებს.²⁶⁸

ა. საერთაშორისო სტანდარტები

162. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) ხაზს უსვავს რომ, „სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური ასპექტია სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა და ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანასწორობა.“²⁶⁹ საერთაშორისო სამართალი აღიარებს მხარეთა თანასწორობის პრინციპს ითხოვს რა, რომ საქმის ყველა მხარეს ჰქონდეს ერთნაირი პროცედურული უფლებები.²⁷⁰ ეს პრინციპი გადაჯაჭვულია სისხლის სამართლის პროცესის საყოველთაო შეჯიბრებითობის ხასიათთან, რასაც აგრეთვე განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა.²⁷¹
163. თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულებს სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ მათ უფლებებზე, რადგანაც სრული წარმოდგენის ქონა საკუთარ უფლებებზე აყენებს მხარეს ამ უფლებებით სარგებლობისთვის საუკეთესო პოზიციაში. „ნათელი უნდა იყოს, რომ მაგალითად, პირმა იცოდეს მისი წარმომადგენლობითი უფლების და ასევე ადვოკატის დანიშვნის შესაძლებელი არჩევანის შესახებ, როდესაც მას არ შეუძლია

267 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ 113, პარ. 13. დომბო ბეჰერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 27 ოქტომბერი 1993, პარ. 33. იხ. აგრეთვე, ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ნოემბერი 1997, პარ. 63; ანკერლი შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 23 ოქტომბერი 1996, პარ. 38. იხ. აგრეთვე, კრცმარი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ECtHR, 3 ივნისი 2000, პარ. 39; სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 15 მაისი 2005, პარ. 62; ვან ორშოვენი ბელოგიის წინააღმდეგ, ECtHR, 25 ივნისი 1997, პარ. 41.

268 ორივე უფლება განხილულია თავებში „ადვოკატის აყვანის უფლება“ და „მოწმეთა გამოძახება და დაკითხვა“.

269 დოუსეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 24 ივნისი 2003, პარ. 41.

270 იხ. ICCPR, მუხლი 14(3)(დ); ECHR, მუხლი 6; ცოქე და სხვები ბელოგიის წინააღმდეგ, ECtHR, 18 ოქტომბერი 2000, პარ. 102; გ.ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ, ECtHR, 2 იანვარი 2002, პარ. 58.

271 რუიზ-მატეოში ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 23 ივნისი 1993, პარ. 63. იხ. აგრეთვე, ბრანდსტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 28 აგვისტო 1991, პარ. 66.

ამ ხარჯის გაწევა; და რომ პირს, რომელიც ჩვენებას იძლევა, ესმოდეს, რომ მას აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.²⁷² ბრალდებულების მიერ მათი უფლებების სრულად გათვითცნობიერების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება დუმისისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების შესახებ განმარტებების მიცემას.²⁷³

164. საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებენ საქმის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და პირობების უზრუნველყოფას, როგორც სამართლიანი სასამართლოსა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის ნაწილს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.²⁷⁴ ადეკვატური დრო და პირობები შეიცავს „პროკურატურის მიერ არსებითი ინფორმაციის მიწოდებასაც.“²⁷⁵ გარდა ამისა, იგი მოითხოვს ბრალდებულის ინფორმირებას სასამართლოში წარმოდგენილ მოწმეთა ვინაობის შესახებ თითოეული სასამართლო მოსმენის წინ საკმაოდ დროით ადრე, რათა დაცვის მხარეს მიეცეს საკმარისი დრო ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად.²⁷⁶ იმის განსაზღვრა, თუ რას გულისხმობს საქმის მოსამზადებლად ადეკვატური დრო, მოითხოვს ყოველი საქმის გარემოებების შეფასებას, მათ შორის პროცესის ბუნებისა და სირთულის, იმის, თუ რომელ ეტაპს მიაღწია საქმის წარმოებამ და ასევე სამართალწარმოების გონივრულ ვადაში ჩატარების ვალდებულების.²⁷⁷ ამდენად, მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ საქმის გადადება, თუ თვლიან, რომ მოსამზადებელი დრო არასაკმარისია და „სასამართლოებს უკისრებათ ვალდებულება საქმის გადადების გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებულს ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულოში“²⁷⁸ მიუხედავად „პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის უფლებისა, მოითხოვოს მისი საქმის განსაკუთრებით სწრაფად განხილვა.“²⁷⁹
165. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ცხადად აღნიშნავს, რომ ბრალდებულის უფლებაა

272 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 114.

273 იხ. აგრეთვე თავი - საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის აკრძალვა.

274 ICCPR, მუხლი 14(3)ბ; ECHR, მუხლი 6(3)ბ. იხ. აგრეთვე, სმიტი იამაიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა საბჭოს ინფორმაცია 282/1988, UN Doc CCPR/C/47/D/282/1988 (1993), პარ. 10.4.

275 სამართლიანი სასამართლოს სახელმძღვანელო, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 205, გვ. 119; იხ. აგრეთვე, “ზოგადი კომენტარი No. 13, მუხლი 14: სასამართლოს წინაშე თანასწორობა და სამართლიანი და საჯარო სასამართლო პროცესის უფლება დამოუკიდებელი კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ“ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, გაეროს დოკ. HRI/GEN/1/Rev.1, 13 აპრილი, 1984, პარ. 9.

276 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, პარ. 32 და 33.

277 იხ. ალბერტი და ლე კომტი ბელგიის წინააღმდეგ, ECtHR, 10 თებერვალი 1983, პარ. 41; ჰიბერტი იამაიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა საბჭოს ინფორმაცია 293/1988, გაეროს დოკ. CCPR/C/45/D/293/1988, 27 აგვისტო 1992, პარ. 7.4; ნათანელ უილიამსი იამაიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა საბჭოს ინფორმაცია 561/1993, UN Doc CCPR/C/59/D/561/1993, 4 ნოემბერი, 1997, პარ. 9.3.

278 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, პარ. 32.

279 ვ. შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 26 იანვარი 1993, პარ. 42. იხ. აგრეთვე, თავი გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შესახებ.

„გასამართლდეს მისი თანდასწრებით.“²⁸⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საგანი დამიზანია ზოგადად იმის დემონსტრირება, რომ პირს, „რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული“ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში.²⁸¹ ევროპული სასამართლო სისხლის სამართლის დამნაშავე ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ყოფნის შესაძლებლობის უზრუნველყოფას მიიჩნევს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად.²⁸² სასამართლო პროცესის ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება შესაძლებელია „საგამონაკლისო შემთხვევებში და მხოლოდ დასაბუთებული მიზეზით, როდესაც „ბრალდებულის უფლებების მკაცრად დაცვა კიდევ უფრო საჭიროა.“²⁸³ სასამართლო პროცესის ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ „პროცესში მონაწილეობის უფლებაზე უარის თქმა უნდა მოხდეს არაორაზროვნად და მას თან უნდა ახლდეს მისი მნიშვნელობის თანაზომიერი მინიმალური სიფრთხილის ზომები.“²⁸⁴ საქმის ხელახალი განხილვის უფლება ასევე მნიშვნელოვანი გარანტიაა, როდესაც პროცესი, რომელსაც ბრალდებულო არ ესწრება მაინც ტარდება მისი ინფორმირების გარეშე ან როცა მას მას არ უთქვამს მკაფიო უარი სასამართლოს წინაშე წარდგენაზე, რადგან ამ შემთხვევაში ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს საქმის ხელახალი განხილვა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაედო საფუძვლად მის ბრალდებას.“²⁸⁵

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

166. კონსტიტუციის თანახმად, „მხარეთა თანასწორობა და პროცესის შეჯიბრებითობა“ უდევს საფუძვლად სისხლის სამართლის პროცესის

280 ICCPR, მუხლი 14(3)(d); იხ. აგრეთვე, თილო მარაუნი, „ბრალდებულის უფლება პროცესზე მისი დასწრებით გასამართლებაზე“ დავიდ ვაისბროტი და რუდიგერ ვოლფრუმი, გამოც. *სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება* (ბერლინი: სპრინგერი 1998) გვ. 763.

281 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან შენ. 7. გვ. 134. კოლოზნა იტალიის წინააღმდეგ, ECtHR 12 თებერვალი 1985, პარ. 27, ბელჯიუკი პოლონეთის წინააღმდეგ, ECtHR, 25 მარტი, 1998, პარ. 37(ii).

282 სტოიჩკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ივნისი 2005, პარ. 56.

283 ზოგადი კომენტარი No. 13 ციტატა ნაშრომიდან შენ. 275, პარ. 11 საბოლოო.

284 სეჟდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 1 მარტი 2006, პარ. 86. „რეზოლუცია 75(11) ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარებული პროცესების წარმართვის კრიტერიუმების შესახებ“ ევროპის საბჭო, 21 მაისი 1975, ადგენს მთელ რიგ კრიტერიუმებს ბრალდებულის პროცესზე დაუსწრებლად გასამართლებისთვის. ბრალდებულის სასამართლოში გამოძახება სათანადო წესით უნდა მოხდეს (პარ. 1), და სასამართლო პროცესი უნდა გადაიდოს, თუ არსებობს სარწმუნო მიზეზი, რომ ბრალდებულს ხელი შეეშალა გამოცხადებაში (პარ. 3). აგრეთვე, პირს, რომელსაც მის პროცესზე დაუსწრებლად ასამართლებენ, უნდა მიეცეს შესაძლებლობა გააუქმებინოს მის მიმართ გამოტანილი ნებისმიერი განაჩენი, თუ მისი სასამართლოში გამოძახების პროცედურა სათანადოდ არ განხორციელებულა (პარ. 8). და ბოლოს, ბრალდებულს, რომელსაც დაუსწრებლად გაასამართლებენ, უფლება აქვს პროცესის თავიდან დაწინააღმდეგოს, თუ იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოცხადდა (პარ. 9).

285 სეჟდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 1 მარტი 2006, პარ. 109; კოლოზნა იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 12 თებერვალი 1985, პარ. 29.

ჩატარებას.²⁸⁶ სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ მხარეთა თანასწორობა „მათი თანაბარი შესაძლებლობებისა და კანონიერი უფლებების დაცვით ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.“²⁸⁷ ამ მიზნის მიღწევის ერთი გზა არის ბრალდებულის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ. შესაბამისად, ნებისმიერი სახის დაკითხვის დაწყებამდე, ბრალდებულმა უნდა იცოდეს მისი უფლებების შესახებ, მათ შორის ადვოკატის ყოლის, დუმის, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების შესახებ.²⁸⁸

167. სისხლის სამართლის კოდექსი ამბობს, რომ „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის.“²⁸⁹ იგი ასევე აძლევს მხარეებს „გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობისა და მოცულობის განსაზღვრის“²⁹⁰ საშუალებას. კოდექსი ზოგადი საქმის წარმართვის როლს ანიჭებს სასამართლოს, ითხოვს რა, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეებმა დაამტკიცონ მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეებმა წაიყვანონ საქმის არსებითი განხილვა.²⁹¹ სისხლის სამართლო საპროცესო კოდექსით დაცულია ბრალდებულის უფლება ადეკვატურ დროსა და პირობებზე, რამდენადაც იგი ანიჭებს პირს უფლებას უარი განაცხადოს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე თუ „ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის.“²⁹²
168. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღიარებს ბრალდებულის „უფლებას მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და პირდაპირ თუ დისტანციურად ტექნიკური საშუალებების დახმარებით, სასამართლო განხილვაში.“²⁹³ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით „თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.“²⁹⁴ კოდექსი არაფერს ამბობს ბრალდებულის თანხმობაზე გაგრძელებს პროცესი მის დაუსწრებლად. ასევე, კოდექსი არ ანიჭებს ბრალდებულს საქმის ხელმეორედ განხილვის უფლებას, იმ შემთხვევაში თუ იგი შეიტყობს სასამართლო პროცესის შესახებ მოგვიანებით მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. თუმცა კოდექსი ანიჭებს ბრალდებულს იმ განაჩენის გასაჩივრების უფლებას, რომელიც მის დაუსწრებლად გამოტანილი.²⁹⁵

286 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 85(3) და 42(6).

287 მუხლ. 25(1) და 9(1) სსსკ.

288 იქვე, მუხლ. 38(2), 219(3), 229(2), 230(1) და 230(2).

289 იქვე, მუხლი 38(5).

290 იქვე, მუხლ. 242(2) და 242(3).

291 იქვე, მუხლ. 220(გ) და 227.

292 იქვე, მუხლ. 8(2). იხ. აგრეთვე თავი გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შესახებ.

293 იქვე, მუხლ. 38 (14).

294 იქვე, მუხლი 189(1) იქვე, მუხლ. 8(2). იხ. აგრეთვე თავი გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შესახებ.

295 იქვე, მუხლი 292(3).

გ. ანალიზი

1. სასამართლო პროცესის დროს უფლებების შესახებ განმარტებები

169. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ სასამართლო ხშირად იგნორირებას უკეთებდა ბრალდებულთა უფლებების შესახებ სრული ინფორმირების ფუნქციას. რამდენიმე შემთხვევაში მოსამართლეებმა არ შეამოწმეს იცოდნენ თუ არა ბრალდებულებმა დუმილის უფლების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მოწმის სტატუსით იძლეოდნენ ჩვენებას. მრავალ საქმეში, რომლებსაც დავაკვირდით, მოსამართლეები უბრალოდ ეკითხებოდნენ ბრალდებულებს სურდათ თუ არა მათ ჩვენების მიცემა, ხოლო ის, რომ მათ ჰქონდათ ჩვენებაზე უარის თქმის უფლება და რომ ეს უარყოფა ვერ გამოიყენებოდა მათ წინააღმდეგ მტკიცებულებად, არ განუმარტავთ.²⁹⁶ სხვა საქმეებში, როდესაც ბრალდებულები იძლეოდა ჩვენებას, მოსამართლეები უბრალოდ კანონის პერეფრაზს იყენებდნენ მათთვის განმარტების მისაცემად. მოსამართლეები აგრეთვე ეკითხებოდნენ ბრალდებულებს სურდათ თუ არა უარის თქმა მათ უფლებაზე, რომ გასამართლებულიყვნენ ნაფიცი მსაჯულების მიერ, მაგრამ არ უხსნიდნენ ნაფიცი მსაჯულების მიერ გასამართლების დებულების ხასიათს და მის შედეგებს.²⁹⁷ მოსამართლეები ზოგჯერ არ აძლევდნენ მხარეებს ინფორმაციას გასაჩივრების უფლებაზე.²⁹⁸ მოსამართლე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ იკითხავდა ხოლმე ესმოდა თუ არა ბრალდებულს მისი უფლებები.²⁹⁹
170. განმარტებების არაადეკვატურობა ან არარსებობა ართულებდა ბრალდებულთა მიერ მხარეთა თანასწორობის პრინციპით სარგებლობის უფლების შესრულებას და ზეგავლენას ახდენდა არა მხოლოდ მათ უფლებებზე მიეღოთ გადაწყვეტილება თუ როგორ მიეცათ ჩვენება თავიანთ საქმეზე, არამედ, აგრეთვე სამართლიანი სასამართლოს სხვა სტანდარტებთან დაკავშირებულ უფლებებზე, როგორც არის მაგალითად ადვოკატის ყოლისა და გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებები.

2. ადეკვატური დროისა და პირობების უფლება

171. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ადეკვატური დროისა და პირობების უფლების დარღვევის პრობლემები, როგორც არის პროკურატურის მიერ დაცვის მხარისთვის ინფორმაციის არ მიწოდება იმის თაობაზე, თუ რომელი მოწმე იქნებოდა დაბარებული საქმის კონკრეტულ მოსმენაზე და მოსამართლეთა მიერ დაცვის მხარის მიერ საქმის მოსამზადებლად დამატებითი გონივრული დროის მოთხოვნაზე უარის თქმა. უმეტეს საქმეებთან დაკავშირებით, მოსამართლეები აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლებამოსილება დაცვის მხარის მოთხოვნის საფუძველზე

296 პროცესი ახალაია II, 26 ივლისი 2013 და 29 ივლისი 2013; გუნავას პროცესი, 1 ივლისი 2013.

297 მაგ., პროცესი ახალაია III, 17 ივლისი 2013.

298 მაგ. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 25 სექტემბერი, 2013.

299 იხ. აგრეთვე თავი - საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის აკრძალვა.

ებრძანებინათ ბრალდების მხარისთვის, რომ მათ წინასწარ ეთქვათ თუ რომელ მოწმეებს დაიბარებდნენ კონკრეტული საქმის განხილვაზე. თუმცა ასეთი უფლებამოსილება კანონში ცალსახად არ არის გათვალისწინებული, იგი გამომდინარეობს მთელი რიგი დებულებებიდან, მაგალითად სასამართლოს მოვალეობიდან უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა.³⁰⁰ სასამართლოს ვალდებულების აუცილებელი ასპექტია უზრუნველყოს დაცვის მხარისთვის ადეკვატური დროის მიცემა ბრალდების მხარის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად.³⁰¹ უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს საქმის წარმართვის ფუნქციას აკისრებს, რაც გამოიხატება წინასასამართლო სხდომის მოსამართლეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხის დამტკიცებაშიდა არსებითად განმხილველი მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვაში.³⁰² ამდენად, თუ მხარეთა პრეროგატივაა გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობისა და მოცულობის განსაზღვრა,³⁰³ ეს არ აფერხებს მოსამართლეებს დაავალდებულონ ბრალდების მხარე საქმის განხილვის წინ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რათა დაცვის მხარეს მიეცეს ადეკვატური დრო და პირობები საქმის მოსამზადებლად.

172. მრავალ შემთხვევაში, დაცვის მხარე გამოთქვავდა უკმაყოფილებას, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი დრო საქმის მოსამზადებლად, განსაკუთრებით მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვისთვის.³⁰⁴ ეს ქმნიდა პრობლემებს განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც დიდი რაოდენობის მოწმეების დაკითხვას მოითხოვდნენ.³⁰⁵ მაგალითად, იმ საქმეში, რომელზეც ბრალდების მხარის განცხადებით დაახლოებით 4,000 მოწმე უნდა დაებარებინათ, დაცვის მხარემ მოსთხოვა ბრალდების მხარეს წინასწარ მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია ყოველ განხილვაზე დასაბარებელ მოწმეთა ვინაობის შესახებ. მოსამართლემ უარყო დაცვის მოთხოვნა. ბრალდების მხარემ ბოლოსდაბოლოს გამოხატა კეთილი ნება და დათანხმდა დაცვის მხარისთვის შეეტყობინებინა ის რეგიონები, საიდანაც მოწმეები ჩამოვიდოდნენ დაკითხვაზე.³⁰⁶ მონიტორების დაკვირვების შედეგად, აგრეთვე გამოიკვეთა სიტუაციები, როდესაც მოსამართლეები აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ კანონიერი უფლებამოსილება განეხილათ დაცვის საჩივრები ბრალდების მხარის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, თუ რომელი მოწმე მისცემდა ჩვენებას.³⁰⁷

300 იხ. ამავე თავში პარაგრაფი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ, განსაკუთრებით, სსსკ მუხლი 25(1).

301 მუხლო. 38(13) და (14) სსსკ.

302 იქვე. მუხლო. 220(გ) და 227.

303 იქვე. მუხლო. 242(2) და 242(3).

304 მაგ., პროცესი ახალაია I, 6 ივნისი 2013.

305 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, სადაც ბრალდების მხარის მიერ დაახლოებით 4000 მოწმე იქნა დასახელებული.

306 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 7 ოქტომბერი 2013 და 17 ოქტომბერი 2013. იხ. აგრეთვე ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 19 მარტი 2013; პროცესი ახალაია I, 22 მარტი 2013, 7 მაისი 2013 და 7 ივნისი 2013.

307 მაგ., მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 12 დეკემბერი, 2013.

173. მოწინააღმდეგე მხარის მიერ მეორე მხარისთვის კონკრეტულ საქმეში დაბარებული მოწმეების ვინაობის შესახებ ინფორმაციის წინასწარ არ მიწოდება ზღუდავდა დაცვის ჯვარედინი დაკითხვის მომზადების შესაძლებლობებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ის, თუ რამდენი ხნით ადრე უნდა მიაწოდოს მხარემ აღნიშნული ინფორმაცია, დამოკიდებულია თითოეული საქმის სირთულესა და მის გარემოებებზე - რაც უფრო მეტი მოწმეა დაბარებული, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება დაცვისთვის იცოდეს ბრალდების მოწმეების სასამართლოში წარდგენის რიგითობა და დრო.³⁰⁸
174. ერთი საქმის განხილვისას, მოსამართლემ უარყო დაცვის მოთხოვნა მეტი დრო მიეცათ მის კლიენტთან კომუნიკაციისთვის ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად. მოსამართლემ ასევე უარყო დაცვის შუამდგომლობა საქმის ორი კვირით გადადების შესახებ, რათა ახალ დანიშნული ადვოკატი გაცნობოდა საქმის მასალების.³⁰⁹ ამის ნაცვლად, მოსამართლემ მხოლოდ ოთხი დღე მისცა დაცვას მოსამზადებლად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ათობით მოწმე უკვე დაკითხული იყო რამოდენიმე სასამართლო სხდომაზე, რომელთა განხილვაც უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა.³¹⁰ მოსამართლემ ეს დაასაბუთა იმით, რომ საქმის გადადება გამოიწვევდა სასამართლო პროცესის გაჭიანურებას, რომელიც, როგორც მან განაცხადა, უნდა დასრულებულიყო პატიმრობის ცხრათვიანი ვადის ამოწურვამდე (პატიმრობაში იმყოფებოდა ორი ბრალდებული).
175. სასამართლო პროცესების წარმოებისას, სასამართლოებისგან ხშირად ითხოვენ, რომ დაიცვან ბალანსი დაცვისთვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის მიცემასა და სასამართლო პროცესის დროულად ჩატარების ვალდებულებას შორის.³¹¹ თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარების უფლების გამოყენება არ შეიძლება მოსამზადებლად ადეკვატური დროის უფლების შეზღუდვის გასამართლებლად იქნას გამოყენებული, განსაკუთრებით, როდესაც პირველზე შესაძლებელია უარის თქმა, მეორით უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.³¹² ასევე, საქმის მოსამზადებლად დროის დამატებაზე უარის თქმა იმ ნიადაგზე, რომ პატიმრობის ცხრათვიანი ვადა იწურება, შეშფოთებას იწვევდა, რადგან დროის ლიმიტი საქმის წარმოების ხანგრძლივობას კი არ განსაზღვრავს, არამედ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმის გამოყენებას ეხება და შესაძლებელია უფრო ნაკლებად მკაცრი ზომების გამოყენება. პროცესზე ბრალდებულის იძულებითი დასწრების უზრუნველსაყოფად პატიმრობის ზომის შეფარდების გამოყენებამ არ უნდა შეზღუდოს მისი უფლება დაცვის სათანადოდ მომზადებაზე.³¹³

308 ალბერტი და ლე კომტი ბელგიის წინააღმდეგ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 286, პარ. 41.

309 პროცესი ახალაია I, 4 აპრილი 2013.

310 პროცესი ახალაია I, 3 ივნისი 2013.

311 ვ. შვეიცარიის წინააღმდეგ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 288, პარ. 42. იხ. აგრეთვე თავი - გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება.

312 მუხლი 8(2) სსკ.

313 იხ. აგრეთვე თავი - თავისუფლების უფლება.

3. სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება- სასამართლო განხილვა პროცესზე დაუსწრებლად

176. ცხრა საქმიდან, რომლებზეც განხორციელდა მონიტორინგი და რომელთა განხილვაც ბრალდებულის დაუსწრებლად ტარდებოდა, სასამართლოს არც ერთ მათგანზე ცალსახად არ დაუდგენია ბრალდებულის სასამართლოსთვის თავის არიდების განზრახვის არსებობა, რაც იწვევს შეშფოთებას სასამართლო პროცესზე დასწრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. როგორც სჩანს, ამ განზრახვის პრეზიუმირება ხდება როდესაც ბრალდებულო არ რეაგირებს სასამართლოში გამოძახების უწყებაზე და დაბარებაზე, თუმცა მტკიცებულება, რომ ბრალდებულებმა იცოდნენ ამის შესახებ, არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი. ბრალმძებლები ხშირად უბრალოდ ადასტურებდნენ ხოლმე სასამართლოში გამოძახებაზე რეაგირების არარსებობას და არ ასახელებდნენ დეტალებს, თუ როგორ მოხდა სასამართლოში გამოძახება.³¹⁴
177. სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება მხარეთა თანასწორობის პრინციპის ბირთვს წარმოადგენს და ძნელია დაუსწრებლად გასამართლების პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის შეჯიბრებით ხასიათთან, რაც კონსტიტუციითაა განმტკიცებული.³¹⁵ სასამართლო პროცესების დაუსწრებლად ჩატარება ნებადართულია საქართველოს კანონით მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებულო თავს არიდებს სასამართლოს წინაშე წარდგენას არაორაზროვნად.³¹⁶
178. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს პროცედურასანკრიტერიუმებს, რომლებიც საჭიროა ბრალდებულის მიერ სასამართლოსთვის გამოზნულად თავის არიდების ან პირიქით, ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი თავის არიდების საპატიო მიზეზის დასადგენად. კერძოდ, კოდექსი არ მოითხოვს სასამართლოსგან იმის დადასტურებას, რომ ბრალდებულის გამოძახება სწორად მოხდა და რომ ამ უკანასკნელმა მკაფიოდ განაცხადა უარისასამართლოში გამოცხადების უფლებაზე, პროცესის მის დაუსწრებლად ჩატარებამდე.³¹⁷ შედეგად, მოთხოვნა, რომ „არავინ არ შეიძლება გასამართლდეს მისი გამოძახების პროცედურის ჩატარებამდე... თუ არ არის დადგენილი, რომ პირმა განზრახ აარიდა თავი მართლმსაჯულებას...“ არ არის დაკმაყოფილებული.³¹⁸ კოდექსი უტოვებს დაუსწრებლად გასამართლებულ ბრალდებულს უფლებას გაასაჩივროს პირველი ინსტანციის განაჩენი.³¹⁹ თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292 (3) და 297 (3) მუხლები

314 ახალაია I, ახალაია II, ახალაია III, ძიმციეშვილი, და ხეთაგური/გვარამია.

315 იხ. ამავე თავში - ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო; საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(3).

316 მუხლი 189(1) სსკ. იხ. აგრეთვე ODIHR-ის მოსაზრება.

317 მალეკი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების კომიტეტის ინფორმაცია 699/1996, გაეროს დოკ. CCPR/C/66/D/699/1996 (1996), პარ. 9.4; კოლოზუა იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 12 თებერვალი, 1985, პარ. 28.

318 იხ. რეზოლუცია 75(11) ბრალდებულის პროცესზე დაუსწრებლად სასამართლო განხილვის ჩატარების კრიტერიუმების შესახებ, ციტატა ნაშრომიდან შენ. 293, პარ. I 1.

319 მუხლი 292(3) სსკ.

იდლევიან ასეთ შემთხვევებში ფაქტების ხელახლა განხილვის საშუალებას, დაუსწრებლად გასამართლებულ პირს მხოლოდ გასაჩივრების და არა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობა ეძლევა, ეს კი ფაქტიურად ართმევს პირს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოხმენის უფლებას, რისი შესაძლებლობაც სხვა ბრალდებულებს ეძლევათ. ასევე, კოდექსი არ ითვალისწინებს განაჩენის გაუქმების შესაძლებლობას, როდესაც გამოძახების პროცედურა არ ჩატარებულა სათანადო ფორმით.³²⁰ კოდექსი არც ხელახლა გასამართლების უფლებას ცნობს, მაშინაც კი თუ გამოძახება სათანადო პროცედურის დაცვით ჩატარდა, მაგრამ ბრალდებულის არ გამოცხადება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა.³²¹

დ. დასკვნა

179. მხარეთა თანასწორობის კუთხით დაფიქსირდა რამოდენიმე ხარვეზი, რაც შეეხებოდა ბრალდებულთა არასათანადოდ ინფორმირებულობას მათი უფლებების შესახებ, რაც მათ აყენებდა უთანასწორო პოზიციაში ბრალდების მხარესთან და რასაც შეეძლო გამოეწვია მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა. აგრეთვე, ბრალდებულისთვის ან დაცვის ადვოკატისთვის საქმის მოსამზადებლად არასაკმარისი დროის მიცემა სასამართლოს მიერ, მათ შორის ბრალდების მხარის მოწმის ჯვარედინი დაკითხვის მოსამზადებლად, არღვევდა სასამართლო პროცესში ბრალდების მხარესთან თანაბარ საფუძველზე მონაწილეობის უფლებას. ასევე, სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა პროცესის ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება სამართლიანობის კუთხით, როდესაც სასამართლოები უშვებდნენ ვარაუდს, რომ ბრალდებული თავს არიდებდა სასამართლო პროცესს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც არ იძლევა ხელმეორე განხილვის გარანტიას არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს უფლების საერთაშორისო სტანდარტებს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში ბრალდებულს, ვის მიმართაც გამოძახების პროცედურა არასათანადოდ ჩატარდა ან ვინც ვერ გამოცხადდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ართმევს სისხლის სამართლის საქმის ხელახლა გადახედვის“ შესაძლებლობას და შესაბამისად ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს. და ბოლოს პროცესების ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული საქმის ზეპირი განხილვის უფლებას, როდესაც ორივე მხარეს ეძლევა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და მტკიცებულებების განხილვის შესაძლებლობა.

320 იხ. რეზოლუცია 75(11) ბრალდებულის პროცესზე დაუსწრებლად სასამართლო განხილვის ჩატარების კრიტერიუმების შესახებ ციტატა ნაშრომიდან, შენ. 293, პარ. 8. იხ. აგრეთვე, სეველივიჩი იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 1 მარტი, 2006, პარ. 109.

321 იხ. რეზოლუცია 75(11) ბრალდებულის პროცესზე დაუსწრებლად სასამართლო განხილვის ჩატარების კრიტერიუმების შესახებ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 293, პარ. 9.

ე. რეკომენდაციები

- მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ ბრალდებულებისთვის უფლებების მკაფიოდ განმარტება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების ახსნა, რათა მათ შეძლონ უფლებების გაგება.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს ბრალდებულთა უფლებების შესახებ სტანდარტული განმარტებების შემუშავების საკითხი, რაც გადაეცემა ყველა ბრალდებულს.
- საჭიროა მოსამართლეებისთვის ტრენინგის ჩატარება საქმის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და პირობების პრინციპების პრაქტიკული აღსრულების მნიშვნელობაზე, რაც გულისხმობს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას უზრუნველყონ მხარეების მიერ ინფორმაციის დროული წარმოდგენა იმ მტკიცებულებების შესახებ, რომელთა წარდგენასაც ისინი აპირებენ.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებში შესწორებების შეტანის საკითხი მოწმეთა გამოძახების შესახებ, იმ თვალსაზრისით, რომ მხარემ, რომელიც იძახებს მოწმეს უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს მოწმის გამოცხადების დროისა და რიგითობის შესახებ.
- როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილოს თუ არა მხარეთა დასაბუთებული მოთხოვნები საქმის მოსამზადებლად დამატებითი დროის მიცემის შესახებ, მოსამართლემ არ უნდა თქვას უარი შუამდგომლობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ პატიმრობის ვადა აღწევს კანონით დადგენილ ზღვარს.
- სასამართლოებმა უნდა დააკმაყოფილონ დაცვის დასაბუთებული მოთხოვნები მათთვის ადეკვატური დროის მიცემაზე, როდესაც ეს გავლენას ახდენს ბრალდებულის გონივრულ დროში გასამართლების უფლებაზე, რაც შეიძლება შეიზღუდოს ამ კონკრეტული მიზნით.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და დააკონკრეტონ ის პროცედურები და კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც ცალსახად უნდა დამტკიცდეს, რომ ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მისი პროცესზე დაუსწრებლად გასამართლება. ეს გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას გადაამოწმოს ბრალდებულის გამოძახების პროცედურის სათანადოდ ჩატარება და დარწმუნდეს, რომ მან ცალსახად უარი თქვა სასამართლოში გამოცხადების უფლებაზე, რათა პროცესი მის დაუსწრებლად ჩატარდეს.
- საკანონმდებლო ორგანომ ასევე უნდა განიხილოს პროცესების ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარების ინსტიტუტის გაუქმების შესაძლებლობა.

- თუ საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს ბრალდებულის პროცესზე დაუხრებლად გასამართლების ინსტიტუტის შენარჩუნებას, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს განაჩენის გაუქმების უფლებისა და საქმის ხელახალი განხილვის უფლების შესაძლებლობა, როდესაც გამოძახების პროცედურა არასათანადო ფორმით იქნა ჩატარებული. საკანონმდებლო ორგანომ აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა მაშინაც კი, როცა ბრალდებულის სასამართლოში გამოძახება ჯეროვნად ჩატარდა, მაგრამ როდესაც ბრალდებული მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ გამოცხადდა.

XII. გასამართლების უფლება გონივრულ დროში

180. გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. ამასთანავე, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღვეველი იმ ღონისძიებების მინიმუმაცხადს უწყობს ხელს, რომლებიც გამოიყენებიან სასამართლო განხილვის მიზნებისთვის.
181. წინამდებარე თავი განიხილავს დაკვირვების შედეგად გამოვლენილ პრაქტიკას, რაც შეშფოთებას იწვევდა და გამოიხატებოდა პროცესის შეყოვნებაში, განხილვათა გადადებაში, საქმეთა წარმოების მართვასა და მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვაში.

ა.საერთაშორისო სტანდარტები

182. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებას.³²² ეუთოს მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ „მიაქციონ ყურადღება [...] მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას და სასამართლო სისტემის სათანადოდ მართვას.“³²³ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის თანახმად, „სასამართლო განხილვის სამართლიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი სწრაფი განხორციელება“, რაც სასამართლო პროცედურების ყველა ეტაპს შეეხება.³²⁴ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც

322 ICCPR, მუხლი 9(3) და ECHR, მუხლი 5(3) უზრუნველყოფენ ყოველ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის „გონივრულ ვადაში გასამართლების ან გათავისუფლების“ უფლებას. ICCPR, მუხლი 14(3)(გ) უზრუნველყოფს „ზედმეტი დაყოვნების გარეშე“ გასამართლების უფლებას ყველა იმ პირისთვის, ვინც სისხლის დანაშაულშია ბრალდებული და ასევე ECHR, მუხლი 6(1) უზრუნველყოფს ყოველი პირის „სამართლიანი საჯარო სასამართლო პროცესის უფლებას გონივრულ ვადაში“.

323 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 5/06, მინისტრთა საბჭოს მეთოთხმეტე შეხვედრა ბრიუსელში, (2006), პარ. 4.

324 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 27 და 35.

ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება.³²⁵ რაც შეეხება იმას, თუ რა არის გონივრული ვადა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ქცევები.³²⁶ თუმცა არ არსებობს დადგენილი წესი თუ რა ითვლება გონივრულ ვადად, სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევს იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლიობამერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში ექვს წელიწადს.³²⁷

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

183. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, თუმცა ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად.³²⁸ იგი აგრეთვე ავალდებულებს სასამართლოს მოახდინოს იმ საქმეების პრიორიტეტიზაცია, რომლებშიც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან.³²⁹
184. მხარეებს შეუძლიათ შუამდგომლობის აღძვრა სასამართლო განხილვის თარიღის შესაცვლელად „დასაბუთებული მოთხოვნის“ საფუძველზე. სასამართლო განიხილავს ამგვარ შუამდგომლობებს ზეპირი მოსმენის გარეშე; შუამდგომლობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას.³³⁰
185. აგრეთვე, მხარეებმა საჯაროდ უნდა წაიკითხონ წერილობითი მტკიცებულებები,³³¹ რომელთა წყარო უნდა იქნას გამჟღავნებული სასამართლოსთვის,³³² და მათ შეუძლიათ განსაზღვრონ გამოსაკვლევ მტკიცებულებათა რიგითობა და მოცულობა.³³³ თუმცა მოსამართლეებს გააჩნიათ უფლებამოსილება გააკონტროლონ პროცედურები და მიიღონ გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ.³³⁴ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის

325 იხ. ბაროზო პანამის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაცია 473/199, გაეროს დოკ. CCPR/C/49/D/473/1991 (1995), პარ. 8.5; სექსტუსი ტრინიდადის და ტობაგოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაცია 818/1998, გაეროს დოკ. CCPR/C/72/D/818/1998 (2001), პარ. 7.2.

326 პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი, 1983, პარ. 31-37, პედერსენი და ბადსგარდი დანიის წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 2004, პარ. 45 და იხ. აგრეთვე ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 35.

327 დოვიდას ვიტკაუსკასი და გრიგორი დიკოვი, ევროსაბჭო, „სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად“, თებერვალი 2012, გვ. 74.

328 მუხლი 8(2) სსსკ.

329 იქვე, მუხლი 8(3).

330 იქვე, მუხლი 185(4).

331 იქვე, მუხლი 248 (2).

332 იქვე, მუხლი 72(4).

333 იქვე, მუხლი 242(2).

334 იქვე, მუხლი 72(5) და 219(4).

წესები ავალდებულებენ მოსამართლეებს „დააწესონ გონივრული დროის ლიმიტი კითხვების დასმისთვის, ასევე განსაზღვრონ გონივრული დრო კითხვებზე საპასუხოდ.“³³⁵

გ. ანალიზი

1. პროცედურული შეუოვნებები და საქმის განხილვის გადადება

186. მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა მრავალი დაყოვნება და საქმის განხილვის გადადება. ზოგ მათგანს ადგილი ჰქონდა ბრალდების მხარის მოქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგად, ნაწილი სასამართლო განხილვის გადადება კი ხდებოდა სასამართლოს ინიციატივით, ხშირად მიზეზის დაუხსნელობად.

187. რაც შეეხება ბრალდების მხარის მიზეზით გამოწვეულ შეუოვნებებს და საქმის განხილვის გადადებას, რამოდენიმე საქმეზე პროკურორები არ გამოცხადდნენ, რამაც გამოიწვია პროცესის გადადება.³³⁶ არ გამოცხადების მიზეზი იშვიათად სახელდებოდა საჯაროდ და წინასწარ, ან საქმის განხილვაზე.³³⁷ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, პროკურორები ვერ ახერხებდნენ სამი საქმის განხილვაზე მოსვლას კვირების განმავლობაში.³³⁸ ერთერთ ასეთ საქმეზე, პროკურორი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სადაც მას უნდა წარმოეთქვა დასკვნითი სიტყვა და მხოლოდ მოგვიანებით შეატყობინა სასამართლოს, რომ ავად გახდა. შემდეგ სხდომაზე გამოცხადდა ახალი პროკურორი, რომელსაც ათი დღე მიეცა დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. ათი დღის შემდეგ, მან მოითხოვა დამატებითი დრო მოსამზადებლად, რაც დააკმაყოფილეს. შემდგომ მან აღძრა შუამდგომლობა აცილებაზე, და მიზეზად დაასახელა „ფსიქოლოგიური ზეწოლა“, როგორც განაცხადა, ერთერთი ბრალდებულის ცოლთან მისი შესაძლო პირადი ნაცნობობის გამო.³³⁹ შემცვლელ პროკურორს მოსამზადებლად კიდევ ათი დღე მიეცა.³⁴⁰ პროკურორის ინიციატივით ამგვარმა შეუოვნებებმა შესაძლოა გააჩინოს საზოგადოებაში აღქმა, რომ ზოგიერთი სასამართლო პროცესის გადადება განზრახ ხდებოდა პროკურორის მიერ იმის გამო, რომ განაჩენის გამოტანა არჩევნების შემდეგ მომხდარიყო.

188. სასამართლო პროცესების გადადება ხდებოდა სასამართლოს ინიციატივითაც ან გაურკვეველი მიზეზით. ზოგიერთ შემთხვევაში

335 იქვე, მუხლი 244 და 245.

336 მაგ., პროცესი ახალაია III, 17 სექტემბერი 2013.

337 მაგ., პროცესი ახალაია III, 17 სექტემბერი 2013.

338 პროცესები ახალაია III და ხეთაგური/გვარამია.

339 იმ ფაქტმა, რომ ამ ბრალმდებელის პირადი ნაცნობობა არ დაედო საფუძვლად მის აცილებას წინა პროცესებზე, ეჭვი გამოიწვია საზოგადოებაში იმის თაობაზე ხომ არ იყო პროკურორის თვით აცილება პროცესის გაჭიანურების მცდელობა პროკურატურის მხრიდან. იხ. ყოფილი სახელმწიფო პირების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (იანვარი 15 - დეკემბერი 15 2013), ციტატა ნაშრომიდან, შენ. 48.

340 პროცესი ახალაია III, 17 სექტემბერი 2013, 19 სექტემბერი 2013, 30 სექტემბერი 2013, და 7 ოქტომბერი 2013.

საქმის გადადება დასაბუთებულად ხდებოდა, მაგალითად შვებულებების სეზონის გამო,³⁴¹ თუმცა პროცესის გადადების სხვა მიზეზები არ ყოფილა მითითებული.³⁴² ერთ საქმეზე, სხდომებს შორის თითქმის ექვსი თვე გავიდა, 2013 წლის 25 ივლისიდან 2014 წლის იანვრამდე.³⁴³ კიდევ ერთ საქმეზე ცხრა თვიანი ინტერვალი იყო მოსმენებს შორის, 2013 წლის 11 ივლისიდან, 2014 წლის 14 აპრილამდე.³⁴⁴ არც ერთ შემთხვევას განმარტება არ მოჰყოლია. ზოგიერთ საქმეზე განაჩენის გამოცხადებაც ყოვნდებოდა ხანგრძლივი პერიოდით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.³⁴⁵

189. ზემოთ აღწერილი შემთხვევები პოტენციურ ზემოქმედებას ახდენენ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, რადგან ერთმანეთზე მიყოლებული შეყოვნებები და პროცესის გადატანა ხელს უწყობს მის გაჭიანურებას. გაურკვეველია, თუ როგორ გადაწყდა სხვა გადადებული საქმეების საკითხი, რადგანაც ეს არ განიხილებოდა ღია სასამართლოზე; ამ საქმეების გადატანის შესახებ გადაწყვეტილებებს აკლდა გამჭვირვალობა. რადგანაც საქმის გადატანა არ ექვემდებარება გასაჩივრებას და არც მისი წერილობითი დასაბუთება მოითხოვება, მოსამართლეებმა ყურადღებით უნდა განიხილონ შუამდგომლობები საქმის მოსმენის გადატანის შესახებ და მისცენ მეორე მხარეს პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. იმ საქმეებზე, სადაც ბრალდებულები წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ, საქმის განხილვის შეყოვნებების გამო სერიოზულად დაირღვა მათი უფლება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე და აგრეთვე თავისუფლების უფლება, და გასაჩივრების შეუძლებლობის პირობებში, მათი ეფექტური დაცვით უზრუნველყოფის გარანტიაც. ამასთან ერთად, ზოგ შემთხვევაში დაყოვნება გამოწვეული იყო პროკურორის მიზეზით, არჩევნებამდე რამოდენიმე კვირის განმავლობაში, რის შედეგადაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს პოლიტიკური ჩარევის შედეგად ხდებოდა, რათა თავიდან აეცილებინათ მაშინდელის პრეზიდენტის მიერ შესაძლო შეწყალება საპრეზიდენტო ვადის მიწურულს.³⁴⁶ აქედან გამომდინარე, ასეთ პროცედურულ შეყოვნებებს და საქმის განხილვის გადადებას შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოეხდინა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებაზე ზოგ საქმეებში.

2. პროცესის მართვა

190. მონიტორებმა გამოავლინეს მრავალი შემთხვევა, სადაც სასამართლოების მიერ პროცესის არაეფექტურად მართვამ ზედმეტი შეყოვნებები გამოიწვია საქმის წარმოებისას. ეს შემთხვევები უკავშირდება სასამართლოს უყურადღებობას მტკიცებულებათა

341 უგულავა/კეზერაშვილის პროცესი, 16 ივლისი 2013.

342 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი.

343 კეზერაშვილის პროცესი.

344 პროცესი ადვიშვილი II.

345 პროცესები - ახალაია II და ახალაია III.

346 იხ. მაგალითად, ყოფილი სახელმწიფო პირების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (იანვარი 15 - დეკემბერი 15 2013), ციტატა ნაშრომიდან, შენ. 46.

წარდგენასთან დაკავშირებით, მუდმივად ბრალდების მხარის განრიგისთვის უპირატესობის მინიჭებას და მხარეთა მიერ მოწმეების განმეორებითი და არარელევანტური დაკითხვების მიმართ სასამართლოს არაეფექტურ რეაგირებას.

191. პროცესის ეფექტურად მართვას აფერხებდა ის ფაქტი, რომ მოსამართლეები არ ავლენდნენ დიდ სურვილს შეეზღუდათ მხარეთა მტკიცებულებების წარმოდგენა მათი დასაშვებობის და რელევანტურობის სრულყოფილი გამოკვლევით წინასასამართლო და სასამართლო სხდომებზე. ერთ საქმეზე, ბრალდების მხარემ ივარაუდა დაახლოებით 4,000 მოწმის დაბარება. მიუხედავად იმ მოლოდინისა, რომ მოწმეთა დიდი უმრავლესობის ჩვენებები გამეორდებოდა (რაც ესეც აღმოჩნდა სასამართლო პროცესზე), წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებების რელევანტურობა და აუცილებლობა და არ გაითვალისწინა ბრალდებულის გონივრულ ვადაში მოსმენის ჩატარების უფლება.³⁴⁷ მსგავს პრობლემებს ჰქონდა ადგილი სხვა საქმეებში, სადაც ბრალდების მხარე დიდი რაოდენობით მოწმეებს იბარებდა დაკითხვაზე.³⁴⁸
192. ამავდროულად, სასამართლო მუდმივად მოქმედებდა ბრალდების მხარის განრიგის შესაბამისად, მაშინაც კი როდესაც ეს უკანასკნელი იწვევდა პროცედურების შეფერხებას. ზოგი პროკურორი რეგულარულად იძახებდა მხოლოდ ერთ ან ორ მოწმეს, მაშინ როცა სხდომა მთელი დღის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო³⁴⁹ და ამის ფონზე, მოსამართლეები არ იყვნენ დიდად მოწადინებულნი მიეცათ პროკურორებისთვის ბრძანება თითოეულ სხდომაზე მეტი მოწმის დაბარების თაობაზე.³⁵⁰ მოსამართლეები აგრეთვე თანხმდებოდნენ მოსმენებს შორის ხანგრძლივი ინტერვალების დაგეგმვაზე პროკურორთა განრიგის პრეფერენციების შესაბამისად.³⁵¹ ერთ საქმეზე, ბრალდების მხარემ მოითხოვა საქმის გადადება დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად, რაც დაუკმაყოფილეს იმის მიუხედავად, რომ მათ ერთხელ უკვე გადადეს პროცესი ათი დღით მომზადების მიზნით, და ამ შუალედში არავითარი ახალი მტკიცებულება არ ყოფილა წარდგენილი.³⁵²
193. სასამართლო პროცესის ეფექტურ მართვას ასევე აფერხებდა ის, რომ მოსამართლეები თავს არ იწუხებდნენ მხარეებისთვის იმის თხოვნით, რომ თავი შეეკავებინათ განმეორებითი, შეუსაბამო ან სხვა მხრივ არასათანადო კითხვების დასმისგან³⁵³ ან შეეზღუდათ ამკარად

347 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 19 სექტემბერი, 2013.

348 მაგ., მერაბიშვილის პროცესი.

349 მაგ., ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 1 აპრილი 2013.

350 მაგ., ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 11 აპრილი 2013. საპირისპირო დამოკიდებულების მაგალითისთვის, იხ. პროცესი ახალაია II, 24 ივნისი 2013, სადაც მოსამართლემ მოითხოვა, რომ ბრალდების მხარეს სულ ცოტა 6 მოწმე დაებარებინა თითო მოსმენაზე.

351 მაგ., ახალაია II და ხეთაგური/გვარამიას პროცესები.

352 ხეთაგური/გვარამიას პროცესი., 24 სექტემბერი 2013.

353 ახალაია I პროცესი, 7 ივნისი 2013, მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 27 დეკემბერი, 2013, და მერაბიშვილის პროცესი, 30 დეკემბერი 2013.

შეუსაბამო მტკიცებულებათა დაშვება.³⁵⁴ ზოგადად არ ხდებოდა მხარეებისთვის მოწმეთა დაკითხვის კონკრეტული დროითი ლიმიტის დადგენა.³⁵⁵

194. პროცესის ეფექტური მართვა, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან, სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხია. მხარეთა დისკრეცია გადაწყვიტონ მტკიცებულებათა რიგითობისა და მოცულობის საკითხი, როგორც ეს გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არ ათავისუფლებს სასამართლოს ვალდებულებებისგან უზრუნველყოფის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება. მოსამართლეები იგნორირებას უკეთებდნენ არსებული დებულებების გამოყენებას, რათა პროცესის მართვა ჯეროვნად განხორციელებულიყო. წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები არ აწარმოებდნენ მტკიცებულებათა დასაშვებობის დეტალურ შემოწმებას, ასევე რელევანტურობის, საზიანობისა და მტკიცებულებითი ღირებულების შეფასებას და არც მოუწოდებდნენ მხარეებს მტკიცებულებათა გრძელი ნუსხის შემცირებისკენ. მოსამართლეები ვერ აკონტროლებდნენ განრიგს და ვერ ითვალისწინებდნენ ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ამის სანაცვლოდ ისინი ეყრდნობოდნენ ბრალდების მხარისთვის უფრო ხელსაყრელ განრიგს. სასამართლო პროცესზე, მოსამართლეები არ იყენებდნენ მათ უფლებამოსილებას დაკითხვის შესაზღუდად, არ უშლიდნენ ადვოკატებს ხელს არასათანადო და განმეორებითი კითხვების დასმაში, არ ამყარებდნენ კონტროლს სასამართლო დარბაზში სათანადო სანქციების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, პროცესის არასწორი მართვა იწვევდა შეყოვნებებს, რაც ნეგატიურად მოქმედებდა ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებაზე.

3. მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვა

195. კიდევ ერთი პრაქტიკა, რაც შეშფოთების საფუძველს იძლევა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით, შეეხება მტკიცებულებათა მთლიანი ნუსხის წაკითხვას წინასასამართლო სხდომებზე და საქმის არსებით განხილვისას. ეს ინფორმაცია ძალზე ელემენტარული იყო, რაც მდგომარეობდა მოწმეთა გვარებისა და დოკუმენტების სათაურების წაკითხვაში მათი შინაარსის ყოველგვარი განმარტების გარეშე, ასევე არ აღინიშნებოდა, თუ როგორ იყო ეს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული. ისეთ საქმეებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით მტკიცებულებებს მოიცავდა, მათ ამოკითხვას რამოდენიმე სრული სამუშაო დღე სჭირდებოდა, რაც აყოვნებდა სასამართლო პროცედურებს.³⁵⁶

354 მაგ., პროცესი ახალაია II, 19 ივნისი 2013 და მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 27 დეკემბერი, 2013.

355 მაგ., პროცესი ახალაია I, 4 აპრილი 2013.

356 მაგ., მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 12 სექტემბერი 2013, 15 იანვარი 2014, 17 იანვარი 2014, 22 იანვარი 2014 და 23 იანვარი 2014.

196. მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვა თავისთავად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, ეს შაბლონური პროცედურა იწვევდა ზედმეტ შეყოვნებას და სულაც არ უწყობდა ხელს ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების დაცვას, განსაკუთრებით, როდესაც საქმეში დიდი რაოდენობის მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი. საქართველოს კანონი ცალსახად არ მოითხოვს მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვას. „მხარემ საჯაროდ უნდა წაიკითხოს წერილობითი მტკიცებულებები“ - რაც ზოგჯერ ამ პრაქტიკის გამართლებას ემსახურებოდა - ფაქტიურად ეხება დოკუმენტური მტკიცებულებების შინაარსის წაკითხვას პროცესზე.³⁵⁷ შემდგომ, კოდექსი ავალდებულებს მხარეებს „სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.“³⁵⁸ მხოლოდ სახელებისა და დოკუმენტების სათაურების წაკითხვა არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.
197. დაშვებულ მტკიცებულებათა მთლიანი სიის ამოკითხვა საქმის არსებით განხილვაზე ალბათ ნაკლებად საჭიროა. ეს პრაქტიკა სასამართლოს დროისა და რესურსების ეფექტურად გამოყენებას არ უწყობს ხელს და ხელყოფს ბრალდებულის ზედმეტი დაყოვნების გარეშე გასამართლების უფლებას.

დ. დასკვნა

198. მონიტორინგმა რამოდენიმე საქმეზე გამოავლინა პრობლემები გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით. ზოგიერთი საქმე გადაიდო ხანგრძლივი დროით. ზოგ გადადებულ საქმეში ფიგურირებდნენ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები. ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საქმის განხილვის გადადება პოლიტიკური ჩარევის შედეგად ხდებოდა, რათა თავიდან აეცილაბინათ ყოფილი პრეზიდენტის მიერ შეწყალების გამოყენების შესაძლებლობა საპრეზიდენტო ვადის მიწურულს. ბრალდების მხარის მიზეზით გამოწვეული შეყოვნებები, რასაც ადგილი ჰქონდა არჩევნების წინ რამოდენიმე კვირის განმავლობაში, ასევე იწვევდა მოსაზრებებს, თითქოს და ეს პოლიტიკური მიზეზით ხდებოდა. ზოგადად შეინიშნებოდა საქმეთა წარმოების მართვის არაეფექტურობა, განსაკუთრებით ეს შეეხება სასამართლოს პროკურატურისთვის მოსახერხებელ განრიგზე დამოკიდებულებას საქმეთა განხილვის თარიღის დაგეგვისას. მტკიცებულებათა გრძელი ნუსხის წაკითხვის პრაქტიკა სრულიად ზედმეტი იყო, დიდ დროს მოითხოვდა და ხელს უშლიდა საქმის გონივრულ დროში განხილვას. ყოველივე ზემოთ თქმული მიაჩნია, რომ ეს პრაქტიკა ხელყოფდა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებას.

357 მუხლი 248(2) სსსკ.

358 იქვე. მუხ. 72(4).

ე. რეკომენდაციები

- მოსამართლეებმა უნდა აწონდაწონონ სასამართლო განხილვების გადადების ან გადატანის გადაწყვეტილების შედეგები ბრალდებულთა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან მიმართებით.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219 (4) (ა) მუხლში სასამართლო პროცესების ხანგრძლივობაზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, სადაც უნდა მიეთითოს, რომ მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ მხარეების შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ გაითვალისწინოს მტკიცებულებების რელევანტურობა, შესაძლო ზიანის რისკი და მტკიცებითი ღირებულება.
- მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ მათი უფლებამოსილება, რათა მტკიცებულებების წარდგენის დროს აკრძალონ არარელევანტური პასუხები, გააკონტროლონ განმეორებითი, შეუსაბამო ან შეურაცხმყოფელი კითხვების დასმა და დაიცვან წესრიგი სასამართლოს დარბაზში.
- სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ მტკიცებულებათა წაკითხვის პრაქტიკა საქმის არსებით განხილვაზე და ამის სანაცვლოდ სრულად განიხილონ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა დასაშვები მტკიცებულება ღია სასამართლო სხდომაზე.

XIII. მოწმეთა დაბარება და დაკითხვა

199. მოწმეთა ჩვენება ხშირად შეადგენს მთავარ მტკიცებულებას სისხლის სამართლის საქმეში. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა დაიბარონ და დაკითხონ თავისი და მოწინააღმდეგე მხარის მოწმეები. ამ თავში განიხილება დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრაქტიკა მოწმეთა დაბარების პროცედურებთან და გამოძიებაში მიცემული ჩვენების ან სხვა ინფორმაციის გამო მოწმეთა ჩვენებების არასანდოობის გამოხატვასთან დაკავშირებით.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

200. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეების ბრალდების მოწმეების თანაბარ

პირობებში”.³⁵⁹ ეს უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ გარანტიას, რამდენადაც იგი აწონასწორებს პროკურორის პრეროგატივებსა და უფლებამოსილებებს;³⁶⁰ ამდენად, „მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოყენებით მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება უზრუნველყოფს დაცვის ეფექტურობას.³⁶¹ ეს გარანტია განმტკიცებულია ბრალდებულისთვის იმ შესაძლებლობის მიცემით, რომ მან ისარგებლოს „იგივე კანონიერი უფლებით მოითხოვოს მოწმეთა დასწრება და დაკითხვა ან ჯვარედინი დაკითხვა ნებისმიერი იმ მოწმისა, ვისზეც ბრალდების მხარეს ხელი მიუწვდება.“³⁶² მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება უნდა იქნას გაგებული შეჯიბრებითობის პროცესის უფრო ზოგად ჭრილში, რაც სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს³⁶³ და იგი ძირითადად „მოითხოვს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მოწმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს.“³⁶⁴ აგრეთვე ზეპირობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, ადგენს რომ “ბრალდებული უნდა დაუპირისპირდეს მოწმეს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე“, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდოობაზე ყურადღებით დაკვირვება.³⁶⁵

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

201. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კონსტიტუცია აყალიბებს ბრალდებულის მიერ მოწმის გამოძახების უფლებას: „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც ბრალდების მოწმეების.“³⁶⁶ მოწმეთა დაბარება უპირველეს ყოვლისა მხარეების ფუნქციაა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათი გამოცხადება. მოსამართლეს შეუძლია გასცეს უწყება მოწმის გამოცხადების შესახებ მხარის შუამდგომლობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე არ გამოცხადდება თავისი სურვილით.³⁶⁷
202. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფლებას ანიჭებს მხარეებს გამოთქვან უნდობლობა მოწმის მიმართ ჩვენებაში არსებითი წინააღმდეგობის გამო.³⁶⁸ იმ ზოგადი წესიდან, რომ

359 ICCPR, მუხლი 14(3)(ე); ECHR, მუხლი 6(3)(დ).

360 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 150.

361 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან 113, პარ. 39.

362 იქვე.

363 იხ. მატციონა რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 27 მარტი 2014, პარ. 153.

364 ბრიკმონტი ბელგიის წინააღმდეგ, ECtHR, 7 ივლისი 1989, პარ. 81.

365 პ.კ. ფინეთის წინააღმდეგ, ECtHR (გადაწყვეტილება დასაშვებობაზე) 9 ივლისი 2002. იხ. აგრეთვე ამონარიდი საქმიდან მატციონა რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 27 მარტი 2014, პარ. 153.

366 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42 (6). იხ. აგრეთვე მუხლი 14(2) სსსკ.

367 მუხლი 149 (1)–(3) სსსკ.

368 იქვე. მუხლი 75(2).

მოწმემ პირადად უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოს,³⁶⁹ კოდექსი გამოწვევის სახით ნებას რთავს მხარეებს გამოძიების პროცესში მოწმის მიერ გაკეთებული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების გამოყენების შუამდგომლობა დააყენონ, თუ „მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს.“³⁷⁰

203. დაკითხვისას მხარეებს უფრო ზოგადი უფლება აქვთ „მოწმეს წარუდგინონ საქმეზე დართული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.“³⁷¹ ეს დებულება შეიცავს გამოწვევის ბრალდებულის თანხმობის გარეშე საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა(დემონსტრირება), ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.³⁷² ამგვარი გამოწვევის არ მოქმედებს სხვა მოწმეების მიმართ. მოწმის სანდოობის დასადგენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმეს შეიძლება დაესვას შეკითხვა „ნასამართლეობის შესახებ“.³⁷³

გ. ანალიზი

1. გამოძახების პროცედურა

204. მონიტორინგის ყველა საქმეში, როგორც სჩანს მოწმეების გამოძახება სასამართლოში არაფორმალურად მხარეებზე იყო მინდობილი. ზოგჯერ მხარეები აცხადებდნენ, რომ მათ ვერ შეძლეს მოწმეთა დაკავშირება რათა შეეტყობინებინათ რომ დაბარებულები იყვნენ სასამართლოში.³⁷⁴
205. პრაქტიკაში, სასამართლოს როგორც ჩანს არ აქვს ინფორმაცია გამოძახებულია თუ არა მოწმე კონკრეტულ პროცესზე, სანამ სასამართლო განხილვა არ დაიწყება. ამას აქვს გავლენა პროცესის ეფექტურობაზე, რადგან შეიძლება ისე მოხდეს, რომ სასამართლო სხდომა დაიწყოს მხარის განცხადებით, რომ იგი ვერ დაუკავშირდა მოწმეს და ამიტომ სხდომა გადაიდოს. თუმცა კოდექსი ნებას აძლევს სასამართლოს დააჯარიმოს ვინც არ გამოცხადდება, მაგრამ მოწმის დაჯარიმება, რომელიც მხარემ გამოიძახა რაიმე კანონიერი უფლებამოსილების გარეშე, ძნელად გასამართლებელი იქნება.³⁷⁵ მოწმეთა გამოძახების მხარეებისთვის მინდობა არ უზრუნველყოფს მხარეთა გამოცხადებას და საკამათოს ხდის ურჩი მოწმის გამოძახებას, რაც პოტენციურად ხელყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის უფლებას.

369 იქვე. მუხლი 49(2)(ა)-(ბ).

370 იქვე. მუხლი 243(1)-(2).

371 იქვე. მუხლი 115(8).

372 იქვე. მუხლი 247.

373 იქვე. მუხლი 115(4).

374 მაგ. პროცესი ახალაია I, 17 ივნისი 2013.

375 მუხლი 240 სსსკ.

2. მოწმის მიმართ უნდობლობის გამოხატვა გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებით

206. მხარეები ვერ ახერხებდნენ გამოძიების ეტაპზე მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამოყენებას მისი სანდობის დადგენის მიზნით რადგან მოწმისგან ითხოვდნენ ამგვარი ჩვენების გამჟღავნების თანხმობას. მტკიცებულებების ნუსხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის რომ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები შესულია სასამართლოსთვის გადაცემულ მასალებში. სასამართლოთა უმეტესობამ აკრძალა მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების წაკითხვა და ზოგ შემთხვევაში არსებით განხილვამდე გაკეთებულ განცხადებებზე მითითებაც, კი მოწმის თანხმობის გარეშე.³⁷⁶ დაცვის მხარე სავალდებულოდ თვლიდა მოწმისგან თანხმობის მიღებას, სანამ შეეხებოდნენ საქმის არსებით განხილვამდე გაკეთებულ განცხადებებს.³⁷⁷
207. ეს პრაქტიკა არ შეესაბამება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელიც ცალსახად აძლევს მხარეებს უფლებას წარუდგინონ მოწმეებს დოკუმენტები საქმის მასალებიდან; კოდექსი არ ზღუდავს რომელიმე სახის დოკუმენტის რაიმე მიზნით წარდგენას.³⁷⁸ კოდექსი ადგენს ამ წესიდან გამონაკლის შემთხვევას მხოლოდ ბრალდებულის წინასასამართლო ჩვენებებთან დაკავშირებით, რომლის გამჟღავნება არ შეიძლება სასამართლო პროცესზე მისივე თანხმობის გარეშე.³⁷⁹ მსგავსი გამონაკლისი არ არსებობს მოწმეებთან დაკავშირებით. თუ საქმის არსებით განხილვამდე გაკეთებული განცხადებები შესულია სასამართლო საქმის მასალებში და ამდენად ხელმისაწვდომია მოსამართლისთვის, მნიშვნელოვანია დაპირისპირებული მხარისთვის სადავოდ გახადოს მათი სანდობა ან გამოიყენოს სასამართლოში მიცემული ჩვენებების უტყუარობის უარსაყოფად. ასეთი შესაძლებლობის გარეშე მოწმის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას და ჯვარედინი დაკითხვის უფრო ფართო უფლებას აზრი დაეკარგებოდა.
208. და ბოლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესი მოწმის დაკითხვის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების დემონსტრირების შესახებ უსამართლოდ ზღუდავს ჯვარედინი დაკითხვის უფლებას, ითხოვს რა ამ წინადადების ინიცატორი მხარისგან დაამტკიცოს რომ არსებობს „არსებითად წინააღმდეგობრივი“³⁸⁰ ჩვენებები და „დასაბუთებული ვარაუდი რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს.“³⁸¹

376 მაგ. პროცესი ახალაია I, 10 აპრილი 2013, 10 მაისი 2013, 7 ივნისი 2013, 14 ივნისი 2013; პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 23 მაისი 2013 და 19 ივნისი 2013.

377 მაგ. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 31 ოქტომბერი 2013.

378 მუხლი 115(8) სსსკ.

379 იქვე. მუხლი 247.

380 იქვე. მუხლი 243(2).

381 იქვე. მუხლი 243(2). ციტატა ODIHR/CoE-ს სამართლებრივი პოზიცია პარ. 57-ზე - რეკომენდაცია: Z.

3. მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა სხვა ინფორმაციის გამოყენებით

209. მონიტორინგმა გამოავლინა პრობლემები მოწმეების ჩვენებების გაბათილების კუთხით, რაც მიგვანიშნებს, რომ საჭიროა გარკვეული წესების შემოღება იმის დასადგენათ, თუ რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება იქნას გამოყენებული ამ მიზნებისთვის და როგორ. ადრინდელი ნასამართლობის შესახებ ცნობები, რომლებიც არ არიან დასაშვები სასამართლოზე, გამოიყენებიათ არაჯეროვნად ჯვარედინი დაკითხვის დროს. ერთერთი დაცვის ადვოკატი შეეცადა ბრალდების მოწმის სანდობა დაეყენებინა ეჭვქვეშ, ამხელდა რა მას ტყუილში, და ამას ამტკიცებდა იმ არსებული მოსაზრებით, რომ მოწმე წარსულში სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტი იყო. მტკიცებულება არ შეიცავდა არავითარ ფორმალურ ჩანაწერს მოწმის წარსულის შესახებ და ამ განცხადების რაიმე სახით შემოწმებაც არ მომხდარა.³⁸² სხვა შემთხვევაში პროკურორმა გამოიყენა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მოწმის მიმართ, მისი სანდობის დასაკნინებლად.³⁸³ რამოდენიმე შემთხვევაში ადვოკატებმა დაუპირისპირეს მოწმეებს იმ სხვა მოწმეთა მიერ გამოძიებისთვის მიცემული ინფორმაცია, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ მიცემული ჩვენება სასამართლოზე.³⁸⁴
210. ერთ-ერთ შემთხვევაში ჯვარედინი დაკითხვისას დამკითხავმა წარმოუდგინა მოწმეს დოკუმენტი, რათა დაედასტურებინა, რომ ხელი ჰქონდა მასზე მოწერილი, თუმცა ეს დოკუმენტი, როგორც არ იყო შესული საქმის მასალებში.³⁸⁵ კიდევ ერთ საქმეზე, დაცვის ადვოკატი შეეცადა შედავებოდა მოწმეს, რომელმაც ბრალდებულს ამოიცნო, როგორც დამნაშავე. პროკურორი შეეწინააღმდეგა მას იმ არგუმენტაციით, რომ ამოცნობის საშუალებები კანონიერი იყო და არ არსებობდა ისეთი ნორმა, რომელიც მოითხოვდა მოწმისგან, რომელმაც დანაშაულის ჩამდენი პირი ამოიცნო ფოტოებით, დაკითხულიყო იგივე ფაქტებთან დაკავშირებით.³⁸⁶
211. არსებული ნორმატიული ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს ჩვენების მიცემის მკაფიო წესებს, ანუ, რა ტიპის ინფორმაციის გამოყენებაა შესაძლებელი მოწმის ჯვარედინი დაკითხვისთვის და როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული. მაგალითად, არ არსებობს პროცედურა მოწმის საეჭვო რეპუტაციის დასამტკიცებლად, არც საზომი, თუ რა ითვლება ამგვარი რეპუტაციის მაჩვენებლად. აგრეთვე, ცნობა „წინა ნასამართლობის“ შესახებ შესაძლებელია გამოდგეს მოწმის სანდობის შესაფასებლად, მაგრამ ამ ინფორმაციის მომწოდებელს უნდა მოსთხოვონ მისი მტკიცებითი ღირებულების დასაბუთება. თუმცა ასეთი მოთხოვნა ცალსახად არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.³⁸⁷

382 პროცესი ახალაია I, 7 მაისი 2013.

383 პროცესი ახალაია I, 27 ივნისი 2013.

384 პროცესი ახალაია I, 2 აპრილი 2013 და 4 აპრილი 2013.

385 პროცესი ახალაია I, 7 ივნისი 2013.

386 პროცესი ახალაია I, 28 თებერვალი 2013.

387 მუხლი 115(4) სსსკ.

მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევის მოწმის საწინააღმდეგოდ წარმოჩენა არ შეესაბამება კოდექსს, რომელიც მხოლოდ მოწმისთვის წინა ნასამართლეობაზე კითხვის დასმის საშუალებას იძლევა მისი სანდოობის შესამოწმებლად.³⁸⁸ მოწმეში ეჭვის შეტანის ასეთი საშუალებები არა მხოლოდ სადავოა თავისი შინაარსით, არამედ, იგი აგრეთვე ძირს უთხრის მოწმის უდანაშაულობის პრეზუმფციას იმის გათვალისწინებით, რომ მათი საკუთარი საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

212. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს „პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვისას მოწმის ინფორმაციის ან ჩვენების ნებისმიერი ასპექტზე“ შედავების შესაძლებლობა,³⁸⁹ რაც ასევე შეიცავს პირის ქცევაზე დაკვირვებასაც. ერთ საქმეზე დაცვის მხარემ აღძრა შუამდგომლობა მოწმის დაკითხვაზე, რომელმაც თითქოსდა გამოძიების ეტაპზე ამოიციო ბრალდებულში დამნაშავე. ბრალმდებელმა გააპროტესტა შუამდგომლობა და გაუსვა ხაზი იმას, რომ არ არსებობდა დებულება, რომელიც მოითხოვდა მოწმის ღია სასამართლო სხდომაზე დაკითხვას, თუ მან დამნაშავე ამოიციო ფოტოებით. ის, რომ კანონიერი გზებით სარწმუნოდ ამოცნობა უტყუარია, საკამათოა, რადგანაც არსებობს მრავალი ვიზუალური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რასაც შეუძლია მოწმის ამოცნობის უნარზე ზეგავლენის მოხდენა და დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება გადაამოწმოს ეს ფაქტორები ჯვარედინი დაკითხვისას.³⁹⁰
213. მკაფიო წესების არსებობა მოაწესრიგებდა სასამართლო პრაქტიკას, დაიცავდა რა ბრალდებულებს ჯვარედინი დაკითხვის მიმართ სასამართლოს არათანმიმდევრული მიდგომისგან. ისეთი საკინები, როგორცაა მოწმეებთან დაპირისპირების უფლება, რელევანტურობა, მტკიცებითი ღირებულება, ზიანის მოტანის რისკი და მოწმის დაცვა უნდა იქნას გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული წესების შემუშავებისას.
214. ბოლოს, იმ საქმეებში, სადაც მრავალი ბრალდებული იყო და განხილვა მიმდინარეობდა პატარა დარბაზებში, ზოგ ბრალდებულს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაენახათისმოწმე, რომელიც კითხებოდა და მათ საწინააღმდეგო ჩვენებას იძლეოდა. ბრალდებულებს უნდა შეეძლოთ დაინახონ მოწმეების მიერ ჩვენების მიცემის პროცესი, რათა მოახერხონ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შედავება და ეს მოიცავს მოწმის ქცევაზეც.

დ. დასკვნა

215. მონიტორინგმა გამოავლინა მოწმეთა გამოძახებასთან და დაკითხვასთან დაკავშირებული პრობლემები თითქმის ყველა სასამართლო პროცესზე. ის ფაქტი, რომ მოწმეთა გამოძახება მხარეთა უპირველესი მოვალეობაა, ხშირად ქმნიდა დაბრკოლებებს

388 იქვე. მუხლი 115(4).

389 ბრიკმონტი ბელოვის წინააღმდეგ, ECtHR, 7 ივლისი 1989, პარ. 81.

390 პროცესი ახალაია I, 28 თებერვალი, 2013.

სასამართლო პროცესის ეფექტურ მართვაში, როდესაც მოწმეები არ ცხადდებოდნენ საკუთარი სურვილით. სასამართლოები კრძალავდნენ საქმის არსებით განხილვამდე მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებას და მის წაკითხვას მოწმის თანხმობის გარეშე, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ასეთ მოთხოვნას მხოლოდ ბრალდებულთათვის.³⁹¹ გარდა ამისა, წესი, რომლის მიხედვითაც მოწმის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ინფორმაციის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის დემონსტრირებით მის წარმოდგენს შეუძლია დაამტკიცოს „არსებითი წინააღმდეგობის“³⁹² არსებობა და მოწმის იძულება, უსამართლოდ ზღუდავდა ჯვარედინი დაკითხვის უფლებებს.³⁹³

216. არსებული ნორმატიული ჩარჩო საკმარისად არ უზრუნველყოფს მტკიცებულებების შესახებ მკაფიო წესებს, ანუ, რა ტიპის ინფორმაციის გამოყენებაა შესაძლებელი მოწმის ჯვარედინი დაკითხვისთვის და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული. მაგალითად, როგორც აღმოჩნდა, არ არსებობს რაიმე პროცედურა, რომელიც დაადგენდა მოწმის სანდოობას, ან როგორ უნდა განისაზღვროს, თუ რის საფუძველზე უნდა დამტკიცდეს სანდოობა. მოწმის მიმართ უნდობლობის გამოხატვა მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის მოშველიებით არა მხოლოდ ეწინააღმდეგება კოდექსის მოთხოვნებს,³⁹⁴ არამედ იგი აგრეთვე ლახავს იმ მოწმის უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას, რომლის საქმის სასამართლო განხილვა ჯერ არ დასრულებულა. და ბოლოს, მოწმეების წინააღმდეგ იმ მოწმეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ მიცემული ჩვენება სასამართლოში, პრობლემას ქმნიდა, რადგანაც მეორე მხარეს არ ეძლეოდა მასზე წვდომა და შესაბამისად მოკლებული იყო მისი შედავების შესაძლებლობას პროცესის მიმდინარეობისას.

ე. რეკომენდაციები

- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოწმეთა გამოძახების პროცედურასთან დაკავშირებით, რათა მხარეს, რომელიც მოწმეს იძახებს, ჰქონდეს ვალდებულება შეატყობინოს მოწინააღმდეგე მხარეს მოწმეთა გამოცხადების რიგითობისა და დროის შესახებ.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243 (2) მუხლის ფორმულირებაში, რომლის მიხედვითაც მოწმის მიმართ უნდობლობის გამოხატვა შესაძლებელი იქნება წინააღმდეგობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოწმის იძულების, დამუქრების, დაშინების ან მოსყიდვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის დადგენის გარეშე.

391 მუხლი 247 (3).

392 იქვე. მუხლი 243 (2).

393 იხ. აგრეთვე ODIHR/CoE ერთობლივი მოსაზრება, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 1, პარ. 56-რეკომენდაცია: JJ.

394 მუხლი 115 (4) სსსკ.

- სასამართლოებმა, ბრალმძებლებმა და დამცველებმა არ უნდა მოითხოვონ მოწმის თანხმობა სავალდებულოდ იმისთვის, რომ მოხდეს ამ მოწმის მიერ სასამართლო განხილვის გარეთ გაუქმებული ინფორმაციის სასამართლოზე წარმოდგენა. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიმუშაოს მკაფიო წესები მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ინფორმაციას რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული. საკანონმდებლო ორგანომ სიცხადე უნდა შეიტანოს პროცედურაში იმის დასადგენად, თუ რა წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული. ამ წესების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება, რელევანტურობა, მტკიცებითი ღირებულება, ზიანის მიყენება და მოწმის დაცვა.

XIV. მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება

217. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს აქვთ საჯაროდ გამოცხადებული³⁹⁵ და მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილების უფლება.³⁹⁶ ეს უფლება ეფუძნება სასამართლო პროცედურების საჯაროობას, რაც იცავს პირებს მართლმსაჯულების ფარულად და თვითნებურად განხორციელებისგან და ხელს უწყობს სასამართლოების მიმართ ნდობის შენარჩუნებას მხარეებისა და საზოგადოებისთვის გადაწყვეტილებების საფუძვლების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის გზით.³⁹⁷
218. წინამდებარე თავში განხილულია მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პრობლემური პრაქტიკა.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

219. სამართალწარმოებაში თვითნებური ქმედებებისგან დაცვის მიზნით, სასამართლოებს მოეთხოვებათ მათი გადაწყვეტილებების ადეკვატური საფუძვლების მითითება, თუმცა ეს არ უნდა იქნას გაგებელი, თითქოს სასამართლოებს ევალებათ თითოეულ

395 ICCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1); საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(1). იხ. აგრეთვე სატტერი შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 22 თებერვალი, 1984, პარ. 33; ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ნოემბერი 1997, პარ. 52-60; პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი 1983, პარ. 21-28.

396 ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პრინციპი 13.9. იხ. აგრეთვე რუიზ ტორიჯა ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 29.

397 იხ. რიაკიბ ბირიუკოვი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 7 ივლისი 2008, პარ. 30.

წარმოდგენილ არგუმენტზე დეტალურად ვასუხის გაცემა.³⁹⁸ თუ რას მოიცავს მიზეზების წარმოდგენის ვალდებულება, დამოკიდებულია გადაწყვეტილების ხასიათზე, წარმოდგენილი არგუმენტების მრავალფეროვნებაზე და ცალკეული იურისდიქციის კანონმდებლობის დეტალებზე, ჩვეულებით ნორმებზე, სამართლებრივ შეხედულებებზე, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგნასა და წარდგენაზე და ბოლოს, საქმის გარემოებებზე.³⁹⁹ სასამართლო განხილვისას, რომლის შედეგადაც გამამყუნებელი განაჩენი გამოდის, კანონიერი საფუძველის მოთხოვნა უფრო მკაცრია, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებებში ცხადად უნდა იკითხებოდეს, თუ რის საფუძველზე ხდება მსჯავრის დადება პირისთვის.⁴⁰⁰ მოტივირებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ უნდა დაანახოს მხარეებს, რომ მათ პოზიციები მოისმინეს, რაც გადაწყვეტილებას უფრო მისაღებს გახდის მათთვის.⁴⁰¹ გარდა ამისა, ბრალდებულს შეუძლია ეფექტურად ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მკაფიოდ მოსჩანს ის საფუძველები, თუ რას ემყარება იგი.⁴⁰² ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სუსტად დასაბუთებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება დაარღვიონ სამართლიანი სასამართლოს უფლება პირველი ინსტანციის შემდგომ.

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

220. მიუხედავად იმისა, რომ მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, აღნიშნულია, რომ „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.“⁴⁰³ სასამართლოს გადაწყვეტილება აკმაყოფილებს „მოტივირებული გადაწყვეტილების“ კრიტერიუმებს, თუ ის ემყარება განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ

398 სუმინენი ფინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ივლისი 2003, პარ. 34 რუიზ ტორიჯა ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 29; ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 19 აპრილი 1994, პარ. 61; ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 27; გრადინარი მოლდოვას წინააღმდეგ, ECtHR, 8 ივლისი 2008, პარ. 107; კარაკასის საბერძნეთის წინააღმდეგ, ECtHR, 17 იანვარი 2001, პარ. 27; ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 ივლისი 2007, პარ. 58; ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 15 მაისი 2007, პარ. 29, ხელმისაწვდომია მხოლოდ ფრანგულ ენაზე. ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ, ECtHR, 16 ნოემბერი 2010, პარ. 91.

399 რუიზ ტორიჯა ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 29; სუმინენი ფინეთის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ივლისი 2003, პარ. 34; ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, ECtHR, 9 დეკემბერი 1994, პარ. 27.

400 ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ, ECtHR, 16 ნოემბერი 2010, პარ. 91.

401 იქვე.

402 ჰაჯინასტასიუს საბერძნეთის წინააღმდეგ, ECtHR, 16 დეკემბერი 1992, პარ. 33; ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 49. იხ. აგრეთვე, ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი ციტატა ნაშრომიდან, შენ. 4, პრინციპი 13.9.

403 იქვე. მუხლი 259(1); გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში დასაბუთების მოთხოვნების შესახებ, იხ. მუხლო. 273 და 275 სსსკ.

მტკიცებულებათა ერთობლიობას.⁴⁰⁴ სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი „შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.“⁴⁰⁵ განაჩენს არ შეიძლება „საფუძვლად დაედოს ვარაუდი.“⁴⁰⁶

221. კოდექსი აგრეთვე აღნიშნავს თუ რას უნდა შეიცავდეს განაჩენის სამოტივაციო ნაწილი. გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს „იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო“ და „მტკიცებულებას, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე.“⁴⁰⁷ ამასთანავე, განაჩენში „დასაბუთებული უნდა იყოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა“, ან სხვა გადაწყვეტილება ნაკლებად მკაცრი სასჯელის შეფარდებისთვის.⁴⁰⁸ გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება, ან/და რატომ მიაჩნია სასამართლოს, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.“⁴⁰⁹

გ. ანალიზი

222. სასამართლო პროცესების მონიტორინგთან ერთად, ქვემოთ მოცემული ანალიზი ეფუძნება თორმეტი განაჩენის განხილვას, მათ შორის ცხრა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და სამი მეორე ინსტანციისას.
223. შესწავლილ განაჩენებთან დაკავშირებით გამოვლინდა სამი ძირითადი პრობლემა: მტკიცებულებების არასაკმარისი ან არაადეკვატური შეფასება, სამართლებრივი ანალიზისა და სასჯელის შეფარდებისთვის გამოყენებული ფაქტორების შეფასების ნაკლებობა.⁴¹⁰
224. რაც შეეხება მტკიცებულებების შეფასებას, რამდენიმე საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ადგილი ჰქონდა სასამართლო

404 იქვე, მუხლი 259(3); გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში დასაბუთების მოთხოვნების შესახებ, იხ. მუხლ. 273 და 275 სსსკ.

405 იქვე. მუხლი 259(4).

406 იქვე. მუხლი 269(2).

407 იქვე. მუხლ. 273(1) და 260.

408 იქვე. მუხლ. 273(2) და 269.

409 იქვე. მუხლ. 275(1) და 260.

410 იხ. მსჯელობა პატიმრობის განჩინების გაცემის დასაბუთების შესახებ თავში თავისუფლების უფლების შესახებ. იხ. აგრეთვე ყოფილი სახელმწიფო პირების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (იანვარი 15 - დეკემბერი 15 2013), ციტატა ნაშრომიდან, შენ. 46, გვ. 20-24. გარდა ამისა, მაგალითისთვის შედარებით დასაბუთებული გადაწყვეტილების სახანავად იხილეთ 2014 წლის 27 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ.

პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ხელახლა გამეორებას, თუმცა რატომ ჩაითვალა ან არ ჩაითვალა მტკიცებულება სარწმუნოდ, არ იყო ახსნილი.⁴¹¹ მაგალითად, ერთერთ გამამტყუნებელ განაჩენში ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულს აკავშირებდა დანაშაულებრივ ქმედებასთან, იყო ერთი მოწმის ჩვენება, რომელმაც განაცხადა, რომ ბრალდებულმა მას უკანონო ბრძანება მისცა ტელეფონით. იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრის დადება ძირითადად ამ ჩვენების საფუძველზე მოხდა, სასამართლოს უნდა აეხსნა მის ფაქტობრივ მიგნებებში, თუ როგორ იქნა ეს მტკიცებულება სარწმუნოდ მიჩნეული ყოველგვარი გონივრული ეჭვის მიღმა გარეშე. ამის ნაცვლად, გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო ჩვენების მოკლე შინაარსი, ხოლო მოწმის სარწმუნოება და მისი ჩვენების თანმიმდევრულობა არ იყო შეფასებული.⁴¹²

225. სხვა გადაწყვეტილებაში,⁴¹³ ოთხი ბრალდებულის განაჩენი ეფუძნებოდა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე გაკეთებულ მოწმეთა განცხადებებს. სასამართლო პროცესზე ისინი არ დაუკითხავთ, რადგანაც დაცვის მხარემ აღძრა შუამდგომლობა მიეღოთ მოწმეთა ჩვენებები „გამოკვლევის გარეშე“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73 (1) (დ) მუხლის შესაბამისად. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავდა მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების შინაარსს და არ განმარტავდა თუ როგორ ეფუძნებოდა სასამართლო ამ მტკიცებულებებს, და არც იმას თუ როგორ დაადგინეს რელევანტური ფაქტები. სამოტივაციო ნაწილში მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ „ზემოთ მოყვანილი ფაქტების დადგენა მოხდა მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომელიც შეთანხმებულია და მიღებულია გამოკვლევის გარეშე დაზარალებულებისა და მოწმეების მიერ მიცემული კონკრეტული ჩვენებების, ექსპერტიზის შედეგების, ავთენტიფიკაციის/იდენტიფიკაციის ოქმისა და საქმის მასალებში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.“ ერთერთ გამამართლებელ განაჩენში⁴¹⁴ სასამართლო შეეცადა დაესაბუთებინა პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდების უარყოფა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ განიხილა თითოეული ბრალდება ინდივიდუალურ ბრალდებულებთან მიმართებით. მიუხედავად სასამართლოს მცდელობისა აეხსნა თუ რატომ იყვნენ ზოგი მოწმეები ‘არადამაჯერებლები’ ან რატომ არ დადგინდა ზოგიერთი ბრალდება გონივრული ეჭვის მიღმა; მან მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნა მიზეზები, რის გამოც მოწმეთა ჩვენება ჩაითვალა სარწმუნოდ, რელევანტურად და მტკიცებითი ღირებულების მქონედ. ამრიგად, ეს პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც „განაჩენში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი

411 მაგ., მერაბიშვილი (თბილისი), ახალაია II, და ახალაია III.

412 დიმკვიშვილი. იხ. აგრეთვე, მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი.

413 ახალაია III.

414 ახალაია II.

მტკიცებულება და უარყო მორე. ⁴¹⁵ მტკიცებულებათა ადეკვატურად შეფასება მოტივირებული გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და იგი მიუთითებს იმაზე, რომ მხარეების მოსმენა მოხდა სამართლიანად და მიუკერძოებლად. უფრო მეტიც, იმის არ ხსენება, თუ რატომ არ იქნა განხილული მნიშვნელოვანი მტკიცებულება, ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს. ⁴¹⁶

226. ამასთან ერთად, სასამართლოები ხშირად ვერ ახდენდნენ მხარეთა არგუმენტების შეფასებას სასამართლო გადაწყვეტილებებში. ერთ საქმეზე, რომელიც ბრალდების მხარემ გაასაჩივრა, განაჩენი საგულდაგულოდ აღწერს ბრალდების მხარის არგუმენტების დეტალებს, თუმცა დაცვის ხედვას საერთოდ არ ახსენებს. ⁴¹⁷ მოსამართლეთა არათანაბარი ყურადღება მხარეების არგუმენტების მიმართ აგრეთვე აღძრავს შეკითხვას სასამართლო პროცედურების სამართლიანობასთან დაკავშირებით.
227. რაც შეეხება სამართლებრივ ანალიზს, განაჩენი ხშირად არ შეიცავდა დანაშაულის ელემენტების განმარტებას და/ან როგორ მოხდა ფაქტების დადგენა თითოეული ელემენტის დასამტკიცებლად გონივრული ეჭვის მიღმა. ⁴¹⁸ განაჩენი ხშირად მთავრდებოდა ასეთი განცხადებით: „ზემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ბრალდებულები ცნობილი არიან დამნაშავედ.“ ⁴¹⁹ საქმეში, სადაც ბრალდებული, რომელიც გაასამართლეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე, სასამართლომ ვერ დაასახელა ბრალდებულის უფლებამოსილების ფარგლები და როგორ გადააჭარბა მან ამ ფარგლებს, გარდა იმისა, რომ შენიშნა რომ ბრალდებული არ იყო უფლებამოსილი ჩაედინა უკანონო ქმედება. იმისათვის რომ შეფასდეს გადაამეტა თუ არა ბრალდებულმა სამსახურებრივ მოვალეობას და როგორ, ჯერ უნდა მიეთითოს ამ უფლებამოსილების ფარგლები. ⁴²⁰ განაჩენის მოტივაციის არაადეკვატურობამ გამოიწვია ის, რომ ვერ მოხდა იმ ფაქტების შეფასება, რომლებიც მეტყველებდნენ სისხლის სამართლის დანაშაულზე. მხოლოდ უბრალოდ ფაქტების დადგენა და ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა შუალედური ანალიზის განუხორციელებლად, შეიძლება მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნების დარღვევას უდრიდეს. აგრეთვე, ის რომ სისხლის სამართლის სასამართლო არ მიუთითებს დანაშაულის ელემენტებს ფაქტებთან ერთად, რომელთა საფუძველზეც იქნა ჩადენილი დანაშაული, პროცესის სამართლიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს.
228. რაც შეეხება სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილების მიღებაში გამოყენებული ფაქტორების შეუფასებლობას, მოსამართლეები ხშირად არ აქცევდნენ ყურადღებას გადაწყვეტილების საკმარისად დასაბუთებას, ასახელებდნენ რა მხოლოდ სასჯელის შეფარდების

415 მუხლი 273 სსკ.

416 კუნენეოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 11 აპრილი 2007, პარ. 84-85.

417 ახალაია I.

418 მაგ., მერაბიშვილი (თბილისი) და ახალაია III.

419 მაგ., პროცესი ახალაია I.

420 მერაბიშვილი.

პრინციპებს და გვერდს უვლიდნენ კონკრეტული საქმის ფაქტორების ანალიზს.⁴²¹ ერთერთ განაჩენში, სასამართლომ უბრალოდ განაცხადა, რომ „სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები..., დანაშაულის მოტივი და მიზანი, ხერხი, უკანონო შედეგები და გამოყენებული მეთოდები და პიროვნული თვისებები“, რასაც არ მოყოლია შემდგომი განმარტება, თუ როგორ ზემოქმედებდნენ ეს ფაქტორები სასჯელის შეფარდებისთვის მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე.⁴²² ეს პრაქტიკა არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც სასამართლოებმა „უნდა დაასაბუთონ სასჯელის ტიპი და სიმძიმე“ ან სხვა გადაწყვეტილება უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე.⁴²³ გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განსაზღვრებით, სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ სასჯელი პროპორციული იყოს პიროვნებასთან და დანაშაულის სიმძიმესთან.⁴²⁴ კიდევ ერთ განაჩენში,⁴²⁵ სასამართლომ განმარტა, რომ „ბრალდებულის პასუხისმგებლობისთვის არ არსებობს შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები“ და ერთხელაც არ შეხება ბრალდებულის წინა ნასამართლეობას ან მის სანდოობას. ამდენად, ძნელი იქნებოდა იმის შეფასება, თუ რამდენად იყო დაცული სამართლიანობის მოთხოვნა ან გასაჩვირების უფლება რამდენად იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც განაჩენში არ განიმარტებოდა ის, თუ რის საფუძველზე შეეფარდა პირს სასჯელი.

229. აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა არასაკმარისი და არაადეკვატური შეფასება, სამართლებრივი ანალიზის ნაკლებობა და სასჯელის შეფარდებისთვის საჭირო ფაქტორების შეფასების არარსებობა, ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი საქმეების გადაწყვეტილებებში, ხელს უწყობდა მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლების ხელყოფას და აფერხებდა გასაჩვირების უფლების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

დ. დასკვნა

230. სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვანი დასაბუთება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ერთარდერთი გზაა სასამართლო პროცედურების მიმართ თვითნებობის შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ, მრავალ სასამართლო გადაწყვეტილებაში უგულვებლყოფილი იყო წარმოდგენილი მტკიცებულებათა შეფასება და ადეკვატური სამართლებრივი ანალიზი, იმის ასახსნელად, თუ რა კავშირშია დადგენილი ფაქტები სისხლის სამართლის დანაშაულთან და რამაც კონკრეტული სასჯელის შეფარდება გამოიწვია. ეს პრაქტიკა

421 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი, იხ. აგრეთვე, გუნავა და ახალაია I.

422 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი.

423 მუხლი 273(2) სსსკ; იხ. აგრეთვე მუხლი 269 სსსკ.

424 იქვე მუხლი 259(4).

425 გუნავა.

ხელყოფდა ბრალდებულის უფლებას მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ე. რეკომენდაციები

- სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დანაშაულის შემადგენელ ცალკეულ ელემენტებზე სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთებისას და დაუკავშირონ დადგენილი ფაქტები დანაშაულის თითოეულ ელემენტს. ამასთან, სასამართლოებმა უნდა განიხილონ თითოეული ბრალდება თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით, მტკიცებულებებზე მითითებით. სასამართლოებმა აგრეთვე უნდა განმარტონ გადაწყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მტკიცებულება გაზიარებული ან უარყოფილი. სასჯელის შეფარდებისას, სასამართლოებმა გადაწყვეტილებებში უნდა ჩამოთვალონ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორები, ასეთის არსებობის შემთხვევაში და განმარტონ თუ როგორ მოხდა ამ ფაქტორების გათვალისწინება მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას.
- სააპელაციო სასამართლოებმა ცხადად უნდა მიუთითონ თუ რა ელემენტები აკლდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაციას ან რა არ იყო სათანადოდ განხილული განაჩენში, მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლების მოთხოვნების შესაბამისად.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა ჩაატაროს ფართომასშტაბიანი ტრენინგი განაჩენის და სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების შედგენაზე, როგორც მოსამართლეთა მომზადების პროგრამის პირველ ეტაპზე, ასევე მათი უწყვეტი განათლების სხვა ეტაპებზე და აგრეთვე სამუშაო ადგილებზე მომზადებისას.

XV. ადვოკატის ყოლის უფლება

231. ადვოკატის ყოლის უფლება არის ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი, რადგანაც დაცვის ადვოკატი პასუხისმგებელია ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების გულმოდგინე დაცვაზე. ეს თავი განიხილავს დაკვირვების შედეგად გამოვლენილ პრაქტიკას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა კომპეტენტური და ეფექტური იურიდიული წარმომადგენლობა; კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაცია ადვოკატთან და მის მიერ არჩეული ან სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის დანმარების უფლებით სარგებლობა.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

232. ადვოკატის ყოლის უფლების მიზანია დაუპირისპირდეს რესურსების ბუნებრივ უთანასწორობას სისხლის სამართლებრივი დევნის განმარტებულ სახელწიფოსა და ცალკეულ ბრალდებულს შორის, მისცეს ბრალდებულს კომპეტენტური და დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმომადგენლობის საკუთარი არჩევანის შესაბამისად არჩევის შესაძლებლობა და ამ წარმომადგენელთან სრულყოფილი და კონფიდენციალური კომუნიკაციის თავისუფლების გარანტია.⁴²⁶ ამ კუთხით, ადვოკატის წვდომის უფლება წარმოადგენს მხარეთა თანასწორობის პრინციპის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნას.⁴²⁷ სისხლის სამართლის კონტექსტში, ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, რომ ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი თავის დაცვის უფლებით ან მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებით.⁴²⁸ ადვოკატის ყოლის უფლებამოიცავს პირის მიერ არჩეული დამცველის წარმომადგენლობის უფლებისა და მისი ამ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების გარანტიისგან, აგრეთვე უფლებით გადასცეს და მიიღოს ადვოკატისგან ინფორმაცია კონფიდენციალურად და ისარგებლოს უფასო ადვოკატის დახმარების უფლებით.⁴²⁹
233. საერთაშორისო სტანდარტები არ აკისრებენ ქვეყნებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოფნა კერძო ადვოკატის მუდმივი წარმომადგენლობა, „ადვოკატის მოქმედება არსებითად ბრალდებულისა და მისი წარმომადგენლების საქმეა.“⁴³⁰ თუმცა, იურიდიული დახმარების არარსებობამ შეიძლება „სერიოზულად“ შეაფერხოს ბრალდებულის მონაწილეობა სასამართლო პროცესში.⁴³¹ ამდენად, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ბრალდებულის ინფორმირება ადვოკატის ყოლის უფლებაზე და მისცენ მათ ამ უფლების თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის, მათი ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შეცვალონ ადვოკატი.⁴³² თუ ბრალდებულის აირჩევს არ იყოლოდეს ადვოკატი, „მართლმსაჯულების ინტერესები კონკრეტული სასამართლო პროცესის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვდეს ახალი ადვოკატის დანიშვნის აუცილებლობას, ბრალდებულის სურვილის

426 ICCPR, მუხლი 14(3)(დ) და ECHR, მუხლი 6(3)(გ).

427 იხ. აგრეთვე თავი მხარეთა თანასწორობის შესახე.

428 კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან შენ.4, პარ.5.17.

429 იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 138.

430 იხ. სანიო იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 13 სექტემბერი 2006, პარ. 49; სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 23 თებერვალი 1994, პარ. 28; კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 24 დეკემბერი 2002, პარ. 39.

431 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, პარ. 10.

432 იხ. დაუდი პორტუგალიის წინააღმდეგ, ECtHR, 21 აპრილი 1998, პარ. 42; იხ. აგრეთვე, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ადვოკატთან დაკავშირებით არტიკო იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 13 მაისი 1980, პარ. 33; სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 456, პარ. 28.

მიუხედავად, განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულები პროცესის ჯეროვან ჩატარებას ხელს უშლიან მათი ქცევით.⁴³³

234. ადვოკატის ეთიკა მათგან მოითხოვს „უნარს მისცენ რჩევა და წარმოადგინონ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ადამიანი საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალური ეთიკის დაცვით, ყოველგვარი შეზღუდვების, გავლენის, ზეწოლის ან არასათანადო ჩარევის გარეშე, რომელი მხარესაც არ უნდა წარმოადგენდნენ.⁴³⁴ მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფოს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა დაცვის ადვოკატის ქმედებაზე,⁴³⁵ ეროვნული სასამართლოები არ უნდა დარჩნენ პასიური ეფექტური იურიდიული წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევების მიმართ.⁴³⁶ ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლო მუდამ ემხრობოდა იმ აზრს, რომ ჯეროვანი დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა იურიდიული დახმარება იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“⁴³⁷ რაც უნდა იქნას შეფასებული თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, მთელი პროცესის გათვალისწინებით.⁴³⁸
235. ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად ადვოკატის მოვალეობაა „რჩევა მისცეს კლიენტს მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე კლიენტის უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში და სამართლებრივი სისტემის შესახებ“⁴³⁹ ქვევის კოდექსი ევროპელი ადვოკატებისთვის ასევე მოითხოვს, რომ „ადვოკატი ყოველთვის უნდა გამოხატავდეს მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესებს[...]“⁴⁴⁰ „და ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოშობის რისკის შემთხვევაში ადვოკატს არ აქვს უფლება მისცეს რჩევა, წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ან იმოქმედოს მათი სახელით ერთი და იგივე საქმეში.“⁴⁴¹
236. დაცვის ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება, როგორც ასეთი, სიტყვა სიტყვით არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

433 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 37.

434 იქვე. პარ. 34.

435 იქვე. პარ. 32.

436 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 142-143. ჰენდრიქსი გაიანას წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაცია 838/1998, გაეროს დოკუმენტი UN Doc CCPR/C/76/D/838/1998 (2002), პარ. 6.4 და ქრისტოფერ ბრაუნის იამაიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაცია 775/1997, UN Doc CCPR/C/65/D/775/1997 (1999), პარ. 6.6.

437 არტიკოლი იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 13 მაისი 1980, პარ. 33; იმბრიოსცია შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 24 ნოემბერი 1993, პარ. 38; დაუდი პორტუგალიის წინააღმდეგ, ECtHR, 21 აპრილი 1998, პარ. 38.

438 კულიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ, ECtHR, 19 აგვისტო 2009, პარ. 57.

439 იხ. „ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპები“, მიღებულია გაერთიანებული ერების მერვე კონგრესზე დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ. 27 აგვისტო - 7 სექტემბერი 1990, გაეროს დოკ. A/CONF.144/28/Rev.1 at 118 (1990), პრინციპები 13 და 14.

440 ევროპელი იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების წესდება ქვევის კოდექსი ევროპელი ადვოკატებისთვის. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE), 2013, პარ. 2.7.

441 იქვე. პარ. 3.2.1.

საერთაშორისო პაქტში და არც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. თუმცა გაეროს ადამიანის უფლებების საბჭო აღიარებს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათი ითვალისწინებს „ადვოკატისა და კლიენტის პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობას მათი ურთიერთობის სრული კონფიდენციალურობის დაცვით.“⁴⁴² აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა, რომ კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება ადვოკატთან წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.⁴⁴³ თუ სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“, მაშინ ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის პირობები ნამდვილად უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რის გარეშეც დაცვის ადვოკატის დანმარება აზრს კარგავს.⁴⁴⁴

237. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავენ უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლებას მათთვის, ვისაც არ აქვს საშუალება საკუთარი სახსრებით აიყვანოს ადვოკატი.⁴⁴⁵ გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის თანახმად, „დანაშაულის სიმძიმე მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა დაინიშნოს თუ არა დაცვის ადვოკატი ‘მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით’, რადგან არსებობს ობიექტური მანსისააპელაციო ეტაპზე წარმატების მისაღწევად.“⁴⁴⁶ ეუთოს მოწოდებები ასევე თანხმდებიან უზრუნველყონ უფასო იურიდიული დახმარების უფლება, როგორც ერთერთი ადამიანური განზომილების ვალდებულება სამართლიანი სასამართლოს სფეროში.⁴⁴⁷

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

238. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს დაცვის უფლებას.⁴⁴⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება.“⁴⁴⁹ ეს უფლება განმტკიცებულია პროცედურული ღონისძიებით, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოს დანიშნოს სხვა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე და

442 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, 34.

443 შეესაბამება ECtHR-ის სასამართლო პრაქტიკას ამ მხრივ. იხ. ს. შვეიცარიის წინააღმდეგ, ECtHR, 28 ნოემბერი 1991, პარ. 48; კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ECtHR, 25 მარტი 1992, პარ. 46.

444 იხ. აგრეთვე, ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ, ECtHR, 12 მაისი 2005, პარ. 133; ხოდორკოვსკი და ლეხედევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 25 ოქტომბერი 2013, პარ. 627; სახლოვსკი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 2 ნოემბერი 2010, პარ. 97.

445 ICCPR, მუხლი 14(3)(დ); ECHR, მუხლი 6(3)(გ).

446 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, პარ. 38.

447 კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ციტატა ნაშრომიდან შენ. 3, პარ. 5.17.

448 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42(3).

449 მუხლი 38(5) სსსკ.

გადადოს პროცესი თხუთმეტ დღემდე, თუ დაცვის ადვოკატი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე.⁴⁵⁰ სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს საქმეზე ბრალდებულთა სხვა პირთა საქმის განხილვა, თუ რომელიმეს ადვოკატი არ გამოცხადდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული „გავლენას მოახდენს ბრალდებულის ინტერესებზე და მტკიცებულებათა სრულყოფილ და ობიექტურ განხილვაზე.“⁴⁵¹

239. იმ საქმეებზე, სადაც დაცვის ადვოკატი არ ესწრება სხდომას საპატიო ან არასაპატიო მიზეზით, მაგრამ შეყოვნება არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კოდექსის მიხედვით შესაძლებელია სასამართლოს მიერ დამცველის დანიშვნა.⁴⁵² ადვოკატის ყოლა სავალდებულოა კიდევ ისეთ შემთხვევებში, როდესაც „ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, [...] სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, [...] ბრალდებულის თავეს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას,“⁴⁵³ ან როდესაც ბრალდებულის თავეს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და საქმე განიხილება მის დაუსწრებლად.⁴⁵⁴ როდესაც სსსკ-ით კოდექსით დადგენილია სავალდებულო დაცვა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი, „დაცვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.“⁴⁵⁵
240. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად კრძალავს პროცესში ადვოკატის მონაწილეობას თუ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, მაგალითად, როდესაც „იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს.“⁴⁵⁶ ასევე, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მოითხოვს, რომ „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა[...]"⁴⁵⁷ წესების დაუმორჩილებლობას მოყვება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.⁴⁵⁸ კოდექსი აღიარებს ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპს: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან.“⁴⁵⁹ იგი შემდგომ ამბობს, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი ამ კლიენტების

450 იქვე. მუხლი 190(1).

451 იქვე. მუხლი 190(1).

452 იქვე. მუხლი 42(3).

453 იქვე. მუხლი 45(ვ)-(თ).

454 იქვე. მუხლი 189(1). იხ. აგრეთვე თავები მხარეთა თანასწორობის შესახებ, და პროცესზე დასწრებისა და დაუსწრებლად გასამართლების უფლების შესახებ.

455 იქვე. მუხლი 46(1)(ბ).

456 იქვე. მუხლი 60 (ბ).

457 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5.

458 კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 32(1)(ბ).

459 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2(1).

ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი⁴⁶⁰ ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.⁴⁶¹ ეთიკის კოდექსი, ძირითად პრინციპებს შორის, რომელსაც ადვოკატი მუდამ უნდა იცავდეს ასახელებს „ნდობას, [...] კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობას, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას.“⁴⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ ურთიერთობა⁴⁶³ და კომუნიკაცია⁴⁶⁴ ადვოკატსა და ბრალდებულს შორის იყოს კონფიდენციალური და არ ექვემდებარება შეზღუდვებს.

241. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვაზე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.⁴⁶⁵ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ბრალდებულისთვის ადვოკატის არჩევა შეუძლია ახლო ნათესავს ან სხვა პირს „ბრალდებულის ნების გათვალისწინებით“.⁴⁶⁶ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს ადვოკატის ყოლის უფლების გარანტიას სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ბრალდებული უქონელია.⁴⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, როცა სახეზეა სსსკ-ით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი, მას იგი დაენიშნება სახელმწიფოს მიერ.⁴⁶⁸

გ. ანალიზი

1. კომპეტენტური და ეფექტური სასამართლო წარმომადგენლობა

242. სამართლებრივი საკითხების არასაკმარისი ცოდნა, სასამართლო პროცესებში პასიური მონაწილეობა და დაცვის როლის მიმართ უპატივცემლობა ადვოკატების მხრიდან არღვევს კომპეტენტური და ეფექტური სასამართლო წარმომადგენლობის უფლებას. თითქმის არც ერთ საქმეში, რომელზეც ჩატარდა მონიტორინგი, დაცვის ადვოკატმა არ გააპროტესტა შეუსაბამო ირიბი ჩვენება და ბრალმდებელის ტენდენციურობა, რაც მიმანიშნებელი და რთული შეკითხვების დასმაში გამოიხატებოდა.⁴⁶⁹ რამოდენიმე შემთხვევაში, დაცვის ადვოკატმა სადავო არ განადა საქმეზე ისეთი მტკიცებულების დართვა, რაც დიდი ალბათობით

460 იქვე. მუხლი 6(1).

461 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6(2)(ა). იხ. აგრეთვე, კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 8, “2. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. [...]”.

462 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 1.

463 მუხლი 38(5) სსსკ.

464 მუხლი 43(1) სსსკ.

465 იქვე. მუხლი 189(1).

466 იქვე. მუხლი 41.

467 იქვე. მუხლი 38(5).

468 იქვე. მუხლი 46(1)(ბ).

469 ამ ზოგადი ტენდენციისგან ერთი გამონაკლისის წარმოადგენდა დამცველთა გუნდი მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის საქმეზე.

საზიანო უნდა ყოფილიყო კლიენტის საქმისთვის.⁴⁷⁰ ადვოკატი ხშირად არ აძლევდნენ რჩევებს თავიანთ კლიენტებს და იმ მოწმეებს, რომლებიც ჩვენებს იძლეოდნენ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის პოტენციურ შედეგებზე.⁴⁷¹ ყოველივე ამის შედეგად ვიღებდით სიტუაციას, სადაც ბრალდებულები ისე აყალიბებდნენ კითხვებს, რომ ადვილი დასაშვები იყო მათი დაკავშირება კონკრეტულ დანაშაულებთან.⁴⁷² ზოგჯერ ბრალდებულების „შეკითხვები“ მოწმეთა მიმართ განცხადებები უფრო იყო ვიდრე კითხვის დასმა, და ამით ისინი ზოგჯერ აღიარებდნენ ბრალდების მიერ მათ დამნაშავედ წარმოჩენას.⁴⁷³

243. ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ჩანდა, რომ დაცვის ადვოკატი არ იცნობდა კანონს, პროცედურულ წესებს ან მათ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს.⁴⁷⁴ ზოგიერთი ადვოკატი ვერ ახერხებდა მისი კლიენტის ინტერესების გულმოდგინედ დაცვას. ერთი ადვოკატი დათანხმდა ჯვარედინი დაკითხვისგან თავის შეკავებას, როდესაც მოსამართლემ განაცხადა პროცესის გადატანის შესახებ, რადგან იმ დარბაზში სხვა პროცესი უნდა ჩატარებულიყო.⁴⁷⁵
244. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ მყოფი ყველა პროცესი უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ ისეთ ზოგად ტენდენციებზე, როგორიცაა მაგალითად, მტკიცებულების საქმეზე ეფექტურად წარმოდგენილის ან მასზე შედავების, მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის, კლიენტებისთვის რჩევის მიცემის, კლიენტის ინტერესების დაცვის არაეფექტურობა, აგრეთვე დაცვის ადვოკატების მიერ კანონების ცოდნის ხარვეზები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ალბათობაზე მიუთითებდა. ერთი ადვოკატის მიერ რამდენიმე ბრალდებულის დაცვის შედეგად წარმოქმნილმა ინტერესთა კონფლიქტმა გარკვეულ სიტუაციებში, აგრეთვე სასამართლო პროცესებზე არ დასწრებამ ან ნაწილობრივ არ დასწრებამ, შესაძლოა გავლენა იქონიოს სასამართლო დაცვის წარმომადგენლობის უფლების ეფექტურად განხორციელებაზე. ამ კუთხით, მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლებების მიმართ და უნდა მოახდინონ ჩარევა მათი უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად, თუმცა მათ აგრეთვე მართებთ სიფრთხილე, რათა არ შეუშალონ ხელი კლიენტის ინტერესების დაცვის კანონიერ მცდელობებს.
245. ძნელია სასამართლო დაცვის წარმომადგენლობის კომპეტენტურობისა და ეფექტურობის განსაზღვრა, ადვოკატის სტრატეგიული არჩევნის ცოდნის გარეშე. თუმცა, იყო მთელი

470 მაგ., ძიმციშვილის პროცესი, 13 ივნისი 2013, პროცესი ახალაია I, 27 ივლისი 2013 და ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 24 სექტემბერი 2013.

471 იხ. თავი საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის შესახებ.

472 მაგ., პროცესი ახალაია II, 27 მაისი 2013 და 30 მაისი 2013; პროცესი ახალაია I, 7 ივნისი 2013.

473 მაგ., პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013, 27 მაისი 2013, 5 ივნისი 2013 და 12 ივნისი 2013.

474 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 21 ოქტომბერი 2013.

475 ძიმციშვილის პროცესი, 22 მარტი 2013.

რიგი შემთხვევები, როდესაც დაცვის ადვოკატის ქმედებით თუ უმოქმედობით გამოვლინდა პროფესიონალური სტანდარტის ბევრად დაბალი დონე, ვიდრე ამას ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვამოითხოვს. გარკვეული ქმედებების და უმოქმედობის სისტემატური ხასიათი შეიძლება იყოს კომპეტენტური და ეფექტური სასამართლო დაცვის წარმომადგენლობის უფლებისა და საქართველოს კანონმდებლობით ადვოკატისთვის დაწესებული ეთიკური მოვალეობების „აშკარა“ დარღვევის მაჩვენებელი.⁴⁷⁶

2. ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაცია

246. ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლება სამართლიანი სასამართლოს ბირთვის წარმოადგენს. ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაში შეიმჩნეოდა გარკვეული შეფერხებები. კლიენტების მათი ადვოკატებისგან ცალკე მოთავსება უარყოფით გავლენას ახდენდა მათ შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაზე. იმ პროცესებზე, სადაც მრავალი ბრალდებული ფიგურირებდა, მათი მოთავსება არ ხდებოდა ადვოკატების გვერდით.⁴⁷⁷ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დარბაზის მცირე ზომა და მრავალი ბრალდებულის არსებობა ერთად ართულებს ყველა ბრალდებულის მათი ადვოკატის გვერდით მოთავსებას, ადვოკატის ხელმისაწვდომობა უნდა გაიოლდეს შეძლებისდაგვარად. ამ მხრივ, სასამართლოს პასუხისმგებლობის მიუხედავად, დაცვის ადვოკატმაც უნდა იაქტიუროს ამგვარი კომუნიკაციისთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად.

247. ასევე, პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების მოთავსება შუშის ბოქსებში სასამართლო მოსმენაზე,⁴⁷⁸ და შესვენებების დროს კონსულტაციების მიღების დროს შექმნილი სიძნელეები,⁴⁷⁹ რაც მდგომარეობდა ზედამხედველობის გარეშე შესაფერისი სივრცის არ არსებობაში,⁴⁸⁰ აფერხებდა ადვოკატთან კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების ეფექტურად განხორციელებას. ამასთანავე, მიკროფონები უნდა ჩაირთოს მხოლოდ როდესაც მხარე დააპირებს განცხადების გაკეთებას. საჭიროა ყველა ძალისხმევის გაღება წინასწარ პატიმრობაში მყოფ და გირაოთი გამოშვებულ ბრალდებულებს შორის არსებული უთანასწორობის დასაბალანსებლად. მოსამართლეებმა უნდა

476 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან შენ. 113, პარ. 32; იხ. აგრეთვე, შესახებ, მუხლ. 5 და 6.

477 ახალაია I და ახალაია II.

478 მაგ., პროცესი ახალაია II; პროცესი ახალაია III, 5 თებერვალი 2014. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 24 ოქტომბერი 2013 და 8 ნოემბერი 2013; პროცესი ახალაია III, 5 თებერვალი 2014.

479 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 7 ოქტომბერი 2013; პროცესი ახალაია III, 5 თებერვალი 2014.

480 პროცესი ახალაია III, 5 თებერვალი 2014; მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 8 ნოემბერი 2013.

გამომჟღავნონ უფრო აქტიური დამოკიდებულება დამცველებსა და ბრალდებულებს შორის კონსულტაციებისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფად, ხოლო ადვოკატებმა მუხისიერად უნდა აცნობონ სასამართლოს ამ მხრივ რაიმე დაბრკოლების არსებობის შესახებ.

3. ბრალდებულის უფლება იყოლიოს მის მიერ არჩეული ან სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი

248. კერძოდ დაქირავებული ან სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების წარმოდგენა სასამართლო საქმის წარმოების ყველა ეტაპზე, მხარეთა თანასწორობის პრინციპის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ყოველთვის ცხადი არ იყო, თუ როგორ მოხდა ადვოკატის დაქირავება ბრალდებულის სახელით, რომლის გასამართლება ხდებოდა მის პროცესზე დაუხსრებლად.⁴⁸¹ ზოგ სიტუაციაში, როგორც ამბობდნენ, ადვოკატს ქირაობდა ბრალდებულის ოჯახი.⁴⁸² მიუხედავად იმისა, რომ ახლო ნათესავს ან სხვა პირს, რომელიც მოქმედებს ბრალდებულის სურვილის შესაბამისად, შეუძლია ამ უკანასკნელის სახელით ადვოკატის შერჩევა,⁴⁸³ სასამართლოებმა მაინც უნდა გამოიჩინონ ყურადღება, რათა უზრუნველყონ, რომ იმ პირმა რეალურად „იმოქმედოს ბრალდებულის სურვილის შესაბამისად“. ამ მხრივ, ისეთი აშკარა გარანტიის გარეშე, როგორც არის ბრალდებულის მიერ ხელმოწერილი მინდობილობა, ბრალდებულის ნათესავებს არ უნდა მიეცეთ ადვოკატის შერჩევის კანონიერი უფლებამოსილება.

249. ზოგ შემთხვევაში, სასამართლოებს არ შეუფასებიათ ჰქონდათ თუ არა იმ ბრალდებულებს, რომლებსაც არ ჰყავდათ ადვოკატი, პრეტენზია იურიდიულ დახმარებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მათ მიერ აყვანილი ადვოკატი არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებზე.⁴⁸⁴ სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებული პროცესზე დაუხსრებლად სამართლოდება, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ადვოკატის დანიშვნა არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად.

დ. დასკვნა

250. მიუხედავად იმისა, რომ დაცვითი წარმომადგენლობის ხარისხის შეფასება ძნელია მხოლოდ სასამართლო პროცესებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ დაცვის ადვოკატთა ქმედებებსა თუ უმოქმედობაში გამოვლინდა დაბალი პროფესიონალური სტანდარტი ბრალდებულის სამართლიანი

481 იხ. აგრეთვე თავი მხარეთა თანასწორობის შესახებ, სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაუხსრებლად გასამართლების უფლების შესახებ.

482 დიმცეიშვილი.

483 მუხლი 41 სსსკ.

484 მაგ., ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 12 ნოემბერი 2013; პროცესი ახალაია 1, 7 ივნისი 2013.

სასამართლოს უფლების დაცვის მოთხოვნებთან მიმართებით. მრავალ შემთხვევაში დაცვის ადვოკატი არ გამოცხადდა პროცესზე. ხშირად, როდესაც ისინი ესწრებოდნენ პროცესს, ჩნდებოდა კითხვები მათ დამოუკიდებლობასთან, კომპეტენტურობასთან და ეფექტურობასთან მიმართებით. აგრეთვე, ბრალდებულები ხშირად დგებოდნენ ისეთი სიძნელეების წინაშე, როგორიცაა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაცია სასამართლო სხდომის მსვლელობისას, განსაკუთრებით, როდესაც პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ათავსებდნენ შუშის ბოქსებში. იყო პრობლემები იმასთან დაკავშირებით, მართლაც გამოხატავდნენ თუ არა ოჯახის მიერ შერჩეული დაცვის ადვოკატები ბრალდებულის ჭეშმარიტ სურვილს ემოქმედათ მისი სახელით, პროცესზე მათი დაუხსრებლად გასამართლებისას.

ყოველივე ეს იწვევდა შემფოთებას ბრალდების მხარის მიერ მოწმეთა დაკითხვისას ან ჯვარედინი დაკითხვისას არასათანადო ქცევასთან, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფასთან და სავალდებულო დაცვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, როდესაც პროცესი ტარდებოდა ბრალდებულის დაუხსრებლად.

ე. რეკომენდაციები

- დაცვის ადვოკატი უნდა ესწრებოდეს სასამართლო საქმის წარმოების ყველა ეტაპს, ან უნდა უზრუნველყოს მისი შემცვლელის დანიშვნა, რათა არ შეფერხდეს ბრალდებულის დამოუკიდებელი, ეფექტური და კომპეტენტური დაცვის წარმომადგენლობის უფლების განხორციელება.
- დაცვის ადვოკატმა უნდა მისცეს ბრალდებულს მკაფიო მითითებები, რათა მოწმის დაკითხვისას მან არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება. ბრალდებულებმა და დაცვის ადვოკატებმა ყურადღებით უნდა გაანალიზონ ბრალდებულის მონაწილეობის რისკები მოწმეთა დაკითხვის პროცესში.
- ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ უნდა განიხილოს ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, როდესაც დაცვის ადვოკატები არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს.
- დაცვის ადვოკატმა მთელი შემართებით უნდა დაიცვან მისი კლიენტის უფლებები და თავი შეიკავოს ერთი და იმავე საქმეში მრავალი ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენისგან.
- სასამართლოს თავმჯდომარეებმა უნდა გამოყონ საკმარისი სივრცე ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის. მათ უნდა განუმარტონ სასამართლოს მანდატურებს ამ კომუნიკაციის მნიშვნელობა და აკრძალონ მიყურადება.
- სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო სხდომების უფრო დიდ დარბაზში ჩატარება იმ საქმეების განხილვისას, რომელშიც

მრავალი ბრალდებული ფიგურირებს და ბრალდებულები სასურველია მოათავსონ ისეთ ადგილას, სადაც მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება დამცველთან კომუნიკაცია.

- დაცვის ადვოკატებმა უნდა დააყენონ შუამდგომლობები რეგულარული შესვენებების მოთხოვნაზე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, რათა მიეცეთ კლიენტებთან ურთიერთობის საშუალება ისეთ სივრცეში, სადაც შესაძლებელი იქნება კონფიდენციალური კომუნიკაცია.
- სასამართლოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ადვოკატების შუამდგომლობა შესვენებების მოთხოვნის თაობაზე. შესვენებების მოწყობა აუცილებელია განსაკუთრებით ისეთ დარბაზებში, სადაც არ არის საშუალება, რომ ბრალდებულებმა ადვილად იურთიერთონ მათ წარმომადგენლებთან.
- მოსამართლეებმა და სასამართლოს თანამდებობის პირებმა უნდა უზრუნველყონ მიკროფონების ჩართვა, როდესაც მხარე მზად იქნება განცხადების გასაკეთებლად. დაცვის ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კერძო საუბრის ჩანაწერის გაკეთება არ უნდა იქნას დაშვებული.
- პროცესზე დაუსწრებლად გასამართლებისას, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბრალდებულის ოჯახის მიერ შერჩეული ადვოკატი წარმოადგენდეს ბრალდებულის ჭეშმარიტ ინტერესებს.

XVI. დაზარალებულთა და მოწმეთა მონაწილეობა და დაცვა

251. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული დებულებები სამართლიანი სასამართლოს უფლებების შესახებ ცალსახად არ ეხებიან მოწმეთა ან დაზარალებულთა უფლებებს, ადამიანის უფლებადამცველი ინსტიტუციები სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ ამ უფლებებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მათ შესახებ აცხადებს, რომ სახელმწიფოებს და სასამართლოებს ეკისრებათ მოწმეთა და დაზარალებულთათვის ისეთი ძირითადი ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება, როგორცაა სიცოცხლის უფლება, მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და უფლება რომ არავინ არ უნდა დაექვემდებაროს არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას⁴⁸⁵ და ეს ვალდებულება ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.⁴⁸⁶

485 იხ. ICCPR, მუხლო. 6, 7 და 17(1) და ECHR, მუხლო. 3, 5(1) და 8(1).

486 სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებულის იურიდიული დაიჯესტი, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7, გვ. 176; საერთაშორისო ამნისტია (Amnesty International), სამართლიანი სასამართლოს სახელმძღვანელო, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 205, გვ. 166.

252. დაზარალებულთა და მოწმეთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესებში უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლებრივი დევნის წარმატებით განხორციელებისთვის და უმეტეს იურისდიქციებში ადამიანებს აკისრიათ ჩვენების მიცემის სამართლებრივი და სამოქალაქო ვალდებულება. საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვენ, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ ზომები და ისე მართონ პროცესები, რათა არ დაარღვიონ დაზარალებულთა და მოწმეთა უფლებები და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება, კეთილდღეობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა,⁴⁸⁷ და იმავე დროს დააბალანსონ ეს უფლებები ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებასთან.⁴⁸⁸
253. ამ თავში განხილულია დაკვირვების შედეგად გამოვლენილი პრობლემები, რაც ეხება მოწმეთათვის (მათ შორის მოწვეული მოწმე ექსპერტებისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) და დაზარალებულთათვის განმარტებების მიცემას მათი სტატუსის შესაბამის უფლებებსა და ვალდებულებებზე, მოწმეთა და დაზარალებულთა მოპყრობას სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას და მათ მიმართ დამცავი ზომების გამოყენებას. ამ თავში აგრეთვე განხილულია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოების არსებობა დაზარალებულთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მონაწილეობისა და დაცვისთვის.

ა. საერთაშორისო სტანდარტები

254. გაეროს გენერალური ასამბლეის და ევროსაბჭოს მიერ მიღებული ინსტრუმენტები აყალიბებენ მთელ რიგ რეკომენდაციებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ სახელმწიფოებმა მოწმეთა და დაზარალებულთა სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილეობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.⁴⁸⁹ ეს მოიცავს რეკომენდაციებს მოწმეთა

487 იხ. "მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (97)13 წევრი ქვეყნებისთვის მოწმეთა დაშინების და დაცვის უფლების შესახებ", ევროპის საბჭო, 10 სექტემბერი 1997, პრეამბულა, პარ. 7-8; მოწმეთა დაცვის პროცედურული ღონისძიებები: მოსამზადებელი სახელმძღვანელო სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების მუშაკებისთვის, ევროსაბჭოს გამომცემლობა, სექტემბერი, 2006, გვ. 16, 36 ვვ, და დორსონი ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 26 მარტი 1996, პარ. 70.

488 ბოკოს -კუესტა ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 10 თებერვალი 2006, პარ. 69 და სხ შვედეთის წინააღმდეგ, ECtHR, 2 ოქტომბერი 2002, პარ. 47.

489 იხ. "გაეროს დეკლარაცია დანაშაულის მსხვერპლთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ", გაერო, 1985; "მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (85)11 წევრი სახელმწიფოებისთვის დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჩარჩოებში და პროცედურებში", ევროპის საბჭო, 28 ივნისი, 1985; "რეკომენდაცია No. R(97) 13, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 487; „მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია რეკ/ (2005) 9 წევრ სახელმწიფოებს მოწმეთა დაცვისა და მათი მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობის შესახებ.“, ევროპის საბჭო, 20 აპრილი 2005; კონვენცია ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ 1983; "მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(87) 21 წევრ სახელმწიფოებს დაზარალებულთა დაზარალებისა და მათი შემდგომი მსხვერპლად ქცევის პრევენციის შესახებ", ევროსაბჭო, 17 სექტემბერი 1987; "მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია რეკ. (2006) 8 წევრ სახელმწიფოებს დაზარალებულთა დაზარალების შესახებ", ევროსაბჭო, 14 ივნისი, 2006.

და დაზარალებულობის მათი უფლებების გაცნობის შესახებ, არაადამიანური და ღირსებაშემლახველი მოპყრობისგან დაცვას როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, დაცვის მიზნით სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, მაგალითად როგორცაა მოწმეთა დაცვის პროგრამების იმპლემენტაცია და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, იურიდიული კონსულტაცია და სრული და ეფექტური რეპარაცია და რესტიტუცია.

255. ევროსაბჭომ ხაზგასმით აღნიშნა ორი პრინციპი, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვა მათი პირადი მდგომარეობის, უფლებებისა და ღირსების გათვალისწინებით⁴⁹⁰ და აუცილებელი კანონმდებლობისა და ღონისძიებების მიღების ვალდებულება მოწმეთა დასაცავად და მხარდასაჭერად, რათა მათ თავისუფლად და დაშინების გარეშე მისცენ ჩვენება.⁴⁹¹ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობაზე განაცხადა, რომ მოწმის დაცვა ეს არ არის „მოწმისადმი კეთილგანწყობის გამოვლინება, არამედ ეს არის სახელმწიფოს მოვალეობა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.“⁴⁹² ფიზიკურ მხარდაჭერასთან ერთად, მოწმეს უნდა გაეწიოს ფსიქოლოგიური დახმარება სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე, როგორც მის დაწყებამდე, ისე მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ.
256. რაც შეეხება დაზარალებულობა მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულს, წამებას ან სხვა ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ დასჯას, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა აგრეთვე მოითხოვს ყველა ძალისხმევას გაღებას ტრავმის ხელახლა მიყენების თავიდან ასაცილებლად და სასამართლოების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხის განხილვას დაზარალებულობა ჩვენების წარდგენისთვის. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება ვიდეოკავშირები, საზოგადოებისა და/ან მედიის არ დაშვება, ან მოწმეთა წერილობითი ჩვენების წაკითხვა მის დაუხსრებლად, იმ პირობით, რომ მთლიანობაში პროცესის სამართლიანობის უზრუნველსაყოფა იქნება შესაძლებელი.⁴⁹³
257. ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა აიღეს ვალდებულებები დაზარალებულობა მიმართ სამართლიანი მოპყრობისა და მათი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,

490 იხ. რეკომენდაცია No. (85)11, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 489, პარ. 8.

491 რეკომენდაცია რეკ. (2005) 9, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 489, პარ. 1; რეკომენდაცია N. R(97) 13, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 487, პარ. 1.

492 “სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის შესახებ”, ადამიანის უფლებათა საბჭოს მეჩვიდმეტე სხდომა, 29 აპრილი 2011, პარ. 62, მათ შორის მინიშნებულია ვალდებულებები გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13 მუხლში და საერთაშორისო კონვენციაში „ყველა პირის იძულებით გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ“ 12 (1) მუხლში.

493 ECtHR აღიარებს, რომ ასეთ დაზარალებულებს ესაჭიროებათ პირადი ცხოვრების გაძლიერებული დაცვა სტიგმის გამო. იხ. ბოკოს -კუესტა ნიდერლანდების წინააღმდეგ, ECtHR, 10 თებერვალი 2006 და კოვაჩი ხორვატიის წინააღმდეგ, ECtHR, 12 ოქტომბერი 2007, პარ. 27.

სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას.⁴⁹⁴

ბ. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

258. მოწმეებს, დაზარალებულებს და ექსპერტებს გააჩნიათ გარკვეული როლი, უფლებები და ვალდებულებები სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.⁴⁹⁵ სასამართლოში ჩვენების მიცემის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მათ ერთნაირ სტატუსს ანიჭებს, ადგენს რა, რომ მოწმის უფლებები და მოვალეობები ასევე ეხება დაზარალებულებსა და მოწმე ექსპერტებს.⁴⁹⁶ მოწმეთა შესახებ წესები შეიცავენ უფლებას იცოდნენ რა საქმის გამო გამოიძახეს,⁴⁹⁷ არ მისცენ ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მათ ან მათ ახლო ნათესავს,⁴⁹⁸ მოითხოვონ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება,⁴⁹⁹ და განუმარტონ მათი უფლება-მოვალეობები,⁵⁰⁰ მათ შორის ფიცის დადების მნიშვნელობა.⁵⁰¹ ყველა მოწმემ უნდა დადოს ფიცი ჩვენების მიცემის წინ, მაგრამ მათ შეუძლიათ დადონ რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის ფიცი.⁵⁰² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგრეთვე მოითხოვს „სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“ და რომ დაუშვებელია „ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება“ მათ შორის, და არა მხოლოდ, მუქარით ან ისეთი შეღავათების დაპირებით, რომლებიც კანონით დაუშვებელია.⁵⁰³ კონსტიტუცია ასევე შეიცავს ამ სტანდარტებს.⁵⁰⁴
259. დამატებითი დებულებები ეხება მხოლოდ დაზარალებულებს და ექსპერტებს.⁵⁰⁵ რაც შეეხება მოწმე ექსპერტებს, სხვა უფლებებს შორის, მათ უფლება აქვთ უარი თქვან დასკვნის მიცემაზე თუ „დასმული საკითხები სცილდება მათი ცოდნის ფარგლებს ან თუ მათთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად“⁵⁰⁶
260. პროკურორები უფლებამოსილნი არიან პირი დაზარალებულად ცნონ.⁵⁰⁷ მოწმის უფლებების გარდა, დაზარალებულს უფლება

494 OSCE მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 15/05, „ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთა და ბრძოლა“, ეუთოს მინისტრთა საბჭოს მეცამეტე შეხვედრა, ლუბლიანა, 5-6 დეკემბერი 2005, პარ. 4 (i) და (ii).

495 მუხლი 3 (20) - (22) სსსკ.

496 იქვე. მუხლ. 47, 51(1) და 56 (1).

497 იქვე. მუხლი 49 (ა).

498 იქვე. მუხლი 49 (დ).

499 იქვე. მუხლი 49 (ვ).

500 იქვე. მუხლი 115 (1).

501 იქვე. მუხლი 48 (2).

502 იქვე. მუხლი 48 (1).

503 იქვე. მუხლ. 4 (1) და (2).

504 კონსტიტუცია, მუხლი 39.

505 მუხლ. 56 - 58 სსსკ (დაზარალებულები) დამუხლ. 51-52 სსსკ (ექსპერტები).

506 იქვე. 52 (1) გ.

507 იქვე. მუხლი 56 (5).

აქვს იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი, მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, მიიღოს სასამართლო მასალების ასლი, წინასწარ მიიღოს განმარტება სწავდასწავა სასამართლო პროცედურებისა და საპროცესო შეთანხმების შესახებ.⁵⁰⁸ დაზარალებულმა ასევე შეუძლია მოითხოვოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება,⁵⁰⁹ თუმცა კოდექსი არ შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვითაც დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს დანაშაულის ჩადენით მიყენებული ზიანი კომპენსაცია, დაზარალებულს მაინც შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში სამოქალაქო სარჩელის წარდგენით, რათა მოითხოვოს მორალური, ფიზიკური ან მატერიალური ზარალის კომპენსაცია.⁵¹⁰

261. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკისრებს მოსამართლეს პასუხისმგებლობას სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვაზე. მოსამართლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ჯარიმები ან პატიმრობა წესრიგის დამრღვევების მიმართ, ასევე, საჭიროების და შესაბამისობის შემთხვევაში, მიიღონ გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ.⁵¹¹ ეს უფლებამოსილებანი შესაძლებლობას აძლევენ მოსამართლეებს დაიცვან პროცესის მონაწილეთა ინტერესები, მათ შორის დაიცვან ისინი ისეთი ქმედებებიდან, რაც არღვევს მოწმის ან დაზარალებულის უფლებებს, განსაკუთრებით მათი ღირსების შენარჩუნებისა და მუქარის და დაშინებისგან დაცვის უფლებას. ამ მხრივ, მოსამართლეს აგრეთვე გააჩნია უფლებამოსილება გააძევოს ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან დაზარალებულის ან მოწმის ჩვენების მიცემისას, თუ ამას საჭიროება არსებობს.⁵¹²
262. სამოსამართლო ეთიკის ნორმები აგრეთვე მოითხოვს მოსამართლისგან მხარეებთან და საზოგადოებასთან მოწინააღმდეგე და ზრდილობიან ურთიერთობას, სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვას, ყველა მხარის თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფას და სასამართლო თანამდებობის პირების, მხარეების ან მათი წარმომადგენლების მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევაზე რეაგირებას.⁵¹³
263. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აგრეთვე შეიცავს დებულებებს, მოწმეთა და დაზარალებულთა მიმართ მოპყრობის შესახებ და ავალდებულებს ადვოკატს დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მომქმედ წესებს.⁵¹⁴ ადვოკატთა შესახებ კანონის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოს წესრიგს და არ შელახოს სასამართლოს და პროცესის

508 იქვე. მუხლო, 57(ა) – (გ), 58(1) და 58 (3).

509 იქვე. მუხლი 57(დ).

510 იხ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 18 (2) და (5), 408, 409, 413 (1) და (2), ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXXIV3.

511 იქვე. მუხლო. 23, 85(1), 85(2), 182 (3) (გ და ვ), 182 (4) და 228 (3).

512 მუხლი 40 (1) სსსკ.

513 სამოსამართლო ეთიკის ნორმები, მუხლო. 9, 10 და 12.

514 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.

სხვა მონაწილეთა უფლებები.⁵¹⁵ ასევე კანონი პროკურატურის შესახებ მოითხოვს პროკურორისგან ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას.⁵¹⁶

264. რაც შეეხება მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს დაცვის მთელ რიგ სპეციალურ ღონისძიებებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა დაცვის კუთხით, რომელთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას შეიძლება დაემუქროს საშიშროება მათი ვინაობის და ადგილსამყოფელის გამჟღავნების შემთხვევაში.⁵¹⁷ ამ ღონისძიებებით შეიძლება პირის ჩართვა მოწმეთა დაცვის პროგრამაში.⁵¹⁸

გ. ანალიზი

1. ინსტრუქციები უფლებების შესახებ

265. მრავალ საქმეში, მოსამართლეები ვერ ახერხებდნენ მოწმეთა სათანადოდ ინფორმირებას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. რამდენიმე შემთხვევაში, ინსტრუქცია მდგომარეობდა იმაში, რომ მოწმეებს ეთქვათ მხოლოდ სიმართლე,⁵¹⁹ სხვა შემთხვევებში მოწმეებს მხოლოდ ნაწილობრივ უხსნიდნენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს⁵²⁰ და იყო შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ აძლევდნენ განმარტებებს.⁵²¹ მოსამართლეებმა რამდენიმე შემთხვევაში არ უზრუნველყვეს იმის გაგება, თუ რამდენად აღიქვეს მოწმეებმა მათი უფლება-მოვალეობები.⁵²² ზოგჯერ სასამართლო ითხოვდა მოწმისგან წერილობით ფიცზე ხელის მოწერას და მხოლოდ შემდეგ უხსნიდა ფიცის დადების შინაარსს.⁵²³ აგრეთვე გამოვლინდა, რომ სასამართლომ რამოდენიმე შემთხვევაში არ ჰკითხა მოწმეს რომელი ფიცის დადება სურდა, რელიგიურის, თუ არარელიგიურის.⁵²⁴ იყო შემთხვევები, როდესაც მოწმეები განაგრძობდნენ კითხვებზე პასუხს მოწინააღმდეგე მხარის პროტესტის მიუხედავად, რაც მკაფიოდ აჩვენებს, რომ მოსამართლე არ ერეოდა და არ უხსნიდა მოწმეებს მათ მოვალეობას, რომ მათ არ გაეცათ ასეთ კითხვებზე პასუხი, სანამ სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას პროტესტის ან შუამდგომლობის შესახებ.⁵²⁵

515 კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 5.

516 კანონი პროკურატურის შესახებ, მუხლი 4(ბ) და (გ).

517 სსსკ - თავი XI.

518 მუხლი 68 (1) სსსკ.

519 იხ. ხეთაგური/ გვარამიას პროცესი, 1 აპრილი 2013.

520 ძიმციშვილის პროცესი, 6 ივნისი 2013; ხეთაგური/ გვარამიას პროცესი, 16 აპრილი 2013, 17 აპრილი 2013, 19 ივნისი 2013; ხეთაგური/ გვარამიას პროცესი, 16 აპრილი 2013; ძიმციშვილის პროცესი, 6 ივნისი 2013, 13 ივნისი 2013.

521 ხეთაგური/ გვარამიას პროცესი, 26 ივნისი 2013.

522 ძიმციშვილის პროცესი, 13 ივნისი 2013; პროცესი ახალაია I, 28 ივნისი 2013, 1 ივლისი 2013.

523 პროცესი ახალაია I, 28 ივნისი 2013; პროცესი ახალაია II, 8 ივლისი 2013.

524 პროცესი ახალაია II, 1 ივლისი 2013; ხეთაგური/ გვარამიას პროცესი, 19 ივნისი 2013.

525 მაგ., პროცესი ახალაია I, 13 მაისი 2013.

266. ინსტრუქციის მიცემისას მოსამართლეები ხშირად უკითხავდნენ მოწმეებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებს მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, თანაც ჩქარ ტემპში და არ უხსნიდნენ და შემდგომ არ რწმუნდებოდნენ იმაში, რომ მოწმეებმა ნამდვილად გაიგეს განმარტებები.⁵²⁶ მიუხედავად იმისა, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა, სასამართლო ან საკანონმდებლო საკითხებში გამოუცდელი პირებისთვის შესაძლოა რთულიყოფილიყო მათთვის ასეთ სიჩქარეში, იურიდიულ ენაზე მიწოდებული ინფორმაციის გაგება.
267. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად არ ავალდებულებს სასამართლოს დარწმუნდეს გაიგო თუ არა მოწმემ მისი უფლება-მოვალეობები, მაგრამ მისი დებულებები კონკრეტულად მიუთითებენ, რომ სასამართლომ და სასამართლო ორგანოს სხვა თანამშრომლებმა მინიმუმ უნდა განუმარტონ მოწმეს მათი უფლებები, ისევე როგორც ფიცის დადების შინაარსი. სასამართლოს მიერ მონაწილეთა არასათანადოდ ინფორმირება მათი სტატუსის შესახების უფლება-მოვალეობების შესახებ, ხელს უშლის ამ გარანტიების ეფექტურად იმპლემენტაციას. უფლება არ უნდა იყოს თეორიული და ილუზორული, არამედ იგი უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტური,⁵²⁷ რაც სასამართლოებისგან და მისი თანამშრომლებისგან მოითხოვს ძალისხმევას გაღებას მოწმეთათვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ უბრალოდ დებულებების წაკითხვის ნაცვლად.
268. რამდენიმე შემთხვევაში არ იქნა განსხვავებული მიდგომა გამოყენებული იმ მოწმეებთან მიმართებით, რომლებიც ასევე ფორმალურად ატარებდნენ დაზარალებული სტატუსს და ამან გავლენა მოახდინა განმარტებების შინაარსზე. რამდენიმე შემთხვევაში მოსამართლეებმა დაადასტურეს, რომ სასამართლოში გამოძახებულ პირებს, რომლებსაც დაზარალებულის სტატუსი ჰქონდათ, ეპყრობოდნენ, როგორც ჩვეულებრივ მოწმეებს და ამდენად მათ განემარტათ მხოლოდ მოწმის უფლება-მოვალეობები და არ მიეცათ დამატებითი ინფორმაცია დაზარალებულის უფლებებზე.⁵²⁸ მეორეს მხრივ, ზოგ დაზარალებულს უნმარტავდნენ მათ უფლებებს სრულად, ზოგჯერ ამას აკეთებდა იგივე მოსამართლე, რომელსაც სხვა საქმეებზე ასეთი განმარტებები არ ჰქონდა მიცემული.⁵²⁹
269. დაზარალებულთათვის მათი დამატებითი უფლებების და მოვალეობების შესახებ არასათანადოდ ინფორმირებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათი უფლებებით სრულად სარგებლობაზე. არაინფორმირებულმა დაზარალებულმა პირმა შესაძლოა არ იცოდეს და შესაბამისად ვერ ისარგებლოს ისეთი

526 პროცესი ახალაია II, 12 ივნისი 2013; პროცესი ახალაია I, 1 ივლისი 2013.

527 მაგ., ეარი ირლანდიის წინააღმდეგ, ECtHR, 9 ოქტომბერი 1979, პარ. 24.

528 მაგ., პროცესი ახალაია II, 14 მაისი 2013, 23 მაისი 2013 და 27 მაისი 2013; მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი, 21 ოქტომბერი 2013, პროცესი ახალაია I, 10 აპრილი 2013.

529 პროცესი ახალაია I; ახალაია II, 23 მაისი 2013.

მნიშვნელოვანი უფლებებით, როგორცაა სასამართლო პროცესის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღება, საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის გამოტანისას ზარალის მიყენების შესახებ ჩვენების მიცემა, დაცვის სპეციალური ღონისძიებებით სარგებლობა, სასამართლო დოკუმენტების ასლებისა და კომპენსაციის მიღება. მაშინ როდესაც დაზარალებულთა ინფორმირება მათ უფლებებზე უმთავრესად პროკურატურის მოვალეობაა, სასამართლომ უნდა შეავსოს ეს ინფორმაცია და შეახსენოს დაზარალებულებს მათი უფლებები სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას.

270. მოწმე ექსპერტებსაც მხოლოდ მოწმის უფლებები განემარტებოდათ, თუ საერთოდ ხდებოდა მათთვის რაიმე განმარტების მიცემა, და მათ არ მიეწოდებოდა ინფორმაცია იმ სპეციფიურ უფლებებზე, რაც ექსპერტს გააჩნია.⁵³⁰ ერთ საქმეზე, სამედიცინო ექსპერტს არ განუმარტეს მისი უფლება უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ ის მის კომპეტენციაში არ შედის.⁵³¹ დაცვის მხარემ ექსპერტს რამდენჯერმე დაუსვა ერთი და იგივე შეკითხვა იარაღის და ტყვიის ტრაექტორიის შესახებ, რომელმაც გამოიწვია პირის დაშავება. მოწმე სამედიცინო ექსპერტი იყო და მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვები სცდებოდა მისი კომპეტენციის სფეროს, იგი პასუხობდა შეკითხვებს, სანამ საბოლოოდ მოსამართლე არ ჩაერია.⁵³²
271. განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მრავალი მოწმე ან არ იყო ინფორმირებული მის უფლებაზე არ მიეცა ჩვენება მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამო ან თუ ხდებოდა, მას ზერელე ხასიათი ჰქონდა.⁵³³ როგორც აღმოჩნდა, არც ერთი მოწმე არ იყო წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. სპეციფიური კითხვების დასმისას, რასაც შესაძლოა შედეგად მოყოლოდა მოწმის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, მოსამართლეებს არ ჰქონდათ მცდელობა სულ ცოტა შეეხსენებინათ მაინც მოწმეებისთვის მათი უფლება უარი ეთქვათ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, სანამ უპასუხებდნენ.⁵³⁴ რამდენიმე საქმის განხილვისას მოწმეებმა გააკეთეს ისეთი განცხადებები, რაც მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.⁵³⁵ მაგალითად, ერთმა მოწმემ აღიარა სკოლის ბავშვებისგან ფულის აკრეფა და ამ ფულის პატიმრებისთვის ციხეში მიტანა.⁵³⁶ ასეთ შემთხვევებში არც მოსამართლე და არც მხარეები არ ჩარეულან, რათა დარწმუნებულიყვნენ, თუ რამდენად ესმოდათ მოწმეებს რომ მათ შეეძლოთ უარი ეთქვათ საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიცემაზე.

530 პროცესი ახალაია I, 6 ივნისი 2013, 11 ივნისი 2013; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 11 ივნისი 2013.

531 იხ. მუხლ. 51, 52, განსაკუთრებით 51(1)(გ) სსსკ.

532 გუნავას პროცესი, 1 მაისი 2013.

533 პროცესი ახალაია I, 2 აპრილი 2013; ხეთაგური/გვარამიას პროცესი, 11 ივნისი 2013; გუნავას პროცესი, 26 მარტი 2013.

534 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 27 დეკემბერი, 2013.

535 მაგ, ძიმცივიშვილის პროცესი, 22 მარტი 2013; პროცესი ახალაია III, 10 სექტემბერი 2013.

536 პროცესი ახალაია III, 10 სექტემბერი 2013.

272. მოწმეთა, დაზარალებულთა და ექსპერტთა არასათანადოდ ინფორმირება მათი სტატუსის შესაბამის უფლება-მოვალეობებზე არღვევდა ამ უფლებებისა და მოვალეობების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, რადგანაც პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ სრულყოფილი ინფორმაცია მათ უფლებებზე, სათანადოდ ვერ ისარგებლებენ ამ უფლებებით და ვერც დაიცავენ მათ.

2. მოწმეთა მოპყრობა სასამართლო პროცესებზე

273. მონიტორინგმა გამოავლინა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც მოწმეებსა და დაზარალებულებს დევნიდნენ, აშინებდნენ ან ემუქრებოდნენ, თუმცა ამას მოსამართლის ან მოწმის გამომძახებელი მხარისგან რეაგირება არ მოჰყოლია.

274. დაცვის ადვოკატები ხშირად იმაღლებდნენ ხმას და ავლენდნენ არაკეთილგანწყობილებას მოწმეთა მიმართ.⁵³⁷ ბრალდების მხარე იშვიათად მიმართავდა გაპროტესტებას და მოსამართლეები არ ერეოდნენ.⁵³⁸ ერთ სასამართლო განხილვაზე ბრალდებულს ჰქონდა მოწმეზე ფიზიკური ზემოქმედების მცდელობა ჩვენების მიცემისას. ამის საპასუხოდ, სასამართლომ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა ბრალდებულს.⁵³⁹ როდესაც ერთერთმა მოწმემ ჩვენებაში აღნიშნა მასზე ჯოხით სექსუალური ძალადობის გამოყენება, დაცვის ადვოკატმა იკითხა, რომელი ხის ჯოხი გამოიყენესო; ბრალდების მხარემ მხოლოდ მას შემდეგ გააპროტესტა დაცვის შეუფერებელი შეკითხვა, როდესაც მოწმემ იკითხა ეს დაცვინვა იყო თუ არა მის მიმართ; მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.⁵⁴⁰ ერთ საქმეზე, სადაც დაზარალებულმა განაცხადა მისი წამების შესახებ, დაცვის ადვოკატს გაეცინა. დაზარალებული შეეკამათა, რომ მისი ჩვენება არ იყო სასაცილო და მის ადგილზე მას არ გაეცინებოდა. მოსამართლე მხოლოდ დაზარალებულის რეაქციის შემდეგ ჩაერია და მისცა ზოგადი გაფრთხილება არასათანადო ქცევის თაობაზე.⁵⁴¹

275. დაცვის ადვოკატები და ბრალდებულები აგრეთვე აგრესიულად სდებდნენ ბრალს მოწმეებს ტყუილში, თუმცა არ ასაბუთებდნენ ამას.⁵⁴² მიუხედავად იმისა, რომ ჯვარედინი დაკითხვის ასეთი სიმძაფრით წარმართვა ბუნებრივია, სადაც მოწმის სანდოობაც დება ეჭვის ქვეშ, ასეთი დამარწმუნებელი განცხადებების გაკეთებას დასაბუთების და მისი დამამტკიცებელი ფაქტების გარეშე არ გააჩნია მტკიცებითი ღირებულება და სხვას არაფერს ემსახურება თუ არა მოწმეთა შეურაცხყოფას და თავის არსით წარმოადგენს უსაფუძვლო თავდასხმას მოწმის ღირსებასა და რეპუტაციაზე. განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება მოწყვლად დაზარალებულ პირებს, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო სექსუალური ძალადობა, წამება

537 ახალაია I; ახალაია II, ახალაია III; გუნავა.

538 მაგ, ახალაია I, ახალაია II, გუნავა.

539 პროცესი ახალაია II, 28 ივნისი 2013.

540 პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013.

541 პროცესი ახალაია I, 10 აპრილი 2013.

542 მაგ., პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013, 3 ივლისი 2013; პროცესი ახალაია I, 10 ივნისი, 2013, 7 მაისი 2013.

ან სხვა სახის სასტიკი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, მათ შორის ფიზიკური ძალადობა, ასეთი კითხვების განმეორებით და აგრესიულად დასმამ შესაძლოა მწვავე სტრესი და მათი თავიდან ტრავმირება გამოიწვიოს. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დაიცვას წონასწორობა ბრალდებულთა უფლებებსა და მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებებს შორის.

276. ზოგიერთ შემთხვევებში, ბრალდების მხარე ერეოდა, და ითხოვდა დაცვის ადვოკატისგან და/ან ბრალდებულებისგან, რომ მათ მიეცათ მოწმისთვის საშუალება თავისუფლად ესაუბრათ და თავი შეეკავებინათ მათი შეურაცხყოფისაგან. მოსამართლეები ხშირად აკმაყოფილებდნენ ბრალდების შუამდგომლობებს. ასეთი შემთხვევა ბევრჯერ განმეორდა ერთ მოსმენაზე და მიუხედავად იმისა, რომ ყოველ გაპროტესტებას მოყვა ხანგრძლივი და გაცხარებული კამათი, თუ ვინ ვის მიაყენა შეურაცხყოფა, მოსამართლე აქ არ ჩარეულა.⁵⁴³
277. საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც უმეტეს საქმეებზე ცხადდებოდნენ დაცვის მხარდასაჭერად, ხშირად ავლენდნენ უპატივცემულო დამოკიდებულებას მოწმეთა მიმართ, მაგალითად, დასცინოდნენ დაზარალებულს, რომელიც ჩვენებას იძლეოდა მასზე სექსუალური ძალადობის გამოყენების შესახებ.⁵⁴⁴ ერთერთ საქმეზე, საზოგადოების წევრმა, რომელიც ესწრებოდა პროცესს ხმამაღლა და სარკასტულად მიმართა მოწმეს, რომელიც ჩვენების მიცემის შემდეგ გადიოდა ოთახიდან და მიაძახა „ყოჩაღ, მაგარი ხარ“, და მოსამართლეს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.⁵⁴⁵
278. შეურაცხყოფა, დაშინება თუ მხარეებისა და საზოგადოების სხვა შეუფერებელი საქციელი მოწმეთა და დაზარალებულთა მიმართ აფერხებს მათ მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესებში. ამგვარი ქცევის დაშვება სასამართლოში გამოიწვევს მოწმეთა გულის აცრუებას საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობაზე, ისინი ვერ შესძლებენ მოითხოვონ სასხლის სამართლის პროცესებზე მათ მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაცია, რადგან ის, როგორც ეს პროცედურები ტარდება, მათთვის აღიქმება როგორც უღირსი და დამამცირებელი მოპყრობა, რაც პოტენციურად იწვევს მათ ხელახალ ტრავმირებას და ხელს უშლის მათ რეაბილიტაციას.
279. მიუხედავად, რომ შესაძლებელი ჯვარედინი დაკითხვა მძაფრად და ხმაურთანაა და წარიმართოს, ზოგიერთი მხარის ქცევა აშკარად სცდებოდა პროფესიონალიზმის ფარგლებს მრავალ შემთხვევაში და სასამართლოები ვერ ახალანსებდნენ ბრალდებულთა და მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებებს. გარკვეული აქტორების მიერ სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების დარღვევასთან ერთად, სიტუაციას კიდევ უფრო შემაშფოთებელს ხდიდა პროკურორების, მოსამართლეების და აგრეთვე დაცვის ადვოკატების მხრიდან აშკარა თანაგრძნობის ნაკლებობა და დაგვიანებული ან

543 პროცესი ახალაია II, 19 ივნისი 2013.

544 პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013.

545 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 24 ოქტომბერი 2013.

არასაკმარისი ჩარევები. უფრო კონკრეტულად, მოსამართლეებმა ვერ გამოავლინეს სასამართლო პროცესის მართვის უნარები და საკმარისი ცოდნა, თუ როგორ უზრუნველყოთ მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვისა და მლიანად სასამართლო პროცესის ღირსეულად და პროფესიონალურად წარმართვა. ისინი არასაკმარისად იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ საშუალებებს, როგორცაა საზოგადოების წევრების ან ბრალდებულებისთვის გაფრთხილებების მიცემა, დაჯარიმება ან მათი გაძევება. ეს კი ხელს უწყობდა პროცესზე დაძაბული, აგრესიული და ხშირად ქაოტური სიტუაციისა და მოწმეთა და დაზარალებულთა მიმართ მტრული განწყობის შექმნას.⁵⁴⁶

280. ის, რომ პროცესში მონაწილე მხარეები არ იღებდნენ საჭირო ზომებს მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების უზრუნველსაყოფად, როგორცაა ადამიანური და ღირსეული მოპყრობა და პატივისცემა, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ იურიდიული პროფესიის ეთიკურ სტანდარტებს, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებსაც.

3. მოწმეთა და დაზარალებულთა უსაფრთხოება და დაცვა

281. მონიტორინგმა გამოავლინა რამოდენიმე ისეთი შემთხვევა, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა მოწმის ან დაზარალებულის პირადი ცხოვრებისთვის ან მისი ოჯახისთვის, ასევე სიტუაციები, სადაც ისინი დაუცველები აღმოჩნდნენ მხარეების ან საზოგადოების მხრიდან დაშინებისა თუ მათზე ზეწოლის განხორციელების წინაშე.
282. რამოდენიმე საქმეზე სასამართლომ, პროცედურების განხორციელებისას, დაკითხვის დაწყებამდე მათი ვინაობის დეტალების დადგენისას მოსთხოვა მოწმეებსა და დაზარალებულებს საჯაროდ გამოეცხადებინათ მათი საცხოვრებელი ადგილები. ბევრმა მათი ზუსტი მისამართი დაასახელა სოფლის და ქალაქის მითითებით, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.⁵⁴⁷ ერთ შემთხვევაში, დაცვის მხარემ ჰკითხა მოწმეს მისი მისამართი და საქმიანობა. ბრალმდებელმა გააპროტესტა ეს კითხვა, განაცხადა რა, რომ მოწმეს არ სურდა ამ ინფორმაციის გასაჯაროება გარკვეული მიზეზების გამო.⁵⁴⁸ მოწმე შეუწყმანდა იმაზე, ეპასუხა თუ არა მოსამართლის შეკითხვისთვის, მაგრამ მოსამართლემ განუმარტა რომ მას უნდა გაეცა პასუხი. კიდევ ერთი საქმის განხილვაზე, როდესაც დაისვა კითხვა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მოწმემ აშკარა უხერხულობა იგრძნო და ბოლოს უპასუხა, რომ არ ახსოვდა.⁵⁴⁹

546 შემდგომი დეტალებისთვის იხ. თავი - საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი.

547 იხ. მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 2013 წლის 19 სექტემბერი, 2013 წლის 24 ოქტომბერი და 2013 წლის 25 დეკემბერი; პროცესი ახალაია I, 2 აპრილი 2013, 29 აპრილი 2013.

548 პროცესი ახალაია I, 7 მაისი 2013.

549 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 22 ნოემბერი 2013.

283. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს მოწმეთა ვინაობის დადგენას ჩვენების მიცემამდე, იგი აუცილებლად არ გულისხმობს მათი მისამართების დასახელებას. მოწმეებისთვის და დაწარალებულებისთვის საჯაროდ კითხვა მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ არა მარტო მათ უსაფრთხოებას აყენებს რისკის ქვეშ, არამედ მათი ოჯახებისაც და მათ მოწყვლადობას უწყობს ხელს შესაძლო ხელყოფისას. მოსამართლეებმა უნდა დააბალანსონ მოწმეთა უფლებები დაცვისა და საზოგადოების უფლებებთან მიმართებაში. დაცვის მნიშვნელოვანი უფლებაა მიეცეს შედავებისა და მოწმის ან დაწარალებულის დაკითხვის ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა და არა მათი მისამართის გაგების. ძალზე საეჭვოა, რომ მოწმის ან დაწარალებულის საცხოვრებელი ადგილის გასაჯაროება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს მათ უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს, საჭირო ან შესაფერისი იყოს დაცვის ინტერესებისთვის.
284. რაც შეეხება დაცვის ღონისძიებებს, გაუგებარია ჰქონდათ თუ არა მოწმეებს სრული ინფორმაცია არსებული დამცავი ზომების შესახებ და რამდენად იქნა ისინი გამოყენებული, თუ კისაერთოდ გამოიყენეს. ამ ზომების გამოყენებაზე გადაწყვეტილების უფლებამოსილება აკისრია მთავარ პროკურორს და ეს საკითხი არ შედიოდა მონიტორინგის კვლევის ფარგლებში.⁵⁵⁰
285. დაკვირვების ქვეშ მყოფი საქმეების კონტექსტში, აღმოჩნდა, რომ პოლიციამ ბადრაგის თანხლებით მოიყვანა ბრალდების მოწმე სასამართლოში,⁵⁵¹ მაგრამ სასამართლო დარბაზში შესვლისას ან გამოსვლისას მათ იშვიათად ახლდათ დაცვა. თითქმის ყველა საქმეში, მოწმეები იცდიდნენ სასამართლო დარბაზის გარეთ ფოიეში ჩვენების მიცემის წინ და მონიტორებს არ შეუძინევიათ მანდატურები, რომლებიც მოწმეებს იცავდნენ. ერთხელ დაფიქსირდა, რომ მოწმეებს დარბაზიდან გასვლისას უკან გაჰყვნენ ვიღაც პირები. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ორი ადამიანი სასამართლო დარბაზიდან, რომლებიც როგორც ჩანდა ბრალდების მხარის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, გაყვნენ ბრალდების მოწმეს და იცდიდნენ კიდევ რაღაც ხანს დარბაზს გარეთ, სადაც მოწმე იყო მოთავსებული.⁵⁵² კიდევ ერთ შემთხვევაში, საზოგადოების წევრები ემუქრებოდნენ მოწმეს, როდესაც იგი ტოვებდა სასამართლო დარბაზს და რამოდენიმე ადამიანი გაჰყვა მას დარბაზის გარეთ, თუმცა ამაზე მანდატურს რეაგირება არ მოუხდენია.⁵⁵³ მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწმეთა მიმართ რაიმე შურისძიების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია ზემოთ მოყვანილი შემთხვევების შემდეგ, შემაშფოთებელია, რომ მოსამართლის ან მანდატურების მხრიდან არ მომხდარა რეაგირება იმ რისკზე, რომლის წინაშეც მოწმეები აღმოჩნდნენ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევებში დაფიქსირდა, რომ მხარეებს არ შესთავაზეს გამოეხატათ მათი

550 მუხლი 68 (2) სსსკ.

551 ეს აღნიშნული იქნა პროცესზე ახალაია II, 23 მაისი 2013.

552 პროცესი ახალაია II, 23 მაისი 2013.

553 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 12 დეკემბერი 2013.

აზრი დაცვის ღონისძიებების გამოყენებაზე სასამართლოში.⁵⁵⁴ ასეთ შემთხვევებში მოწმეები დაუცველნი არიან დაშინებისა და შურისძიების წინაშე, რაც წარმოაჩენს სასამართლოს უუნარობას პროაქტიურად უზრუნველყოს მოწმეთა დაცვა და უსაფრთხოება იქ, სადაც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და უზრუნველყოს დამცავი ღონისძიებების ეფექტურად გამოყენების ხელმისაწვდომობა.

286. როგორც მოწმეთა მისამართების გამჟღავნება, ისე დაცვის ღონისძიებების გამოუყენებლობის პრაქტიკა, აყენებდა მოწმეებს დაშინების, მუქარისა და შურისძიების საფრთხის ქვეშ, რითაც ილახებოდა მათი უფლებები.

4. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა დაზარალებულთათვის

287. დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გულისხმობს სამართლებრივი დაცვის ეფექტური ღონისძიების წვდომას, სასამართლო პროცესებში მონაწილეობას, პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობას, დაცვას, კომპენსაციას, დახმარებასა და მხარდაჭერას, მათ შორის იურიდიულს, და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

288. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული დებულებები საკმარისად არ უწყობენ ხელს დაზარალებულის მონაწილეობას სასამართლო პროცესში, რადგან მათი შეხედულებებისა და სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინება არ არის უზრუნველყოფილი. ამ სიტუაციას ამძიმებდა, როგორც ზემოთ ავნიშნეთ, ის ფაქტი, რომ დაზარალებულებს სათანადოდ არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია არსებულ პროცედურულ უფლებებზე. სამართლებრივი ჩარჩო აგრეთვე არ შეიცავს დაზარალებულთათვის რაიმე ფსიქო-სოციალურ ან სამართლებრივ მხარდამჭერ სტრუქტურებს. საქართველოში ამგვარი მხარდაჭერის შესაძლებლობები შეზღუდულია, თუ არ ჩავთვლით პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ დაზარალებულთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ტრეფიკინგის პრობლემებს. კოდექსი აგრეთვე არ ითვალისწინებს დაზარალებულთა მიერ კომპენსაციის მოთხოვნას, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, თუმცა დაზარალებულებს შეუძლიათ აღძრან საქმე კომპენსაციის მიღების მიზნით სამოქალაქო წესით. თუმცა ასეთი საშუალება მოითხოვს იურიდიულ კონსულტაციას, დროს და ფინანსურ რესურსებს, ისევე როგორც ჩვენების მიცემას და კიდევ ერთი სასამართლო პროცესის გავლას, რითაც დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის სწრაფად განხორციელება რისკის ქვეშ დგება. როგორც არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა გვაჩვენებს, საქართველოში მდგომარეობა დაზარალებულთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.⁵⁵⁵

554 მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილის პროცესი, 12 სექტემბერი, 2013, 19 სექტემბერი 2013.

555 ODIHR-ი მხედველობაში იღებს იმას, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის ივლისში დაზარალებულთა უფლებების დამატებით უზრუნველსაყოფად.

დ. დასკვნა

289. სასამართლო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებში არ იყო დაცული მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებები. დაზარალებულთა და მოწმეთა თანამშრომლობა მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დანაშაულის პრობლემების ეფექტურად მოგვარებისთვის, მაგრამ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ისევე როგორც თანაგრძნობაზე დაფუძნებული მოპყრობისა და ინფორმირების უფლებების გარეშე, დაზარალებულთა და მოწმეთა სასამართლო პროცესებში მონაწილეობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

სამართლიანი სასამართლო სისტემა არა მხოლოდ ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებას უზრუნველყოფს, არამედ, იგი აგრეთვე აბალანსებს ბრალდებულისა და მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებებს. მოწმეთა, მათ შორის დაზარალებულების და ექსპერტების არასათანადოდ ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, ზედმეტად აგრესიული მოპყრობა და დაშინება, რაც მოწმეთა და დაზარალებულთა მიმართ ხორციელდებოდა სასამართლო პროცესებზე მხარეთა მიერ და ის ქმედებები, რაც მოწმეთა და დაზარალებულთა უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებდა, მაგალითად მათი მისამართების საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა და მათი დაცვის აუცილებლობის შეუფასებლობა, საბოლოო ჯამში მეტყველებს დაზარალებულთა და მოწმეთა უფლებების დაცვაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე. საქართველოში დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ერთიანი და საკმარისი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობამ, ხელი შეუწყო დაცულობის შემცირებას.

ე. რეკომენდაციები

- მოსამართლეებმა სათანადოდ უნდა განუმარტონ მოწმეებს, მათ შორის დაზარალებულებს და ექსპერტებს მათი უფლება-მოვალეობები.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ სტანდარტული ინსტრუქციების შემუშავება, რაც უნდა დაურიგდეს მოსამართლეებს.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რომ მოსამართლეებმა პირველ რიგში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მოწმეს ვალდებულებებისა და ფიცის მნიშვნელობის შესახებ და მხოლოდ შემდგომ მოითხოვოს ფიცის დადება.
- სისხლის სამართლის პროცესებში მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს სასამართლოების ვებგვერდზე და/ან გავრცელდეს ბროშურების სახით.
- მოსამართლეებმა უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ

მოწმეთა მიერ იმგვარი ჩვენებების მიცემას, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დარწმუნდნენ, რომ მათ კარგად გაიგეს თავიანთი უფლებები და წამოჭრან ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა ამგვარ საქმეებში.

- მოსამართლეები უნდა იყვნენ პროაქტიულები მოწმეთა და დაწარალებულთა ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვისა და მათი პატივისცემით მოპყრობის უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები დარღვევებზე რეაგირებისთვის, მათ შორის გაითვალისწინონ დაცვის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა მოწმეთა და დაწარალებულთა მიერ ჩვენების მიცემისას.
- დაცვისა და ბრალდების მხარეების ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მოწმეთა და დაწარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას.
- მოსამართლეთა მოსამზადებელი პროგრამების განმხორციელებელმა ორგანიზაციებმა თავიანთ პროგრამებში აქცენტი უნდა გააკეთონ მოსამართლეების მიერ მოწმეთა და დაწარალებულთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფაზე, ეფექტიანი და ეფექტური სასამართლო პროცესის მართვის უნარების საშუალებით.
- სასამართლოებმა უნდა გააუქმონ მოწმეთა და დაწარალებულთა მისამართების ან სხვა სენსიტიური ინფორმაციის მოთხოვნა ღია სასამართლო სხდომაზე.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და შესაბამის კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაწარალებულთა მოსაზრებების მხედველობაში მიღების შესაძლებლობას სხვადასხვა სტადიაზე და რომ დაწარალებულებს აქვთ ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ მხარდაჭერაზე წვდომა.

XVII. დანართი 1: ინფორმაცია მონიტორინგის საქმეების შესახებ

2014 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

1. ადეიშვილი, ჭაკუა (შემოკლებით: ადეიშვილი I⁵⁵⁶)

მონიტორინგი ჩატარდა 3 სასამართლო პროცესაზე

ბრალდების მხარის თანახმად, ბრალდებულებმა დაგეგმეს პატიმართა მიმართ ძალადობის ინსცენირება, ჩაიწერეს ვიდეოზე, რომელიც შემდგომ დააბრალეს კოალიცია ქართულ ოცნებასთან დაკავშირებულ პირებს, რათა დაეფარათ პატიმართა არასათანადო მოპყრობა, რაც შეამცირებდა ქართული ოცნების წარმატების შანსებს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში. მათ ბრალი წაუყენათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, წამებაში, დანაშაულის პროვოკაციასა და მტკიცებულებათა ფაბრიკაციაში. 2013 წლის 11 ივლისს ჩატარებულ პირველ არსებით სასამართლო განხილვასა და მეორეს შორის, რომელიც 2014 წლის 14 აპრილს ჩატარდა, სხვა სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა. საქმე წარმოებაში რჩება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- ადეიშვილი, ზურაბი, პროცესზე დაუუსწრებლად. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრი, პარლამენტის წევრი.
- ჭაკუა, დავითი, პროცესზე დაუუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

2. ადეიშვილი, ანთაძე, ჩიგოგიძე, ჩოჩელი, ებანოძე, ღაჭავაძე, გიორგაძე, გუმბათაშვილი, კაპანაძე, კოდუა, ყუბანეიშვილი, მელია, მორჩილაძე, საჯაია, საყვარელიძე, ცხენოსანიძე (შემოკლებით: ადეიშვილი II)

მონიტორინგი ჩატარდა 16 სასამართლო პროცესაზე

ბრალდების მიხედვით, ბრალდებულებს ჰქონდათ ქართუ ბანკის გაკოტრების მცდელობა. მათ სხვადასხვა ბრალი წაუყენათ უკანონო ქმედებების გამო, რაც დაკავშირებული იყო გაკოტრებასთან და ყალბი საკრედიტო და საანგარიშსწორებო ბარათების გამოყენებასთან. ადეიშვილს ბრალი წაუყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. საქმე კვლავ რჩება წარმოებაში პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- ადეიშვილი, ზურაბი, პროცესზე დაუუსწრებლად. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, პარლამენტის წევრი.
- ანთაძე, ილია. კომპანიის დირექტორი.
- ჩიგოგიძე, ვასილი. შპს „არკი“-ს დირექტორი.

556 ანგარიშში მითითებული ყოველი საქმე აღნიშნულია მოკლე ფორმით.

- ჩოჩელი, ცეზარი. კომპანია ნატანტარის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
- ეხანოიძე, ჯამბულო. კომპანია თეგეტა მოტორსის აღმასრულებელი დირექტორი
- ლაჭავა, ლაურა. კომპანიის დირექტორი
- გიორგაძე, დავითი. ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე
- გუმბათაშვილი, ირაკლი. CDM Co.–ს დირექტორი
- კაპანაძე, ლუბუმი. პროცესზე დაუწრებლად.
- კოდუა, დავითი. კომპანიის დირექტორი.
- ყუბანეიშვილი, ნიკა. ინტერპლასტის დირექტორი.
- მელია, ნიკა. თბილისის მთაწმინდის რაიონის ყოფილი გამგებელი.
- მორჩილაძე, გრიგოლი. კომპანიის ხელმძღვანელი.
- საჯაია, ნუგზარი. „პლანექს კო“-ს დირექტორი.
- საყვარელიძე ლევანი. კომპანიის დირექტორი.
- ცხენოსანიძე, გოჩა. კომპანიის დირექტორი.

3. ახალაია, დარასელია, გორგაძე, კალანდაძე, კიკაბიძე, კინწურაშვილი, მკურნალიძე, შამათავა (შემოკლებით: ახალაია I)

მონიტორინგი ჩატარდა 45 სასამართლო პროცესაზე

საქმე ეხება სამ ეპიზოდს: (1) ახალაიამ, კალანდაძემ და შამათავამ შეურაცხყოფა მიაყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მძღოლებს, რომლებმაც უარი თქვეს დილის ვარჯიშში მონაწილეობის მიღებაზე; (2) ზვიად აბეგაძეზე თავდასხმას და დაპატიმრებას, კალანდაძისთვის შეურაცხყოფის მიყენების საპასუხოდ; (3) პაატა პაატაშვილის ფიზიკურ შეურაცხყოფას. ბრალდებულთა უმრავლესობის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. 4 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო ორი მსჯავრდებულის ბრალდება გადაკვალიფიცირდა და მათ გაეზარდათ სასჯელის ზომა. უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

- ახალაია, ბაჩანა. დაპატიმრებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, უკანონო დაპატიმრებებისა და წამების ეპიზოდებში.
- კალანდაძე, გიორგი. გენერალ-მაიორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, უკანონო დაპატიმრებების ეპიზოდებში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ იგი

დამნაშავედ ცნო სამხედრო ბაზაზე ხელქვეითების შეურაცხყოფაში და განესაზღვრა სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა 3 თვით, თუმცა ამნისტიის კანონის თანახმად, იგი გათავისუფლდა დანიშნული სასჯელისგან.

- შამათავა, ზურაბი. შეიარაღებული ძალების ვაჭიანის მეოთხე ქვეითი ბრიგადის ყოფილი მეთაური. დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ცემაში. დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ცემაში. სასჯელის სახედ განესაზღვრა შესაბამისად ოთხი და ექვსი საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; 2012 წლის ამნისტიის კანონის თანახმად, ზურაბ შამათავა გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი ბრალეულობა გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ზომა გაეზარდა. შამათავა ამჟამად სასჯელს იხდის ციხეში.
- მკურნალიძე, გაგა. სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების ბრალდებაში.
- დარასელია, მანუჩარ, პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების ბრალდებაში.
- კინწურაშვილი, გიორგი, პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების ბრალდებაში.
- გორგაძე, ალექსანდრე. მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი. ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. სასჯელის სახით განესაზღვრა 140 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; 2012 წლის ამნისტიის კანონის თანახმად, გორგაძე გათავისუფლდა სასჯელისგან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი ბრალეულობა გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ზომა გაეზარდა. გორგაძე ამჟამად სასჯელს იხდის ციხეში.
- კვაბიძე, მერაბი. თავდაცვის სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი. სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო.

4. აბაშიძე, ახალაია, ჩუბინიძე, დავითაშვილი, გორგაშვილი, სუთიძე, ვაკუა, ზანგიევა (შემოკლებით: ახალაია II)

მონიტორინგი ჩატარდა 34 სასამართლო პროცესზე

2013 წლის 31 ოქტომბერს, პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი თანამშრომლის წამება და დაპატიმრება, რომელთაც ისინი დანაშაულებდნენ და უმორჩილებლობასა და „ქართული ოცნების“ მიმართ გულშემატკივრობაში, დადგა

გამამართლებელი განაჩენი. 2014 წლის 17 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი; 2014 წლის 2 ივნისს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ იქნა საჩივარი, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი 2014 წლის 13 ოქტომბერს.

- ახალაია, ბაჩანა. დაპატიმრებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, უკანონო დაპატიმრების და წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ბრალდებებში.
- დავითაშვილი, ალექსი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. გამართლდა უკანონო დაპატიმრების, წამების, ღირსების შემლახველ და არაადამიანური მოპყრობისა და ადამიანთა თანასწორობის უფლებების დარღვევის ბრალდებაში.
- ჩუბინიძე, დავითი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. გამართლდა ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაში, ადამიანთა თანასწორობის უფლებების დარღვევაში.
- გიორგაშვილი, დავითი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. გამართლდა უკანონო დაპატიმრებაში, წამებაში, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაში.
- სუთიძე, რობერტი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. გამართლდა უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებებზე.
- აბაშიძე, მამუკა. რეინჯერების პროგრამის კურსის ხელმძღვანელი თავდაცვის სამინისტროში. გამართლდა წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებებში.
- ვეკუა, დავითი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის პირველი განყოფილების ხელმძღვანელი. გამართლდა წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებაში.
- ზანგიევი, ვლადიმერი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. გამართლდა უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებაში.

5. ახალაია, ჭარბაძე, ქარდავა, ჭაკუა (შემოკლებით: ახალაია III)

მონიტორინგი ჩატარდა 15 სასამართლო პროცესაზე

ბრალდების თანახმად, 2006 წლის გაზაფხულზე ბრალდებულებმა აიძულეს გარკვეულ პატიმრები ჩაეწერათ საუბარი, სადაც იტყოდნენ, რომ ახალაიას თავდასხმა პატიმრებზე მოგონილი იყო, რათა შემდეგ ახალაიას ეს ჩანაწერი გამოეყენებინა იმის სადემონსტრაციოდ, რომ ყველაფერი, რასაც მის მიერ პატიმრების მიმართ ცუდ მოპყრობაზე ამბობდნენ, მისი დისკრედიტაციისთვის იყო გამოგონილი. პატიმრებმა არ შეასრულეს

ახალაიას ბრძანება. ამის საპასუხოდ, ახალაიამ, ქარდავამ და ჭარბაძემ დაამცირეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ, რაც სხვა პატიმრებმა გააპროტესტეს და რაც შემდგომ ბუნტში გადაიზარდა. 2013 წლის 28 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ყველა ბრალდებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამატებაში და გაამტყუნა ისინი ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაში. 2013 წლის 5 ნოემბერს მედიაში გავრცელდა ცნობა სააკაშვილის მიერ ბრალდებულ ჭარბაძისა და ახალაიას შეწყალების შესახებ; ამ უკანასკნელის დადასტურება ვერ მოხერხდა, რადგან ეს ინფორმაცია არ გასაჯაროებულა. 2014 წლის 5 თებერვალს ჩატარებულ სააკაშვილთან განხილვაზე, მხარეებმა განაცხადეს, რომ მხოლოდ ახალაია იყო შეწყალებული, ჭარბაძე კი არა. 2014 წლის 14 თებერვალს თბილისის სააკაშვილთან სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა სააკაშვილთან სასამართლოს გადაწყვეტილება.

- ახალაია, ბაჩანა. დაპატიმრებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე. იგი არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტების ეპიზოდში. მსჯავრდებულ იქნა ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებებში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. შეეფარდა ჯარიმა 4,000 ლარის ოდენობით.
- ჭარბაძე, რევაზი. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ეპიზოდში; მსჯავრდებულ იქნა ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაში წარდგენილ ბრალდებებში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. შეეფარდა ჯარიმა 3,000 ლარის ოდენობით.
- ქარდავა, მეგისი. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ეპიზოდში; მსჯავრდებულ იქნა ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებებში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. შეეფარდა ჯარიმა 3,000 ლარის ოდენობით.
- ჭაკუა, დავითი. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ეპიზოდში; მსჯავრდებულ იქნა ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე წარდგენილ ბრალდებებში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. შეეფარდა ჯარიმა 3,000 ლარის ოდენობით.

6. ახალაია, დავითი; ალანია; მელნიკოვი; თოფურიძე (შემოკლებით: დ. ახალაია)

მონიტორინგი ჩატარდა 28 სასამართლო პროცესაზე

2014 წლის 14 მარტს, ყველა ბრალდებული იქნა მსჯავრდებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაზე წარდგენილ ბრალდებაში სამი პირის ცემასთან დაკავშირებით, რომლებმაც, მათი აზრით, შეურაცხყოფა მიაყენეს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ივანე მერაბიშვილის მეუღლეს თბილისის ერთერთ რესტორანში. საქმე განიხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

- ალანია, გერონტი, პროცესზე დაუსწრებლად. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) ოფიცერი. მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება ორი წლით, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 6 თვემდე ამნისტიის კანონის თანახმად.
- ახალაია, დავითი, პროცესზე დაუსწრებლად. ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კუდი-ს თავმჯდომარე. გამართლდა უკანონო დაპატიმრების ეპიზოდში. მსჯავრდებულ იქნა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაზე წარდგენილ ბრალდებაში. 5 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე და 9 თვემდე ამნისტიის კანონის შესაბამისად. ორი წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 6 თვემდე ამნისტიის კანონის თანახმად.
- მელნიკოვი, ოლეგი, განხილვა შედგა თავდაპირველად პროცესზე დაუსწრებლად, შემდეგ მოხდა მისი უკრაინიდან ექსტრადიცია. ამჟამად იმყოფება პატიმრობაში. კუდ-ის ყოფილი ოფიცერი. მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებაში. შეეფარდა 5 წლი თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირდა 3 წლითა და 9 თვემდე ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება ორი წლით, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 6 თვემდე ამნისტიის კანონის შესაბამისად.
- თოფურიძე, იოსები, პროცესზე დაუსწრებლად. კუდის უფროსის ყოფილი მოადგილე. მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულს შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირდა 3 წლითა და 9 თვემდე ამნისტიის კანონის შესაბამისად. დროებით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება ორი წლით, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 6 თვემდე ვადით, ამნისტიის კანონის შესაბამისად.

7. ძიმციეშვილი (შემოკლებით: ძიმციეშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 11 სასამართლო პროცესაზე

19 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ძიმციეშვილიმა უკანონოდ მითვისა 126,900 ლარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებიდან და აგრეთვე ბენზინის ტალონები მინი ავტობუსების დასაქირავებლად, ხალხის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიტინგზე ზუგდიდში გადასაყვანად. მედიის ცნობით, 2013 წლის 30 ოქტომბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა იგი შეიწყალა, თუმცა შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების ბრძანების გასაჯაროება არ მომხდარა.

- ძიმციეშვილი, ნიკოლოზი. პროცესზე დაუსწრებლად. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე. მსჯავრდებულ იქნა სახელმწიფო ქონების მითვისებაში წარდგენილ ბრალდებაში. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ეპიზოდში. მას განესაზღვრა შემცირებული სასჯელი 6 წლითა და 9 თვეთ თავისუფლების აღკვეთის სახით.

8. გუნავა (შემოკლებით: გუნავა)

მონიტორინგი ჩატარდა 11 სასამართლო პროცესაზე

პროკურატურამ ბრალი დასდო გუნავას მისი მძღოლის ფეხის არეში დაჭრასა და სხეულის მსუბუქი დაზიანებების მიყენებაში. აგრეთვე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბენზინის ტალონების მითვისების გამო. 2013 წლის 12 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო იმ ეპიზოდში, რომლის მიხედვითაც მას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანების მიყენებაში ედებოდა ბრალი. იგი შეწყალებული იქნა მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2013 წლის 30 ივლისს.

- გუნავა, თენგიზი. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი. მსჯავრდებულ იქნა სახელმწიფოს სახსრების ორჯერ უკანონოდ მითვისებაში. სასჯელის სახით განესაზღვრა 6 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც გაუნახევრდა ამნისტიის კანონის თანახმად. იგი არ იქნა დამნაშავედ ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენების ეპიზოდებში.

9. დამენია, გუტიძე, გვარამია, კანდელაკი, ხეთაგური, მანუკიანი, ნემსიწვერიძე (შემოკლებით: ხეთაგური/გვარამია)

მონიტორინგი ჩატარდა 31 სასამართლო პროცესზე

პროკურორების განცხადების თანახმად, 2012 წლის ივლისში, მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრი, ხეთაგური, შევიდა კორუფციულ გარიგებაში თელასის ელექტროგამანაწილებელ კომპანიასთან, რომლის მეშვეობით, ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ და მისმა სამმა ფილიალმა თავი აარიდეს ათობით მილიონი ლარის ოდენობის გადასახადების გადახდას 1 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. კანდელაკი, იმ დროს თელასის ფილიალების უფროსი აღმასრულებელი პირი, როგორც ამბობენ ჩართული იყო უკანონო მოლაპარაკებებში. გვარამიამ სთხოვა ნემსიწვერიძეს დაერეგისტრირებინა ფიქტიური საკონსულტაციო კომპანია, L&F სერვისი, რომელმაც 1 მილიონი აშშ დოლარი მიიღო თელასიდან და მისი ფილიალებიდან. ნემსიწვერიძემ გამოიტანა თანხა 2012 წლის 30 აგვისტოს და გადასცა გვარამიას. გვარამიამ ამ სქემაში ჩართო დამენია, „ჯიდისი სოლუშენის“ (GDC Solutions) პარტნიორი და მათ გააფორმეს კონტრაქტი L&F სერვისთან, რომლის შედეგად მოქმედებდნენ, როგორც ფიქტიური ქვეკონტრაქტორები, რომლებიც საკონსულტაციო მომსახურებას უწევდნენ თელასსა და მის ფილიალებს.

ბრალდებულებს წაეყენათ ბრალი ქრთამების აღებასა და მიცემაზე, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე, გადასახადების თავის არიდებაზე, ყალბი დოკუმენტაციის დამზადებასა და გამოყენებაზე, ცრუ მეწარმეობაზე და დანაშაულის დაფარვაზე. 2013 წლის 14 ნოემბერს ყველა მათგანი გამართლდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლოს გადაწყვეტილება. ინფორმაცია საქმის უზენაეს სასამართლოში გადაცემის შესახებ არ მოგვეპოვება.

- გვარამია, ნიკოლოზი. რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი. განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე. 2004–2007 წლებში პარლამენტის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი. გამართლდა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპიზოდებში.
- ხეთაგური, ალექსანდრე. ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიის გენერალური დირექტორი, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. გამართლდა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპიზოდებში.
- კანდელაკი, დევი. თელასის ხელმძღვანელი. გამართლდა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, საგადასახადო თაღლითობის, ფალსიფიცირებული დოკუმენტაციის

მომზადებისა და გამოყენების, ყალბი მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპოზოდებში.

- მანუკიანი, აშოტი. პროცესზე დაუხწრებლად. თელასის მთავარი აღმასრულებელი პირი. ბრალი მოეხსნა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპოზოდებში.
- ნემსიწვერიძე, გიორგი. L&F სერვისის პარტნიორი. გამართლდა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპოზოდებში.
- დამენია, კახა. ეკონომიკის ყოფილი მინისტრი. „ჯიდისი სოლუშენის“ სააუდიტორო კომპანიის პარტნიორი. გამართლდა ქრთამების აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპოზოდებში.
- გუტიძე, იზაბელა. „ჯიდისი სოლუშენის“ პარტნიორი. გამართლდა ქრთამის აღების და მიცემის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, გადასახადებისთვის თავის არიდების, ყალბი დოკუმენტაციის დამზადების და გამოყენების, ცრუ მეწარმეობისა და დანაშაულის დაფარვის ეპოზოდებში.

10. დავითაშვილი, იაკობოვი, იმნაძე, ჯანაშვილი, კაკიაშვილი, კეზერაშვილი, ლაფანაშვილი, მელაშვილი (შემოკლებით: კეზერაშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 30 სასამართლო პროცესაზე

სასამართლო ბრალდების მიხედვით, 2006 წელს დავითაშვილმა და იმნაძემ დაიწყეს ეთანოლის სპირტის იმპორტი უკრაინიდან გადასახადების გადახდის გარეშე. სპირტს საქართველოში კონიაკის საწარმოებლად იყენებდნენ, მისი უკრაინასა და ბელორუსიაში უკანონოდ ექსპორტირების მიზნით. მათ სთხოვეს ჯანაშვილს გამოეყენებინა მისი კონტაქტი კეზერაშვილთან, მაშინდელ ფინანსური პოლიციის უფროსთან, რომელიც დათანხმდა შეთავაზებაზე დაახლოებით 13 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. დანარჩენი ბრალდებულები საბაჟოს თანამშრომლები არიან. მათ ბრალი ედებათ საკრედიტო და სადებიტო ბარათების გაყალბებასა და გამოყენებაში, საბაჟო პროცედურების დარღვევაში, ქრთამის მიცემაში, გაყალბებული დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკების დამზადებასა და გამოყენებაში; ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოყენებაში; ქრთამის აღებაში.

2014 წლის 27 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კეზერაშვილი უდანაშაულოდ ცნო საბაჟო პროცედურების დარღვევისა და ქრთამის აღების ეპოზოდებში. ჯანაშვილი გამართლდა ქრთამის აღების ეპოზოდში და ბრალი დაედო საბაჟო პროცედურების დარღვევაში, ყალბი დოკუმენტების გამოყენებაში და საკრედიტო და სადებიტო ბარათების

გაყალბებაში. დანარჩენ ბრალდებულებს გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმება. საქმე ამჟამად გადაცემულია იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

- კეზერაშვილი, დავითი, პროცესზე დაუსწრებლად. ამჟამად მიმდინარეობს მისი ექსტრადიციის პროცედურა საფრანგეთში. ყოფილი თავდაცვის მინისტრი. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საბაჟო პროცედურების დარღვევისა და ქრთამის აღების ეპიზოდებში.
- ჯანაშვილი, მეირი, პროცესზე დაუსწრებლად. გამართლდა ქრთამის აღების ეპიზოდზე. დამნაშავედ იქნა ცნობილი საბაჟო პროცედურების დარღვევის ეპიზოდში (12 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 9 წლამდე ამნისტიის კანონის თანახმად), ყალბი დოკუმენტების გამოყენების ეპიზოდში (4 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 3 წლამდე ამნისტიის კანონის ამოქმედების შემდეგ), და საკრედიტო და სადებიტო ბარათების გაყალბების ეპიზოდში (4 წლიანი სასჯელი შეუმცირდა 2 წლამდე ამნისტიის კანონის ამოქმედების შემდეგ).
- ლაფანაშვილი, ლევანი. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.
- იაკუბოვი, ალექსანდრე. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.
- მელაშვილი, მიხეილი. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.
- იმნაძე, იოსები. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.
- კაკიაშვილი, ზვიადი. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.
- დავითაშვილი, ნიკოლოზი. ცნობილი იქნა დამნაშავედ, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.

11. ქარდავა, ხიზანიშვილი, ლილუაშვილი (შემოკლებით: ხიზანიშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 11 სასამართლო პროცესაზე

პროკურორების განცხადებით, 2012 წლის 26 სექტემბერს ბრალდებულებმა მითითება მისცეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ქართული ოცნების აქტივისტების კომპიუტერებიდან მასალების მოპოვების შესახებ. მათ აგრეთვე სთხოვეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ქართული ოცნების პოლიტიკოსთა ფარული ჩანაწერების YouTube-ზე ატვირთვა, რაც როგორც ჩანს მაშინდელი პრემიერ მინისტრობის კანდიდატის, ბიძინა ივანიშვილის პირადმა მცველმა გააკეთა, რომელსაც 100,000 აშშ დოლარი გადაუხადეს, რათა მას ეთქვა, რომ მან ამ საუბრის ჩანაწერი ივანიშვილის მოთხოვნით გააკეთა. მათ ბრალი დაედოთ სახელმწიფო ქონების მითვისება/გაფლანგვაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში; პირადი საუბრის უკანონოდ ჩაწერასა და გავრცელებაში; სხვისი საკუთრების დაზიანებასა და განადგურებაში, რასაც საკმაოდ დიდი ზარალი მოყვა;

კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის უკანონოდ წვდომაში; და კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნაში.

საქმე წარმოებაშია პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- ქარდავა, ლევანი. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.
- ხიზანიშვილი, შოთა. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე.
- ლილუაშვილი, ვაჟა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე.

12. მერაბიშვილი, ჭიაბერაშვილი (შემოკლებით: მერაბიშვილი/ჭიაბერაშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 36 სასამართლო პროცესაზე

2014 წლის 17 თებერვალს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებულები სახელმწიფო სახსრების მილიონობით ლარის მითვისება / გაფლანგვაზე და მილიონობით ლარის არჩევნების გასაყალბებლად გამოყენებაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის აქტივისტების დასაქმების პროგრამის მეშვეობით. მერაბიშვილს ასევე ბრალად დაედო აგარაკის მისაკუთრება, რომელიც სახელმწიფო მფლობელობაში იქნა გადაცემული იძულებით, რათა მის მიერ პირადი ყოფილიყო გამოყენებული. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენი 2014 წლის 21 ოქტომბერს.

- მერაბიშვილი, ივანე. ყოფილი პრემიერ-მინისტრი. წინასწარ პატიმრობაში იმყოფება 2013 წლის 21 მაისიდან. მსჯავრდებულ იქნა საარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო თანხების მითვისება/გაფლანგვისთვის; სასჯელი, რომელიც 10 წლით განესაზღვრა, შეუმცირდა 5 წლამდე ამნისტიის კანონის თანახმად; სამი წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 6 თვემდე ამნისტიის კანონის თანახმად. მსჯავრდებულ იქნა არჩევნების გაყალბებაში; მიესაჯა 2 წელი და დამატებით 1 წლით და 6 თვით აკრძალა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებაზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. რაც შეეხება ქონების გადაცემას, იგი იქნა მსჯავრდებული აგარაკისა თუ სხვა ქონების ხელშეუხებლობის ხელყოფაში; მას მიუსაჯეს 3 წელი, რომელიც შეუმცირდა 2 წლამდე და სამ თვემდე ამნისტიის კანონის თანახმად. სახელმწიფო ქონების მითვისების და გაფლანგვის ეპიზოდში შეეფარდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეუმცირდა 4 წლამდე და 6 თვემდე; მას აგრეთვე აკრძალა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება 2 წლით და 1 თვით, რომელიც შეუმცირდა 1 წლამდე და 3 თვემდე. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდება მიჩნეულ იქნა, როგორც ზედმეტად წარდგენილი. სასჯელების მოხდა ხდება პარალელურად.

- ჭიაბერაშვილი, ზურაბი. კახეთის რეგიონის ყოფილი გუბერნატორი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; ქალაქ თბილისის მერი; ევროსაბჭოში მუდმივი წარმომადგენელი; შვეიცარიის კონფედერაციისა და ლიხტენშტაინის სამთავროში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი; გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენელი ჟენევაში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. დამნაშავედ იქნა ცნობილი არჩევნების გაყალბებაში; არ იქნა დამნაშავედ ცნობილი სახელმწიფო ქონების მითვისება/გაფლანგვაში. ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაზე შეეცვალა სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით. სასჯელად განესაზღვრა განესაზღვრა ჯარიმა 52,000 ლარის ოდენობით, რომელიც შეუმცირდა 50,000 ლარამდე, პატიმრობაში გატარებული ორი დღის გამო.

13. მერაბიშვილი (შემოკლებით: მერაბიშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 29 სასამართლო პროცესაზე

მერაბიშვილს ბრალად ედება 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა მიერ არამართლზომიერი ძალის გამოყენებაზე ბრძანების გაცემა, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი ადამიანი და დაშავდა ათობით მომიტინგე. იმ პერიოდში მას ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მას ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. 2014 წლის 27 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლების დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, ხოლო უდანაშაულოდ იქნა ცნობილი დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვით ჩადენილ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. მსჯავრდება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

- მერაბიშვილი ივანე. ყოფილი პრემიერ მინისტრი. პატიმრობაში იმყოფება 2013 წლის 21 მაისიდან. იგი იქნა მსჯავრებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ძალადობისა და იარაღის გამოყენებით და უდანაშაულოდ იქნა ცნობილი დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვით ჩადენილ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. სასჯელის სახით შეეფარდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეუმცირდა 4 წლამდე და 6 თვემდე ამნისტიის კანონის თანახმად. მას ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლით და 6 თვით, რომელიც შეუმცირდა 1 წლის, 1 თვისა და 15 დღის ვადამდე ამნისტიის კანონის საფუძველზე.

14. კეზერაშვილი, უგულავა (შემოკლებით: უგულავა / კეზერაშვილი)

მონიტორინგი ჩატარდა 27 სასამართლო პროცესაზე

საქმე შეეხება სამ ეპიზოდს: (1) ფიქტიური კომპანიის შექმნა, რომლის მეშვეობით სახელმწიფო სახსრები ხმარდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 712 აქტივისტის დაფინანსებას; (2) სახელმწიფო ფონდებიდან ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროექტისთვის განკუთვნილი 10 მილიონი აშშ დოლარის უკანონოდ მითვისებას ტელეიმედის ხელში ჩაგდებას მიზნით და (3) უკანონოდ მითვისებული სახსრების გათეთრება. ბრალდებულებს ბრალი წარედგინათ შემოსავლების უკანონო მითვისებასა და გაფლანგვაზე (ფულის გათეთრება). საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაშია.

- უგულავა, გიგი. ქალაქ თბილისის ყოფილი მერი. უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი.
- კეზერაშვილი, დავითი, პროცესზე დაუხსრებლად. ყოფილი თავდაცვის მინისტრი.